საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№33 (171)
5 – 11 სექტემბერი, 2012

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**ბეშინოლდით დანაელების, თუნდაც ძლევინის მომტანის** 9

**ორი წელია, ირლანდიაში მცხოვრებ ქართველებთან მოძღვარს** 10 **არ უშვებენ**



3

# ლოპოტას ომი ომერტადან ვენდეტამდე

სააკაშვილის მთავარი შეცდომა იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ კარტი არასწორად გაათამაშა და ამის გამო წააგო, საქმე ისაა, რომ ამ სათამაშო მაგიდასთან საერთოდ არ უნდა დამჯდარიყო

11 **სექსი ჯვარცმასთან, ანუ საით ექაჩებიან საქართველოს?**

# ხელოვნური ტარიფები, ხელოვნური ოპოზიცია და გაზის ომი ამომრჩევლისთვის

7

კახი კალაძე ამბობს, რომ ახალი ინვესტორ-ბიზნესმენი მინდია გულუა საქართველოს ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს




ლევან ღოღიძე:

**200 წლის წინ ბოროდინოს ველზე 12 ქართველი გენერალი** 14 **იბრძოდა!**

# არც ტერორისტები იყვნენ, არც დივერსანტები... 5



«პარლამენტში უნდა იყოს წარმოდგენილი ქალა, რომელიც ეროვნულ და მართლ-მადიდებლურ ფასეულობებს ამკვიდრებს»

ნანა დევდარიანი:

**ოპოზიციის გაერთიანება არ მოხდა, რაც «ოცნებაში» არსებული ზოგიერთი ძალის სუბიექტურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია** 6

# დასაქმების ახალი პროგრამა: «ნაცმოძრაობის» პარტიულ სიაში მესამეღზე მეტი უმუშევარია 2

ტოვებს, ტოვებს მიშა თავის კვალს, აბა, მარტო თამარის ციხეებს, თამარის ხიდებს, თამარის ეკლესიებს, თამარის წყაროებს ხომ არ ვიკმარებთ?!

ვლადიმერ ვახანია
ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი



42
სამართლის დოქტორი
პროფესორი
აკადემიკოსი

ვლადიმერ ვახანიას მიმართვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს ზუგდიდის №67 საარჩევნო ოლქში 4

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გრაფაში „სამუშაო ადგილი“ „ბარამბოს“ კანფეტებივით ლამაზად შეფუთულ დაუსაქმებელ კანდიდატურებს ჭიპჭიპა და ჭრელა-ჭრულა ქაღალდს თუ შემოაცლი, ბოზოლა მიშისტი გამოიკლაკნება, როგორც შავ ქლიავში შემძვრალი მსუქანი მატლი.**

# დასაქმების ახალი პროგრამა: «ნაცმოძრაობის» პარტიულ სიაში მესამედზე მეტი უმუშევარია

**სიას ვაქებდი, მეფისას,
„სისხლისა ცრემლ-დათხეული“,
„ვინცა ისმინოს, დაესვას
ლახვარი გულსა ხეული“.**

**კარგად რომ დააკვირდე დეპუტატობის კანდიდატების 155-კაციან სიას, რომელიც ნაციონალ-ბოლშევიკებმა (ნაცბოლებმა) ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგინეს, პირველი, რაც თვალში გეცემა, სფინქსებივით მარადიული პარლამენტის წევრები არიან — მიხეილ მაჭავარიანი, გიგი წერეთელი, ხათუნა გოგორიშვილი, აკაკი ბობოხიძე, რომლებიც ქართული დემოკრატიზმის კოლექტიური ერთობის სიმბოლოდ ჩარიგებულან გიზაში, მეფეთა ველზე.**



**ტოვებს, ტოვებს მიშა თავის კვალს, აბა, მარტო თამარის ციხეებს, თამარის ხიდებს, თამარის ეკლესიებს, თამარის წყაროებს ხომ არ ვიკმარებთ?!**

ცხვირმომტვრეული სფინქსებივით წვანან და მავთულხლართებზე უმეტესი ერთგულებით იცავენ ხეოფსის პირამიდის მთავარ კარიბჭეს, რომლეშიც მხოლოდ მათ შეესვლებათ.

წვანან და ვირჩევთ.

ავირჩევთ და ისევ დაწვებიან.

თვითონაც შეეჩვიენ და არც ჩვენ გვაწუხებს შეკითხვა — როდემდე?

„როდემდე, როდემდე, ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი!“

**როდემდე და იქამდე, სანამ ხეოფსის პირამიდაში განისვენებს მკვდარი სულების მიერ არჩეული ფარაონი, ბატონი ხეოფსი.**

საოცარია: ცოცხალ ხეოფსზე არ ლაპარაკობენ, ხეოფსი მხოლოდ მკვდარი ახსოვთ — მისი აკლდამისა გამო...

ჩვენც მოგვეცემა სალაპარაკო.

მანამდე კი სიას ჩავხედოთ, ისევ. ჩავხედავთ და დავრწმუნდებით, რომ მართალს ამბობს მიხეილ სააკაშვილი, როცა დაჟინებით იმეორებს — ჩვენ სულსწრაფები, ვართ, გვეჩქარება და ყველაფერს სწრაფად ვაკეთებთო.

„ფრთები გვინდა, ფრთები!“ ზოგს ღრუბელ-ღრუბელ საფრენად, როცა ირგვლივ ცა „რუსული ავიაციით არის სავსე“. დასამალად: საკუთარი ძვირფასი სიცოცხლის გადასარჩენად.

ზოგს — ციხეების ვადაზე ადრე ასაშენებლად.

ახალციხეში დამკვრელური შრომით რეკორდულ ვადებში ხომ აღადგინეს რაბათის ციხე?

აღადგინეს.

**საზეიმო ცერემონიაზე, „უხვლაშქრიან“ როსტომ მეფის ხსენების დღეს მიშას დამთავრებული არ ჰქონდა წინადადება: — ვანო, მეც მინდა ციხე გორში! — რომ ქართლის გულში გორისციხის ნანგრევებს მშენებელთა სოცშეჯიბრში გამარჯვებული ბრიგადები უკვე შესეული იყო.**

ეგაა და გორისციხე!

**„გორო,
ქართლის შუაგულო,
მეთაურო ქართლისაო,
ადრე ღირსად წამებულო,
დღესაც მთქმელო
მართლისაო“.**
*(აკაკი)*

ტოვებს, ტოვებს მიშა თავის კვალს, აბა, მარტო თამარის ციხეებს, თამარის ხიდებს, თამარის ეკლესიებს, თამარის წყაროებს ხომ არ ვიკმარებთ?!

**პომპეუსის ხიდი მცხეთაშია, მიშას ხიდი — თბილისში, მიშას ციხეც გვექნება გორში.**

**სამაგიეროდ არ გვექნება ნამუსი, რომელსაც ისე აგვხდიან, რომ ვერც გავიგებთ.**

თუ უკვე მოხდა ეს სამარცხვინო ამბავი და არ გვიმხელენ?

**დღეს სხვა ქარიშხლიან სისწრაფეებს ვწირავთ სიცოცხლეს: მაგალითად, დასაქმების პროგრამის ელვისებურ განხორციელებას, ანუ უმუშევრების, როგორც კლასის მოსპობას.**

გაკულაკებასავითაა.

დასაქმების ახალი პროგრამა ნაცბოლების პარტიულ სიაში თავისი მასშტაბურობით სრულად არის წარმოდგენილი — კანდიდატების ერთი მესამედი უმუშევარია: **ბოტკოველი გიორგი, სამხარაძე ირაკლი, აბაიშვილი გიორგი, ჩიქოვანი მამუკა, შავლოხაშვილი რევაზ, ხაჩირაშვილი კახაბერ, ტატიშვილი გიორგი, ხვედელიანი მამუკა, ჯინჭარაძე მანანა, ცხომელიძე გელა** და ასე მიყოლებით, რომელთა არც სახელები, არც გვარები, არც ბიოგრაფიები არაფერს გვეუბნება.

ელექტორატის პატივცემულო წარმომადგენლებო, დეიდებო და ბიძიებო, ჯერ კიდევ ცოცხლებო და უკვე გარდაცვლილებო, დაეხმარეთ ამ საწყალ ხალხს, მიეცით თქვენი ნამდვილი ან გაყალბებული ხმები ლუმპერპროლეტარების ამ მასას, რათა მიშამ შეძლოს მათი შრომითი წიგნაკების გახსნა პარლამენტის წევრობის აღმნიშვნელი ჩანაწერებით, აცხოვროს და აბაიარამოს ჩვენს ხარჯზე, ჩვენი გადასახადებით გააზულუქოს და ახალ ჩიორებად ააჭიკჭიკოს, ახალ წიკლაურებად გამოაწრთოს ნაცბოლების აგურის ქარხანაში.

აგური ოთხკუთხა სამშენებლო მასალაა.

**„გაჯავიკებად“ მაინც ემუშავათ ამ დალოცვილებს ცოტა ხანს მაინც ან ხსნარის არევაში დაოსტატებულიყვნენ...**

**პირდაპირ კანონმდებლებად მოდიან...**

უმუშევრების სიაა.

თუმცა უმუშევრებს გააჩნია: **გრაფაში „სამუშაო ადგილი“ „ბარამბოს“ კანფეტებივით ლამაზად შეფუთულ დაუსაქმებელ კანდიდატურებს ჭიპჭიპა და ჭრელა-ჭრულა ქაღალდს თუ შემოაცლი, ბოზოლა მიშისტი გამოიკლაკნება, როგორც შავ ქლიავში შემძვრალი მსუქანი მატლი.**

ჭიანი სიაა!

**გიორგი ბარამიძე, რამაზ ნიკოლაიშვილი, ლევან ბეჟაშვილი, კობა სუბელიანი, ხაჩიძე მიშა მაგარია-გიორგი, ანდრია ურუშაძე** და ა. შ.

ცალკე რიგია პარლამენტის დღევანდელი უმრავლესობიდან რეკრუტირებული წევრების — მდუმარე თუთიყუშების, (დუმილის ბიწების) რომლებსაც ვიღაცამ სამადლოდ „კნოპკაზე“ თითის დაჭერა ასწავლა, თორემ ოთხი წლის განმავლობაში არც ერთ მიკროფონს მათი სუნთქვა არ უგრძვნია:

**ლაშა დამენია, ელენე ჯავახაძე, ოთარ თოიძე, გოჩა კუპრავა, გიორგი ხახნელიძე, კახაბერ ანჯაფარიძე, კუკავა** (ოღონდ სხვა) **ზვიადი, მამუკა გაჩეჩილაძე, დავით თოდაძე, ზაზა გულიკაშვილი, დევი ოვაშვილი, გოჩა თევდორაძე, ავთანდილ სტურუა, კაკალაშვილი** (წერს თუ არა ლექსებს, უცნობია) **გურამი, წურწუმია** (ოღონდ არა მომღერალი ლელა) **თეიმურაზი, გურანდა ჯაბუა** და ა. შ. და ა. შ. დანარჩენების გვარები თქვენ წაიკითხეთ იმ სიაში, რომელიც ნაცბოლებმა ცესკოში წარადგინეს.

**სიაა გვარების, რომლებიც არაფერს გეტყვიან.**

**მექანიკური თუთიყუშების სია.**

იქნებ მათ შორის არიან ანბანის შექმნის ნიჭით დაჯილდოებული მიშტოცები, მაგრამ ჩვენ როგორ გავიგოთ, რომელია მესროპი, რომელი — აინშტაინი?

სამაგიეროდ წვრილ-წვრილი ჩინოვნიკების ვარსკვლავთცვენაა: „წვრილი და წვრილი ვარსკვლავნი დაა და ძმაა ჩემი“.

წელგამართულნი მოდიან მათი საშვიდნოემბრო კოლონები. პირველ რიგებში დგანან: სტუდენტთა დასაქმების სპიკერი **მარიამ საჯაია,** „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარის თანაშემწე **ირმა ნადირაშვილი,** განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მრჩეველი კონსულტანტი **სამირა ისმაილოვა,** სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს უფროსის მრჩეველი **გენრიხ მურადიანი,** პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის უფროსი სპეციალისტი **მერი კოკაია,** პარლამენტის აპარატის მთავარი სპეციალისტი **ქეთევან მჭედლიძე,** თბილისის საკრებულოს წევრი **ნიკოლოზ ხაჩირიშვილი,** გარდაბნის საკრებულოს წევრი **გიორგი ფეიქრიშვილი,** SGI მდგრადი განვითარების ინვესტიციების კონსულტანტი **ლევან ქარდავა,** აჭარის მთავრობის აპარატის უფროსი **ომარ მეგრელიძე,** „საქართველოს ფოსტის“ სამმართველოს უფროსი **სოკრატ მამულაშვილი** და ა. შ. და ა. შ. ლეგიონია მათი სახელი.

მწყობრ კოლონებად მოაბიჯებენ საქართველოს დეპუტატობის ოლიმპიელი კანდიდატები. კაცმა რომ თქვას, მათ შორის ნამდვილი ოლიმპიელი ერთია — გიორგი ასანიძე, დანარჩენები ქართული პარლამენტარიზმის იგავმიუწვდომელი ჩემპიონებია, რომლებიც ზუსტად ოლიმპიური ციკლით — ოთხ წელიწადში ერთხელ ადიან პარლამენტის ოლიმპზე და დილის ცვრისა და ციური მანანის, კვირაში ერთხელ მუხუდოს ერთი მარცვლის დიეტით იხანგრძლივებენ ცხოვრებას ხალხის სამსახურში.

თანაც ქამრები წელის გაწყვეტამდე აქვთ შემოჭერილი.

**ხალხის რჩეულების სიაა თავიდან ბოლომდე და 155-ვეს ნუ ჩამომათვლევინებთ!**

ო, ეს რა მორიდებული ხალხი შეუტანიათ სიაში: ქართული გონის, მეცნიერების კორიფეები, მეგავარსკვლავები ნაცაზროვნების ყველა დარგისა: **კობა სუბელიანი, ნუგზარ წიკლაური, დავით დარჩიაშვილი, გიორგი გაბაშვილი, პავლე კუბლაშვილი, გივი თარგამაძე** (რომელიც შეთავსებით ინკარნირებული, მაგრამ ხელმოცარული ჩე გევარაა), **შოთა მალაშხია** და, აგრეთვე, ისინიც, რომელთა მასშტაბური აზროვნების პოტენცია ჯერ კიდევ ვერ გამოუვლენია მგრძნობიარე სენსორებით აღჭურვილ უახლეს აპარატურას...

წაიკითხეთ?

დაიბანეთ ხელი: **ეს სია ნაცბოლობის ინფექციის გადამტანია.**

## ბოლოთქმის ნაცვლად:

**ეპიზოდს, რომელსაც შემოგთავაზებთ, ზემოთ მოთხრობილთან კავშირი არ აქვს.**

**ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აღიარებული ექსპერტი და უპატიოსნესი პიროვნება შალვა მექვაბიშვილი იხსენებს:**

**— 2003 წლის მაისში მიხეილ სააკაშვილმა მითხრა, რომ აპირებდა ახალი პარტიის შექმნას და ერთ-ერთი მთავარი თანადამფუძნებლობა შემომთავაზა. მაშინ სახელმწიფო კანცელარიაში საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსად ვმუშაობდი. მან კარგად იცოდა ჩემი ცხოვრების წესი, ამიტომ წავუყენე პირობა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთანხმდებოდი, თუ პარტიას არ გააკარებდა ორ პიროვნებას, რომლებსაც, რბილად რომ ვთქვა, ცუდი რეპუტაცია ჰქონდათ. ესენი იყვნენ: ცნობილი კობა ბექაური, რომელმაც ფარული კამერით შალვა რამიშვილს პროვოკაცია მოუწყო, ადრე ჩემთან მუშაობდა და ვიცოდი, რომ მისი ნდობა არ შეიძლებოდა, და ყოფილი გუბერნატორი, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე დავით მუმლაძე. ერთი მათგანი თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიას, მეორე ბიუჯეტს განაგებდა.**

**— ეგენი რა შუაში არიან? — მკითხა.**

**— შუაში კი არა, თავში არიან, ჩემო მიშა, — ვუპასუხე, — შენ ხომ კარგად იცი, ვინც არიან!**

**— ვიციო, — გულწრფელად აღიარა, — მაგრამ თქვენი პრინციპების კაცს ბინძურ საქმეს ვერ დაგავალებთ, რადგან მაინც არ შეასრულებთ. პოლიტიკა კი უბინძურესი საქმეა. ასეთი ხალხიც რომ მჭირდება?**

**— როცა ჩემნაირი ხალხი დაგჭირდება, დამირეკე და მოვალ-მეთქი...**

**დაძახების დრო, როგორც ჩანს, ჯერ არ დამდგარა.**

**გიორგი მექმარიაშვილი**

**ხელისუფლება ცდილობს, პანკისელებს თავს „ომერტა“ მოახვიოს და „დუმილის შეთქმულებაში“ ჩაითრიოს . თუ ეს საშიში და უპასუხისმგებლო პოლიტიკა გაგრძელდება, ეს მამაცი, საქართველოს ერთგული ადამიანები, შეიძლება „ომერტამდე“ კი არა, „ვენდეტამდე“, ანუ სისხლის აღებამდე, მიიყვანონ, რადგან ყველაფერს, მათი მოთმინების ჩათვლით, საზღვარი აქვს.**



**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლოპოტას ომი
# ომერტადან ვენდეტამდე

**ტყუილს მოკლე ფეხი აქვს და მთის ბილიკებზე სიარული უჭირს; ეს გასულ კვირას ლოპოტას ხეობაში დადასტურდა. სოფელ ლაფანყურთან განვითარებული მოვლენების ოფიციალურ ვერსიაში საზოგადოებამ ეჭვქვეშ პრაქტიკულად თითოეული სიტყვა დააყენა. ეს ნათლად აისახა სოციალურ ქსელებში, ხოლო პუბლიკაციებში, რომლებიც ამ თემას მიეძღვნა, ხელისუფლების მიმართ ტოტალური უნდობლობა იგძნობოდა.**



დღეს მიხეილ სააკაშვილი იმკის იმას, რაც დათესა. ხელისუფლებას ბოლო წლებში ამდენი რომ არ მოეტყუებინა, საზოგადოება ოფიციალური ვერსიის მიმართ ნაკლებად კრიტიკული იქნებოდა. სააკაშვილს არ დაუჯერეს სწორედ მაშინ, როდესაც ეს ჰაერივით დასჭირდა, როგორც მწყემს ბიჭუნას ცნობილი ზღაპრიდან, რომელიც ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდა: „მგელი! მგელი!“.

**ვინ იყვნენ ის შეიარაღებული პირები, ვისთანაც შეტაკებაში სამი ქართველი ძალოვანი დაიღუპა?**

**სად მიდიოდნენ?**

**რა მოტივები იდგა მათი მოქმედების უკან?**

**რატომ არის ამდენი შეუსაბამობა მძევლების ისტორიაში?**

**რა მოხდა პანკისის ხეობაში შეტაკებიდან რამდენიმე დღეში?**

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ კითხვების, რომლებზეც საზოგადოებამ დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო. ალბათ, უნდა გავიდეს გარკვეული დრო, რათა ფაქტები მათზე მიწებებული ტყუილისგან გაიწმინდოს, თუმცა გამორიცხული არაა, რომ სიმართლეს მხოლოდ ხელისუფლებიდან სააკაშვილის წასვლის შემდეგ შევიტყობთ. ინციდენტის სრულყოფილი რეკონსტრუქცია (ვინ სად მიდიოდა, რატომ და საიდან ისროდა და ა. შ.) ჯერ კიდევ შეუძლებელი ჩანს, მაგრამ, ალბათ, **მიზანშეწონილია საუბრის დაწყება იმ პოლიტიკურ მოტივებზე, რომლებიც, სავარაუდოდ, ამ მოვლენების უკან იდგა.**

სააკაშვილის აპოლოგეტები ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ **ხელისუფლებამ თავიდან აიცილა დიდი პროვოკაცია.** მოვლენათა განვითარების ყველაზე ნეგატიური სცენარით, ისინი შეიარაღებული ჯგუფის რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლას და იმ ნაბიჯებს წარმოაჩენენ, რომელსაც კრემლი ამის საპასუხოდ გადადგამდა. ზოგი იმასაც ამტკიცებს, რომ ყოველივე შეიძლებოდა სრულმასშტაბიანი ინტერვენციით დასრულებულიყო. **ვერ გამოვრიცხავთ, რომ ხელისუფლების შიში, რომელიც მის მიერ წარმოდგენილ რუსულ კომბინაციას უკავშირდებოდა, გახდა ერთი მთავარი რესურსი გაცილებით უფრო დახვეწილი ოპერაციის ჩატარებისთვის.**

**იმის წარმოდგენა, რომ დაღესტანში 17-კაციანი შეიარაღებული ჯგუფის გადასვლა სრულფასოვან „კაზუს ბელის“ შექმნის, რომელიც მსოფლიო თანამეგობრობისთვის მისაღები თუ არა, გასაგები იქნება, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილოა. რუსეთის სპეცსამსახურებს ნამდვილად აქვთ შესაძლებლობა, მსგავსი სცენები დღეში ხუთჯერ დადგან ჩრდილოკავკასიელების ან სულაც ქართველების (ვინმეს იპოვიან, რუსეთი დიდია) აღიარებითი ჩვენებებით, იარაღისა და საბუთების დემონსტრირებით, თუმცა ეს ნაკლებად რაციონალურია, რადგან საბოლოოდ სიტუაცია ჩიხში შევა — მოსკოვი და თბილისი ჩვეულებისამებრ ურთიერთბრალდებებს გაცვლიან და მსოფლიო ტრადიციულად მხრებს აიჩეჩავს. ის კი, რაც დღეს ხდება, მოსკოვისთვის გაცილებით მომგებიანი ჩანს: საკუთრივ საქართველოში დაიწყო ეჭვნარევი საუბრები სააკაშვილის ხელისუფლებისა და ტერორისტული ორგანიზაციის, „კავკასიის იმარატის“, შესაძლო კავშირის შესახებ** (ეს ეჭვები, როგორც ჩანს, ეფუძნება ინტერვიუებს ლოპოტასა და პანკისის ხეობების მცხოვრებლებთან და ექსპერტებთან, რომლებიც საუბრობენ იმაზე, რომ შეიარაღებული ჯგუფის წევრები საზღვრის სიახლოვეს საკმაო დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ, რომ მათ ჰქონდათ კავშირი „კავკასიის იმარატთან“, რომ ქართველი ძალოვნები ეკონტაქტებოდნენ მათ, ლამის მანქანებით დაატარებდნენ და ა. შ.).

შეერთებულმა შტატებმა დოკუ უმაროვი საერთაშორისო ტერორისტების სიაში 2010 წლის 23 მარტს შეიყვანა (გაეროს უშიშროების საბჭომ ეს 2011 წლის 11 მარტს გააკეთა), **2011 წლის 26 მაისს სახელმწიფო დეპარტამენტმა „კავკასიის იმარატი“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა.** „იმარატის“ ერთ-ერთ პირველ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ის მტრად არა მხოლოდ რუსეთს, არამედ დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებს და ისრაელს განიხილავს. ნებისმიერი ინფორმაცია სააკაშვილის ხელისუფლებისა და უმაროვის „იმარატის“ შესაძლო კავშირის თაობაზე აშშ-ის სპეცსამსახურების დაინტერესებას ავტომატურ რეჟიმში გამოიწვევს. თუ ისინი ამ ცნობებს რუსებისგან მიიღებდნენ, სავარაუდოდ, უფრო მეტს იფიქრებდნენ მანიპულირების მცდელობაზე, ვიდრე მიწოდებულ მასალებზე, თუმცა დღეს ინფორმაცია, რომელიც გადამოწმებას საჭიროებს, უშუალოდ საქართველოდან, ქართული საზოგადოებიდან მოდის (მეტიც, ღვარად მოედინება). თუ ის ნაწილობრივ მაინც დადასტურდება, **ეს აშშ-ისა და სააკაშვილის ხელისუფლების ურთიერთობებს ისეთ ზიანს მოუტანს, რომელსაც ათი რუსული დივიზია ვერ მიაყენებდა ერთად; ვაშინგტონი იძულებული გახდება, ტერორისტებთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილ პარტნიორს დაემშვიდობოს.** პროცესების ამ მიმართულებით წარმართვა მოსკოვისთვის უფრო დიდ სტრატეგიულ ამონაგებს მოასწავებს, ვიდრე საზღვარზე მცირე შეიარაღებული ჯგუფის განეიტრალება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თითოეულ მის წევრს ჯიბეში სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი დახასიათება და ინსტრუქცია ედებოდა.

**საუბარი სააკაშვილის ხელისუფლებისა და ჩრდილოკავკასიელი ტერორისტების კავშირზე განსაკუთრებით აქტუალური მოსკოვისთვის მას შემდეგ გახდა, რაც „ნაცმოძრაობის“ ბელადმა „ახალი კავკასიური პოლიტიკის“ გატარება დაიწყო.** მას აფრთხილებდნენ, რომ კრემლისთვის მიუღებელი აქტიურობა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით კარგს არაფერს მოუტანდა, მაგრამ მან ეს ყურად არ იღო. ბრალდებები მოსკოვიდან დროთა განმავლობაში სულ უფრო მძიმდებოდა, მაისში რუსეთის ანტიტერორისტულმა კომიტეტმა საქართველოს ძალოვანები უმაროვთან პირდაპირ კავშირსა და სოჭში ტერორისტული აქტების მოწყობის ხელშეწყობაში დაადანაშაულა. აშკარა იყო, რომ შემდეგი ნაბიჯი კიდევ უფრო სერიოზული იქნებოდა. ამ პროცესის პარალელურად, **სააკაშვილის ხელისუფლების შიგნით ჩამოყალიბდა სააზროვნო სტერეოტიპი, რომ მთელი ამ ანტიტერორისტული რიტორიკით მოსკოვი ცდილობს, მოახდინოს საბაბის ფორმულირება იმისთვის, რომ „რაღაც“ მოიქმედოს** (მაგალითად, ტანკები დაძრას). **აზრი იმის თაობაზე, რომ ეს საბედისწერო „რაღაც“ სააკაშვილმა შეიძლება საკუთარი ხელით გააკეთოს, როგორც ჩანს, სახელისუფლო ანალიტიკოსების სტრატეგიულ თვალსაწიერს სცდებოდა.**

უხეში წინასაომარი პროვოკაციის მოწყობისთვის, XX საუკუნის პირველი ნახევრის სტილში (თუ მაინც და მაინც) კონფლიქტური რეგიონების ტერიტორია და რეაქტიული არტილერია არსებობს. ხოლო იმისთვის, რომ შეშინებული მმართველი და მისი სულელი მრჩევლები პოლიტიკური თვითგანადგურების რეჟიმში გადაიყვანო, ნაკლებად ხმაურიანი საშუალებები გამოიყენება; ხანდახან საკმარისია ინფორმაციის ჩაწვეთება, ფიქტიური ოპერატიული კონტექსტის ან, უბრალოდ, ფსიქოლოგიური ფონის შექმნა.

**იმის შიში, რომ მოსკოვი მას ტერორისტების მფარველად წარმოაჩენს, შესაძლოა, გახდა ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი მოტივი ხელისუფლებისთვის, როდესაც სასწრაფო წესით „ანტიტერორისტული ოპერაცია“ დაიწყო, მაგრამ ამ მოტივის გადამკიდე პარადოქსულად უარეს შედეგამდე მივიდა — დაიწყო ხმამაღალი საუბარი ხელისუფლების საეჭვო კავშირებზე და მისი დადანაშაულება სიცრუესა და არაადამიანობაში**; რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დღეს ამას აკეთებს არა კრემლი, არამედ ქართული საზოგადოება და ეს დანარჩენი მსოფლიოსთვის არცთუ უმნიშვნელო გარემოებაა. ალბათ, სწორედ ესაა „ლოპოტას ომის“ ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური შედეგი. **საზოგადოებას სურს, იცოდეს, რატომ დაიღუპა ამდენი ადამიანი, ხოლო როდესაც თეთრი ძაფით ნაკერ ვერსიებს სთავაზობენ, ღიზიანდება და ხელისუფლებას უარესად უტევს. ეს უნდოდა „ნაციონალურ მოძრაობას“ წინასაარჩევნოდ? ფაქტია, ამ პრობლემის წარმოქნას საკუთარი ბელადის გარდა ვერავის დააბრალებს.**

**სააკაშვილის მთავარი შეცდომა იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ კარტი არასწორად გაათამაშა და ამის გამო წააგო, საქმე ისაა, რომ ამ სათამაშო მაგიდასთან საერთოდ არ უნდა დამჯდარიყო.**

„ომერტა“ მაფიის „ღირსების კოდექსია“, თუმცა ხშირად ამ სიტყვას მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის — „დუმილის კანონის“ აღწერისთვის იყენებენ. გასულ კვირას შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას სურს, რომ მთელი ქვეყანა, პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, ლოპოტას და პანკისის ხეობების მაცხოვრებლების ჩათვლით, „ომერტას“ წესებს დაემორჩილოს. ნიშანდობლივია, რომ სოციალურ ქსელებში, **სააკაშვილის მცირერიცხოვანმა, მაგრამ ხმაურიანმა მხარდამჭერებმა დაიწყეს საუბარი იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე კითხვების დასმა არ შეიძლება, რომ სამშობლო ჭეშმარიტებაზე მაღლა დგას და ა.შ. ცხადია, ამ მაფიოზურ თამაშებს სერიოზულად არავინ აღიქვამს, თუმცა ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რას მალავენ ასე გულმოდგინედ?** გასული წლების გამოცდილებას კი შემდეგ დასკვნამდე მივყავართ: **თუ რამე ცუდი ჩაიდინეს, ჯობია, ახლავე თქვან, თორემ მერე უარესი იქნება, რადგან სიმართლე მაინც არ დაიმალება.** კონკრეტული მაგალითი: შსს ირწმუნებოდა, რომ ლიკვიდირებულ შეიარაღებულ პირებს შორის საქართველოს მოქალაქეები არ იყვნენ, შემდეგ კი იძულებული გახდა, საპირისპირო ელიარებინა. ვერავინ გამორიცხავს, რომ ხვალ ჩვენებას კიდევ ერთხელ „ლოპოტას ომის“ სხვა ეპიზოდთან დაკავშირებით არ შეცვლიან. სხვათა შორის, ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში ასეთ სკანდალს შს მინისტრის გადადგომა ან, როგორც მინიმუმი, ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში დამნაშავე თანამდებობის პირების სამაგალითო დასჯა მოჰყვებოდა.

ჟურნალისტები, რომლებიც გასულ კვირას პანკისის ხეობაში იმყოფებოდნენ, ამბობენ, რომ ხალხი იქ გაგიჟების პირასაა მისული. ქისტი ახალგაზრდების დაღუპვასთან, საფლავების გათხრასთან, ცხედრების დაგვიანებულ გადაცემასთან დაკავშირებულმა ამბებმა იქაურებზე ძალიან ცუდად იმოქმედა. თანაც, როგორც უკვე ვთქვით, გაჩნდა ნიშნები იმისა, რომ **ხელისუფლება ცდილობს, პანკისელებს თავს „ომერტა“ მოახვიოს და „დუმილის შეთქმულებაში“ ჩაითრიოს. თუ ეს საშიში და უპასუხისმგებლო პოლიტიკა გაგრძელდება, ეს მამაცი, საქართველოს ერთგული ადამიანები, შეიძლება „ომერტამდე“ კი არა, „ვენდეტამდე“, ანუ სისხლის აღებამდე, მიიყვანონ, რადგან ყველაფერს, მათი მოთმინების ჩათვლით, საზღვარი აქვს.** დღეს ამის საშიშროება არც ისე დიდია, თუმცა თუ ქისტების ღირსების შელახვა, მათ ნერვებზე თამაში არ შეწყდება, ქვეყანა უმძიმეს შედეგებს მოიმკის.

**ეს მოვლენები, სავარაუდოდ, ზემოქმედებას სააკაშვილის „ახალ კავკასიურ პოლიტიკაზეც“ მოახდენს. იმ მძიმე პოლიტიკური და საიმიჯო დარტყმების შემდეგ, რომლებიც გასულ კვირას მიიღო, ის ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით, სავარაუდოდ, არც კი გაიხედავს, რადგან, დიდი ალბათობით, იგრძნობს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს საკუთარ ნაბიჯებსა და იმ პრობლემებს შორის, რომლებიც ბოლო დროს შეექმნა.** რაღაც დადებითი ამ პოლიტიკის (სავარაუდო) დასამარებაში უდავოდ არის, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს, გეოგრაფიიდან და ისტორიიდან გამომდინარე, ყოველთვის ექნება განსაკუთრებული ურთიერთობა ჩრდილოკავკასიელებთან, მათთან თანამშრომლობა მოსკოვის ინტერესების გათვალისწინების გარეშე, „პუტინის ჯინაზე“ შეიძლება ძალიან ცუდად დასრულდეს. **სააკაშვილის კავკასიურ პოლიტიკას საქართველოსთვის პრობლემების გარდა დღემდე არაფერი მოუტანა და, თუ ის წარსულს ჩაბარდება, სავარაუდოდ, არავინ იგლოვებს.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოცი წლის განმავლობაში ამერიკის ადმინისტრაციებთან „მეგობრობამ“ ქართული სახელმწიფო დაშლამდე, ეკონომიკის მოშლამდე, სოციალურ ქაოსამდე მიიყვანა, რომელიც პროვოცირებს ჰუმანიტარულ კატასტროფას. კიდევ რა დაგვრჩენია? ჰო, სამოქალაქო ომი! ჩემი აზრით, ესეც მოსალოდნელია, თუ უყურადღებოდ დავტოვებთ ლოპოტას ხეობაში ჩადენილ დანაშაულს!**

# რაც ლოპოტას ხეობაში მოხდა, «საქართველო და მსოფლიომ» სამი კვირით ადრე იწინასწარმეტყველა!

**რა თქმა უნდა, ვიწინასწარმეტყველეთ საქართველოში იჩქერიის რესპუბლიკის ყოფილი წარმომადგენლის, ხიზრი ალდამოვის, დახმარებით. შეგახსენებთ ალდამოვის რამდენიმე დამაფიქრებელ მოსაზრებას, რომლებიც მან გამოთქვა ჩვენთან საუბარში (გაზ. „საქართველო და მსოფლიო“ №31, 15-21 აგვისტო): „რუსეთში ტერაქტები შევარდნაძის დროსაც ხდებოდა და ახლაც, სააკაშვილის დროსაც, ხდება. ამ ყველაფერს ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა სამინისტრო. სააკაშვილი აფინანსებს შემსრულებლებს“; „საქართველოს ჰყავს მეომართა ჯგუფები, რომლებსაც იყენებენ სპეცოპერაციების დროს... მე ვიცოდი ამ ჯგუფების მოქმედებები... უნდოდათ, რომ რუსეთის წინააღმდეგ წასულიყვნენ ჩეჩნები და ქისტები. ეს ნატვრა იყო სააკაშვილის“; „სააკაშვილმა ამ ბოლო დროს შექმნა დიასპორის სამინისტრო, მოადგილედ დანიშნა გიორგი გამსახურდია. პარლამენტშიც შეიქმნა კომისია დიასპორის საკითხებში, უფროსად დაინიშნა წიკლაური. ამ ორმა კაცმა უნდა გადაწყვიტოს ჩეჩნების საკითხი“.**




ახლა კი განსაკუთრებით მიაქციეთ ყურადღება ამ სიტყვებს: **„ადრე ჩვენი ახალგაზრდები იღებდნენ ფულს უცხოეთიდან. ახლა შეწყდა. დღეს ფულს იღებს სააკაშვილის ბანკი. ამ ყველაფერს ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრი. ისინი ჩვენებს აწვდიან ცოტ-ცოტა ფულს. ამით სრულდება მათი დავალება. ამერიკას სურს მუსლიმანების ბრძოლა რუსეთში და იყენებს სააკაშვილს. მე ყველას ვერ დავარქმევ მებრძოლს. ისინი გამოქცეულები არიან ქვეყნიდან. რატომ არ იბრძვიან სახლში, რა უნდათ საქართველოში?! მათ აფინანსებს სააკაშვილი და მისი შინაგან საქმეთა სამინისტრო“.**

ალდამოვის მონაყოლს დაკვირვებული მკითხველი უთუოდ დაუკავშირებს ლოპოტას ხეობაში დატრიალებულ ტრაგედიას. ნაცხროვის მიერ ქვეყანაში დამკვიდრებული საყოველთაო სიცრუის პირობებში, ძნელია მომხდარის სრულფასოვანი გაანალიზება, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ უტყუარ ფაქტს, რომ საქართველოს ძალოვანი და სპეცსამსახურების საქმიანობაში ოფიციალური ვაშინგტონის „ხელების ფათური“ აშკარაა, რასაც, სხვათა შორის, არც ჩვენი შინნაზარდი ოფიციოზი მალავს, მაშინ ისღა დაგვრჩენია, ვაღიაროთ — **პროცესები პოტომაკის ნაპირებიდან ფინანსდება, მაშასადამე, იმართება.**

თუ თვალჩაციებული მზერით შევხედავთ დაღესტანში მომხდარ აფეთქებებს, ნათელი გახდება, რომ **„კულისებს“ მიღმა არსებობს როგორც ვიწრო პოლიტიკური, ისე გეოპოლიტიკური ინტერესები, რომლებიც კავკასიაში უმძიმეს ვითარებას ქმნიან.** აქ ძალადობას იყენებენ, როგორც ყველაზე მძლავრ იარაღს. აფეთქებები და ლიკვიდაციები არა იზოლირებული ტერორისტული მოქმედებებია, არამედ უკიდურესად ცინიკურად ორგანიზებული ღონისძიებები, რასაც ახორციელებენ კარგად შეკრული ბოროტმოქმედთა დაჯგუფებები, რომლებიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამეტს უყოყმანოდ ექვემდებარებიან.

ახლა ვინმე შემედავება: საიდან იცი ესო? ჩემი პასუხია — ამერიკის პრესიდან! მე მხოლოდ ვიმეორებ აშშ-ის წამყვანი გაზეთების მოწოდებულ ინფორმაციას! აი, მაგალითად, თითქმის ერთი წლის წინ **„ნიუ იორკ ტაიმსმა“** მაუწყა, რომ ჰაიდ პარკში ჩაატარეს გამოკითხვა: **„რომელია უფრო დიდი ბოროტება — ისლამური ტერორიზმი თუ აშშ-ის სახელმწიფო ექსტრემიზმი?“.** გამოკითხვაში თითქმის 3000 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა (2976). ხმები ასე განაწილდა:

**„უფრო დიდი ბოროტება“ — აშშ-სახელმწიფო ექსტრემიზმი (2073) — 74%.**

**„უფრო დიდი ბოროტება“ — მუსლიმანური ტერორიზმი (545) — 19%;**

**„სხვა“ (179) — 6%.**

როგორც ხედავთ, უბრალო ამერიკელებმა, რომლებსაც მე პირადად გულწრფელად პატივს ვცემ, ექსტრემიზმში თავიანთი სახელმწიფო დაადანაშაულეს! მართლაც, ვინ უფრო უკეთ უნდა იცოდეს „მშობლიური“ ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულებები თუ არა ხალხმა?!

ასევე, ამერიკის მასმედიის საშუალებით გავიგე, რომ მითი „ისლამურ ტერორიზმზე“ თავად ამერიკელების მიერაა შეთხზული, რათა გაამართლონ სახელმწიფო დონეზე აყვანილი ტერორიზმი. **ტრაგიკული მოვლენები ყოფილ იუგოსლავიაში, ავღანეთში, ერაყში, ეგვიპტეში, ლიბიაში გვიდასტურებს, რომ აშშ ძალზე წარმატებით თანამშრომლობს მის მიერ გამოზრდილ ექსტრემისტებთან და ტერორისტებთან.** იგივე ხაშიმ ტაჩი, რომელიც მართლმადიდებელი სერბების სისხლით გავსებულ აბაზანაში „ნებივრობდა“ და „შეთავსებით“ ადამიანების ორგანოებით ვაჭრობდა, ამერიკულმა ე.წ. ისტებლიშმენტმა გმირად გამოაცხადა და სერბეთისგან წაგლეჯილი კოსოვო ჩააბარა... ან გავიხსენოთ, აშშ-ის თანამშრომლობა ბენ ლადენთან, რომელიც თავის დროზე გამოკვება სახელმწიფო დეპარტამენტმა ავღანეთში საბჭოთა კავშირის ჯარებთან ბრძოლისთვის.

გამოაცხადა რა ისლამი აგრესიულ რელიგიად, აშშ ამტკიცებს (ვციტირებ): **„მისი ნეიტრალიზაციის ერთადერთი შესაძლებლობაა, ყველა მუსლიმანთა ძალის გარდაქმნა და მათი დაყენება დასავლური ცივილიზაციის გზაზე!..“** აი, ასეთი ყაჩაღური „პოსტულატებით“ ამერიკის შეერთებული შტატები წირავენ ქვეყნებს და რეგიონებს „ტერორიზმის წინააღმდეგ ომების“ მსხვერპლად!

**ოცი წლის განმავლობაში ამერიკის ადმინისტრაციებთან „მეგობრობამ“ ქართული სახელმწიფო დაშლამდე, ეკონომიკის მოშლამდე, სოციალურ ქაოსამდე მიიყვანა, რომელიც პროვოცირებს ჰუმანიტარულ კატასტროფას. კიდევ რა დაგვრჩენია? ჰო, სამოქალაქო ომი! ჩემი აზრით, ესეც მოსალოდნელია, თუ უყურადღებოდ დავტოვებთ ლოპოტას ხეობაში ჩადენილ დანაშაულს!** ოპოზიციამ უნდა ითავოს საპროტესტო აქციების ორგანიზება, რათა ავტომატების კაკანს არ მოჰყვეს ქვემეხების ზალპები, ტანკების გრუხუნი და ავიაჭურვების აფეთქება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნოემბრის დასაწყისში ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნებია და რესპუბლიკელ რომნის გაუჩნდა გამარჯვების რეალური შესაძლებლობა, ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი უმწარეს სინამდვილედ გვექცევა! **ამერიკას უყვარს სხვის უბედურებაზე საკუთარი კეთილდღეობის მოწყობა! ეს ამერიკის შეერთებული შტატების „სამშობიარო ტრავმაა“, სამწუხაროდ, უკურნებელი!**

და ვიხილავთ საქართველოს მოსახლეობის აწიოკებას, სისხლის ტბორებს, „ნაცელიტის“ თავმოყრას „წითელ ხიდთან“ და ქვეყნის მთავარსარდლის ხოხიალს უკვე ჭურვებისგან დანგრეული თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე!

**გიორგი კორძაძე**




ვლადიმერ ვახანიას

# მიმართვა

**ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს ზუგდიდის №67 საარჩევნო ოლქში**

პატივცემულო კოლეგებო, როგორც თქვენთვის ცნობილია, დღევანდელ „ნაცთა“ ხელისუფლების გამო სამწელიწად-ნახევარი მომიწია უკანონო პატიმრობაში ყოფნა, რომლის ვადა 2012 წლის 14 სექტემბერს იწურება.

**ჩემი პოლიტიკური დევნის სულისჩამდგმელი იყო და არის ახალაიას კრიმინალური კლანი, პრეზიდენტ სააკაშვილის წინამძღოლობით. საკვირველი არაა, რომ ზნედაცემული და ყველაფრის მკადრებელი როლანდ ახალაია კენჭს იყრის ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში (პარლამენტში) მოსახვედრად, რათა სხვა დონეზე განაგრძოს ხალხის აწიოკება.**

მიმაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ყველა ოპოზიციური პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები უნდა შეთანხმდნენ ერთიან მაჟორიტარ კანდიდატზე და ერთხმად კოორდინირებულად დაუპირისპირდნენ „ნაციონალურ მოძრაობას“, კერძოდ, უბადლო ჯალათს — რ. ახალაიასა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ზონდერ-ბრიგადებს.

**საქართველოში არსებული ყველა პოლიტპატიმრის თანადგომისა და სოლიდარობის მიზნით, მოგიწოდებთ, გამოვიდეთ ერთიანი ოპოზიციური ფრონტით და მხარი დაუჭიროთ ჩემს კანდიდატურას ზუგდიდის №67 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში.**

გთხოვთ, თქვენი მოსაზრება და ხედვა დააფიქსიროთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ანდა ჩემი წარმომადგენლების მეშვეობით (ილია ლომია, ლევან ჩხეიძე; ტელ.: 599 900 416 ; 599 939 851).

**სამართლის დოქტორი,**
**პოლიტპატიმარი**
**ვლადიმერ ვახანია**

„ასეთი განსაკუთრებული დაცვა, ცხადია, ე. წ. ზონდერების ბანაკებს არ ექნებოდა, რასაც, სხვათა შორის, თქვენი კოლეგები ვარაუდობდნენ, უფრო საიდუმლო ბაზების თუ ბანაკების დაცვას ჰგავდა, თუმცა „ზონდერების“ ვარიანტსაც ნუ გამოვრიცხავთ, ოლონდ მეორე პლანზე.“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ანზორ მაისურაძე:

# არც ტერორისტები იყვნენ, არც დივერსანტები...



**კვირაზე მეტია, ლოპოტის ხეობაში შეიარაღებული რაზმის ლიკვიდაციის ამბავი განსჯის მთავარ თემად რჩება, უეროვნებო ტერორისტების თუ მოჯაჰედების 17-კაციან ახალწვეულთა რაზმის ლიკვიდაციაზეა ლაპარაკი. ოფიციოზის ინფორმაცია იმდენად წინააღმდეგობრივია, რომ, ჯერ ერთი, უნდობლობას იწვევს; მეორეც, ვარაუდების ნოყიერ ნიადაგს ქმნის. უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე ვერსიების სიმრავლეს ინფორმაციის სიმწირით ხსნის.**



**— პირველი შეკითხვა, რომელიც ამ შემთხვევაში იბადება, ასეთია: იყო კი საზღვრის დარღვევა?**

— **რაც უფრო მონდომებით მალავენ სინამდვილეს, მით უფრო ძლიერდება ეჭვი, ეს ხომ ცნობილია. არც ისაა ახალი, რომ, რაც უფრო მეტად მიგვანიშნებენ, რომ ასეთ გაუგებარ ვითარებაში სიმართლე არის ის, რასაც გვიმტკიცებენ, რაც უფრო დაჟინებულია საამისოდ მიმართული ქვეტექსტები, მით უფრო მალე ირკვევა, რომ სწორედ ესაა ყველაზე დიდი ტყუილი და სიცრუე.**

საზღვრის დარღვევის ვერსიაც ამ კატეგორიისაა.

საკმარისია ასეთ შემთხვევაში ერთი მართალი დეტალის გამოჩენა, რომ უცებ დაიხატება შემთხვევის სრული სურათი თუ არა, კონტურები მაინც.

1 სექტემბერს გამჟღავნებული რეალობა — დუისში გათხრილი ექვსი საფლავი, დაღუპულთა სახელები და გვარები, რომლებიც დაასახელეს პანკისელმა ქისტებმა, გლოვა, რომელიც დუისის ორ ოჯახში იყო, ბოლოს და ბოლოს, ორი დაღუპულის დაკრძალვა სწორედ ასეთი მართალი დეტალების რიგისაა.

**— ბატონო ანზორ, დივერსანტების მიერ საზღვრის დარღვევის ვერსია ეგებ განვიხილოთ?**

— ჩვენს საზოგადოებრიობას ოფიციოზი სწორედ ამ ვერსიას სთავაზობდა და ამ ფაქტში რუსული სპეცსამსახურების კვალის დანახვას მიგვანიშნებდა, რაც თეორიულად დასაშვებია.

**— პრაქტიკულად?**

— პრაქტიკულადაც, რა თქმა უნდა.

**— დაზვერვაში თქვენი მუშაობის პერიოდში ჩატარებულა ასეთი ოპერაციები?**

— ცხადია, ტარდებოდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ არა საქართველო-დაღესტანის საზღვარზე.

**— დაასახელებთ რომელიმეს?**

— ***(ეცინება).*** თქვენ გგონიათ, რომ დაგისახელებთ? არა, რა თქმა უნდა!

**— აი, თქვენც არ გასცემთ ინფორმაციას...**

— მაგრამ არც დესანტის გადასხმაზე ვდებ თავს...

**— მიგაჩნიათ, რომ საქართველოს მხრიდან განხორციელებული „საჩვენებელი ოპერაცია“ და შეიარაღებული ძალის დემონსტრაციულად მასობრივი შეყვანა ლოპოტის ხეობაში ღირდა ამ ფასად?**

— მოგეხსენებათ, „სხვა სხვისა ომში ბრძენია“. ჩემგან ძნელი სათქმელია. მაგრამ მე, მაგალითად, ამ საქმის ხელმძღვანელი და წარმმართველი რომ ვყოფილიყავი, ყველაფერს ვიღონებდი იმისთვის, რომ საქართველოში გადმოსული ამ შეიარაღებული ჯგუფის წევრებს შორის მსხვერპლი რაც შეიძლება ნაკლები ან სულ არ ყოფილიყო. ჩვენს მხარეზე აღარაფერს ვამბობ!

ეს ყველაფერი ეხება მინიშნებულ ვერსიას, ანუ რუსეთის სპეცსამსახურების კვალს რეალობად თუ ვივარაუდებთ...

**— სხვა ვერსიაზე რას იტყვით? კერძოდ, რომ ეს ჯგუფი ჩვენი სპეცსამსახურების მიერ იყო მომზადებული საგანგებო დავალების შესასრულებლად?**

— თქვენი გაზეთის მკითხველები, ალბათ, მიაქცევდნენ ყურადღებას, რომ ელექტრონულ პრესაში, ეკრანზე გამოჩნდა სიუჟეტები, რომლებითაც მტკიცდებოდა, რომ საქართველოს ტყეებში დაფიქსირდა ისეთი ადგილები, რომლებსაც ძალოვანი სტრუქტურები დიდი მონდომებით იცავდნენ და ჟურნალისტებს კატეგორიულად უკრძალავდნენ „წითელი ზოლის“ გადაკვეთას.

ძალიან მენიშნა ერთი ოფიცრის სიტყვები, რომელმაც ერთ-ერთ გადამღებ ჯგუფს ურჩია:

— წადით, თორემ თქვენც პრობლემები შეგექმნებათ და ჩვენცო.

აშკარა ხდება, თუ რამდენად მკაცრია დაცვა, რაც განსაკუთრებულ გასაიდუმლოებას უნდა ნიშნავდეს.

ასეთი განსაკუთრებული დაცვა, ცხადია, ე.წ. ზონდერების ბანაკებს არ ექნებოდა, რასაც, სხვათა შორის, თქვენი კოლეგები ვარაუდობდნენ. უფრო საიდუმლო ბაზების თუ ბანაკების დაცვას ჰგავდა, თუმცა „ზონდერების“ ვარიანტსაც ნუ გამოვრიცხავთ, ოლონდ მეორე პლანზე.

**— ე. ი. თქვენ მიმანიშნებთ, რომ შეიძლება ასეთ საიდუმლო ობიექტებზე ამზადებენ ამგვარ სპეცჯგუფებს?**

— არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. თუ გახსოვთ, **სოფელ ლაფანყურისა და მიმდებარე სოფლების მკვიდრი გლეხები კამერების წინ და ჟურნალისტებთან პირად საუბრებში ამბობდნენ, რომ იმ ჯგუფის წევრი ახალგაზრდები თავისუფლად დადიოდნენ მათ სამოსახლოში.**

არ უნდა იყოს ეს მაინც და მაინც ფანტაზიის ნაყოფი...

მაგრამ **ეს ვარიანტი მართალი თუ გამოდგა, სიტუაცია ძალიან დამძიმდება. იმდენად არაკაცური, ფლიდი, არაადამიანურია, რომ მიჭირს დაჯერება. მაგრამ საქმე, სამწუხაროდ, აქეთკენ მიდის. თუმცა, დარწმუნებული შეიძლება ვიყოთ, რომ ამას არავინ არასოდეს აღიარებს.**

**— გამოვიდეთ ფაქტებიდან: აუცილებელი იყო ჯგუფის წევრების ლიკვიდაცია და, საერთოდ, შეიარაღებული დაპირისპირება?**

— რა უნდა გაკეთებულიყო, როგორი მოქმედება უნდა განხორციელებულიყო, მხოლოდ მაშინ შეიძლება თქვა, თუ იმ მომენტში ადგილზე იმყოფები, ყველა დეტალს რეალურ დროში ხედავ, ან როცა სრულ ინფორმაციას გაწვდიან. დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა იმას, რომ დივერსანტების განადგურება მიზანშეწონილი არ იყო. **ეს თერთმეტი მოკლული ახალგაზრდა (თუ მართლა იყო თერთმეტი) თერთმეტი ოჯახიდან ხომ იყო? ამ თერთმეტი ოჯახისთვის, მათი მრავალრიცხოვანი ნათესაობისთვის ეს ხომ უმძიმესი ტრაგედიაა? მუსლიმურ სამყაროში, ჩრდილოეთ კავკასიაში — განსაკუთრებულად მძიმე. ამიტომ ურთიერთობის გამწვავება, შურისძიების განწყობილების შექმნა, მუქარა გამორიცხული არ არის. ჯიჰადი, „წმინდა ომი“ ვაჰაბურ სივრცეში ასეთი „შემთხვევების“ გამო არაიშვიათად დაწყებულა.**

რეაქცია, რომელიც ამ ფაქტის კვალზე ვრცელდება პრესაში, მოწმობს, რომ ასეთი ვარაუდი სიმართლისგან შორს არ არის.

**— კიდევ ერთხელ ხომ არ დავუშვით საბედისწერო შეცდომა, კიდევ ერთხელ ხომ არ აღმოვჩნდით ჩვენსავე დაგებულ ხაფანგში, ან სხვის გადმოგდებულ ანკესს ხომ არ წამოვეგეთ?**

— დრო გვაჩვენებს... **მაგრამ დღეს ფაქტია, რომ ის გაურკვეველი სიტუაცია, რომელიც ლოპოტის ოპერაციის გარშემო არსებობს ევროპაშიც, ამერიკაშიც, რუსეთშიც საქართველოს მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების საფუძველი ხდება.**

**— გამორიცხავთ, რომ საქართველოში ატეხილი აჟიოტაჟი არჩევნების წინ მდგომარეობის დასაძაბად, ქვეყნის უსაფრთხოების სადარაჯოზე მყარად მდგარი ხელისუფლების იმიჯის შექმნას ემსახურება?**

— არ გამოვრიცხავ. ალბათობიდან გამომდინარე. მაგრამ შედეგი აბსოლუტურად საწინააღმდეგო მივიღეთ.

**— გავაგრძელოთ. აიყვანეს მძევლებად ხუთი ახალგაზრდა, რომლებიც ტყეში პურსა სჭამდნენ, ქეიფობდნენ. მაგრამ გამტაცებლებს არავითარი მოთხოვნა არავის წინაშე არ წამოუყენებიათ (!). პირიქით, კარგად გაუმასპინძლდნენ, დააფინანსეს კიდეც, ოღონდ საზღვრამდე მეგზურობა გაგვიწიეთო. შემდეგ — კარგად იყავითო.**

— მე ასეთ კომენტარს გავაკეთებ. ესენი ტერორისტები ან დივერსანტები რომ ყოფილიყვნენ, დაუწერელი კანონიდან გამომდინარე, ყველა, ვინც გზაში გადაეყრებოდა, უნდა გაენადგურებინათ: ამბის მიმტანი, მოწმე არავინ უნდა დარჩეს.

**— მაგრამ ამათ კახელი ბიჭებისთვის ხელი არ უხლიათ.**

— იმიტომ, რომ არც ტერორისტები იყვნენ, არც დივერსანტები.

**— მაშ, რა ხდება?**

— ძალაუნებურად მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ **ეს იყო აბსურდის თეატრი, რომელიც ცუდად იყო დადგმული და უფრო უარესად შესრულებული.**

გვარწმუნებენ, რომ საზღვრისკენ მიდიოდნენ, რომლამდეც 15-20 კილომეტრი თუ იყო...

**— საზღვარი რუსული კვალისთვის დასჭირდათ ამ პროვოკაციის ავტორებს?**

— ალბათ, ასეა. ლოგიკურად ასეა. მიდიოდნენ და გზა დაებნათო(?). ძნელი დასაჯერებელია.

ვთქვათ, ეს „ახალწვეული ტერორისტები“, თუ რაც გინდათ, ის დავარქვათ, ისეთი მოუმზადებლები იყვნენ, რომ არც რუკის წაკითხვა იცოდნენ, არც თანამგზავრული გზამკვლევების გამოყენება (რომლებიც მათი ლიკვიდაციის ადგილის ამსახველ კადრებში ჩანდა), არც არავინ უნდა მოეკლათ საქართველოში, არც არაფერი აეფეთქებინათ, რისთვის მოაწყვეს ასეთი „რეიდი მტრის ზურგში“?

ამ შეკითხვაზე ზუსტ პასუხს დამგეგმავებისგან თუ მივიღებთ (თუმცა ეს გამორიცხულია), ამიტომ კვლავ ვარაუდი: საზღვართან მისულებს გაუხსნიდნენ ცეცხლს, დახოცავდნენ ხალხს, რაც საფუძველი გახდებოდა, ერთ მხარეს რომ ემტკიცებინა, საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტები რუსეთიდან შემოაგზავნესო. მეორე მხარე საპირისპიროს დამტკიცებას შეეცდებოდა: საქართველოში ამზადებენ და რუსეთში გადმოისვრიან ტერორისტებსო.

ამის მსგავსი განცხადებები არ გსმენიათ?!

**— რა თქმა უნდა, კი... მაშასადამე, ახალი კონფლიქტის დაწყების საშიშროების წინაშე დავდგებოდით?**

— წინ რა დაუდგებოდა? თუმცა გამწვავების თავიდან აცილება დიპლომატიური არხებით შეიძლებოდა მოლაპარაკების საშუალებით, რაც მსოფლიო დიპლომატიურ პრაქტიკაში მიღებულია.

**— თუმცა საეჭვოა, ჩვენი მხარე ამაზე წასულიყო.**

— ვერ გეტყვით. მთავარი მაინც ის იქნებოდა, რომ მოწინააღმდეგის აგრესიულობის ფაქტი დაფიქსირებულიყო. რაც ურთიერთობის შემდგომი გამწვავებისთვის იქნებოდა საჭირო. მაგრამ ამ თემას ნუ გავყვებით, რადგან შეიძლება ჩვენც გზა დაგვებნეს ***(ეღიმება).***

**— როგორც გვიყვებიან, „დივერსანტები“ დათანხმდნენ, რომ „მძევლები“ ქართველ მესაზღვრეებს ჩაენაცვლებინათ, შემდეგ — პროფესიონალ სპეცრაზმელ ოფიცრებს, რომლებიც სწორედ ამგვარი ვითარების განმუხტვაში არიან სპეციალურად ნავარჯიშები. დათანხმდნენ, თავიანთი მოსაკლავი დანა უბეში რომ ჩაედოთ?**

— სხვა ვარიანტი ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ რამდენად რეალურია ეს კარგად მოყოლილი ამბავი, ესაა საეჭვო. ჩვენს ხალხს კარგად ახსოვს „ხურჩის ინციდენტი“ ერთ-ერთი არჩევნების დროს, რომელიც ბლეფი აღმოჩნდა. ხელისუფლების მიერ გავრცელებული ვერსიებისადმი უნდობლობაც ამგვარი ფაქტებიდან მოდის. მძევლების გათავისუფლების მიზნით ჩანაცვლება ხდება ხოლმე, ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა.

**— ჩაენაცვლნენ, გაათავისუფლეს.**

— მაგრამ არ ვიცით, მართლა ტერორისტები იყვნენ და მართლა მძევლებად ჰყავდათ აყვანილი ბიჭები თუ არა.

**ერთი რამ ფაქტია, დაიხოცნენ ადამიანები ორივე მხრიდან. რამდენად აუცილებელი იყო ასეთი რამ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე?**

გვეუბნებიან დანებებაზე უარი თქვეს და ჩვენი მხარე იძულებული იყო, გაეხსნა ცეცხლი.

**სად იყვნენ ამ დროს „მძევლებს“ ჩანაცვლებული სპეცრაზმელები?**

არ ვიცით.

**შეიძლებოდა თუ არა იმ ჯგუფის წევრების ალყაში მოქცევა და ბოლოს და ბოლოს დატყვევება?**

არ ვიცით.

და კიდევ ბევრი კითხვა დარჩება უპასუხოდ. ამიტომ, ვარაუდები გასართობ თამაშად რომ არ ვაქციოთ, უმჯობესია, აქ შევჩერდეთ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღეს უკვე ყველა ხედავს, რომ აგრესიულად მოსული „ნაციონალური მოძრაობა“ არა მარტო სხვა პოლიტიკურ პარტიებს, არამედ საკუთარ ამომრჩეველსაც კი არ უგდებს ყურს. გული მწყდება, რომ მათ საქართველოს ცხრა წელიწადი დააკარგვინეს. დღეს ოპოზიციისთვის სანატრელია ის შედეგები, რომლებიც 2003 წელს დაიდო.“**



# ნანა დევდარიანი: ოპოზიციის გაერთიანება არ მოხდა, რაც «ოცნებაში» არსებული ზოგიერთი ძალის სუბიექტურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია

**თანამდებობები არ დაკლებია, მაგრამ იგი ყოველთვის პოულობდა საკუთარ თავში ძალას, ყოველგვარ კონიუნქტურაზე მაღლა დამდგარიყო; იგი გამოირჩევა შინაგანი მომხიბვლელობითა და უბრალოებით, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს, გულწრფელად ესაუბრონ თავიანთ სიხარულსა და ტკივილზე, რადგან შეუძლია მათი ლხინისა და ჭირის მოზიარეობა; ბუნებრივად შეუძლია, არ თამაშობს. პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატიც იყო და თბილისის საკრებულოს მდივანიც, სახალხო დამცველიც და ცესკოს თავმჯდომარეც... ცნობილი ჟურნალისტი, პუბლიცისტი და ანალიტიკოსი, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის თანამშრომელი ნანა დევდარიანი, რომლის შესანიშნავი პუბლიკაციები ჩვენი გაზეთის ყოველ ნომერში ქვეყნდებოდა, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია და მკითხველებს ამ ამპლუაში წარმოგიდგენთ.**

**— ქალბატონო ნანა, ცხრა წელი სრულდება მას შემდეგ, რაც „ვარდების რევოლუცია“ მოხდა. თქვენ ამ დროის განმავლობაში კატეგორიულად უარყოფდით პოლიტიკაში დაბრუნების შესაძლებლობას. ახლა თქვენ კენჭს იყრით „კახა კუკავა — თავისუფალი საქართველოსგან“. რამ განაპირობა თქვენი ეს გადაწყვეტილება?**

— სიმართლე გითხრათ, ჩემთვისაც რთული წარმოსადგენი იყო, რომ ამგვარ გადაწყვეტილებას მივიღებდი. ზოგადად, ვერ ვენდობი იმ პოლიტიკოსებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სააკაშვილის მოყვანას ხელისუფლებაში, თუმცა მათ შორისაც არის განსხვავება: ერთი ნაწილი აღიარებს საკუთარ შეცდომას, მეორე კი დღესაც ამაყობს „ვარდების რევოლუციად“ წოდებულ სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობით. აქ, როგორც იტყვიან, ერთობ რთულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. დღეს, „რეალურ ოპოზიციად“ წოდებულ ძალაში გადაბარგებული ეს პირები ვერაფრით აუხსნიან ამომრჩეველს, რომ, თუ მაშინ შეცდნენ და ვერ განჭვრიტეს, რა ძალა მოჰყავდათ ხელისუფლებაში, ახლა რატომღა იმსახურებენ ნდობას. იქნებ ახლაც ცდებიან?

**— თქვენი ეს შეფასება ბიძინა ივანიშვილზეც მიანიშნებს? ისიც ხომ მხარს უჭერდა სააკაშვილს და მხოლოდ 2008 წელს აეხილა თვალი, როგორც თავად განაცხადა.**

— გარკვეულწილად, ცხადია, ასეა. თუმცა იმხანად ივანიშვილი პოლიტიკოსი არ იყო და მოვლენებს სხვა თვალით უყურებდა, მაგრამ მან დღესაც ბევრი რამ არ იცის ან არასწორად ინტერპრეტირებულ ვერსიებს აწვდიან.

**— რას გულისხმობთ?**

— შორს რომ არ წავიდეთ, ისევ 2003 წელს მივუბრუნდეთ: „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენელი დღეს აცხადებს, რომ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში იგივე მოხდება, რაც მაშინ, ანუ კვლავ რევოლუციაზე მიანიშნებენ. ახლა გავიხსენოთ, როგორი შედეგები იყო 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებზე და რამდენად შეიძლებოდა, ამ შედეგებს რევოლუცია გამოეწვია. როგორ გგონიათ, ხმების რამდენი პროცენტი მიიღო მაშინ მმართველმა პარტიამ?

**— არ მახსოვს, მაგრამ, ალბათ, 50 პროცენტზე მეტი...**

— საქმეც ისაა, რომ 50 კი არა, ის ყბადაღებული 30 პროცენტიც ვერ აიღო, რომელზეც დღეს მმართველი პარტია აცხადებს, რომ „ჯიბეში უდევს“. შევარდნაძის საარჩევნო სუბიექტმა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში 21,28 პროცენტი მიიღო! სულ პარლამენტში ექვსი სუბიექტი გავიდა, თან იმგვარი კონფიგურაციით, რომ ორ პარტიასაც კი ერთობლიობაში 50 პროცენტი არ გამოსდიოდა.

**— მაშინ, რით ახსნით მოვლენების „რევოლუციური“ გზით განვითარებას?**

— ამაზე პასუხს თავად მმართველი პარტიის წარმომადგენლები იძლევიან საკუთარ განცხადებებში. უბრალოდ, მოსმენა და გაგებაა საჭირო. ისინი ხშირად ამბობენ, რომ უმრავლესობა სჭირდებათ, რადგან რეფორმები აქვთ გასატარებელი. მათ ხელს არ აძლევდათ დანარჩენ 5 სუბიექტთან მოლაპარაკება. არადა, ეს გარდაუვალი იყო. იმ არჩევნების შედეგებით, ისინი მუდმივი დიალოგისა და შეთანხმებებისთვის იყვნენ განწირულნი. სწორედ ეს იყო იმის გარანტია, რომ ამომრჩევლის მოთხოვნები იქნებოდა გათვალისწინებული. **დღეს უკვე ყველა ხედავს, რომ აგრესიულად მოსული „ნაციონალური მოძრაობა“ არა მარტო სხვა პოლიტიკურ პარტიებს, არამედ საკუთარ ამომრჩეველსაც კი არ უგდებს ყურს. გული მწყდება, რომ მათ საქართველოს ცხრა წელიწადი დააკარგვინეს. დღეს ოპოზიციისთვის სანატრელია ის შედეგები, რომლებიც 2003 წელს დაიდო.**

მმართველ პარტიას საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს და კიდეც „გადაუკეთა“ სააკაშვილს კონსტიტუცია იმგვარად, რომ მას ორი საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ ძალაუფლების შენარჩუნების შესაძლებლობა მისცა, თუ, რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობა“ 1 ოქტომბრის არჩევნებში უმრავლესობას მოიპოვებს.

**— „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ ამ არჩევნებს მოიგებს...**

— გამარჯვების უპირობო ფორმულა იქნებოდა „ყველა — „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ“, მაგრამ ივანიშვილმა ამ ფორმულაზე იმთავითვე თქვა უარი. ამ ფორმულით კი სააკაშვილს უკვე წაგებული ექნებოდა არჩევნები. **ივანიშვილს თუნდაც იმიტომ არ უნდა ეკრა ხელი სხვა ოპოზიციური ძალებისთვის, რომ მათ საარჩევნო კომისიებში წევრები ჰყავთ. ახლა „ოცნება“ კომისიის ორი წევრის იმედზეა, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას“, საერთო ჯამში, 11 წევრი ჰყავს.** მართალია, ზოგს „პროფესიული ნიშნით დანიშნულებს“ ეძახიან, ზოგს ფორმალურად სხვა პარტიები წარადგენენ, მაგრამ სინამდვილეში ისინი მმართველ პარტიაზე იმუშავებენ.

**— თქვენ მაინც არ ახსენით, რამ განაპირობა თქვენი გადაწყვეტილება, მონაწილეობა მიგეღოთ საპარლამენტო არჩევნებში...**

— პირველ რიგში, იმან, რომ **ოპოზიციის გაერთიანება არ მოხდა, რაც „ოცნებაში“ არსებული ზოგიერთი ძალის სუბიექტურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია,** თუმცა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ერთი ფაქტორი: ამ ცალსახად ნატოზე და დასავლეთზე ორიენტირებულ პოზიცია-ოპოზიციაში ერთადერთი პოლიტიკური ლიდერი, რომელმაც ღიად განაცხადა, რომ „კომუნიზმის ჰორიზონტად“ ქცეული ნატო საქართველოს ვერავითარ სიკეთეს ვერ მოუტანს, სწორედ კახა კუკავაა. **ძალიან ეცადნენ ჩვენი პროამერიკული ხელისუფლება და ოპოზიციის დიდი ნაწილი რუსეთთან ურთიერთობის თემის მარგინალიზებას, მაგრამ კახა კუკავა აღმოჩნდა ის პოლიტიკოსი, რომელიც ამ ხელოვნურ და საქართველოსთვის საზიანო ტენდენციას არ შეეპუა.** ვფიქრობ, მხოლოდ ეს მიზეზიც კმარა იმისთვის, რომ მას მხარი დავუჭირო და შეძლებისდაგვარად ყველაფერში დავეხმარო. პარლამენტში უნდა იყოს წარმოდგენილი ძალა, რომელიც ეროვნულ და მართლმადიდებლურ ფასეულობებს ამკვიდრებს.

**«პარლამენტში უნდა იყოს წარმოდგენილი ძალა, რომელიც ეროვნულ და მართლ-მადიდებლურ ფასეულობებს ამკვიდრებს»**

**— თქვენ საბურთალოს რაიონში მაჟორიტარობის კანდიდატი ხართ. მაჟორიტარული არჩევნები მძიმე იქნება; მმართველი პარტია ყველა ოლქში ბოლომდე იბრძოლებს, რათა პროპორციული სისტემით დაკარგული ხმები მაჟორიტარების ხარჯზე „ამოქაჩოს“. რა პერსპექტივაა ასეთ უთანასწორო პირობებში?**

— გადახედეთ მაჟორიტარი კანდიდატების სიას. მმართველმა პარტიამ ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ანდრია ურუშაძე წამოაყენა, რომელმაც მინისტრად მისვლისთანავე ბიუჯეტის ხარჯზე საკუთარ დედას დაუფინანსა ძვირადღირებული ოპერაცია საზღვარგარეთ. „ოცნებამ“ დავით უსუფაშვილი წამოაყენა, „ქრისტიან-დემოკრატებმა“ – ფსიქოლოგი ნოდარ სარჯველაძე, „მემარჯვენეებმა“ — მამუკა კაციტაძე. ამ ფონზე საკუთარ გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარება.

**— თქვენ არ ახსენეთ ჯონდი ბაღათურია, რომელიც ასევე საბურთალოს ოლქში იყრის კენჭს. საპარლამენტო დებატებისას მის მიერ სააკაშვილისა და მისი ოჯახის მხილების შემდეგ პრეზიდენტი პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან გაიქცა. ისიც არ არის თქვენი კონკურენტი?**

— ჯერ ერთი, სააკაშვილის გაუწონასწორებელი ფსიქიკა ჯონდის დამსახურება არ არის. მეორეც, საბურთალოს ამომრჩეველს იმდენი ყოფითი პრობლემა აქვს მოუგვარებელი, რომ მაჟორიტარს მხოლოდ სააკაშვილის კრიტიკის გამო არ აირჩევს. თუ კრიტიკაზე მიდგა საქმე, არავის იმდენი არ უკრიტიკებია მმართველი რეჟიმი, რამდენიც მე. დღეს, ჩემგან განსხვავებით, 2003 წლიდან რომ ვაკრიტიკებდი „ნაციონალებს“, სააკაშვილის მხილებას უკვე მხოლოდ ძალიან ზარმაცი ან ვალდებულებებით ხელფეხშეკრული პოლიტიკოსები არიდებენ თავს. თუმცა **არის კიდევ ფაქტორები, რომელთა გამოც არ მგონია, ჯონდი ჩემი კონკურენტი იყოს. ზედმეტს არ ვიტყვი, მაგრამ მას 1998 წლის საკრებულოდან ვიცნობ და ძალიან არ მინდა, მომავალ პარლამენტში პენსიაზე გაშვებული ზოგიერთი ფსევდოოპოზიციონერის როლი შეასრულოს!**

**— ეს სკანდალური განცხადებაა!**

— სკანდალური ის სიუჟეტია, რომელიც ჩვენმა კოლეგა ნანა ლეჟავამ მოამზადა. „მაესტროს“ ეთერში ორიოდე დღის წინ იყო საუბარი იმაზე, რომ მინდია გულუა „ყაზტრანსგაზს“ ყიდულობს. ეს კი დღევანდელი ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელია. ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ ჯონდი ბაღათურია ამ არჩევნებში მინდია გულუას დის პარტიასთან ერთად მონაწილეობს. დასკვნების გაკეთება რთული არ უნდა იყოს!

**— გამოდის, რომ არ არის გამორიცხული, ხელისუფლება საბურთალოზე ჯონდი ბაღათურიას დაეხმაროს?**

— არჩევნებისას არაფერია გამორიცხული, თუმცა ხანდახან წაგება სჯობს საკუთარი პოლიტიკური მომავლის სასწორზე დადებას. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ხელისუფლების შიგნით სხვადასხვა ჯგუფებია თავისი ინტერესებით და ეს ორმაგი თამაში თავად მმართველი პარტიისთვის შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს!

**— რას ჰპირდებით საბურთალოს ამომრჩეველს?**

— **არც ერთ თანამდებობაზე საკუთარი კეთილდღეობა წინა პლანზე არ დამიყენებია. ხალხი ყველაფერს ხედავს. პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი ვიყავი, თბილისის საკრებულოს მდივანი, სახალხო დამცველი, ცესკოს თავმჯდომარე. ჩემთვის მთავარი ყოველთვის კონკრეტული ადამიანის პრობლემა და გასაჭირი იყო და არა მისი პოლიტიკური სიმპათიები. ვეხმარებოდი იმის მიუხედავად, თუ ვისი თანამოაზრე იყო. არასოდეს მითხოვია რაიმე სამაგიეროდ; მატერიალური სიკეთე ხომ გამორიცხულია, პოლიტიკური მხარდაჭერაც კი არ მითხოვია. ვცხოვრობ ისე, როგორც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა. არასოდეს ვყოფილვარ მასზე დალხენილი — არც თანამდებობაზე ყოფნისას და არც მის გარეშე. ისიც კარგად ვიცი, რომ ზოგჯერ სიმართლის საპოვნელად რკინის ქალამნების ჩაცმა მომიწევს. ამისთვის მზად ვარ. და, იცით, კიდევ რა? არაფერი შეედრება იმ გრძნობას, როცა ქუჩაში უცნობი ადამიანი მოდის და გეუბნება: „თქვენ მე სახეზე ვერ მიცნობთ, მაგრამ მე ის ადამიანი ვარ, რომელსაც უანგაროდ დაეხმარეთ და დღეს რომ ცოცხალი ვარ, თქვენი დამსახურებაა“! ყველაფერი წავა და გაქრება — თანამდებობები, მატერიალური კეთილდღეობა, კომფორტი, დარჩება მხოლოდ სიკეთე, რომელიც გიკეთებია და, ვიდრე ცოცხალი ხარ, ეს შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გაუშვა!**

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

**იყიდება თუ არა ნამდვილად „ყაზტრანსგაზ-თბილისი" და ამ შემთხვევაშიც ხომ არ გვაქვს საქმე წინასაარჩევნო პიართან? ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ „ყაზტრანსგაზთბილისი" კერძო საკუთრებაა და სამინისტრო ინფორმაციას არ ფლობს. კომპანიაში ამბობენ, რომ „ყაზტრანსგაზთბილისი" არ იყიდება.**

ნაც-რეალობა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხელოვნური ტარიფები, ხელოვნური ოპოზიცია და გაზის ომი ამომრჩევლისთვის

## კახი კალაძე ამბობს, რომ ახალი ინვესტორ-ბიზნესმენი მინდია გულუა საქართველოს ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს

**თანამედროვე საქართველოში ბავშვმაც კი იცის, რომ წინასაარჩევნოდ ისეთი მნიშვნელოვანი კომპანიის შეძენაზე საუბარი, როგორიც „ყაზტრანსგაზია", და მერე გაზზე ტარიფის დაწევით ამომრჩეველთა მანიპულირება, მხოლოდ ხელისუფლებასთან ძალიან დაახლოებულ, მისთვის ერთმნიშვნელოვნად სანდო ძალას თუ შეუძლია. აქედან გამომდინარე, ფრიად უცნაური იყო, როდესაც, ყოველ შემთხვევაში ფორმალურად, ოპოზიციური პარტიის „განახლებული საქართველო" ლიდერმა ღიად განაცხადა, რომ გაზის გამანაწილებელ ქსელს ყიდულობს და ტარიფსაც შეამცირებს. ამ განცხადებამ კიდევ უფრო გაამყარა ეჭვები გულუასა და ხელისუფლებას შორის ფარული გარიგების არსებობის თაობაზე.**
**გულუამ აქამდეც გააკეთა არანაკლებ ხმაურიანი განცხადებები, რაც საბოლოოდ ბლეფი აღმოჩნდა. გავრცელებული ინფორმაციით, მინდია გულუას არ გააჩნია ფინანსური რესურსი და კაპიტალი იმისათვის, რომ „ყაზტრანსგაზი" შეიძინოს, პირიქით — მისი ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა და ეს განცხადებაც მორიგ ბლეფს წარმოადგენს.**




ამ თემაზე ნანა ლეჟავამ „კვირის რეპორტაჟი" მოამზადა. ჩვენ გთავაზობთ განსაკუთრებით საინტერესო ეპიზოდებს ლეჟავას გადაცემიდან და იმ დეტალებსაც, რომლებიც „საქართველო და მსოფლიომ" დამატებით მოიპოვა.

წინასაარჩევნოდ ენერგოტარიფებით მანიპულირებას პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობა მიმართავს. ამ მხრივ გამოირჩევიან „ქრისტიან-დემოკრატები" და ლეიბორისტები, რომელთაც კამპანია უსამართლოდ მომატებული ტარიფების დაწევაზე აქვთ მიმართული. ამ მიმართულებით გააქტიურდა რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი მინდია გულუაც, რომლის პარტიაც „განახლებული საქართველო" არჩევნებში ასევე მონაწილეობს. გულუა ამტკიცებს, რომ „ყაზტრანსგაზ-თბილისს", ანუ გაზის გამანაწილებელ ქსელს ყიდულობს და ტარიფებსაც შეამცირებს. ასე რომ, გასულ კვირას ბიძინა ივანიშვილს „ყაზტრანსგაზის" შესყიდვაში მოცილე გამოუჩნდა. რუსეთში მოღვაწე, წარმოშობით სოხუმელმა ბიზნესმენმა, მინდია გულუამ, დაადასტურა, რომ „ყაზტრასგაზის" მთავარ ოფისთან მოლაპარაკებას აწარმოებს. მის პარტიას „განახლებული საქართველო" მისი და — ნანა გულუა ხელმძღვანელობს.

**მინდია გულუა:**

— გადავწყვიტე, მეყიდა „ყაზტრანსგაზის" თბილისის ქსელი. მიმდინარეობს მოლაპარაკება. დღეს ეს კომპანია მე არ მეკუთვნის, მაგრამ უახლოეს ხანებში, ალბათ, 15 სექტემბრამდე ჩემი მენეჯმენტი შეეცდება, ჩემი დავალების შესრულებას. დავალებული მაქვს ნიუ იორკის ოფისისთვის.

**ნიუ იორკის ოფისი, რომელზეც გულუა საუბრობს, კომპანია „სანტ მარია ჰოლდინგია", რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ რუსეთში კომერციული და საცხოვრებელი ფართების მილიარდ-ნახევრიანი ინვესტირება დაიწყო. ის ჰოლდინგ აქტივებს ფლობს ამერიკაში, ევროპასა და რუსეთში. მინდია გულუას რუსეთში კრასნოდარის მხარის ნომერ პირველ ბიზნესმენს უწოდებენ. ის რუსეთში ოთხი კომპანიის დამფუძნებელია. 2012 წლის მარტში საქართველოს პრობლემებზე სასაუბროდ გულუას აუდიენცია თვით ვლადიმერ პუტინთანაც კი შედგა. კრემლთან დაახლოებულმა ბიზნესმენმა საქართველოში პოლიტიკური პარტია 2011 წელს დააფუძნა და განაცხადა, რომ მთავარ აქცენტს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილებზე გააკეთებდა. საბოლოოდ გულუამ პოლიტიკურ პარტნიორად ჯონდი ბაღათურიას „ქართული დასი" აირჩია.**

გულუას განცხადებით, ის „ყაზტრანსგაზის" შესყიდვას იმ ვალებიანად აპირებს, რომლებიც ყაზახურ კომპანიას საქართველოში დაუგროვდა.

**მინდია გულუა:**

— კომპანია „ყაზტრანსგაზთბილისის" საფასურს არჩევნების შემდეგ გადავიხდით, რადგან არ გვინდა, ამ ხელისუფლებამ თავის საქმიანობას მოახმაროს ეს ფული. ბიძინა ივანიშვილმა 80 თუ 90 მილიონი ჯარიმა გადაიხადა და ეს ფული, იმის ნაცვლად, რომ მოსახლეობისთვის მოეხმარებინათ, „ნაციონალურ მოძრაობას" მოხმარდა.

**იყიდება თუ არა ნამდვილად „ყაზტრანსგაზ-თბილისი" და ამ შემთხვევაშიც ხომ არ გვაქვს საქმე წინასაარჩევნო პიართან? ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ „ყაზტრანსგაზთბილისი" კერძო საკუთრებაა და სამინისტრო ინფორმაციას არ ფლობს. კომპანიაში ამბობენ, რომ „ყაზტრანსგაზთბილისი" არ იყიდება.**

**ეკა სარია, „ყაზტრანსგაზთბილისის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი:**

— პრობლემები არ არის, კომპანია არ იყიდება. ოფიციალური პასუხი ესაა.

**ინფორმაციას „ყაზტრანსგაზ თბილისის" გაყიდვის თაობაზე ქართული მხარე არც მაშინ ახმაურებდა, როდესაც ყაზახეთის კომპანიის პირველ პირებთან მოლაპარაკება „კალა-კაპიტალის" მფლობელმა, საქართველოს ფეხბურთის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, კახი კალაძემ, წამოიწყო. 2008 წლის ოქტომბერში ყაზახური პრესა თითქმის ყოველდღე წერდა, რომ იტალიის „მილანის" ვარსკვლავი „ყაზტრანსგაზ-თბილისს" ყიდულობდა.**

**კახი კალაძე:**

— ჩვენი გუნდის ინტერესი იყო ამ კოპანიის ყიდვა, როდესაც „კალა კაპიტალი" შეიქმნა, ჩემს პარტნიორებთან ერთად გადავწყვიტე „თბილგაზის" შესყიდვა. სურვილი მქონდა, ჩვენი ქვეყნისთვის რაიმე მნიშვნელოვანი გამეკეთებინა.

**კახი კალაძესა და „ყაზმუნაიგაზის" ხელმძღვანელობას შორის მოლაპარაკებები რამდენიმე თვეს გაგრძელდა. ყველაფერი უკვე გარკვეული იყო, მაგრამ თბილისში მოვლენები სხვა სცენარით განვითარდა.**

**კახი კალაძე:**

— ფაქტობრივად, როდესაც ჩვენი მხრიდან გადაწყვეტილება მიღებული იქნა, გამოვითხოვეთ საბუთები ყაზახეთიდან, მოგვაწოდეს ყველა ინფორმაცია კომპანიის შესახებ, ამის მერე მოხდა ასეთი რამ: ადგილობრივი შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები შევარდნენ კომპანიაში და, ვინც ყაზახი იყო ხელმძღვანელობაში, ყველა გაყარეს. მიზეზად შემოწმებას ასახელებდნენ, რაღაც ვალებზე იყო საუბარი, რომელიც კომპანიას ჰქონდა, და ასე ჩაიშალა მოლაპარაკება ყაზახებთან.

**„ყაზტრანსგაზ-თბილისში" დროებითი მმართველი 2009 წლის მარტში მას შემდეგ შევიდა, რაც ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ კომპანიას 80 მილიონზე მეტი კრედიტორული დავალიანება დაუთვალა. აქედან 68 მილიონი ლარი „ყაზტრანსგაზთბილისს" „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისა" მართებდა. ამის შემდეგ „ყაზმუნაიგაზის" პრეზიდენტი კაირგელდი კაბერდინი მზად იყო „ყაზტრანსგაზ-თბილისი" გაეყიდა, თუკი ქსელში განხორციელებული ინვესტიციების კომპენსირება მოხდებოდა, ანუ კაბელდინს სურდა, კომპანიის მიერ ჩადებული ყველა ინვესტიცია საქართველოს ხელისუფლებას აენაზღაურებინა. „ყაზმუნაიგაზის" შვილობილმა „ყაზტრანსგაზმა" „თბილგაზი" 2006 წლის 12 მაისს 12 მილიონად შეიძინა და კომპანია „ყაზტრანსგაზთბილისი" დააფუძნა. ჩაშლილი მოლაპარაკებებიდან თითქმის 4 წლის შემდეგ კახი კალაძე ამბობს, რომ ახალი ინვესტორ-ბიზნესმენი მინდია გულუა საქართველოს ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს.**

**კახი კალაძე:**

— ფაქტი ერთია, რომ მინდია გულუა წარმოადგენს ჩვენი ხელისუფლების ინტერესებს. ის მოქმედებს ისე, როგორც სააკაშვილი ეტყვის. დარწმუნებული ვარ, როგორც სხვა დიდი პროექტები ჩვენთან, რომლებსაც თითქოს უცხოელები ყიდულობენ (არადა, მის უკან ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები დგანან), ესეც, ალბათ, ერთ-ერთი მორიგი პროექტია.

**ირაკლი ლექვინაძე, ეკონომიკის ექსპერტი:**

— თუ ეს ფაქტი დადასტურდა, რომ მინდია გულუამ, რომელიც მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენია და ამავე დროს მისი პარტია საქართველოში არჩევნებში მონაწილეობს, ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა ხელისუფლებასთან კავშირის გარეშე. „ყაზტრანსგაზი" სტრატეგიული ობიექტია და მისი მფლობელი ყოველთვის იქნება მთავრობის ყურადღების ცენტრში. ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობ, მთავრობასთან მოლაპარაკების გარეშე ეს ვერ გაკეთდება.

**სანდრო თვალჭრელიძე, ეკონომიკის ექსპერტი:**

— სახელმწიფოს რომც არ ჰქონდეს არანაირი ზეგავლენა, აქვს მაინც ბერკეტები, რომლებიც გამომდინარეობს კანონმდებლობიდან. მას შეუძლია, მაგალითად, ლიცენზია ჩამოართვას კომპანიას და აუკრძალოს გაზის შესყიდვა. რასაკვირველია, ასეთი ტიპის ბიზნესები, რომლებიც ბუნებრივ კომპონენტებს ეხება, სახელმწიფოს ინტერესების გარეშე ვერ განიკარგება.

მეექვსე წელია, „ყაზტრანსგაზ-თბილისი" 2000-კილომეტრიან ქსელს ფლობს, რომელიც თბილისის 230 ათასზე მეტ აბონენტს, 1700 კომუნალურ ობიექტსა და 600 მსხვილ საწარმოს ემსახურება. თბილისის ბუნებრივ აირზე წლიური მოთხოვნა ამჟამად 500 მლნ კუბურ მეტრს შეადგენს. ბოლო 6 წლის მანძილზე გაზის ფასი რამდენიმეჯერ გაიზარდა. 1 კუბურ აირში თბილისელები 51 თეთრს იხდიან.

**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

— მინდია გულუას შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ, გარდა იმისა, რომ მან ჩამოაყალიბა პარტია „განახლებული საქართველოსთვის", რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ამ არჩევნებში მონაწილეობას იღებს ჯონდი ბაღათურიასთან ერთად. მაგრამ ამ პარტიის მიერ რეალურად გაკეთებული არაფერი მინახავს. რაც შეეხება „ყაზტრასგაზის" ყიდვას, საყოველთაოდ ცნობილია, რაც მასმედიაში ამის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა.

**არის თუ არა ეს დაკავშირებული ხელისუფლებასთან, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ირიბად ვიმსჯელოთ. გამომდინარე იქიდან, რომ დღეს ქვეყანაში არის ნომენკლატურული კაპიტალიზმი, დამოუკიდებელი ბიზნესის განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელია.** „ყაზტრანსგაზი" სერიოზული კომპანიაა, ქვეყნისთვის სტრატეგიულ მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს და მისი შესყიდვა, პირდაპირ თუ არა, რაღაც საკითხში მაინც უნდა ემთხვეოდეს ხელისუფლების ინტერესებს. ვერ ვიტყვი, რომ გულუა ხელისუფლების კაცია, მაგრამ ხელისუფლებასთან კავშირის გარეშე ის თავის მიზანს ვერ მიაღწევს.

**„საქართველო და მსოფლიო" დაუკავშირდა პარტია „განახლებული საქართველოსთვის" პრესსამსახურის უფროსს — გიგა მაქარაშვილს.**

**— რამდენად შეესაბამება სიმართლეს, რომ მინდია გულუამ „ყაზტრანსგაზი" შეისყიდა?**

— ბოლო პერიოდში ძალიან მუსირებს მედიასაშუალებებში აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ მინდია გულუამ შეისყიდა „ყაზტრანსგაზი". ჯერჯერობით ეს არის ბიზნესპროექტი. მან რამდენიმე ტელეგადაცემაში დაადასტურა თავისი ინტერესი კომპანიის შესყიდვასთან დაკავშირებით. დაადასტურა, რომ ის და მისი კომპანია აუცილებლად იზრუნებს, კომპანია „ყაზტრანსგაზის" თუნდაც მცირე ნაწილი მაინც მის მფლობელობაში გადავიდეს და ამ ყველაფრის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ისაა, რომ ბუნებრივ აირზე ფასები ძალიან გაზრდილია და მინდია გულუა ამ კომპანიის შეძენის შემთხვევაში გეგმავს რამდენადმე შეამციროს იგი. რაც შეეხება ექსპერტების აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ ესაა ხელისუფლების სატელიტი პარტია თუ უშუალოდ პოლიტიკური ფიგურა და ბიზნესმენი, ბუნებრივია, ამაზე კომენტარის გაკეთება არ შემიძლია, რადგან მე ვარ პარტიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი და მინდია გულუას ბიზნესპროექტებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, ვერც მის პიროვნებასთან და ვერც მის საქმიანობასთან დაკავშირებით.

**— ამაზე კომენტარს არც მისი და აკეთებს, ქალბატონი ნანა გულუა. როდესაც ამ თემაზე კომენტარი თქვენ გთხოვეთ, განგვიცხადეთ, რომ ამ თემაზე კომენტარის გაკეთება თქვენ გაქვთ დავალებული.**

— ქალბატონ ნანას კომენტარი აბსოლუტურად იდენტური იქნება ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაციისა, ამიტომაც მე მევალება ამ კითხვებზე პასუხის გაცემა.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ მინდია გულუა „ყაზტრანსგაზის" ყიდვის შემთხვევაში აპირებს ბუნებრივ აირზე ფასის შემცირებას. არადა, ფასებს ამ შემთხვევაში ენერგეტიკის სამინისტრო ადგენს და არა თვითონ „ყაზტრანსგაზი"...**

— ბუნებრივი აირის შეძენა კატასტროფულად ძვირ ფასში ხდება, რაც ბუნებრივი აირის მომხმარებლისთვისაც ზრდის გადასახადს. მინდია გულუა ფიქრობს, რომ ბუნებრივი აირი იაფად შეიძინოს(?!), რის ხარჯზეც მოხდება მასზე გადასახადის შემცირება.

**ლილი მიროტაძე**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთელი რიგი ფაქტებისა და განცხადებებისა ირიბად მიუთითებს იმაზე, რომ დღეს ხელისუფლების წარმომადგენლები ფიქრობენ, თუ როგორ „გაპრავდება“ ცესკოს მიერ გამოქვეყნებული ციფრები, როგორ მოახდენენ ივანიშვილის დეპორტაციას, სად და როდის მოუწევთ საპროტესტო დემონსტრაციების დარბევა და ა.შ. მაგრამ ეს ყოველივე ტაქტიკური პერსპექტივაა, სტრატეგიული თვალსაზრისით კი, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, სააკაშვილი და მისი გარემოცვა ხელისუფლების შენარჩუნების თეორიულ შანსსაც კი დაკარგავს.**

# ივანიშვილმა სააკაშვილს უკანასკნელი შანსი მისცა

**„ან დღესვე ერთად ვიღებთ გადამჭრელ ზომებს და უზრუნველვყოფთ არჩევნების სამართლიანობასა და თავისუფლებას, ან ერთი თვის შემდეგ მაინც ერთად მოგვიწევს გაყალბებული არჩევნების შედეგებთან გამკლავება და ქვეყნის პოლიტიკური კრიზისიდან გამოყვანა“, — ბიძინა ივანიშვილის ეს ფრაზა 30 აგვისტოს მიმართვიდან საერთაშორისო საზოგადოებისადმი მოკლედ და გასაგებად აღწერს იმ პერსპექტივას, რომელიც ქვეყანას ელოდება იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას არ დათანხმდება. ვინაიდან ის ამის გაკეთებას არ აპირებს, უმწვავესი პოსტსაარჩევნო კონფრონტაციის დაწყება პრაქტიკულად გარდაუვალი ჩანს. რატომ მიმართა ბიძინა ივანიშვილმა უცხოელ პარტნიორებს და რა სცენარით შეიძლება განვითარდეს მოვლენები 1 ოქტომბრის შემდეგ?**





## ესაო, ისაო, მაგრამ არაო...

ექვსი მოთხოვნა, რომლებიც ივანიშვილმა უცხოელ დიპლომატებთან შეხვედრაზე გააჟღერა, შეიძლება საკმაოდ ზომიერად და რეალისტურად მოგვეჩვენოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ ქართული ოპოზიციის ძველ ულტიმატუმებს შევადარებთ, რომლებშიც საუბარი ყოვლისმომცველი სამართლიანობისა და ლამის კოსმოსური წონასწორობის მომენტალურ აღდგენაზე მიდიოდა. ივანიშვილმა კი შემდეგი რამ მოითხოვა:

**1. დაუყოვნებლივ შეჩერდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიცირებით გამოტანილი ყველა ჯარიმის, ყადაღისა თუ სანქციის აღსრულება, ისე, როგორც ეს მოხდა პარტიებისთვის დაკისრებული ჯარიმის ნაწილში უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციით;**

**2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ კოალიცია „ქართული ოცნების“ შემოსავლებიდან და ხარჯებიდან ამოირიცხოს ის თანხები, რომელთა კავშირი კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებთან არაფრით არ არის დადასტურებული, გარდა კონტროლის პალატის ვარაუდებისა და მხოლოდ ვარაუდების საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებებისა;**

**3. შეიქმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ ემიგრაციაში მყოფმა საქართველოს მოქალაქეებმა (ამომრჩევლის 25%) მოახერხონ არჩევნებში მონაწილეობა, თუნდაც ამისათვის საჭირო გახდეს ხმის მიცემის დღის შეცვლა;**

**4. დაუყოვნებლივ მოიხსნას ყველა დაბრკოლება კერძო კომპანიების მიერ მოსახლეობაში სატელიტური თეფშების გასავრცელებლად და სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ამომრჩევლის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით დაგეგმილ სხვა პროექტებს, მაგალითად, ქართველი ემიგრანტების ინიციატივას;**

**5. უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობაში შევიდეს კოალიციის წარმომადგენელი, კომისიამ იმუშაოს ყოველდღიურ, გამჭვირვალე რეჟიმში და, სხვა საკითხებთან ერთად, დაუყოვნებლივ განიხილოს პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეების დევნის (დაპატიმრება, სამსახურიდან გათავისუფლება, შანტაჟი) დღემდე მომხდარი ყველა ფაქტი;**

**6. სამოქალაქო სექტორის მიერ შემოთავაზებული და კოალიციის მიერ გაზიარებული ქცევის კოდექსის დაცვის მონიტორინგისთვის შეიქმნას ქმედითი მექანიზმი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით.**

**„ქართული ოცნების“ ლიდერმა განაცხადა, რომ ამ მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში კოალიცია ხელს მოაწერს არჩევნების შედეგების აღიარების ვალდებულებას; მან ასევე სთხოვა დემოკრატიულ თანამეგობრობას, ზეწოლა მოახდინოს სააკაშვილის ხელისუფლებაზე, რათა ის დათმობაზე წავიდეს.**

თუ ჩამონათვალს თვალს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ ის არ შეიცავს არაფერს ისეთს, რის გაკეთებაც ტექნიკურად შეუძლებელია. მართალია, ზოგიერთი მოთხოვნის შესრულებას შეიძლება შედარებით მეტი დრო ან დაინტერესებულ მხარეებს შორის დამატებითი კონსულტაციების გამართვა დასჭირდეს (მაგალითად, მეექვსე პუნქტში ნახსენები მონიტორინგის მექანიზმის შექმნას), მაგრამ კეთილი ნების არსებობის შემთხვევაში ეს პრობლემები იოლად მოიხსნება.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ივანიშვილის ამ განცხადებას ჩვეულ სტილში უპასუხა. **„ბიძინა ივანიშვილის მიერ უსაფუძვლო მოთხოვნების დაყენება გვაფიქრებინებს, რომ „ქართული ოცნების“ მიზანია არა თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში მონაწილეობა, არამედ არჩევნების შემდგომ არეულობის გამოწვევა. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ „ქართულ ოცნებას“, განუხრელად დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები, მათ შორის პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ. მოვუწოდებთ, აღიაროს არჩევნების შედეგები, რომელიც დადასტურებული იქნება ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საერთაშორისო, მიუკერძოებელი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ“,** — განაცხადა მმართველი პარტიის პრესსპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა. ცხადია, თუ ხელისუფლება, თუნდაც ნაწილობრივ, დათანხმდებოდა ივანიშვილის მოთხოვნების შესრულებას, ის ირიბად აღიარებდა, რომ აქამდე მეტად არადემოკრატიულ პრაქტიკას მიმართავდა, თუმცა არსებობდა მოქმედების კიდევ ერთი ვარიანტი, რომელიც შეიძლება შემდეგი ფორმულის სახით წარმოვიდგინოთ: კატეგორიულად არ ვეთანხმებით განცხადების სულისკვეთებას, თუმცა, თუ ოპოზიციას რაღაც აწუხებს, დავჯდეთ და დავილაპარაკოთ საარჩევნო გარემოს შემდგომ გაუმჯობესებაზე. **კონსულტაციების რეჟიმში გადასვლა, ერთის მხრივ, ხელისუფლებას დროის გაწელვის შესაძლებლობას მისცემდა და, ამასთანავე, თუ რამდენიმე კოსმეტიკური ხასიათის ცვლილებას დათანხმდებოდა, ამომრჩევლებს და უცხოელ პარტნიორებს თავის უკიდეგანო კონსტრუქციულობაზე მიუთითებდა კიდეც, თუმცა „ნაცმოძრაობა“ სულ სხვა გზით წავიდა.**

საერთოდ, დროდადრო იქმნება შთაბეჭდილება, რომ მმართველი პარტია მომავალში გადასახლდა, 2 ოქტომბერში ცხოვრობს, მხოლოდ პოსტსაარჩევნო ბატალიებზე ფიქრობს და ვერ ამჩნევს, რა ხდება მის გარშემო. „ნაციონალების“ უხეშმა უარმა გაამყარა ივანიშვილისთვის სასურველი მოსაზრება „ანტიდემოკრატიული ხელისუფლება სამართლიან არჩევნებს ეწინააღმდეგება“ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ხელისუფლების ასეთი რეაქცია იოლი ამოსაცნობი იყო, თუმცა მისი გამოწვევა 30 აგვისტოს განცხადებით, სავარაუდოდ, მხოლოდ თანმდევ ამოცანას წარმოადგენდა, რადგან ივანიშვილის წინაშე უფრო სერიოზული ამოცანა იდგა.

## ან საქართველო, ან სააკაშვილი

**აშკარაა, რომ ამ ექვსი მოთხოვნების შესრულება საარჩევნო გარემოს იდეალურს ვერ გახდის და მხოლოდ ნაწილობრივ გააუმჯობესებს მას.** ამომრჩეველთა საეჭვო სიებზე, „მკვდარ სულებზე“, „ნაცმოძრაობის“ კამპანიაში სახელისუფლო რესურსის გამოყენებაზე და ა.შ. არაფერი თქმულა. ამის გამო ზოგიერთმა რადიკალურად განწყობილმა ოპოზიციონერმა ივანიშვილის მოთხოვნები მეტისმეტად მოკრძალებულად ჩათვალა, რადგან რესურსი გაყალბებისთვის ხელისუფლებას ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი საკმარისზე მეტი დარჩება, თუმცა, შესაძლოა, ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი სულ სხვა რამ იყო.

ხელისუფლების უარი ამ, მართლაც რომ მინიმალური, მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, საკუთარ თავში შეიცავს უარს თანამშრომლობაზე დათრგუნვის სასარგებლოდ; **ის ირიბად აბათილებს დასავლეთში მეტ-ნაკლებად გავრცელებულ ილუზიას, რომ არჩევნების „საყაიმო შედეგით“ დასრულების შემთხვევაში სააკაშვილის ხელისუფლება პასუხისმგებლობას გამოავლენს, ოპოზიციასთან თანამშრომლობას მოახერხებს და მას ქვეყნის მართვის პროცესში, როგორც სრულფასოვან პარტნიორს, ჩართავს.**

ივანიშვილი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში პოლიტიკური ბრძოლის ხაზგასმით მშვიდობიან მეთოდებს მიმართავდა და თითქოს ეუბნებოდა დასავლეთს: **„მე ვაკეთებ ყველაფერს, რათა ქვეყანაში დესტაბილიზაცია არ მოხდეს“.** ეს სულისკვეთება 30 აგვისტოს განცხადებაშიც იგრძნობოდა. თუმცა იქ სხვა გზავნილის კონტურებიც გაჩნდა, რომელიც, სავარაუდოდ, არჩევნების შემდეგ გაჟღერდება: **„მე გავაკეთე, რაც კი შემეძლო, მაგრამ ხელისუფლება მაინც გაყალბებაზე და** (მისგან გამომდინარე) **დესტაბილიზაციაზე წავიდა“.**

**თუ „ქართული ოცნება“ არჩევნების შედეგებს არ აღიარებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ექნება, რას დაწერენ თავიანთ დასკვნებში უცხოელი დამკვირვებლები, გამოვა თუ არა ქუჩაში ოპოზიცია და რამდენ ხანს გაჩერდება ამის შემდეგ ავლაბრის რეზიდენციაში სააკაშვილი; როდესაც პოლიტიკური ძალა, რომელსაც მხარს ამდენი ადამიანი უჭერს, არჩევნებს გაყალბებულად აცხადებს, საქართველოში იქნება თუ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, უმწვავესი პოლიტიკური კრიზისი და ქვეყნის თანმდევი დესტაბილიზაცია გარდაუვალი ხდება.**

რეალურად, დასავლელ (უპირველესად, ამერიკელ) პარტნიორებს არჩევანის გაკეთება ორი ვარიანტიდან უწევთ: **ან აიძულონ სააკაშვილის ხელისუფლება გარკვეული წესები დაიცვას და** (აქედან გამომდინარე) **პარლამენტში ოპოზიციის დიდი რაოდენობით შესვლას შეეგუოს, რაც, როგორც მინიმუმი, სააკაშვილის ერთმმართველობის დასასრულს ნიშნავს, ან საერთოდ ხელი ჩაიქნიოს მასზე და რეჟიმის ოპონენტებს მის სწრაფ დასამარებაში დაეხმაროს.** მესამე ვარიანტი, რომელიც ოპოზიციის ტოტალურ დათრგუნვასა და დიქტატურის დამყარებას ითვალისწინებს, სინამდვილეში არარეალურია, რადგან **ამ სცენარის ფარგლებში სააკაშვილი ქვეყანას ვერ „დაიჭერს“, მას ამისთვის რესურსი არ გააჩნია და არც ამერიკელებს აქვთ განსაკუთრებული სურვილი „ახალ სომოსას“ უპატრონონ.** თუმცა აშკარაა (და ხელისუფლების რეაქცია 30 აგვისტოს განცხადებაზე ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა), რომ დათმობებზე წასვლა, თამაშის ახალ წესებზე გადაწყობა რეჟიმის ბუნებას ეწინააღმდეგება, შესაბამისად, უფრო აქტუალური სააკაშვილთან დამშვიდობების ვარიანტი ხდება. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ **ხელისუფლება თავისი უხეში მოქმედებით თვითონ უბიძგებს ძია სემს იმ აზრისკენ, რომ ოქტომბერში ან სააკაშვილთან, ან საქართველოსთან დამშვიდობება მოუწევს.**

მთელი რიგი ფაქტებისა და განცხადებებისა ირიბად მიუთითებს იმაზე, რომ **დღეს ხელისუფლების წარმომადგენლები ფიქრობენ, თუ როგორ „გაპრავდება“ ცესკოს მიერ გამოქვეყნებული ციფრები, როგორ მოახდენენ ივანიშვილის დეპორტაციას** (ფორმალური, თუმცა იურიდიული თვალსაზრისით არასაკმარისი, საბაბი ამისთვის 11 ოქტომბერს მიეცემათ), **სად და როდის მოუწევთ საპროტესტო დემონსტრაციების დარბევა და ა.შ. მაგრამ ეს ყოველივე ტაქტიკური პერსპექტივაა, სტრატეგიული თვალსაზრისით კი, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, სააკაშვილი და მისი გარემოცვა ხელისუფლების შენარჩუნების თეორიულ შანსსაც კი დაკარგავს.**

## ძალა აღმართს ვეღარ მოხნავს

საქართველოში ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ **არჩევნების შემდეგ, როდესაც ქვეყანა შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარს მიუახლოვდეს, დასავლეთი იმ ქართველ პოლიტიკოსს დაეხმარება, რომელიც აჩვენებს, რომ მის უკან უფრო დიდი ძალა დგას.** ჭეშმარიტების მარცვალი ამაში ნამდვილად არის, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია პოლიტიკოსის უნარი — ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საქართველოში კრიზისის შედეგების სწრაფი აღმოფხვრა და სტაბილურობა უზრუნველყოს. მნიშვნელობა მხოლოდ იმას კი არ აქვს, რამდენ დემონსტრანტს გამოიყვანს ქუჩაში ივანიშვილი და რამდენ ზონდერს დაუპირისპირებს მათ სააკაშვილი, ან როგორ მოიქცევიან კრიტიკულ მომენტში ჩინოვნიკები და ძალოვანები, არამედ თუ რა მოხდება ამის შემდეგ. **გამორიცხული არაა, რომ გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით დასავლეთმა ივანიშვილთან თანამშრომლობა არჩიოს.**

სააკაშვილის რეჟიმის ისტორია, თუ უმნიშვნელო დეტალებს მოვაცილებთ, არსებითად, ძალადობის ესკალაციისა და საზოგადოების გახლეჩის ისტორიას წარმოადგენს. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მისი მმართველობის პრაქტიკა სულ უფრო მძიმე კრიზისებს წარმოშობდა. საბოლოოდ, ცხადი გახდა, რომ ▶

**დღესდღეობით თბილისში თუ ანტიმიშისტური ვულკანი მძვინვარებს, ფაქტია, რეგიონებში სულ სხვა ელფერი დაჰკრავს ამომრჩეველს. იმის თქმა მინდა, რომ პროპაგანდა, რომელიც დედაქალაქში მხოლოდ გაცოფებას იწვევს, მთელ რიგ სოფლებში კანფეტივითაა მოსახლეობისთვის.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მას გარდაქმნა არ შეუძლია. „მესამე სამყაროში“ საკმარისზე მეტი მაგალითია იმისა, როდესაც ხელისუფლებაში მყოფმა პოლიტიკურმა ჯგუფმა ჭკუა იხმარა, „რეჟიმის გაკეთილშობილება“ შეძლო და შეცვლილი რეალობის მიმართ ადაპტირება მოახერხა, თუმცა სააკაშვილის ჯგუფი მათ რიცხვს აშკარად არ მიეკუთვნება; **მის წარმომადგენლებს არ შეუძლიათ მოღვაწეობა სხვა პირობებში, „ნაციონალური მოძრაობის“ ტოტალური დომინირების გარდა.**

**ბიძინა ივანიშვილი კი მთელი ამ 11 თვის განმავლობაში ცდილობდა, ქართული საზოგადოებისთვისა და უცხოელი პარტნიორებისთვის დაემტკიცებინა, რომ მზადაა კომპრომისებისთვის, როდესაც ამას ქვეყნის ინტერესები მოითხოვს.** რადიკალები ხშირად აკრიტიკებდნენ მას იმის გამო, რომ ზოგიერთ ეპიზოდში მისი ტონი მეტისმეტად რბილია, რომ ის ზედმეტად ლმობიერია, როდესაც რეჟიმის წარმომადგენელთა მომავალ ხვედრზე საუბრობს, თუმცა ეს იყო საფასური იმისთვის, რათა ყველა შინ და გარეთ დარწმუნებულიყო, რომ **ივანიშვილი არა საზოგადოების გასახლეჩად, არამედ მის გასამთლიანებლად მოდის, ქვეყნის სტაბილურობაზე იზრუნებს და, მარტივად რომ ვთქვათ, მორიგი ნაგიჟარი ბელადი არ არის**. 30 აგვისტოს განცხადება იყო ბოლო შტრიხი ამ პორტრეტისთვის, ის გამოიყურებოდა როგორც კომპრომისის მიღწევის უკანასკნელი ცდა, რომელზეც მმართველმა პარტიამ ხელი აუკრა, მაგრამ, ამავე დროს, **ივანიშვილს უნდა დაემტკიცებინა, რომ ორიენტაცია კომპრომისზე მისი სისუსტის ნიშანი არ არის და, სავარაუდოდ, ამიტომ განცხადებაში მოინიშნა ზღვარი, რომლის იქითაც ის არაფერს დათმობს. ეს, სხვა ყველაფერთან ერთად, იყო ერთგვარი სიგნალი ოპოზიციური საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც ეჭვობს, რომ 2 ოქტომბერს „ქართული ოცნება“ შეიძლება გაუმართლებელ დათმობებზე წავიდეს.**

აქ, ალბათ, აუცილებელია ერთი ნიუანსის დაფიქსირება: **ივანიშვილის მთავარი იარაღი პოსტსაარჩევნო პერიოდში არა ხალხის ქუჩაში გამოყვანა, არამედ არჩევნების შედეგების არაღიარებაა, ეს ავტომატურად მისცემს სტარტს ჯერაც არნახული მასშტაბის საპროტესტო მოძრაობას, რომლის ფარგლებში მიტინგი თუ დემონსტრაცია ბრძოლის მხოლოდ ერთ-ერთი ფორმა იქნება.** სამწუხაროდ, დღეს ოპოზიციური საზოგადოების ნაწილში ხდება ერთგვარი „დაციკლვა“ „ერთ დიდ მიტინგზე“, როგორც პოსტსაარჩევნო ბრძოლის ერთადერთ შესაძლებელ ფორმაზე და ამასთანავე, ფიქსირდება მოთხოვნა მყისიერ ეფექტზე, თუნდაც ეს დესტაბილიზაციის საფრთხეს დაუკავშირდეს; არადა, რეალურად, პროცესი შეიძლება დროში გაიწელოს. ამ განწყობას, პრინციპში, ობიექტური მიზეზიც აქვს: **ხალხი დაიღალა და მოუთმენლად ელის გამარჯვებას, რომელსაც ძალიან მცირე მანძილი აშორებს.**

**დიმიტრი მონიავა**

# გეშინოდეთ დანაელების, თუნდაც ძღვენის მომტანის

**არჩევნების მოახლოებასთან ერთად „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო კამპანიამ იმხელა მასშტაბებს მიაღწია, რომ რეკორდს პროპაგანდის სფეროში მმართველი გუნდი დღეში, მინიმუმ, სამი-ოთხჯერ აუმჯობესებს. ლომის წილი კი ამ საქმეში, რა თქმა უნდა, სახელისუფლო არხებს შეაქვთ.**



ასე მაგალითად: 12-საათიან „კურიერში“, „ქრონიკაში“ ან „მოამბეში“ ვისმენთ, რომ 2012 წლის შემოდგომაზე ქუთაისს ახალი საერთაშორისო აეროპორტი ექნება, რომ ეს აეროპორტი ტურისტებს მაგნიტივით მიიზიდავს და მალე ქალაქი ვიზიტორებს ვერ დაიტევს... 12-დან 3 საათამდე მოსმენილი სიუჟეტისგან შოკში ვართ. მომდევნო გამოშვების შემდეგ კი ეს „შოკი“ სასაცილოდ არ გვყოფნის, რადგან პრეზიდენტის ფანტაზიას საზღვარი, როგორც ჩანს, მართლა არ აქვს: 1000-ლარიანი ვაუჩერი — გლეხებს; ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობა — ყველას; უმუშევრობის სრული დაძლევა; 2000 ახალი ტრაქტორი, კომბაინი და აგრეგატი — სოფლებს; 500 ახალი საწარმო, იაფი დაზღვევის პროგრამა, გზები, ხიდები, წყალი თუ გაზი — იქ, სადაც საბჭოთა პერიოდშიც კი არ იყო და ა. შ.

მოკლედ, მთელი ამ პროპაგანდის თუნდაც ერთი პროცენტიც რომ დაიჯეროს მოსახლეობამ, დამთავრებულია ყველაფერი — ივანიშვილი და მისი რის ვაივაგლახით შეკოწიწებული კოალიცია კი არა, სამჯერ სამი ბიძინა და „ქართული ოცნება“ ვერ ჩაანაცვლებს „ნაცმოძრაობის ბულას“; დაჯერება-არდაჯერება რადგან ვახსენე, სიმართლეც უნდა ითქვას: **დღესდღეობით თბილისში თუ ანტიმიშისტური ვულკანი მძვინვარებს, ფაქტია, რეგიონებში სულ სხვა ელფერი დაჰკრავს ამომრჩეველს. იმის თქმა მინდა, რომ პროპაგანდა, რომელიც დედაქალაქში მხოლოდ გაცოფებას იწვევს, მთელ რიგ სოფლებში კანფეტივითაა მოსახლეობისთვის.**

რა არის ბოლოსდაბოლოს ამის მიზეზი: ყბადაღებული ინფორმაციული ვაკუუმი თუ მართლა უანგარო სიყვარული ხალხისა „ბელადის“ მიმართ? კითხვა ბუნებრივად ჩნდება. მივყვეთ მოცემული ვითარების ლოგიკას თანმიმდევრულად. მაშ ასე, „ვარდოსანთა“ საარჩევნო ლოზუნგი ომახიანად ღაღადებს: „მეტი სარგებელი ხალხს“, საქმეში კი ეს ყველაფერი შემდეგნაირად გამოიხატება: **ვთქვათ, სამეგრელოს რომელიმე სოფელში სააკაშვილი რომ შეხვედრას აპირებს, ერთი-ორი კვირით ადრე, სასწრაფო წესით გზები იგება, შენობები ილებება, სკოლა რემონტდება, პოლიციის შენობა შენდება და ა. შ. ამასთან, საჯარო მოსამსახურეებს, განსაკუთრებით პედაგოგებსა და ძალოვანებს, კარდაკარ დაუვლის ხოლმე ვინმე „ნაცმოძრაობის“ ნდობით აღჭურვილი „ჩეკისტი“ იმის სათქმელად, რომ შეხვედრას ყოველმიზეზგარეშე უნდა დაესწრონ და სამზადისიც დასრულებულია. ამის შემდეგ „ბელადი“ სოფელს ეწვევა, უაღრესად პირმხიარული დაახლოებით ერთსაათიან „ლექციას“ წაიკითხავს და მერე, ის სასწრაფო წესით დაგებული გზები მეორე დღესვე აიყრება თუ კიდევ რამდენიმე კვირას გაძლებს, ბოდიში და, სულ ცალ ფეხზე ჰკიდია.**

ეს, რაც შეეხება ხელისუფლების მიდგომას, ხალხი კი ამ ყველაფერს შემდეგნაირად უყურებს: წინა ხელისუფლების დროს არც შუქი გვქონდა, არც ხელფასები იყო თავის დროზე და არც პენსიები, ეს დალოცვილი კი გზებსაც გვიგებს და რაიონსაც გვილამაზებსო. ლოგიკას ამგვარ დამოკიდებულებაში ტყუილად ნუ ეძებთ, იმიტომ, რომ ფაქტი ერთია — როგორც დასაწყისში აღვნიშნე, **სახელისუფლო პროპაგანდა, დედაქალაქისგან განსხვავებით, რიგ რეგიონებში ბასრი მახვილივით ჭრის.** მარტივად რომ ვთქვათ, თავის მხრივ, არც ხალხი აქცევს დიდ ყურადღებას იმას, რამდენი კვირა და თვე გაძლებს ორ-სამ დღეში დაგებული გზები, ვინაიდან იმ ყბადაღებული ლოგიკისა არ იყოს, წინა ხელისუფლების პერიოდში მართლა არც ორ კვირაში გარემონტებული სკოლის შენობები იყო და არც ნახევარ წელიწადში აშენებული აეროპორტები. **მოვლენათა უფრო სიღრმისეული ანალიზი გლეხს არც მოეთხოვება და ნურც მოვთხოვთ...**

ზემოთ სამეგრელოს რეგიონი შემთხვევით არ მიხსენებია. ცნობილია, ამ რეგიონში სააკაშვილის რეჟიმი ერთიორად მკაცრია და, შესაბამისად, იქ ხელისუფლებას დასაყრდენიც შედარებით მეტი აქვს. **შემთხვევითი როდია, რომ ბიძინა ივანიშვილმა კოალიციის დაფუძნებიდან დღემდე ქვეყნის თითქმის ყველა დიდ ქალაქსა და ადმინისტრაციულ ცენტრში გამართა აქცია, ზუგდიდის გარდა** (თანაც დღემდე უცნობია თარიღი, თუ როდის ჩატარდება იქ აქცია). ბევრისთვის, ალბათ, აბსოლუტურად გაუგებარია ამ ყველაფრის მიზეზი, ბევრს კი ვერც ის წარმოუდგენია, როგორ შეიძლება სალად მოაზროვნე ადამიანს რეჟიმის მიმართ სიმპათია გაუჩნდეს, მაგრამ სამეგრელოში ჩასვლისთანავე ყველაფერი გასაგები ხდება. **მე პირადად მშობლიურ კუთხეში, კერძოდ ზუგდიდში, ამ ზაფხულს გატარებულმა ორმა კვირამ დამარწმუნა, რომ ეს რაიონი და შესაძლოა, მთლიანად რეგიონიც, არა მარტო დაშინებული და დაშანტაჟებული ჰყავს სააკაშვილს, არამედ იმავე დროს მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის სრულიად უანგარო, ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე მოპოვებული მხარდაჭერაც გააჩნია.**

აქვე მოკლედ ერთ საინტერესო დეტალსაც მოგიყვებით. მოგეხსენებათ, ზუგდიდი რომ, ფაქტობრივად, სააკაშვილის ჯიბის ქალაქია, დიდწილად სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორის, როლანდ ახალაიასა, და მისი ორი პირსისხლიანი მემკვიდრის, ბაჩო და დათა ახალაიების, დამსახურებაა. ჰოდა, „ბელადმაც“ ჯეროვნად დაუფასა „მოურავს“ სამსახური, რაც იმაში გამოიხატა, რომ **„ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად სწორედ როლანდ ახალაია დაასახელა. წარდგენა 21 აგვისტოს სოფელ ნარაზენში მოხდა და შეხვედრას პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეც ესწრებოდა.**

აი, როგორ გააშუქეს აღნიშნული შეხვედრა ე. წ. სახელისუფლო არხებმა — კადრი: ხალხით გადაჭედილი დარბაზი, ბედნიერი სახეები; ადამიანები პარლამენტის თავმჯდომარის ხილვის გამო ემოციებს ვერ მალავდნენ და მადლობას უხდიდნენ მას ყველაფრისთვის, რაც მთავრობამ თითოეული რაიონისთვის გააკეთა. ბოლოს დეპუტატის წარდგენა და ყველანი — ფეხზე... გამაყრუებელი ტაში და ოვაციები. მოკლედ ერთი ჩვეულებრივი „რუსთავი 2“-ს და „იმედისეული“ სიუჟეტი ვიხილეთ. სინამდვილეში კი პირადად ვარ თვითმხილველი, როგორ მოხდა ამ შეხვედრის ორგანიზება. გეგმა ასეთი იყო: **დარბაზის გავსებას დაახლოებით ათასამდე კაცი სჭირდებოდა, მაგრამ ვინაიდან ნარაზენში სულ სამი ათასამდე მცხოვრებია, რომელთა დიდი ნაწილიც თურქეთსა და საბერძნეთშია სამუშაოდ გადახვეწილი, ამხელა აუდიტორიის შეკრება ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ ხალხი სხვა რაიონებიდან ჩამოიყვანეს** (სავარაუდოდ, ძალოვანები და პედაგოგები).

ამასთან, შეხვედრამდე ორი დღით ადრე, 19 აგვისტოს, ახალაიას დამქაშებმა სოფლის ყველა კუთხე და კუნჭული დაიარეს, ყველა ოჯახში შევიდნენ და, სადაც აგიტაციამ გაჭრა, აგიტაციას დასჯერდნენ, სადაც არა, ხალხს პირდაპირ ეუბნებოდნენ, არჩევნებს სხვა ძალა მაინც ვერ მოიგებს და ისე არ მოხდეს, რომ მერე ინანოთო.

დაპირებებიც უხვად იყო: გზების მოხრეშვა, ხიდების აგება, ელექტროგადამცემი ბოძების გამოცვლა თუ მიწის გადასახადის შემცირება... ერთი სიტყვით, ვის რაც სჭირდებოდა, ზუსტად ის შესთავაზეს, ოღონდ თქვენ იცით და თქვენმა ხმებმაო. რაღა დაგიმალოთ და ხალხიც მადლიერი იყო, დაშინებული, დაშანტაჟებული თუ ჭეშმარიტი მიშისტი, ყველა ერთნაირი ენთუზიაზმით შეხვდა დეპუტატის წარდგენას. მხოლოდ აქა-იქ თუ ნახავდით ადამიანს, რომელიც კითხვებს სვამდა, მაგრამ, ცხადია, მათ ამის საშუალებაც არ მისცეს.

ბევრი რაღა გავაგრძელო და **რამდენიმე კვირის წინ პირადად გავხდი თვითმხილველი იმისა, თუ როგორ იყიდა ახალაიების კლანმა რეგიონის ერთი საკმაოდ მრავალრიცხოვანი სოფელი. იყიდა ბტყელ-ბრტყელი სიტყვებით, დაპირებებით, პირდაპირი თუ არა, „ირიბი“ ქრთამით და, რაც მთავარია, დაშინებით.** იმ ადამიანების აბსოლუტურ უმრავლესობას, ალბათ, არც კი აქვს ბოლომდე გაცნობიერებული, რომ **დაპირება, რის სანაცვლოდაც ხმას იძლევიან, სხვა არაფერია, თუ არა ქრთამი. თავის მხრივ, ეს ქრთამი ზუსტად იმავე დატვირთვის მატარებელია ჩვენს დღევანდელ რეალობაში, რა დატვირთვაც და მიზანიც მითიური ტროას სამეფოს დაქცევაში დანაელების საჩუქარმა შეასრულა. სწორედ რომ ამგვარი მუხანათური „საჩუქრებით“, დაპირებებითა და განცხადებებით იპყრობენ დღეს თქვენს გულებს, ძვირფასო ზუგდიდელებო, მაგრამ დამთავრდება თუ არა არჩევნები, გაიმარჯვებს თუ არა „ნაცმოძრაობა“ თქვენი წყალობით და გაინაღდებს თუ არა სააკაშვილი „ტახტის დღეგრძელობას“, დიდი ალბათობით, ახალაიას მიერ გაცემული ძღვენი ისეთივე უბედურებას გადაგყრით, რა უბედურებაც ტროას შეუვალ სამეფოს დამართა დანაელების მიერ ნაჩუქარმა გიგანტურმა ხის ცხენმა...**

**ჯაბა ქვანია**

**P.S.** დასასრულს — კიდევ ერთი რამ: ბიძინა ივანიშვილი თავის გამოსვლებში ხშირად მიმართავს ხოლმე პედაგოგებს, ძალოვანებს, პროკურორებს და ა. შ., — სანამ დროა, უარი თქვით რეჟიმის სამსახურზე, ნუ ეხმარებით სააკაშვილს გაყალბებაში, თორემ, ჩვენ რომ მოვალთ, ამას და იმას გიზამთო. იმედია, „ნაცმოძრაობის“ აგენტად არ შემრაცხავენ კოალიციის მესვეურები, მაგრამ ლოგიკურად იბადება კითხვა: **როცა წვრილმანი გამყალბებლების მიმართ ასეთი აგრესია უჩნდება ლიდერს, რატომაა, რომ მისი პარტიული სიის ათეულში წინა ხელისუფლებისდროინდელი ცესკოს თავმჯდომარე, გაყალბებაში ერთობ „შესაშურად“ გაწაფული და დახელოვნებული ვანო კიღურაძეა?** ამგვარი კითხვები უამრავია და, როცა მოსახლეობის განწყობაზე, მის დამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ არსებული რეჟიმის მიმართ, ვინ იცის, იქნებ სწორედ მსგავს კითხვებზე პასუხების გაუცემლობას მიჰყავს ადამიანები უკიდურეს ნიჰილიზმამდე და უნდობლობამდე ოპოზიციური სუბიექტების მიმართ!

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არაოფიციალური ინფორმაციით შევიტყვეთ, რომ თურმე მამა მიქაელს საკუთარი ოპოზიციური მოსაზრებების გამო არ უშვებენ საქართველოდან, რაც სიმართლეს არ შეეფერება. მამა მიქაელი ოპოზიციონერი არ არის, მას, უბრალოდ, ირლანდიაში მცხოვრებ ოპოზიციურად განწყობილ ქართველებთან აქვს ურთიერთობა.“**

# ორი წელია, ირლანდიაში მცხოვრებ ქართველებთან მოძღვარს არ უშვებენ

**ირლანდიაში არსებულ ქართულ ეკლესიაში, რომელიც უცხოეთში გადახვეწილი ქართველებისთვის ხშირ შემთხვევაში ერთადერთი შეკრების ადგილია, უკვე ორი წელიწადია, ქართველ მოძღვარს უშედეგოდ ელოდებიან.**
**თუ ვინ და რატომ აფერხებს ქართველი მოძღვრის ირლანდიაში გამგზავრებას, „საქართველო და მსოფლიოს“ ირლანდიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი ნათელა ხუციშვილი ესაუბრა.**

## ნათელა ხუციშვილი: სულიერი დახმარება მჭირდებოდა, თორემ მატერიალურად ამ ქვეყანაში ისე არავის გაუჭირდება, რომ მშიერი მოკვდეს

— 2 წელია, ვითხოვთ ქართველი მოძღვრის, მამა მიქაელ ბრეგვაძის, ჩამოსვლას ირლანდიის ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში, მაგრამ უშედეგოდ. ვიზაც მზად არის, მაგრამ მოძღვარს დღემდე არ უშვებენ საქართველოდან.

**უცხოეთში მცხოვრები ქართველების ერთადერთი შეკრების ადგილი ეკლესიაა, მაგრამ დღეს ირლანდიის ქართულ ეკლესიაში არ ქადაგებენ იმას, რაც ქართველებს სჭირდებათ,** ვინაიდან იქ, დუბლინში, არსებული ანტიოქიის მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვარი, ირლანდიელი მამა ლონერგანი (რომელიც კათოლიკე იყო და მართლმადიდებლურად მოინათლა) და დიაკვანი ჯონი მსახურობენ. **ირლანდიაში მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიას შეუძლია ხალხი გააერთიანოს და სწორ გზაზე დააყენოს, მაგრამ ემიგრანტ ქართველებს ყურადღებას არავინ გვაქცევს.**

**— როგორ ფიქრობთ, ვინ და რატომ უშლის ხელს ახალი მოძღვრის ირლანდიაში ჩასვლას?**

— პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავარეპისკოპოსმა, მეუფე ზენონმა, თავად შეარჩია მამა მიქაელი, მაგრამ, როცა ჩვენ დავინტერესდით, თუ რატომ გაჭიანურდა მოძღვრის ჩამოსვლა, **არაოფიციალური ინფორმაციით შევიტყვეთ, რომ თურმე მამა მიქაელს საკუთარი ოპოზიციური მოსაზრებების გამო არ უშვებენ საქართველოდან, რაც სიმართლეს არ შეეფერება. მამა მიქაელი ოპოზიციონერი არ არის, მას, უბრალოდ, ირლანდიაში მცხოვრებ ოპოზიციურად განწყობილ ქართველებთან აქვს ურთიერთობა.** ის პიროვნებაც, ვინც მას ვიზა გაუგზავნა, ხელისუფლების მოწინააღმდეგეა და როგორც ჩანს, ყველაფერი ამის გამო ფერხდება. ქართველი მრევლის ოფიციალური მიმართვაც გავუგზავნეთ მეუფე ზენონს და ჩვენი პრობლემის შესახებ მოვახსენეთ.

**„სამწუხაროდ, ვინაიდან მათი ირლანდიური წარმოშობის გამო წირვა-ლოცვა ინგლისურ ენაზე ტარდება, ხოლო ქართველ ემიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ ფლობს ინგლისურ ენას, ბევრს უჭირს წირვა-ლოცვის მოსმენა და აღსარების ჩაბარება. შესაბამისად, თავს იკავებენ ზიარების საიდუმლოში მონაწილეობის მიღებისგან.**

**ეს გარემოება ყოველთვის წარმოადგენდა საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ ირლანდიაში არსებულ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში გვყოლოდა ქართველი მოძღვარი, რომელიც არამხოლოდ სულიერ წინამძღოლობას გაუწევდა ამ გარკვეული კატეგორიის ქართველებს, არამედ ჩვენს შვილებსაც მისცემდა ქართულად წირვა-ლოცვის მოსმენის შესაძლებლობას, რომლებიც ოჯახების მიღმა უმეტესწილად ინგლისურად საუბრობენ, რის გამოც ივიწყებენ თავიანთ მშობლიურ ენას.**

**შარშან ჩვენ მიერ გამოგზავნილ წერილში გაცნობეთ, რომ ჩვენი ეკლესიის საბანკო ანგარიშზე ირიცხებოდა 6000 ევროს ოდენობის თანხა, რომელიც საწყის ეტაპზე საკმარისი იქნებოდა ქართველი მოძღვრის ფინანსური მხარდაჭერისთვის. აღნიშნული თანხა ამჟამად 7000 ევრომდეა გაზრდილი...**

**იმედს ვიტოვებთ, რომ გულისხმიერებით მოეკიდებით ჩვენს თხოვნას და თქვენი ლოცვა-კურთხევით ირლანდიაში დასაწყისისთვის 6 თვით მოავლენთ მოძღვარს, რითაც დიდ ბედნიერებას მოგვანიჭებთ,“** — ნათქვამია მეუფე ზენონისადმი გაგზავნილ წერილში.



**— მეუფე ზენონს პირადად თუ ესაუბრეთ ემიგრანტი ქართველები, რა მიზეზს ასახელებს მეუფე, რატომ ვერ მოდის მოძღვარი საქართველოდანო?**

— მეუფე ზენონი გვპირდებოდა, რომ აუცილებლად ჩამოვიდოდა მღვდელი საქართველოდან. მისგან წერილებიც მივიღეთ ამის თაობაზე, მაგრამ ახლა არაფერს ამბობს. ჩვენი ინტერვიუს მიზანიც სწორედ ის არის, რომ ყველას მივაწვდინოთ ხმა: **დაგვეხმარეთ, რადგან, როგორც ჩანს, ვიღაცები მამა მიქაელის ჩამოსვლას სპეციალურად აფერხებენ.**

მამაო ხომ ყველას მოძღვარი უნდა იყოს, ჩემი და ჩემი მეუღლის მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, ირლანდიელმა მოძღვარმა ერთხელაც კი არ გვინახულა. მე პარალიზებული ვარ, ინვალიდის ეტლით მიწევს გადაადგილება. ირლანდიელ მოძღვარს შევუთვალე, ვთხოვე, მოსულიყო და პარაკლისი გადაეხადა, მაგრამ არავინ მოსულა. ვფიქრობ, ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ყოველთვის დაუფარავად გამოვხატავ საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებს. ორჯერ გაზეთში დაიბეჭდა ჩემი ინტერვიუ, შევხვდი ირლანდიის პრეზიდენტსა და ადამიანის უფლებათა დაცვის მინისტრს — ჯონ პასტელოს. გავუგზავნე მიმართვა საერთაშორისო ორგანიზაციებს და, რა პროცესებიც მიმდინარეობდა საქართველოში, ყველაფერი ვაცნობე.

არადა, **სულიერი დახმარება მჭირდებოდა, თორემ მატერიალურად ამ ქვეყანაში ისე არავის გაუჭირდება, რომ მშიერი მოკვდეს.** ადრე რომ იყო ირლანდიაში ქართველი მოძღვარი, მამა მალხაზ კუმელაშვილი, მასთან ჰქონდა ჩვენს ოჯახს ურთიერთობა.

**— მამა მალხაზი რატომ დააბრუნეს საქართველოში?**

— არ ვიცი, ორი-სამი წელი იყო და შემდეგ რატომ წავიდა საქართველოში, ჩვენც არ ვიცით...

**— ქართველები ხშირად ახერხებთ ეკლესიაში შეკრებას?**

— რაც ქართველების ირლანდიიდან დეპორტაცია დაიწყო, 20-30 კაცი თუ დადის ტაძარში, მეტი არა. ეშინიათ. **როდესაც ირლანდიაში ჩამოვედით, მაშინ აქ თარჯიმნად ქართველი გოგონა, ნათია კალანდია მუშაობდა, რომელიც პირდაპირ ვიტყვი, საქართველოს ხელისუფლების აგენტია.** ის საქართველოს საელჩოში მუშაობს და პარალელურად ჩვენთან იუსტიციის სამინისტროს მსგავს უწყებაში მუშაობდა და, თუ რაიმეს იტყოდი საქართველოს ხელისუფლების საწინააღმდეგოს, ყველაფერს ჩვენს ხელისუფალთ აცნობებდა. როდესაც მე ეს ამბავი გავახმაურე, მან დატოვა სამინისტრო, თუმცა დღესაც მუშაობს საკონსულოში და პარალელურად ეკლესიაში სანთლებს ყიდის. **როდესაც ირლანდიიდან ქართველების დეპორტაცია დაიწყო, მაშინ გაიგეს, რომ ეს გოგო ეკლესიაში შემოსულ ქართველებს ფარულად ფოტოებს უღებდა.**

აღსანიშნავია, რომ საკონსულოს წარმომადგენელსა და ირლანდიელ მოძღვარსაც ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. შარშან, 26 მაისს, როცა საქართველოში ასეთი მძიმე ვითარება იყო, მან საკონსულოს გარკვეული თანხა გადაურიცხა და ძალიან დიდი ქეიფი გამართეს 26 მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად.

ამას წინათ ჩინელებმა გამართეს მიტინგი მათთვის საჭირბოროტო საკითხზე და ასე იქცევა ყველა ქვეყნის წარმომადგენელი, იკრიბებიან ქალაქის ცენტრში და საკუთარ პროტესტს ღიად გამოხატავენ, მაგრამ აქაური ქართველი ემიგრანტები ვერ გავიყვანე ქუჩაში, რადგან ზოგი ფიქრობს, რომ ძალიან კარგი პრეზიდენტი გვყავს.

**— მიხეილ სააკაშვილი ხშირად ეპატიჟება უცხოეთში წასულ ქართველებს, დაბრუნდნენ საქართველოში. თუ ფიქრობს ვინმე დაბრუნებაზე?**

— მართალია, ზოგიერთებს მოსწონთ მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ, როცა მე მათ ვეკითხები, რატომ არ მიდიხართ, თუ საქართველოში ასეთი კარგი ცხოვრებაა-მეთქი, — შევეჩვიეთ და აქ გვირჩევნიაო, მპასუხობენ.

**ირლანდიაში ბევრი კარგი მეგობარი მყავს. ირლანდიელებმა და შავკანიანებმა უფრო მეტი დახმარება გამიწიეს ამ ურთულეს მდგომარეობაში, ვიდრე ქართველებმა.**

ვფიქრობ, ყველა ქართველი უნდა გავიდეს ერთი-ორი წელი მაინც საქართველოს ფარგლებს გარეთ, რადგან შორიდან დანახული საქართველო სულ სხვანაირია, რა თქმა უნდა, თუ სამშობლო გიყვარს და პატრიოტი ხარ.

ესაუბრა **შორენა ცივქარაშვილი**

## ევროზონის პრობლემური ქვეყნები გამოჯანმრთელებას იწყებენ

**საბერძნეთის, იტალიისა და ევროზონის სხვა პრობლემური ეკონომიკების რეფორმებს პირველი შედეგები მოაქვს. შრომისნაყოფიერება და კონკურენტუნარიანობა იზრდება, თანდათანობით თანაბრდება სავაჭრო ბალანსი. ასეთ ოპტიმისტურ დასკვნებს შეიცავს კვლევის შედეგები, რომლებიც გერმანიის სავაჭრო-სამრეწველო პალატების ფედერალურმა გაერთიანებამ (DIHK) ჩაატარა გაზეთ Financial Times Deutschland (FTD)-ის დაკვეთით.** ცვლილებების უმთავრესი ნიშანია ამ სახელმწიფოების გაზრდილი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა. იზრდება ექსპორტი იმპორტის შემცირების ფონზე არა მხოლოდ ირლანდიასა და საბერძნეთში, არამედ ესპანეთშიც შესამჩნევად შემცირდა ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა შრომის ანაზღაურება ერთ ერთეულ პროდუქციაზე, — აცხადებს DIHK-ის ექსპერტი ილია ნოტნაგელი. ხელფასების შემცირებამ, რომლებიც მანამდე ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ფერმერებს საშუალება მისცა, კვლავ შესთავაზონ თავიანთი პროდუქცია მსოფლიო ბაზრებს კონკურენტულ ფასად. შედეგად, ექსპორტის მოცულობები გაიზარდა, იმპორტი კი შემცირდა. იტალიაში 2012 წლის პირველ ნახევარში მთელი საგარეო ვაჭრობის დაბალანსებაც კი მოხერხდა. ამაში მთავარი წვლილი მიუძღვის ბიზნესს, რომელმაც აქტიურად დაიწყო შრომისნაყოფიერების ზრდა, თუმცა ამ წარმატებებს მოსახლეობა ვერ ამჩნევს.

**დასავლური ლიბერალური დემოკრატია მტკიცედ ადგას ანტიქრისტეს გზას, საითაც სხვებთან ერთად ჩვენც, საქართველოსაც, გვექაჩება. ამ გზის ბოლო კი ერთია — საუკუნო ბანაობა ჯოჯოხეთის კუპრში!!!**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სექსი ჯვარცმასთან, ანუ საით ექაჩებიან საქართველოს?

**სოციალურ ქსელებში გავრცელდა პუბლიკაცია იტალიური ავტორიტეტული გაზეთიდან — La Repubblika, სათაურით „სკანდალი ვენეციის კინოფესტივალზე: სექსი ჯვარცმასთან“, რომელშიც ვკითხულობთ, რომ „ვენეციის ფესტივალზე გაიმართა ავსტრიელი რეჟისორის, ულრიხ ზაიდლის, ფილმის „სამოთხე: რწმენა“ (Paradize: Faith) წინასაპრემიერო ჩვენება“. ფილმში არის ეპიზოდი, როდესაც მთავარი გმირი (რომელსაც მარია ხორფფშტატერი ასახიერებს) კედლიდან დიდი ზომის ჯვარცმას ჩამოხსნის, ჯერ გალოკავს და შემდეგ მას იყენებს, როგორც საგანს, სექსუალური სიამოვნების მისაღებად.**



თუ როგორ და სად, ამის წარმოდგენა მკითხველის ფანტაზიისთვის მიმინდვია, რომელსაც აქვე მოვუხდი ბოდიშს ამაზრზენი ნატურალიზმისთვის...

**„სირცხვილი და ირონია, რომლითაც გაჯერებულია ფილმი, ამ მოკლე ეპიზოდს არც თუ შოკისმომგვრელად წარმოაჩენს ამ ყველაფრის წაკითხვასთან შედარებით. თუმცა ეს ეპიზოდი აუცილებლად გახდება დისკუსიების საბაბი. მიუხედავად ამისა, იგი წარმოაჩენს ფილმის უმთავრეს თემას: რელიგიურ შეშლილობას, არა მხოლოდ სულიერს, არამედ ქრისტეს მიმართ ხორციელ სიყვარულს,“ — ამთავრებს სტატიის ავტორი...**

ახლა დაიწყებენ ჩვენი შინაური ლიბერასტები (რომელთა ნაკლებობას არც ოპოზიციაში უჩივიან): პერფორმანსი, ავანგარდი, გამოხატვის თავისუფლება, ლიბერალური დემოკრატია, სენსიტიური თემა და ა. შ. უცხო სიტყვებისა თუ მცნებების რახარუხს ამ გარყვნილების გასამართლებლად. თუმცა ზემოთ ნახსენები გარყვნილების კონტექსტშიც კი ველარ ჯდება — ეს არის იმ გრძელი ჯაჭვის ერთი რგოლი, რომელსაც ზოგადად კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული მასონ-გლობალისტთა შეთქმულება ჰქვია!!!

მოდით, ერთად გავიხსენოთ ამ მხრივ ჩვენი ბოლოდროინდელი მონაგარი:

**ჯერ კიდევ შარშან, ამერიკის ისტორიაში მეორე კათოლიკე და პირველმა შავკანიანმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ამერიკის წინაშე ჰომოსექსუალების დამსახურების შესახებ ისაუბრა და ის „დისკრიმინაციული“ კანონი გააუქმა, რომელიც პენტაგონის ჯარში პედერასტების მსახურებას კრძალავდა და უფრო მეტიც — ყოველი წლის ივნისი მსოფლიო ლგბტ (პედერასტების) თვედ გამოაცხადა, რისი პირდაპირი გამოძახილიც ის იყო საქართველოში, რომ ა.წ. 17 მაისს პედერასტების პირველი პარადი მივიღეთ რუსთაველზე!..**

იგივე, ოღონდ გაცილებით დიდი მასშტაბებით, მოხდა რიგაში, სადაც სრულიად ბალტიის ქვეყნების პედერასტებს ამ ქვეყნებში ამერიკის ელჩები მიუძღოდნენ წინ!!!

**შემდეგ იყო ჰილარი კლინტონის სკანდალური (ჩვენთვის, თორემ...) განცხადება, რომ აშშ-ის მთავარი საგარეო პრიორიტეტი პედერასტების უფლებების დაცვაა, ხოლო ობამამ პირდაპირ მიაბა ამერიკის ფინანსური დახმარება ამა თუ იმ ქვეყანაში პედერასტების უფლებების დაცვას!..**

მერე პენტაგონში გაიმართა ტაბუახსნილი გომიკების საზეიმო მიღება, რომელთა საერთო რაოდენობა 66 ათასი ყოფილა (და ესენი ექაჩებიან რუსეთს? პედერასტების ალებული მოსკოვი არ გეიშვა...) და აგერ, სულ ახლახან, პირველი ლეზბიანკა დედაკაცი გენერლად „აკურთხეს“ — ემანსიპაცია და გენდერული ბალანსი ხომ პედერასტებშიც საჭიროა?!

როგორც იტყვიან, ამავე ოპერიდან იყო რუსულ პანკჯგუფთან, Pussy Riot-თან დაკავშირებული სკანდალი, რის შესახებაც „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნდა რუსი ებრაელის(!!!), ვლადიმერ სოლოვიოვის, ვრცელი წერილი და აქ — იმაზე, რაც იმ სტატიაში არ იყო:

ამ ახალგაზრდა ტუტუცებს ადრეც ჰქონიათ მსგავსი „პერფორმანსების“ მცდელობები, მაგრამ მართლმადიდებლური ეკლესიის წაბილწვის ვარიანტი მას შემდეგ არჩიეს, როდესაც ინტერნეტში იხილეს კადრები, რომლებიც ნორვეგიის ერთ-ერთი ტაძრის საკურთხეველში ქალ-ვაჟის შეჭრას ასახავს იქ სექსუალური აქტის ჩატარების განზრახვით. მათ მხოლოდ გაშიშვლება მოასწრეს, რის შემდეგაც პოლიციამ დააკავა და სასამართლომ რამდენიმე ათასით დააჯარიმა. ამ კადრების ხილვა ყველას შეგიძლიათ ინტერნეტში...

**ჰოდა, სავარაუდოდ, დასავლეთიდან მართულ-დაფინანსებულმა პანკ-ტუტუცებმაც იფიქრეს, ჩვენც მსუბუქად გადავრჩებითო, მაგრამ, როგორც რუსები იტყვიან — „ნე ნთ ირგრ ნთათომ“-ო და მართლაც, თავად რუსეთში, იქაური „ბალოტნი“ ლიბერასტების და საქართველოდან ცნობილი „ვაჟკაცის“, გია სურამელაშვილის გარდა, სხვა დამცველები არ გამოუჩნდათ!!!**

სამაგიეროდ, ერთხმად აიფოფრა „დემოკრატიული დასავლეთი“, რომელიც „ონავარი ცელქების“ განთავისუფლებას მოითხოვდა, და არა მხოლოდ ე.წ. ენჯეოები, გნებავთ, ცნობილი მადონა და ჩემი თაობის კუმირი — პოლ მაკარტნი, არამედ სახელმწიფოთა პირველი პირებიც — ვლადიმერ პუტინის ვიზიტისას ლონდონში პანკების ბედით თვით ბრიტანეთის პრემიერი დაინტერესდა, ხოლო განაჩენის გამოტანის შემდეგ გერმანიის საგარეო მინისტრმა და ცნობილმა გვიდო ვესტერველემ ამ ყველაფერს სამარცხვინო სპექტაკლი უწოდა...

მოცემულ კონტექსტში უთუოდ უნდა გავიხსენოთ ამ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებული კარიკატურები მუჰამედზე. უფრო სწორად ის, თუ მაშინაც როგორ აიფოფრა დასავლეთი ისლამის შეურაცხმყოფელის დასაცავად და დღესაც იცავენ, ამ სიტყვის უკვე პირდაპირი მნიშვნელობით, ისლამის შვილთა შურისგებისგან!

ამას დაუმატეთ ისიც, თუ როგორ წვავენ ყურანებს და როგორ აშარდავენ მიცვალებულ მოჯაჰედებს ამერიკელი ჯარისკაცები, და სურათი უფრო ნათელი გახდება. ეს ყველაფერი ნათლად აჩვენებს, რომ მსოფლიო გლობალისტმასონები, მიზანმიმართულად ებრძვიან ტრადიციული კულტურის მატარებელ საზოგადოებებს, როგორც გლობალიზაციის გაუტეხავ (ჯერჯერობით) მოწინააღმდეგეებს!

სხვა მიმართულებებით გლობალისტებმა მიაღწიეს საწადელს — ევროპული კათოლიციზმი, როგორც ზნეობრივი შემაკავებელი ფაქტორი, პრაქტიკულად აღარ არსებობს. რისი ერთ-ერთი დასტურიც ვენეციის ფესტივალზე წარდგენილი ფილმია და ეგეც იქით იყოს — თვით იტალიაშიც კი, მიუხედავად პაპიზმისა, ერთსქესიანი ქორწინებები აღარ ითვლება ეგზოტიკად, აღარაფერს ვიტყვი დანარჩენ ევროპა-ამერიკაზე, სადაც პედერასტების უფლებები შინ თუ გარეთ უპირველესი პრიორიტეტია!

**ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, თუ რა ამბავს ატეხდა იგივე დასავლეთი Pussy Riot-ი სინაგოგაში რომ შევარდნილიყო. იგივე ხალხი, რომელიც იმ ტუტუცი გოგოშკების განთავისუფლებას ითხოვდა, ასეთ შემთხვევაში მათ უმკაცრესად დასჯას მოიწადინებდა.**

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ერთი მარტივი დასკვნის გამოტანა შეიძლება — **დასავლური ლიბერალური დემოკრატია მტკიცედ ადგას ანტიქრისტეს გზას, საითაც სხვებთან ერთად ჩვენც, საქართველოსაც, გვექაჩება. ამ გზის ბოლო კი ერთია — საუკუნო ბანაობა ჯოჯოხეთის კუპრში!!!**

> **სამწუხაროდ, ერთ დროს მართლაც მომხიბვლელი დასავლური ღირებულებებიდან დღეს მხოლოდ ესღაა დარჩენილი. ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის მხოლოდ ეს, გარყვნილება და უზნეობა, ემეტებათ!**

სამწუხაროდ, ერთ დროს მართლაც მომხიბვლელი დასავლური ღირებულებებიდან დღეს მხოლოდ ესღაა დარჩენილი. ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის მხოლოდ ეს, გარყვნილება და უზნეობა, ემეტებათ!

**რუსეთის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ დაჰყვა დასავლეთის შანტაჟს და ეკლესიის წამბილწველთ საკადრისი მიუზღო, რასაც, იმედია, მომავალშიც გააკეთებს, რადგან რუსული მართლმადიდებლობის სიძლიერე, ზოგადად, მართლმადიდებლობის სიძლიერეც არის, მათ შორის ქართულისაც...**

ბოლოს მინდა ჩვენს ადგილობრივ ლიბერასტებს მივმართო: საით ექაჩებით საქართველოს, პედერასტებით გავსებულ ამერიკის (იმავე ნატოს) ჯარში? ერთსქესიანი ქორწინებების დასავლეთში? საუკუნო სულისწაწყმედის გზაზე?

ხარება და გოგიათი გიპასუხებთ: „ჩვენ არსადაც არ მივდივართ, აქა ვართ, გაიგეთ“?!

**დავით მხეიძე**



## შვეიცარია ჰიმნს, ფულსა და დედაქალაქს იცვლის

**შვეიცარიაში უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდება. ქვეყნის ცენტრალური ბანკი ახალი ფრანკის გამოშვებისთვის ემზადება.** ახალი ბანკნოტები 2013 წლის ბოლოსა და 2014-ის დასაწყისში გამოვა. შვეიცარიული ფრანკი ამჟამად მსოფლიოში ყველაზე დაცულ ბანკნოტებად მიიჩნევა. სხვა ვალუტებთან შედარებით, ფრანკების გაყალბების შემთხვევები მინიმალურია. ამის მიუხედავად, ცენტრალურ ბანკში მიაჩნიათ, რომ ბოროტმოქმედები არ შეწყვეტენ კუპიურების გაყალბების მცდელობებს, ამიტომ ბანკი არ ჩქარობს ახალი ფულის გამოშვებას და მათი დაცვის საკითხს დეტალურად ამუშავებს. ასევე გადაწყდა შვეიცარიის ჰიმნის შეცვლა. ქვეყანაში უკვე გამოაცხადეს კონკურსი ეროვნული ჰიმნის სიტყვებზე. ამჟამინდელი ტექსტი კი „მოძველებულად, უხეშად და მოქალაქეების განცდებისადმი ნაკლებ შესაბამისად“ მიიჩნიეს. ცვლილებების ავტორების ჩანაფიქრის თანახმად, ჰიმნი უფრო აქტუალური და შთამაგონებელი უნდა იყოს. ამჟამად ქვეყნის ჰიმნს წარმოადგენს „შვეიცარიული ფსალმუნი,“ რომელიც ჯერ კიდევ 1841 წელს დაიწერა, ჰიმნად კი 1981 წელს დაამტკიცეს. გამოკითხვის თანახმად, მისი სიტყვები მოქალაქეების 1%-მა იცის. ახალი ჰიმნისა და მელოდიის გამოვლენის მიზნით კონკურსი 2015 წლის 1 აგვისტომდე ჩატარდება. შვეიცარიამ, შესაძლოა, დედაქალაქიც შეიცვალოს. ამჟამად მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვება რეფერენდუმის ჩატარების მიზნით დედაქალაქის ბერნიდან ციურიხში გადატანის საკითხზე. სულ 6 ათასი ხელმოწერის მოგროვებაა საჭირო, ამიტომ საყოველთაო კენჭისყრა, სავარაუდოდ, შედგება. იგეგმება კანტონების დედაქალაქების შეცვლაც.

## ბრიტანელები პრინც ჰარის მხარდასაჭერად გაშიშვლდნენ

**პრინც ჰარის მხარდასაჭერად ბრიტანელებმა სპეციალური კამპანია წამოიწყეს და თავიანთი შიშველი ფოტოები „ფეისბუქში“ სპეციალურ გვერდზე განათავსეს. როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ შიშველი პრინცის ფოტოების ინტერნეტში გამოჩენას სკანდალი მოჰყვა, ამიტომ ბრიტანელებმა გადაწყვიტეს პრინცისთვის მხარდაჭერა ამ სახით გამოეხატათ.** სოციალურ ქსელში შეიქმნა სპეციალური ჯგუფი „Support Prince Harry with a naked salute“ („მხარი დავუჭიროთ პრინც ჰარის შიშველი მისალმებით“). ჯგუფის წევრები პრინცის გასამხნევებლად ამ გვერდზე საკუთარ შიშველ ფოტოებს დებენ. პირველნი ჰარის მხარდასაჭერად გამოვიდნენ ბრიტანელი სამხედროები, რომლებიც ავღანეთში მსახურობენ. სამხედროები, განურჩევლად სქესისა, თამამად პოზირებენ ჯავშანტექნიკის ფონზე. როგორც ცნობილია, თავად პრინციც მსახურობდა ავღანეთში. ჰარის მხარდასაჭერ „ფეისბუქის“ ჯგუფში ამ დროისთვის 12 000 ადამიანია გაერთიანებული.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყოფილი ჟურნალისტებისგან ვანო მერაბიშვილის კაბინეტში „გაკეთებულმა პარტიამ“ გარანტირებულად გადალახა 7%-იანი (?!) ბარიერი და იმ ფონზე, როდესაც სხვა ოპოზიციური პარტიები დემონსტრაციულად ჭრიდნენ თუ წვავდნენ მანდატებს, ხვლიკების პარტიამ „ქრისტიანულად“ და, რა თქმა უნდა, „დემოკრატიულად“ შეაბიჯა ტოტალურად გაყალბებული არჩევნებით შემდგარ პარლამენტში.**

# ხვლიკი უკვე კუდზე შედგა!..

**დღეს, ყველა თუ არა, ბევრი მხოლოდ მომავალი ოქტომბრის არჩევნების გაყალბება-არგაყალბების ალბათობაზე და აქედან გამომდინარე მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარების თაობაზე საუბრობს, ანუ ძირითადი ყურადღება „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ ჭიდილზეა გამახვილებული და, ერთი შეხედვით, სამართლიანადაც, რადგან სწორედ ეს ორი პოლიტიკური პოლუსი გაინაწილებს 1 ოქტომბრის არჩევნებში პირველ-მეორე ადგილებს.**



**შადიმანა აქამდე «კონსტრუქციულობითა» და შესაბამისი წყნარი ტონით გახლდათ ცნობილი. ახლა კი საკუთარ მამა-მარჩენალ მასწავლებელ პრეზიდენტს პიარ-მანერებშიც დაუწყო მიბაძვა**

აქედან გამომდინარე, საზოგადოების ჯეროვანი ყურადღების მიღმაა დარჩენილი ე. წ. ფსევდოოპოზიციის წინასაარჩევნო „მოღვაწეობა“, რაც არსებულ მოცემულობაში შეიძლება გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს უშუალოდ არჩევნების დღეს და რაც ყველაზე სახიფათოა, არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ.

**ანუ გაყალბების ერთ-ერთ სავარაუდო სცენარად ის ვარიანტიც განიხილება, როდესაც მიშნაცები სათავისოდ პარტიული სიით, ანუ პროპორციულ არჩევნებში 50 %-ზე ოდნავ ნაკლებს „გამოიწერენ“, უმრავლეობისთვის საჭირო მანდატებს კი მაჟორიტარებით შეივსებენ, ხოლო დანარჩენ პროცენტებს „ქართულ ოცნებასა“ და ფსევდოოპოზიციას შორის გადაანაწილებენ, რითაც მსოფლიო „დემოკრატიულ თანამეგობრობას“ ეტყვიან: აი, ნახეთ, როგორი თავისუფალი არჩევნები ჩავატარეთ, პარლამენტში მმართველი გუნდის პარტიულმა სიამ უმრავლესობა ვერ აიღოო. რაშიც ვერავინ შეედავებათ, რადგან არითმეტიკულად, ანუ ფორმალურად მართლაც ასე იქნება. რეალურად კი მიშნაცები მაჟორიტარ სატელიტებიანად სანუკვარ 70%-ს მიუკაკუნებენ, რადგან დღეს მაინც აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ჩამოთვლილი „ოპოზიციური“ პარტიები სწორედ ხელისუფლების სატელიტები არიან!**

არც ის გაუკვირდება ვინმეს, რომ ზოგიერთი მათგანი ახალ პარლამენტში ფორმალურადაც შეუერთდეს „ნაციონალურ მოძრაობას“.

სამაგიეროდ „დემოკრატიულ დასავლეთში“ მტკიცედ სჯერათ, რომ „ქართული ოცნება“ და ჩამოთვლილი სატელიტები, როგორც მინიმუმ, ყველანი რეალურად ოპოზიციურები არიან და, თუ სიმართლეს გავუსწორებთ თვალს, „დასავლეთის დემოკრატიებს“, ზოგადად ამ ფსევდოოპოზიციის უპირობო ლიდერის, გიორგი თარგამაძის, „ქდმ“ უფრო ესიმპათიურებათ, ვიდრე ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნება“!..

**გიორგი თარგამაძე, იგივე „შადიმანა“ და იგივე „გალსტუკიანი ხვლიკი“, რომელსაც ბატონი რეზო ამაშუკელის მიერ შერქმეული ეს უკანასკნელი ზედმეტსახელი ისე ზუსტად მოერგო, რომ მედიაშიც და კულუარულ საუბრებშიც უმეტესად ხვლიკის სახელით მოიხსენიებენ, ამ ბოლო დროს მართლაც „კუდზე შედგა“...**

დიახ, ამ ბოლო დროს, რადგან შადიმანა აქამდე „კონსტრუქციულობითა“ და შესაბამისი წყნარი ტონით გახლდათ ცნობილი. ახლა კი საკუთარ მამა-მარჩენალ მასწავლებელ პრეზიდენტს პიარ-მანერებშიც დაუწყო მიბაძვა, როდესაც ავტობუსის მძღოლად მოგვევლინა ქუთაისში მიმავალი, საიდანაც დაიწყო „ქდმ“-ის „ძლევამოსილი“ საარჩევნო კამპანია.

სხვათა შორის, ავტობუსის შოფერ თარგამაძეს ქუთაისის გზაზე „ჩეპე“ შეემთხვა — ხვლიკს „ცეპლენია ტორმუზში“ აერია, ავტობუსი დაუგორდა და მეორე ავტობუსს დაეჯახა, რაც, რა თქმა უნდა, არ „გაუბაზრეს“ თანმხლებმა მიშავიზიებმა.

ეს ისე, ცნობისთვის...

მერე იყო და კიდევ ერთი „კაპიროვკა“ მიშასგან — ხვლიკი მიწისქვეშ, ჭიათურის მაღაროში, ალბათ, მიშას ნაჩუქარ ჩაფხუტში და ბოლოს საარჩევნო „როლიკი“, სადაც შადიმანა ტრიბუნასთან დგას. ტრიბუნასთან, რომელიც აშკარად ვერ არის გამომსვლელის ზომის და რომ არა „კუდზე შედგომა“, მხოლოდ ფეხის წვერებზე დადგომით ვერაფრით გამოჩნდებოდა ტრიბუნის მიღმა, რომელიც „ჩვენი მალალის“ ზომისაა და, სავარაუდოდ, მისგანვე არის ნათხოვარი ისევე, როგორც მიშას ნათხოვარი ავტობუსებით „ჩაიკოლონებენ“ ხოლმე „ქრისტიან-დემოკრატები“ და მიშასგან არენდით აღებული ნაცაქტივისტებითვე ავსებს ხოლმე დარბაზებს შადიმან-ხვლიკი. თორემ ვინმეს მართლა სჯერა საქართველოში, რასაც იოგების მაქსიმალური (მიშას მსგავსად) დაძაბვით გაჰყვირის იმ „როლიკში“ ნათხოვარი ტრიბუნიდან მათხოვარი „ქდმ“-ის ლიდერი — **„ჩვენ ხომ ასე ბევრნი ვართ მთელ საქართველოში!“...**

ცნობისათვის, სარეკლამო ბანერებზე, რომლებიც თბილისის მერიის მიერ კონტროლირებადი ფირმის საკუთრებაა, დღემდე, ხოლოდ „ნაცმოძრაობისა“ და „ქრისტიან-დემოკრატების“ პლაკატებია გამოკრული.

კიდევ ერთი „როლიკი“ ტრიალებს ამ ბოლო დროს ტელევიზიებში, რომელშიც შადიმანა ოროყიან თოხს უბაყუნებს და მიშასავით ვენახს წამლავს, ხოლო გიორგი ახვლედიანი ცელს იქნევს, ხოლო ლევან ვეფხვაძე მოცელილ ბალახს ფიწლით ზვინავს. რას იზამ, **საკუთარი თანამზრახველებიც ხომ უნდა წარმოაჩინოს შადიმანამ?!**

აქედან გამომდინარე, ახლო მომავალში უნდა ველოდოთ ახალი „როლიკის“ გამოჩენას, რომელშიც ინგა გრიგოლია და მაგდა ანიკაშვილი უცოდველ „დედა ტერეზებად“ იქნებიან წარმოჩენილნი. **თანამზრახველებზეც ხომ უნდა იზრუნოს კუდზე შემდგარმა ხვლიკმა?**

**არადა, საზოგადოებამ კარგად იცის და ახსოვს, რომ „ქდმ“-ს „პადდელნიკპადდელნიცობის“ პადლეცობა იმაშია, რომ ყველამ ერთად და ცალ-ცალკე, „დროულად უღალატეს“ მათ მამა-მარჩენალ და საქართველოსთვის გულდამწვარ მამულიშვილს, ცხონებულ ბადრი პატარკაციშვილს, რითაც ბადრის მკვლელობაში თუ ბუნებრივ სიკვდილში თუნდაც ირიბად დაიდეს წილი!..**

ბადრი პატარკაციშვილის პიროვნულად გაწირვა თუ მხოლოდ უმადურობიდან მომდინარე სულმოკლეობად შეიძლებოდა ჩაეთვალა მავანს, „იმედის“ „დროული დახურვით“ მათ პრაქტიკულად უზრუნველყვეს მიშნაცების უპრობლემო „გამარჯვება“ 2008 წლის საპრეზიდენტო-საპარლამენტო არჩევნებში!

**სამაგიეროდ, ყოფილი ჟურნალისტებისგან ვანო მერაბიშვილის კაბინეტში „გაკეთებულმა პარტიამ“ გარანტირებულად გადალახა 7%-იანი (?!) ბარიერი და იმ ფონზე, როდესაც სხვა ოპოზიციური პარტიები დემონსტრაციულად ჭრიდნენ თუ წვავდნენ მანდატებს, ხვლიკების პარტიამ „ქრისტიანულად“ და, რა თქმა უნდა, „დემოკრატიულად“ შეაბიჯა ტოტალურად გაყალბებული არჩევნებით შემდგარ პარლამენტში.** რითაც, „იმედის“ დახურვისა და ბადრის ჩაშვების არ იყოს, კიდევ ერთი ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მიშნაცებს მსოფლიო თანამეგობრობის თვალში, გაყალბებული არჩევნები „გაუპრავეს“ მიშას!

ის დღე იყო და ის დღე, მას შემდეგ ნაცებისაგან, მათივე „სპონტომ“ ლანძღვაში, სრული კარტბლანში მიიღო ხვლიკმა — პრეზიდენტის ვიზიტებისას პარლამენტში ყველაზე ხმამაღლა, კუდზე შემდგარი გალსტუკიანი ხვლიკი აკრიტიკებს ხოლმე მიშიკოს, მაგრამ მამლუქის ფინალის პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ:

**ღმერთმა ხომ იცის, რომ არც ქრისტიანია, არც დემოკრატი და მითუმეტეს, არც ოპოზიცია, ნაცების ნასუფრალით გაძღუებული, მიშას ყურმოჭრილი მონაა მხოლოდ...**

ეს ისე, მცირე რეტროსპექტივა შადიმანას პირველი ნაბიჯების შესახებ ქართულ პოლიტიკაში. გნებავთ, როგორც ცხონებული შტირლიცი იტყოდა, ინფორმაცია განსჯისთვის, რათა კიდევ ერთხელ გავიაზროთ, რომ გიორგი თარგამაძის პარტია ხელისუფლებაზე მეტის თუ არა, არანაკლები საფრთხის შემცველია.

რაც შეეხება დღევანდელობას, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ხელისუფლება და არა მხოლოდ „ქდმ“, არამედ ზოგადად მთელი ფსევდოოპოზიცია სრულ პოლიტიკურ იდილიაში განისვენებდნენ და, რომ არა მოულოდნელი ელდა, სახელად ბიძინა ივანიშვილი, ერთად „ჰგიებდნენ უკუნისამდე“.

**ამიტომაც აეწვათ კუდები, რადგან, პირველ რიგში, ბიძინამ რაც გააკეთა, ის იყო, რომ ფსევდოოპოზიციას ჩამოჰგლიჯა ფარისევლური ნიღაბი და დროა, ალბათ, კუდზე შემდგარი ხვლიკის ჩრდილში მოქცეულ „ოპოზიციის“ სხვა „ვარსკვლავებზეც“ ვთქვათ სათქმელი...**

ხვლიკის შემდეგ, დამსახურებულ მეორე ადგილს ვერავინ შეეცილება „ახალ მემარჯვენეებს“, რომლის ერთ-ერთმა ლიდერმა, მამუკა კაციტაძემ, ნიღაბს ვინღა ჩივის, ტანსაცმელიც შემოიძარცვა, ანუ „ახალი მემარჯვენეები“ შიშვლები არიან. ახლების ძველი თითლიბაზობა რომც დავივიწყოთ „რვიანში“, **კაცი იმას რომ მოაწერს ხელს, რომ საქართველოდან მხოლოდ 300 ათასი კაცია გასული საზღვარგარეთო, ან შიშველი გადარეულია, ან რქიანი, ანდა კიდევ რქიან-გოიმები ქართველი ხალხი ვგონივართ!**

რაც შეეხება „ედპ“-ს, ერთ დროს მართლაც ეროვნულიც და დემოკრატიულიც, ნელ-ნელა იმდენად დეგრადირდა, რომ მისი ახლანდელი ლიდერების — ბაჩუკი ქარდავასა და გურამ ჩახვაძის ხელში უკვე ანეგდოტის ჟანრშიც ველარ ჯდება და, როგორც იტყვიან, **„გასულები არიან მომსახურების ზონიდან“.**

მიუხედავად ამისა, თბილისური ჟარგონით, „რეშკაზე მაინც არ ეცემა“ ბაში-აჩუკი და ისეთი სლოგანი მოუგონა პარტიას, რომ, „ნულა იტყვიო“ ისეა საქმე...

**არა რუსეთს!**

ამის გამგონე რუსეთმა თურმე — ოღონდაც ეგ ბაჩუკი დამიწყნარეთო და „ნი ტო ჩტო“ აფხაზეთ-სამაჩაბლოს დავუბრუნებ ქართველებს, „პახოდუ“ სოჩსაც ვუფეშქაშებ „ლიჩნად“ ბაჩუკასო!

იქით პარტია „ჩვენ თვითონ“-ის ლიდერი პაატა დავითაია აღნავლებულა — **მე რა, ხვლიკზე ნაკლებად გავისაპნე თავი, ასე რომ მიმაგდეთო?** და ვიღაც ნაცმოელს გახსენებია — ეგ ის ბიჭია, რომ თქვა: „აბა იმას ხომ არ ვიტყვი, მიშამ დაიწყო ომიო“ და მთელი პარტია ვერა, მაგრამ თავად ნაპროკურორალი პაატა კი ჩააკვეხეს შადიმანას სიაში.

სალადაოდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე, ამიტომ სერიოზულად თუ ვიტყვით, ნაცებთან ერთად რეალური ოპოზიციის, საზოგადოებრივი აზრის სამიზნე ე. წ. ფსევდოოპოზიციაც უნდა იყოს. მათ ფეხქვეშ მიწას თუ არ დაწვავენ, როგორც მინიმუმ, დებატებში მაინც არ უნდა დაუჯდნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები.

თორემ რა გამოდის, ბიძინა ივანიშვილმა ვისაც ხელისუფლებასთან ალიანსში დასდო ბრალი, იმასთან თუ ჯდები ეთერში, ის მაინც უთხარი, რომ ოპოზიციად არ თვლი და, როგორც ხელისუფლებას, ისე ელაპარაკე!

**და არა ისე, როგორც, უკაცრავად პასუხია და, თავი წაუხარა ეკა ბესელიამ ინგა გრიგოლიას და ინგამაც ხომ იქაქანა და იქაქანა და მერე „იქანა“ ისე „განაგლდა“, რომ — სოსო ჯაჭვლიანის კანდიდატურა მოხსენით და მე დამტოვეთ გლდანში მარტოო.**

**მაგათთან როგორ უნდა ლაპარაკი, გასულ პარასკევს „მაესტროზე“ კახა კუკავამ ჩაუტარა მასტერკლასი მამუკა კაციტაძესა და გურამ ჩახვაძეს!**

**შეატყობდით, ალბათ, რომ ჯერჯერობით არაფერი მითქვამს ლეიბორისტებზე და არც ვაპირებ, რადგან წაქცეულს აღარ ურტყამენ, როგორც იტყვიან, მათი გაჭრაქვებაც ეყოფათ...**

**დავით მხეიძე**

**პარლამენტში ყველაზე ხმამაღლა კუდზე შემდგარი გალსტუკიანი ხვლიკი აკრიტიკებს ხოლმე მიშიკოს, მაგრამ მამლუქის ფინალის პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ: ღმერთმა ხომ იცის, რომ არც ქრისტიანია, არც დემოკრატი და მითუმეტეს, არც ოპოზიცია, ნაცების ნასუფრალით გაძღუებული, მიშას ყურმოჭრილი მონაა მხოლოდ...**

„ჩემი გაანგარიშებით, 2,5 მილიონი მეანაბრიდან 30 პროცენტზე მეტმა უკვე განუტევა სული და საფლავში ჩაიტანა ის დარდი, რომელიც მათ ხელისუფლებამ გაუჩინა ალალი შრომით მოპოვებული დანაზოგის წაგლეჯვით. ორასი ათასზე მეტ მოხუცს შემნახველ სალაროებში დაგროვილი ჰქონდა ხუთ-ხუთი ათასი მანეთი „შავი დღისთვის“. ეს თანხა მათ დაზოგეს პენსიით, შვილების თუ ახლო ნათესავების მიერ წინასწარ შეწირულობებით. ამ კატეგორიის მეანაბრეთა ოთხმოცი პროცენტი მიეგარა საიქიოს ისე, რომ კუბოც კი არ ეღირსა და ცელოფანში გახვეულებს ასაფლავებდნენ...“

ნაც-ტერორი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## უშანგი დონჯაშვილი:

# «მიშა, წადი!» — ეს უაზრობაა! უნდა მოვთხოვოთ კონკრეტულად: «მიშა, დაგვიბრუნე ფული!»



**1992 წლის ივნის-ივლისში საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ განხორციელებული „ფინანსური ოპერაცია“ ოქროს ასოებით ჩაიწერა მსოფლიო თაღლითობის „ანალებში“.**
**შეგახსენებთ, რომ იმ ავადსახსენებელ დროს, კერძოდ, 1992 წლის ივლისამდე, სახელმწიფო შემნახველ ბანკებში ირიცხებოდა მეანაბრეთა დანაზოგი 12 მილიარდ 156 მილიონი მანეთის ოდენობით. ამავე წლის ივნისის ბოლოს ხელისუფლებამ, კონკრეტულად საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მასმედიის საშუალებით მოსახლეობას მოუწოდა, შეეტანათ სახელმწიფო შემნახველ ბანკებში ანაბრების სახით დაზოგილი თანხები და სანაცვლოდ მის გაორმაგებას შეჰპირდა. ხალხმა ირწმუნა „დიდი პოლიტიკოსის“ მოწოდება. უმრავლესობამ გაყიდა არსებული განძეულობა, ზოგმა კი საცხოვრებელი ბინებიც მიაყოლა თანხის გაორმაგების იმედით და ერთ თვეში შემნახველ ბანკებში შევიდა რვა მილიარდამდე მანეთი, რის შედეგადაც, 1993 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 4 446 877 ანაბარზე დაირიცხა 20 მილიარდ 018 მილიონი მანეთი. მსგავსი აფერით მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს შეატანინეს მნიშვნელოვანი თანხები კერძო-კომერციულ ბანკებშიც...**
**ვესაუბრებით საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორს, დამსახურებულ იურისტს, „მეანაბრეთა ლიგის“ თავმჯდომარეს — უშანგი დონჯაშვილს, რომელიც 1996 წლიდან უანგაროდ იცავს 2,5 მილიონი მეანაბრის უფლებებსა და ინტერესებს.**

**— ბატონო უშანგი, მკითხველს, უთუოდ, დააინტერესებს პირადად თქვენი მოტყუების ამბავი...**

— სამწუხაროდ, შევარდნაძის ხელისუფლების აფერის ანკესზე მეც წამოვეგე. დედაჩემს წინაპრებისგან დატოვებული ჰქონდა ბაჯაღლო ოქროს ნახევარმეტრიან ჯაჭვი, რომელიც ასი ათას მანეთად გავაყიდინე და 1992 წლის 27 ივლისს ეს თანხა მთლიანად შევიტანე შემნახველ სალაროში მისი გაორმაგების იმედით... დედაჩემმა, როგორც კი შეიტყო, რომ ხელისუფლებისგან მოტყუებულნი დავრჩით, ინერვიულა და ამ დარდს გადაჰყვა კიდეც.

ჩვენი საჩივრების საფუძველზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ 1997 წლის 8 დეკემბერს გამოსცა №716 ბრძანებულება მეანაბრეთა თანხების ინდექსაციისა და გაცემის წესის შესახებ, რის საფუძველზე, მეანაბრეს პირველ 1000 მანეთზე მიეცემოდა ახალი ვალუტით 100 ლარი, ხოლო შემდგომზე — 10-10 ლარი. ეს აშკარად ანტიკონსტიტუციური იყო და ჩვენ მოვითხოვეთ, რომ ამ თანხების ინდექსაცია მომხდარიყო კურსიდან კურსზე სამართლიანი გადაანგარიშებით. საქმე იმაშია, რომ მეანაბრეთა თანხები ხელისუფლებამ გამოიყენა იმ კურსის მიხედვით, რაც თანხების შეტანის დროს არსებობდა და თანახმად სამოქალაქო კოდექსის 389 და 874 მუხლებისა, ხელისუფლება ვალდებული იყო ასეთივე წესით მოეხდინა გადაანგარიშება და დაეწყო გაორმაგებული თანხების გაცემა. 1998 წლის 5 მარტს შევიტანეთ საარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში. ამაოდ...

**— ბატონო უშანგი, როგორც ვიცი, თქვენ ევროპის სასამართლოსაც მიმართეთ.**

— დიახ, 1999 წლის 14 დეკემბერს საჩივარი შევიტანე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოში. დავის საგანი იყო პრეზიდენტის №716 ბრძანებულების გაუქმება და მეანაბრეთა თანხების გაცემის ახალი წესების შემოღება. ჩემი საჩივარი და წარმოდგენილი მასალები ევროპის სასამართლომ ჩათვალა პირველხარისხოვნად და ამზადებდა საქმეს სასამართლოში არსებითად განსახილველად. ამ ინსტანციის ზეწოლით, პრეზიდენტმა შევარდნაძემ 2001 წლის 2 ივლისის №258 ბრძანებულებით თავად გააუქმა წინა — №716 ბრძანებულება და შექმნა სამთავრობო კომისია სახელმწიფო მინისტრის, გიორგი არსენიშვილის, ხელმძღვანელობით. ამ კომისიას შევარდნაძემ დაავალა, ორი თვის განმავლობაში შეემუშავებინა მეანაბრეთა თანხების გაცემის ახალი წესი. მის შემადგენლობაში შევიდა 15 მინისტრი, მათ შორის, იუსტიციის მინისტრი მიხეილ სააკაშვილიც. ჩემი კატეგორიული მოთხოვნით, მეც შემიყვანეს ამ კომისიაში. იმის გამო, რომ ჩემი სასარჩელო მოთხოვნა უკვე შესრულდა, ევროპის სასამართლოს სასარჩელო წარმოება შევაწყვეტინე.

**— მერე, რა შედეგით დამთავრდა სამთავრობო კომისიის მუშაობა?**

— ბატონი არსენიშვილი საზღვარგარეთ ელჩად გაგზავნეს. ის შეცვალა ახალმა სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ. ამ უკანასკნელმა საორგანიზაციო საკითხების მოგვარება დაავალა თავის მოადგილეს — გიორგი ისაკაძეს. საბოლოოდ, ორი წლის განმავლობაში ამ კომისიას არაფერი გაუკეთებია. მიუხედავად ჩემი არაერთი შეხსენებისა, კომისიამ ისე დაასრულა თავისი მოღვაწეობა, რომ არც ერთი სხდომა არ ჩაუტარებია...

**— კომისიის „უდროო გარდაცვალების“ შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?**

— დავრწმუნდი, რომ ასეთი ხელისუფლების პირობებში მარტო მე მიზანს ვერ მივაღწევდი. ამიტომ, გადავწყვიტე კენჭი მეყარა პარლამენტის დეპუტატობაზე და იქიდან გამეგრძელებინა ბრძოლა. 2001 წლის აგვისტოში ვაკის №2 საარჩევნო ოლქში გავტარდი პარლამენტის დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატად. ორი ათასი მხარდამჭერის უწყისები მზად მქონდა და ვიწყებდი საარჩევნო კამპანიას, რომ ჩემთვის ცნობილი გახდა იუსტიციის იმდროინდელი მინისტრის, სააკაშვილის, თანამდებობიდან გადადგომისა და ჩვენს საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გატარების ამბავი. მაგ დროს მირეკავს ჩემი ძველი მეგობარი გივი ალასანია — მიხეილის ბაბუა და მეუბნება: უშანგი, ხომ იცი, რომ მიშა აიძულეს, წასულიყო სამინისტროდანო. ბიჭის გაფუჭება უნდათო. მიშა არის განათლებული, ობიექტური, სამართლიანი, შემტევი პიროვნებაო და მისი ხელისუფლებაში დაბრუნება ხელს შეუწყობს მოტყუებულ მეანაბრეთა ფულის დაბრუნებასო, მითუმეტეს მეც მათ სიაში ვარო. ამასთან ერთად, პერსპექტიული პოლიტიკოსიცააო და ჩვენ, ბებრებმა, მხარში უნდა ამოვუდგეთო. **სააკაშვილს მხარშიც ამოვუდექი და მზადყოფნა გამოვთქვი, საარჩევნო კამპანიის დროს მისი ნდობით აღჭურვილი პირი ვყოფილიყავი... ესეც არ ვიკმარე და ყველა მეანაბრე-ამომრჩეველს მოვუწოდე, ხმა მიეცათ სააკაშვილისთვის. ეჰ, რომ მცოდნოდა, რა მატყუარასთან მქონდა საქმე...**

**— თუ არ ვცდები, სააკაშვილმა მეანაბრეთა მხარდაჭერა კარგად გამოიყენა საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც. ხომ ასეა?**

— დიახ! მეანაბრეთა მხრიდან მასობრივ მხარდაჭერას იმანაც შეუწყო ხელი, რომ საქართველოს ქალაქებსა და დაბებში **მეანაბრეთა ვალების გასტუმრების შეპირების ათასობით პლაკატი იყო გამოქვეყნებული, რომლებზეც გამოსახული იყო საბჭოური შემნახველი სალაროს წიგნაკი, ციფრი „5“ და წარწერა: „სააკაშვილი, „ნაციონალური მოძრაობა“, დავიბრუნოთ ჩვენი ანაბრები“.**

ჩვენს ქვეყანაში 2,5 მილიონი მეანაბრე იყო, აქედან თითქმის მილიონი თბილისში ცხოვრობს. აბსოლუტური უმრავლესობა ამომრჩეველია და ამგვარი გამამხნევებელი და იმედისმომცემი პლაკატებისა და ბუკლეტების გავრცელების შემდეგ, რა თქმა უნდა, პრეზიდენტობის კანდიდატ სააკაშვილს უნდა მიეღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და ასეც მოხდა.

სავალალოდ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მიჩუმდა მეანაბრეთა ვალების გასტუმრების საკითხი; არც უმაღლესმა ორგანოებმა დამიჭირეს მხარი. იძულებული გავხდი, 2006 წლის 25 აპრილს შემეტანა 93-გვერდიანი საჩივარი ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში. **ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მიმოწერა ჩემსა და სასამართლოს შორის, რასაც კარგი პირი უჩანდა, მაგრამ მოხდა უცნაურობა — სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაში მონაწილეობა მიიღო ჩვენი სახელმწიფოს წარმომადგენელმა, მოსამართლე მინდია უგრეხელიძემ, რის უფლებაც მას არ ჰქონდა; და რაღაც გაუგებარი ხარვეზის გამო, უგრეხელიძემ სასამართლოს უარი ათქმევინა საჩივრის წარმოებაში მიღებაზე.** არადა, სინანულით გეუბნებით, რომ არა უბედური შემთხვევა, უკვე მოგვარებული მექნებოდა მეანაბრეთა საკითხი. 2008 წლისათვის გადაწყვეტილი იყო მეანაბრეთა ვალების ნაწილობრივ, ეტაპობრივად გასტუმრების დაწყება.

**— როგორ, ბატონო უშანგი?**

— მე და ცხონებული ბადრი პატარკაციშვილის მამას, ბატონ შალვას, ათეული წლების მეგობრობა გვაკავშირებდა. ჩვენ ერთმანეთისთვის მრავალი სასიკეთო საქმე გაგვიკეთებია, რაც კარგად იყო ცნობილი ბადრისთვის. როცა ის გატარდა პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაში და გამოაქვეყნა თავისი პროგრამა, დიდად გავიხარე! **ბადრიმ საქართველოს კეთილდღეობისთვის გამოყო მილიარდ-ნახევარი დოლარი.** ინგლისში მის გამგზავრებამდე მე შევხვდი მას და გავაცანი ჩემი ნამუშევარი მეანაბრეთა საკითხში. დარწმუნდა რა, მეანაბრეებისგან დიდი რაოდენობის ხმების აღებაში, მითხრა: „ძია უშანგი, ეს რამხელა შრომა გაგიწევიათ! რა კარგი თემა აგირჩევიათ. მეც მყავს უამრავი ნათესავ-მეგობარი მეანაბრე. თანაც რამდენი სიკეთე გაქვთ გაკეთებული მამაჩემისთვის. აუცილებლად ამოგიდგებით მხარში და ნახევარ მილიარდს კიდევ დავამატებ მეანაბრეთა საკითხის მოგვარებისთვის. ზეგ მივფრინავ ინგლისში, ჩამოვალ თუ არა, ოფიციალურად გამოვაცხადებ ამ გადაწყვეტილებასო“... **ბადრის გარანტირებული ჰქონდა პრეზიდენტობა, საქართველოს გაბრწყინება და გაერთიანება, მაგრამ მისი საარჩევნო შტაბის გუნდის დოყლაპიობით, ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლების აშკარა ღალატით თავმოყვარე კაცს გული გაუხეთქეს...**

აქვე გეტყვით, **ჩემი გაანგარიშებით, 2,5 მილიონი მეანაბრიდან 30 პროცენტზე მეტმა უკვე განუტევა სული და საფლავში ჩაიტანა ის დარდი, რომელიც მათ ხელისუფლებამ გაუჩინა ალალი შრომით მოპოვებული დანაზოგის წაგლეჯვით. ორასი ათასზე მეტ მოხუცს შემნახველ სალაროებში დაგროვილი ჰქონდა ხუთ-ხუთი ათასი მანეთი „შავი დღისთვის“. ეს თანხა მათ დაზოგეს პენსიით, შვილების თუ ახლო ნათესავების მიერ წინასწარ შეწირულობებით. ამ კატეგორიის მეანაბრეთა ოთხმოცი პროცენტი მიეგარა საიქიოს ისე, რომ კუბოც კი არ ეღირსა და ცელოფანში გახვეულებს ასაფლავებდნენ...**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ ცოტა ხანში მილიარდ ლარზე მეტი გაიხარჯა ბეტონის გზების დაგებასა და თბილისის გალამაზებაზე. ასობით მილიონი იხარჯება უაზრო მშენებლობებზე, ზეიმებზე, მოგზაურებებსა და ღრეობებზე. რას ჰქვია, ფული არა აქვთ! აქვთ! გარდა აღნიშნულისა, ცნობილია, რომ საერთაშორისო დახმარების ფონდიდან საქართველოს აღორძინებისა და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის გამოყოფილია 4,5 მილიარდი დოლარი!

ზუსტად ერთი წლის წინ მე მივმართე პრეზიდენტ სააკაშვილს და კატეგორიულად მოვთხოვე, რომ დაავალოს საქართველოს მთავრობას, შექმნას სამთავრობო კომისია ჩემი მონაწილეობით. ამ კომისიას მიეცეს დავალება, ორი თვის განმავლობაში დააზუსტოს მეანაბრეთა რაოდენობა და თითოეულ მათგანზე რიცხული ანაბრის რაოდენობა კანონიერად დარიცხული პროცენტებით. ასევე მივმართე ექსპრეზიდენტ შევარდნაძესაც. იქიდან გამომდინარე, რომ მისი ინიციატივითა და მოღვაწეობით განხორციელდა ეს მსოფლიო მნიშვნელობის აფერა 2,5 მილიონი მეანაბრის მიმართ; და, ვინაიდან მისი ხელის შეწყობით გახდნენ მილიონერები მისი შვილები, სიძე და ახლობლები, კეთილი ინებოს და მეანაბრეთა ანგარიშზე პირადად მან ჩარიცხოს ნახევარი მილიარდი დოლარი! შევარდნაძეს ეს არ გაუჭირდება და ასეთი „დანაკლისი“ მის ქონებას არც კი შეეტყობა! მარტო მის სიძეზე ერთ მილიარდ დოლარზე მეტი ქონება ირიცხება! ხოლო მის შვილებსა და უახლოეს ნათესავებზე რამდენია, ღმერთმა უწყის!

## «ანაბრების დაბრუნება თუ გვინდა, ხელისუფლება უნდა შევცვალოთ!»

**გვეყო უშედეგო ყვირილი „მიშა, წადი!“ — ეს უაზრობაა! უნდა მოვთხოვოთ კონკრეტულად: „მიშა, დაგვიბრუნე ფული!“ შენ დაგვპირდი, შენი საარჩევნო პლაკატით დაადასტურე, რომ სახელმწიფოს ჩვენი ვალი აქვს! ბოლოს და ბოლოს, ხალხი ხომ უნდა მიხვდეს ერთ ჭეშმარიტებას — ბევრად უკეთესია, ვიბრძოლო ჩემი პირადი ინტერესებისთვის, ვიდრე თავი ვაცემინო, დავასახიჩრებინო ან მოვაკვლევინო ვიღაც ვიგინდარა პოლიტიკოსის კეთილდღეობისთვის! სხვა გადარჩენის გზა ჩვენ არ გვაქვს! ერთში ვარ დარწმუნებული — თუ გვინდა ანაბრების დაბრუნება, ხელისუფლება უნდა შევცვალოთ!**

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„პეტრე ბაგრატიონმა გამოავლინა უდიდესი ვაჟკაცობა, გულადობა, გამბედაობა, მუდმივად იმყოფებოდა მოვლენების შუაგულში. ის უმალ რეაგირებდა ბრძოლის უმცირეს ნიუანსზეც კი და, აგრეთვე, სწრაფად აძლევდა ბრძანებებს! გეგონებოდა, არა ერთი გენერალი, არამედ მთელი გენერალური შტაბი აანალიზებდა მიმდინარე ბრძოლას, აძლევდა რჩევებს და უნერგავდა მეომრებს გამარჯვების რწმენას! ნაპოლეონი არაერთხელ შეხვედრია ბაგრატიონს 1805-1807 წლებში და, მისდა სამწუხაროდ, მიდიოდა დასკვნამდე, რომ ბაგრატიონი ყოველთვის გამოდიოდა გამარჯვებული!“

ლევან დოლიძე:

# 200 წლის წინ ბოროდინოს ველზე 12 ქართველი გენერალი იბრძოდა!

1812 წლის 7 სექტემბერს (ძვ. სტილით 26 აგვისტოს), მოსკოვის დასავლეთით 124 კილომეტრში მდებარე სოფელ ბოროდინოსთან, დილის 5 საათსა და 30 წუთზე გაისმა ზარბაზნის გრუხუნი. მას მოჰყვა მეორე, მესამე... ასე დაიწყო ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებიდან ყველაზე გააფთრებული, ყველაზე სისხლისმღვრელი ბრძოლა რუსებსა და ფრანგებს შორის, რომელიც დაღამებამდე გაგრძელდა.

ბოროდინოსთან ორი გიგანტის — საფრანგეთისა და რუსეთის იმპერიების შერკინება ჩვენ, ქართველებს, გვაინტერესებს, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მასში ბევრი ჩვენი თანამემამულე მონაწილეობდა, მათ შორის — 12 გენერალი.

ვესაუბრები საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, საქართველოს გენერალიტეტის მემატიანეს, ღირსების ორდენის კავალერს, მრავალი პრემიის ლაურეატს — ლევან დოლიძეს.



ბოროდინოს ბრძოლა. ბაგრატიონის დაჭრის სცენა

**— ბატონო ლევან, გამოგიტყდებით, ცოტა უჩვეულოდ ვგრძნობ თავს, რადგან პირველად ჩემი მოსაუბრე, რესპონდენტი ჟურნალისტია, კოლეგა...**

— მით უფრო, საინტერესო უნდა გამოდგეს ჩვენი საუბარი!

**— ბატონო ლევან, თქვენ ოთხი წიგნი დაწერეთ გენერლებზე, რომლებიც წარმოშობით საქართველოდან იყვნენ, ამიტომ არ გაგიჭირდებათ, მოგვიყვეთ იმ ქართველ მხედართმთავრებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ ბოროდინოს ბრძოლაში; და კიდევ, მაინტერესებს თქვენი აზრი, ვინ მოიგო ეს ბრძოლა? რუსები ამბობენ, ჩვენო, ფრანგები — ნაპოლეონმაო.**

— მართლაც, დღემდე არ წყდება ამ თემაზე კამათი! პირადად მე, რაციონალურად ვუდგები ამ საკითხს და მთავარ არგუმენტად ციფრები მომყავს. ბოროდინოს ველზე ნაპოლეონმა თავისი 600-ათასიანი „დიდი არმიის“ საუკეთესო ნაწილი — 133 ათასი კაცი გამოიყვანა 587 ზარბაზნით. რუსების მხრიდან იყო 120 ათასი მეომარი და 640 ზარბაზანი. ბოროდინოს ბრძოლის არნახულ გააფთრებაზე მოწმობს მისი შედეგი — ტყვეების არყოფნა და უზარმაზარი დანაკარგები ორივე მხრიდან: ფრანგებმა ბრძოლის ველზე 50 ათასი ჯარისკაცი დატოვეს, რუსებმა — 44 ათასი (ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ეს იყო დაღუპული გენერლების მანამდე არნახული რაოდენობა: ფრანგების მხრიდან — 47 გენერალი, რუსების კი — 23 გენერალი).

როგორც ხედავთ, გადამწყვეტი უპირატესობა ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა; ხოლო **თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაპოლეონის უმთავრესი მიზანი რუსული არმიის განადგურება იყო გენერალურ ბრძოლაში, მაშინ ოდნავ მოაზროვნეც კი დამეთანხმება, რომ ნაპოლეონის გეგმა ჩაიფუშა, ანუ ის, ფაქტობრივად, დამარცხდა!**

ეს ლოგიკაა, რომელსაც ვერსად გაექცევი. მეტსაც გეტყვით, ნაპოლეონი, უდავოდ, ტაქტიკის გენია იყო, მაგრამ სტრატეგიაში საკმაოდ მოიკოჭლებდა. მისი სამხედრო სტრატეგია აბსოლუტურად უსუსური აღმოჩნდა საბრძოლო მოქმედების დიდ სივრცეზე და მისი შედეგი — ნაპოლეონის კრახი — კანონზომიერია! **600-ათასიანი ჯარიდან უკანდახევისას რუსეთის საზღვარი გადაკვეთა დაახლოებით 20 ათასამდე გაუბედურებულმა, გაძვალტყავებულმა ადამიანმა — „დიდი არმიის“ ნარჩენებმა...**

**— ბატონო ლევან, ნაპოლეონზე რუსეთის გამარჯვებაში რა წვლილი შეიტანეს ქართველებმა?**

**«ბოროდინოს ველზე ნაპოლეონმა თავისი 600-ათასიანი «დიდი არმიის» საუკეთესო ნაწილი — 133 ათასი კაცი გამოიყვანა 587 ზარბაზნით. რუსების მხრიდან იყო 120 ათასი მეომარი და 640 ზარბაზანი»**

— თუ მარტო პეტრე ბაგრატიონის ღვაწლით ვიმსჯელებთ, უზარმაზარი! **ის ბოროდინოს ბრძოლის მთავარ გმირად ითვლება და ვერც ერთი ისტორიკოსი ამას ვერ უარყოფს! ამ ბრძოლაში ლეგენდარული მხედართმთავარი, მეორე დასავლეთის არმიის მთავარსარდალი, ინფანტერიის გენერალი პეტრე ბაგრატიონი რუსეთის ჯარის მარცხენა ფლანგს მეთაურობდა,** რომელიც განლაგდა სოფელ სემიონოვსკაიასთან გამაგრებულ პოზიციებზე და რომელსაც მოგვიანებით „ბაგრატიონის ფლეშები“ შეარქვეს.

**— რა არის „ფლეში“?**

— ესაა სამი საველე არტგამაგრება სიმაღლეებზე, რომლებიც შედგება 15, ასევე, 7 და 12 ზარბაზნისგან. ზუსტად აქ განვითარდა მთავარი მოვლენები! გენერალური ბრძოლის დაწყებიდანვე, ნაპოლეონის საუკეთესო მარშლების მიურატის, დავუს, ნეისა და ჟიუნოს კორპუსებმა შეუტიეს რუსების მარცხენა ფლანგს. რვაჯერ (!) შეუტიეს და ბაგრატიონმა რვაჯერვე მოიგერია და უკუაქცია ისინი. ბაგრატიონის ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს, მიურატი სასწაულებრივად გადაურჩა ტყვეობას! ცხენიდან ჩამოვარდნილი მარშლისკენ რამდენიმე რუსმა გრენადერმა უკვე ხელები გაიწვდინა მის დასატყვევებლად, მაგრამ მიურატის ადიუტანტმა სიცოცხლის ფასად მას თავისი ცხენი დაუთმო...

**პეტრე ბაგრატიონმა გამოავლინა უდიდესი ვაჟკაცობა, გულადობა, გამბედაობა, მუდმივად იმყოფებოდა მოვლენების შუაგულში. ის უმალ რეაგირებდა ბრძოლის უმცირეს ნიუანსზეც კი და, აგრეთვე, სწრაფად აძლევდა ბრძანებებს! გეგონებოდა, არა ერთი გენერალი, არამედ მთელი გენერალური შტაბი აანალიზებდა მიმდინარე ბრძოლას, აძლევდა რჩევებს და უნერგავდა მეომრებს გამარჯვების რწმენას!**

ნაპოლეონი არაერთხელ შეხვედრია ბაგრატიონს 1805-1807 წლებში და, მისდა სამწუხაროდ, მიდიოდა დასკვნამდე, რომ ბაგრატიონი ყოველთვის გამოდიოდა გამარჯვებული! მარტო შენგრაბენი რად ღირს, სადაც ხუთი ათასი დაღლილი, მშიერი ჯარისკაცით ბაგრატიონი მთელი დღის განმავლობაში წარმატებით იგერიებდა ნაპოლეონის 35-ათასიანი ჯარის განუწყვეტელ თავდასხმებს და თავად გადადიოდა კონტრშეტევებზე! ისტორიაში შენგრაბენი შევიდა, როგორც მანამდე არნახული სამხედრო ხელოვნების უბრწყინვალესი ნიმუში! **ბონაპარტესთვის ტრიუმფალურ აუსტერლიცის ბრძოლის დროსაც კი, მან ვერაფერი მოუხერხა მოკავშირეების მარჯვენა ფლანგს, რომელსაც ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა, ვერ უკუაგდო იგი! მხოლოდ ბაგრატიონის სამხედრო გენიამ იხსნა გაერთიანებული რუსულ-ავსტრიული არმია სრული განადგურებისგან!**



იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტე

მერვე კონტრშეტევის დროს ბაგრატიონი დაიჭრა. ყუმბარის ნამსხვრევმა მას ბარძაყის ძვალი დაუშალა. ჭრილობის მიუხედავად, პეტრეს ბრძოლის სადავეები ხელთ ეპყრა, სანამ, სისხლის დაკარგვის გამო, გონება არ დაკარგა... ბაგრატიონი გადაიყვანეს მოსკოვში, იქიდან კი მამიდამისის, ანა გრუზინსკაიას, მამულში — სოფელ სიმში. აქ მან გაიგო მოსკოვის ჩაბარების ამბავი, რამაც მასზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ექიმების რჩევამ ფეხის ამპუტაციაზე, ქართველი თავადის რისხვა გამოიწვია. 1812 წლის 24 სექტემბერს, თანამედროვეების მიერ „ომის ღმერთად“ აღიარებული პეტრე ბაგრატიონი საშინელ ტანჯვაში გარდაიცვალა...

**— კიდევ ვინ გამოიჩინა თავი ბოროდინოს ველზე?**

— გმირულად იბრძოდა ყველა ქართველი გენერალი! რუსულ ჯარში განსაკუთრებით პოპულარულები იყვნენ **ძმები ფანჩულიძეები — ივანე და სიმონი.**

მათგან პირველი — ივანე იბრძოდა ბაგრატიონის მეორე არმიაში და იძლეოდა მაგალითს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო „სუვოროვის სკოლის“ გენერალი. სიმამაცეში ძმას არ ჩამორჩებოდა მეორე ფანჩულიძე — სიმონი. იგი მეთაურობდა არმიის მარჯვენა ფლანგის კავალერიას და იმავე დროს — ჰუსართა და ულანთა პოლკებს. ▶

**«თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაპოლეონის უმთავრესი მიზანი რუსული არმიის განადგურება იყო გენერალურ ბრძოლაში, მაშინ ოდნავ მოაზროვნეც კი დამეთანხმება, რომ ნაპოლეონის გეგმა ჩაიფუშა, ანუ ის, ფაქტობრივად, დამარცხდა!»**

**„ალექსანდრე ბაგრატიონს, ზარბაზნების საქმის ბრწყინვალე მცოდნეს, პეტრე პირველმა მიანიჭა რუსეთში მანამდე არ გაგონილი გენერალფელდციეხმაისტერის წოდება. ეს 1700 წლის 17 მაისს მოხდა. ეს თარიღი ითვლება სახელოვანი ქართული გენერალიტეტის ათვლის წერტილად; ხოლო ქართველი უფლისწული ალექსანდრე ბაგრატიონი რუსეთის ისტორიაში შევიდა, როგორც რუსული არტილერიის მამამთავარი!“**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლომივით იბრძოდა გენერალ-მაიორი **ანტონ შალიკაშვილი**, ლეიბგვარდიის ულანთა პოლკის მეთაური. შესაშური გულადობით გამოირჩეოდა 1799 წლიდან გენერალ-მაიორი **სიმონ განგებლიძე**, მეცამეტე ფეხოსანთა დივიზიის უფროსი. გენერალმა **ლევან იაშვილმა** გაითქვა სახელი, როგორც ერთ-ერთმა საუკეთესო არტილერისტმა. განსაკუთრებული დამსახურებების გამო მან მიიღო არტილერიის გენერლის (სრული გენერლის) წოდება და პირველი არმიის არტილერიის მეთაურის თანამდებობაც. უშიშარი გენერალი იყო მისი უფროსი ძმაც — **ვლადიმერი**, რომელსაც ძალზე აფასებდა თვით კუტუზოვი!

**— ეს ის ვლადიმერ იაშვილია, რომელმაც საკუთარი ხელით მოახრჩო იმპერატორი პავლე პირველი?**

— დიახ და ამისთვის გენერლობაც მიიღო!.. საერთოდ, „დიდი პოლიტიკა“ ძნელად ასახსნელი ფენომენია!

ნაცადი მეომარი გახლდათ გენერალ-მაიორი **ივანე გურიელიც**, 23-ე ფეხოსანთა დივიზიის მეთაური. შემდგომში, **1813-14 წლებში, რუსეთის არმიის საზღვარგარეთული ლაშქრობისას, რომელშიც უკვე 18 ქართველი გენერალი მონაწილეობდა, გურიელმა 1814 წლის მარტში ხელთ იგდო მონმარტის სიმაღლეები, რასაც პარიზის კაპიტულაცია მოჰყვა.**

ბოროდინოს ბრძოლაში თავი ისახელა ერთ-ერთმა ყველაზე ახალგაზრდა გენერალმა, გრაფმა **ალექსანდრე ივანეს ძე ქუთაისოვმა.** მისი მამა, **ვანო კიკიანი,** 1769 წელს ქუთაისში დაატყვევეს გენერალ ტოტლებენის ჯარისკაცებმა. ვანომ მაშინ ტახტის მემკვიდრის, პავლეს, ყურადღება მიიპყრო. რუსმა უფლისწულმა ის ჯერ დალაქად აიყვანა, შემდეგ კი პირად მდივნად გაიხადა; მისცა მას გრაფის ტიტული, ხოლო 22 წლის ასაკში გენერალ-მაიორის წოდებაც უბოძა. მისი შვილი, ალექსანდრე, ბოროდინოს ბრძოლაში არა მხოლოდ პირველი არმიის არტილერიას, არამედ მთელი რუსული ჯარის არტილერიას მეთაურობდა. იგი 7 სექტემბრის საღამოს რაევსკის ბატარეაზე დაიღუპა. ორ დღეში ალექსანდრე ქუთაისოვს 28 წელი შეუსრულდებოდა... სხვათა შორის, ასი წლის შემდეგ მისი სახელოვანი შვილიშვილი, 75 წლის ინფანტერიის გენერალი, **პავლე იპოლიტეს ძე ქუთაისოვი** გარდაიცვალა.

ბოროდინოს ბრძოლაში მონაწილეობდა ჯავახიშვილების გვარის ოთხი წარმომადგენელი. ესენი არიან ძმები, გენერალ-მაიორები: **ფილიპე სიმონის ძე** და **ივანე სიმონის ძე ჯავახიშვილები.**



ინფანტერიის გენერალი პეტრე ბაგრატიონი



პეტრე ბაგრატიონის ძეგლი მოსკოვში

## «მხოლოდ ბაგრატიონის სამხედრო გენიამ იხსნა გაერთიანებული რუსულ-ავსტრიული არმია სრული განადგურებისგან!»

მათი უფროსი ძმა **სიმონი,** 62 წლის ოფიცერი, გმირულად დაეცა ბოროდინოს ველზე. გენერალი იყო **სპირიდონ ერასტის ძე ჯავახიშვილიც.** ის, თავის ჰუსართა პავლოგრადის პოლკთან ერთად, მონაწილეობდა საზღვარგარეთულ ლაქრობაშიც და, როგორც სხვა ქართველი გენერლები, დაჯილდოვდა წმინდა გიორგის ორდენით.

ლეგენდარული ძმის გვერდით იბრძოდა პეტრე ბაგრატიონის უმცროსი ძმა **რევაზი (რომანი).** 32 წლისამ მან პოლკოვნიკის წოდებამდე მიაღწია. ბოროდინოსთან მეთაურობდა ჰუსართა პოლკს. თავი გამოიჩინა 1813-14 წლების კამპანიაში და 1813 წელს მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. 1828 წელს კი რომან ბაგრატიონი ტფილისის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა.

ბოროდინოს ბრძოლაში მონაწილეობდნენ სომხური წარმოშობის ქართველი თავადები **ივანე სამსონის ძე** და **დავით სამსონის ძე აბუმელიქები.** მათი მესამე ძმა — **სიმონი** ბოროდინოს ბრძოლაში დაიღუპა.

გამორჩეული გმირის სახელი მოიხვეჭა გენერალმა **ვალერიან (როსტომ) გრიგოლის ძე მადათოვმა,** რომელსაც ჯარში „რუსი მიურატი“ უწოდეს. ომის შემდეგ ვალერიანი თბილისში დაბრუნდა, იყიდა მტკვრის შუამდინარეთში არსებული კუნძული, იქ, სადაც ახლა „მშრალი ხიდია“, და მისი კეთილმოწყობით დაკავდა. ეს კუნძული დიდი ხნის განმავლობაში მის სახელს ატარებდა.

გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანეს ძმებმა **ალექსანდრე და გრიგოლ ბიბილურებმაც.** ისინი გენერალლეიტენანტები იყვნენ, ხოლო მესამე ძმა — **პავლე** ციმბირის ფეხოსანთა პოლკს შეფობდა. ის ბოროდინოს ველზე მძიმედ დაიჭრა და მხედველობა დაკარგა. აღსანიშნავია, რომ მათი მამა — გენერალ-ადიუტანტი **სერგო ბიბილური** სამამულო ომის დროს იყო გენერალური კონსული მოლდავეთში, ბესარაბიასა და ვალახეთში.

სამწუხაროდ, ამ ინტერვიუში ვერ ჩავტევთ ყველა იმ ქართველს, რომლებიც ბოროდინოს ბრძოლაში მონაწილეობდნენ. მათ შორის იყვნენ უფლისწულები, თავადები, აზნაურები, უბრალო მოსამსახურეებიც. საკმარისია ვახსენო მომავალი გენერალი, პოეტი **ალექსანდრე ჭავჭავაძე** — იმპერატრიცა ეკატერინე მეორის ნათლული, პირველი არმიის სარდლის, გენერალ ბარკლაი დე ტოლის, ადიუტანტი. ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ ბარკლაიმ წერილი გაუგზავნა მარკიზ პაულუჩის, რომელმაც რეკომენდაცია გაუწია ალექსანდრე ჭავჭავაძეს. მასში გენერალი მარკიზს დიდ მადლობას უხდიდა ჭკვიანი, განათლებული და მამაცი პროტეჟეს გამო.

**— ბატონო ლევან, მიჩნდება ასეთი კითხვა: ამდენი ქართველი გენერალი და ოფიცერი საიდან აღმოჩნდა რუსეთის არმიაში 1812 წელს? როგორც ვიცი, პავლე პირველმა ვერაგულად დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი და 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და რუსეთის გუბერნიად აქცია იგი.**

— **ჯერ კიდევ 1722 წელს პეტრე პირველმა დადო ხელშეკრულება სამხედრო კავშირზე ქართლის მეფე ვახტანგ VI-თან და ერთი წლის შემდეგ, 1723 წელს, უფლება მისცა ქართველებს რუსულ ჯარში მსახურებისა. აი, ამ დროიდან, უფრო ზუსტად, 1723 წლის 16 სექტემბრიდან, რუსეთის არმიაში იქმნება პირველი ქართული რაზმები.**

არაა გამორიცხული, რომ პეტრე პირველს ეს ნაბიჯი გადაადგმევინა იმ გარემოებამაც, რომ მისი ბავშვობის უახლოესი მეგობარი, ქართველი უფლისწული **ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი** გახლდათ. ისინი 12 წლიდან ერთად იზრდებოდნენ, ორივე აწყობდნენ გრანდიოზულ გეგმებს, ორივემ იმოგზაურა ევროპაში და ორივე ერთად შეუდგა რუსული რეგულარული არმიის ჩამოყალიბებას. ალექსანდრე პეტრესთვის ისეთი ახლობელი და ძვირფასი პიროვნება იყო, რომ, როცა ის ნარვასთან შვედებმა დაატყვევეს, პეტრემ კარლ მეთორმეტეს უზარმაზარი თანხა შესთავაზა ალექსანდრეს გამოსასყიდად, მაგრამ ვერ დაითანხმა, დანარჩენი რუსი გენერლები კი უპირობოდ გაათავისუფლა!



პეტრე პირველი

**ალექსანდრე ბაგრატიონს, ზარბაზნების საქმის ბრწყინვალე მცოდნეს, პეტრე პირველმა მიანიჭა რუსეთში მანამდე არ გაგონილი გენერალფელდციეხმაისტერის წოდება. ეს 1700 წლის 17 მაისს მოხდა. ეს თარიღი ითვლება სახელოვანი ქართული გენერალიტეტის ათვლის წერტილად; ხოლო ქართველი უფლისწული ალექსანდრე ბაგრატიონი რუსეთის ისტორიაში შევიდა, როგორც რუსული არტილერიის მამამთავარი!**

**შეიქმნა ასევე ქართველ ჰუსართა პოლკი — პირველი ჰუსართა შენაერთი რუსულ არმიაში, რომლის სახელიც მთელ იმპერიაში ქუხდა!**

ქართველების მეორე ტალღა რუსულ ჯარში მსახურებისა დაიწყო უკვე 1801 წლის შემდეგ. 1700 წლიდან მოყოლებული, 1917 წლის ჩათვლით, 500-ზე (!) მეტი ქართველი გენერალი ერთგულებით ემსახურებოდა რუსეთის გვირგვინს. ამდენი გენერალი რუსეთის იმპერიის არც ერთ სხვა ერს, რა თქმა უნდა, რუსების გამოკლებით, არ ჰყავდა!

**— საუბრის ბოლოს, მოდით, მთავარ გმირს, პეტრე ბაგრატიონს დავუბრუნდეთ. როგორც მსმენია, 1932 წელს ბოლშევიკებმა მისი საფლავი ააფეთქეს. რატომ?**

— დავაზუსტებ: არა ბოლშევიკებმა, არამედ კოსმოპოლიტ ტროცკისტებმა, რომლებიც ყველანაირი ეროვნული მეხსიერების გამოვლენას ებრძოდნენ. მათი დასჯა სტალინმა მხოლოდ 1937-38 წლებში მოახერხა.

**მართლაც, ბედის ირონიით, „რუსეთის არმიის საუკეთესო გენერალი“, როგორც მას ნაპოლეონმა უწოდა, სამჯერ დაასაფლავეს!.. პირველად სოფელ სიმაში; მერე, 1839 წელს, მისი ნეშტი გადაასვენეს ბოროდინოს ველზე და რაევსკის ბატარეაზე დაკრძალეს. სამგლოვიარო მსვლელობის დროს სოფლების მცხოვრებლებმა კატაფალკიდან გამოხსნეს ცხენები და მათ მაგივრად მარხილში თავად შეებნენ! აი, ასე მიაცილა რუსმა ხალხმა პეტრე ბაგრატიონი ბოროდინოს ველამდე!**

როგორც მოგახსენეთ, 1932 წელს ბაგრატიონის საფლავი და მთავარი მონუმენტი ააფეთქეს. აღსანიშნავია, რომ 1941 წელს, აქ გამართული ბრძოლების დროს, ეს ისტორიული ძეგლი ძლიერ დაზიანდა. მემორიალური კომპლექსი მხოლოდ 1987 წლის 18 აგვისტოს აღადგინეს მთლიანად. ამ დღეს პეტრეს ნეშტმა საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი იქ, სადაც ნაპოლეონის იმპერია დასამარდა!

დიდი კორსიკელი ნაპოლეონ ბონაპარტე ლაიფციგთან და ვატერლოოსთან სასტიკად დამარცხებული ჩავიდა სამარეში; ეს 1821 წლის 5 მაისს მოხდა. დიდმა ქართველმა, დაუმარცხებელმა პეტრე ბაგრატიონმა კი 1812 წლის 24 სექტემბერს დაიმკვიდრა უკვდავება!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

**«ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი პეტრესთვის ისეთი ახლობელი და ძვირფასი პიროვნება იყო, რომ, როცა ის ნარვასთან შვედებმა დაატყვევეს, პეტრემ კარლ მეთორმეტეს უზარმაზარი თანხა შესთავაზა ალექსანდრეს გამოსასყიდად»**

უახლესი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ის, რაც აქ ხდება, თავისი არსით წარმოდგენაა, რომელიც უნდა წარიმართოს სასამართლო პროცესის სახით, ეს არის დანაშაული, რომელიც მიმართულია სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ, სერბი ხალხის წინააღმდეგ, პირადად ჩემ წინააღმდეგ, ვინც გსურთ გაასამართლოთ იმ ქმედებათა გამო, რაც მან ქვეყნის ხელმძღვანელობის დროს განახორციელა ამ სახელმწიფოსა და მისი ხალხის დასაცავად ტერორიზმისგან და ყველაზე დიდი სამხედრო მანქანისგან, რომელიც ოდესმე უნახავს სამყაროს და რომელიც ტერორიზმთან არის შერწყმული.“

# ტრაგედია გმირითურთ

## სასიკვდილოდ განწირული კაცის სიტყვა

**სლობოდან მილოშევიჩი იუგოსლავიის მეოთხე პრეზიდენტი იყო (1997 წლის 23 ივლისი — 2000 წლის 24 სექტემბერი).
მის სახელთანაა დაკავშირებული ეთნიკური კონფლიქტებისა და სამოქალაქო ომების ურთულესი პერიოდი, რომელიც 1990 წლის დასაწყისში იუგოსლავიის დაშლას მოჰყვა და რომელიც 1999 წელს ნატოს შეიარაღებული ძალების მასშტაბური სამხედრო ჩარევით დაგვირგვინდა. ამ კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებსა და მიმდინარეობას პრინციპულად განსხვავებულად განმარტავენ როგორც ამ კონფლიქტების მონაწილე დაპირისპირებულ მხარეთა, ისე მსოფლიო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.**

ერთნი მილოშევიჩს ამ დრამატული მოვლენების ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ მიიჩნევენ, მეორენი ამტკიცებენ, რომ იგი მსხვერპლია აშშ-ისა და ნატოს მიერ განხორციელებული ანტიიუგოსლავიური პოლიტიკის. ამ უკანასკნელთა მტკიცებით, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი, კოსოვოში, აშშ-ის მიერ შეგნებულად პროვოცირდებოდა კონფლიქტი, ამერიკა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ამზადებდა ნატოს სამხედრო ჩარევის გასამართლებლად, რათა შეეცვალა იუგოსლავიის ხელმძღვანელობა, ამ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური კურსი, დაენაწევრებინა იგი და დაეწესებინა რეგიონში საკუთარი კონტროლი ევროპული სტრუქტურების მეშვეობით.

**2000 წლის 5 ოქტომბერს ე. წ. ბულდოზერული რევოლუციის შედეგად მილოშევიჩი დაამხეს. 2001 წლის 1 აპრილს დააპატიმრეს, 28 ივნისს კი ფარულად გადასცეს ყოფილ იუგოსლავიაში სამხედრო დანაშაულობათა საკითხების ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს.**

სიტყვა, რომლის თარგმანსაც დღეს გთავაზობთ, სამართალში მიცემულმა მილოშევიჩმა ჰააგის ტრიბუნალზე 2002 წლის 13 თებერვალს წარმოთქვა.

2006 წლის 11 მარტს ჰააგის ციხის პერსონალმა იგი გარდაცვლილი იპოვა თავის საკანში. დიაგნოზი, რომელიც ექიმებმა დაუსვეს, — მიოკარდის ინფარქტი.

**ცნობისთვის: ავადმყოფის სამკურნალოდ რუსეთმა თავის დროზე ითხოვა მისი გადაცემა, მაგრამ უარი მიიღო.**

2006 წლის 18 მარტს იგი დაკრძალეს მის მშობლიურ ქალაქ პოჟარევაცში.

მილოშევიჩის სიტყვა, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ტრაგედიის გარდაუვალობის შეგრძნებისა და სულისკვეთების გაუტეხლობით ერთგვარად ჰგავს იულიუს ფუჩიკის — ჩეხი ანტიფაშისტი მწერალის, კრიტიკოსის, ჟურნალისტის, ერთ პერიოდში უპოპულარეს და მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილ „რეპორტაჟს სახრჩობელიდან“, რომელიც მან, ფაშისტების მიერ სიკვდილმისჯილმა, საკონცენტრაციო ბანაკში დაწერა. სასტიკად ნაწამებ ფუჩიკს 1943 წლის ზაფხულში ბერლინის ციხე პლიოტცენზეეში გილიოტინაზე თავი მოჰკვეთეს.

**ფუჩიკის ამ წიგნში არის ერთი ღირსსახსოვარი წინადადება: „ადამიანებო, მე თქვენ მიყვარხართ! იყავით ფხიზლად!“.**

სიფხიზლისკენ მოწოდებაა მილოშევიჩის სიტყვაც.



# სლობოდან მილოშევიჩის სიტყვა ჰააგის ტრიბუნალის სასამართლოში

მინდა ვისარგებლო შემთხვევით, სანამ დავიწყებ გამოსვლას და წინასწარ დაგისვათ შეკითხვა **ამ სასამართლოს კანონიერების თაობაზე.**

ამაზე არავითარი პასუხი არ გაგიციათ. აღნიშნული სასამართლოს კანონიერების საკითხი დავაყენე იმ ფაქტის საფუძველზე, რომ იგი კანონიერად არ იყო შექმნილი, რომ **უშიშროების საბჭოს არ შეეძლო მისთვის მიენიჭებინა უფლება, რომელიც თავად არ გააჩნია,** და ამიტომ სასამართლოს არ შეუძლია ქმნას სამართალი.

**თქვენი პროკურატურიდან ხდება მიმდინარე საინფორმაციო კამპანიის დირიჟირება და პარალელური სასამართლო პროცესის ორგანიზება ინფორმაციის საშუალებებში, რომელმაც აღნიშნულ უკანონო სასამართლოსთან ერთად უნდა შეასრულოს ერთგვარი ლინჩის წესით გამსამართლებლის პარალელური როლი, რომელიც წინასწარ მოწოდებულია, ფაქტების განხილვის გარეშე, აღიაროს ჩემი ბრალეულობა.**

*(მოსამართლე სიტყვას აწყვეტინებს).*

ახლა კი გადავდივარ იმაზე, თუ რა მინდოდა მეთქვა საჯაროდ გამოსვლის ამ პირველი შესაძლებლობის დროს, რისი საშუალებაც შვიდი თვის გასვლის შემდეგ მომეცა. ამ ორი დღის განმავლობაში ყველა ბრალმდებელი, რომელთაც მოვუსმინეთ, წარმოთქვამდა ფრაზას, რომ ისინი **„ასამართლებენ მხოლოდ ცალკეულ პიროვნებას“.** ძალიან დელიკატურად **„არ უკავშირებენ ამას ხალხს ან სხვა რამეს“.** ისინი **„ასამართლებენ ცალკეულ პიროვნებას და არა ხალხს“.** ეს თქვა სამივე ბრალმდებელმა. მაგრამ **ყველა ბრალდებელი ბრალს დებს ხალხს, სერბეთის ინტელიგენციიდან დაწყებული. მათ ბრალი დასდეს სერბეთის ინტელიგენციას სერბეთის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის მეთაურობით.**

ჩვენ მოვისმინეთ ციტატები სერბეთის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის მემორანდუმიდან, რომელიც თითქოს ალბანელთა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობათა იდეური პლატფორმა იყო. არადა, ლაპარაკია მემორანდუმზე, რომელშიც სერბმა აკადემიკოსებმა პატიოსნად აღწერეს 15, ახლა უკვე მეტი წლის წინათ არსებული სიტუაცია და პასუხისმგებლობით ლაპარაკობდნენ კოსოვოში არსებულ მდგომარეობაზე.

მაგრამ ის, რომ ბრალს დებენ სერბეთის აკადემიასა და სერბეთის ინტელიგენციას, ერთი საკითხია. **ბრალს დებენ ვიდოვდანსა** (კოსოვოს ბრძოლის დღე — 1389 წლის 28 ივნისი. — რედ.) **და კოსოვოს ბრძოლას.**

განვიხილოთ თუნდაც საწყალი ბრალმდებლის ირონიული შენიშვნა იმის თაობაზე, რომ მან არ იცის, **რას ვზეიმობდით, რატომ შეიკრიბა ორი მილიონი ადამიანი კოსოვოს ველზე იმ ბრძოლის 600 წლის აღსანიშნავად, რომელშიც ჩვენ დავმარცხდით.** მან არ იცის, რახან შეუძლია ბრალი დასდოს სერბეთის ისტორიასაც და კოსოვოს ბრძოლასაც, რომ **ეს იყო ბრძოლა სერბეთისთვის და ევროპისთვის — სერბეთისთვისაც და ევროპისთვისაც.** მაგრამ აქ **ბრალი წაუყენეს არა მარტო სერბეთის ისტორიასა და მეცნიერებათა აკადემიას, ვიდოვდანსა და კოსოვოს ბრძოლას.** ბრალს დებენ არმიასა და პოლიციას, მოხალისეებსა და ტერიტორიულ თავდაცვას, რომლებსაც, როგორც ამბობენ, მომავალში მოიხსენიებენ კრებითი სახელით — „სერბული ძალები“... **ბრალს დებენ მთელ სერბ ხალხს.** თუმცა მთელი ამ კრიზიკული წლების განმავლობაში სერბეთი იყო ერთადერთი ქვეყანა ყოფილი იუგოსლავიის მთელ სივრცეში, რომელშიც არ არსებობდა არავითარი ეროვნული დისკრიმინაცია და რომელმაც სრულად შეინარჩუნა თავისი ეროვნული სტრუქტურა.

**თქვენ შეურაცხყოფთ მთელ ხალხს.** ცდილობენ იმ ფაქტების უარყოფას, რომლებსაც იცნობს მთელი მსოფლიო, რომლებიც ცნობილია მთელი პლანეტისთვის — **კოსოვოს დღე და ღამ დაბომბვა 24 საათის განმავლობაში, ყოველ დღე, 78 დღის მანძილზე, როცა საჰაერო განგაში ყოველდღიურად 24 საათს გრძელდებოდა, სურთ, უარყონ ეს ფაქტები მოწმე ალბანელების დახმარებით,** რომელთაც აქ მოიყვანენ, რათა განაცხადონ, ▶

მოკლედ

## ერაყში ერთ დღეში სიკვდილით 21 ადამიანი დასაჯეს

**ერაყის ხელისუფლებამ ერთ დღეში სიკვდილით დასაჯა 21 ადამიანი, რომელთა შორის სამი ქალია. ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, ყველა მათგანი ტერორისტულ საქმიანობაში იყო მხილებული.** ოფიციალურმა ბაღდადმა სიკვდილით დასჯის აღსრულების შესახებ ბრძანება, გაეროს პროტესტის მიუხედავად, მაინც გასცა. გაეროს წარმომადგენლები, უკვე დიდი ხანია, ერაყში სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმს ითხოვენ. ამასთან, საერთაშორისო ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ ერაყის სასამართლო სისტემის გაუმჭვირვალობასა და კორუმპირებულობაზე. ერაყიდან ამერიკული ჯარების გასვლის შემდეგ მასობრივი სიკვდილით დასჯა ქვეყანაში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. იანვარში აქ 17 ადამიანი ჩამოახრჩეს და დახვრიტეს, თებერვალში — 14. მიმდინარე წელს სიკვდილით დასჯილთა რაოდენობამ 90-ს გადააჭარბა.



უახლესი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „დაბომბეს მდინარე ველიკა მორავაზე გადებული ხიდი ვარვარინაში, შუადღეს, რელიგიური ზეიმის დღეს, თუმცა იცოდნენ და ხედავდნენ, რომ ხიდზე სამოქალაქო პირები იყვნენ თავმოყრილნი, მათი უდიდესი რაოდენობა.“

◀ რომ ისინი გაურბოდნენ „სერბეთის ძალებს“, როგორც თქვენ არმიასა და პოლიციას მოიხსენიებთ. **მსოფლიოში ცნობილი, პლანეტის თითოეული მოქალაქისთვის ცნობილი ფაქტების ანულირებას შეეცდებიან მავანი მოწმეები, რომლებიც აქ გამოცხადდებიან და იტყვიან: ჩვენ არ გავურბოდით ნატოს ბომბებს, ჩვენ კოსოვოდან „სერბეთის ძალებს“ გავექეცით. მთელი ეს კონსტრუქცია სიცრუეა.**

და მე მართლაც მიჩნდება შეკითხვა: არსებობს კი სასამართლო, რომელსაც ძალუძს, ხაზი გადაუსვას 78-დღიან, ყოველდღიურ, 24 საათის განმავლობაში წარმოებულ დაბომბვებს ე .წ. მოწმეების განცხადებათა საფუძველზე, თითქოს ისინი უნდა გაქცეულიყვნენ, რადგან, მათი მტკიცებით, მათ დევნიდნენ „სერბეთის ძალები“? აქ მსურს პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ბრალმდებლის მიერ ასეთი საშინელი და წარმოუდგენელი სიცრუის გამოყენება არის დანაშაული.

**სერბეთის არმია და პოლიცია პატიოსნად და რაინდულად იცავდა თავის ქვეყანას.**

რა არის ამაში ცუდი? გუშინ აქ მოვისმინე, რას ლაპარაკობენ სამი გენერლის დაჯილდოებაზე. რა არის ცუდი იმაში, რომ დაჯილდოვდნენ ქვეყნის დამცველი გენერლები? დიახ, დაჯილდოებულია რამდენიმე ათასი ადამიანი მამაცობისთვის ნატოს აგრესიის დროს. **ჩვენ ხომ ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელმაც ჩამოაგდო ნატოს თვითმფრინავი-უჩინარი, ე. წ. უჩინარი თვითმფრინავი, რომლის შექმნაზე, როგორც ჰოლბრუკი მეუბნებოდა, დაიხარჯა ორ-ნახევარი მილიარდი დოლარი.** ბაზაზე ვნახე ეს თვითმფრინავი, ხელით შევეხე. ბაზის სარდალი მიხსნიდა, რომ ეს თვითმფრინავი ამჟამად, ვთქვათ, 40 მილიონი დოლარი ღირს, ჰოლბრუკი ყურში მიჩურჩულებდა: **„ტყუის, 250-ზე ნაკლები არ ღირს. ისინი ხარჯებს ამცირებენ“.** და აი, ეს ტექნიკის სასწაული, რომლის დანახვა არავის შეუძლია, რომლის ჩამოგდება არავის შეუძლია, ჩვენ ჩამოვაგდეთ. იმსახურებს თუ არა ჯილდოს ის, ვინც ჩამოაგდო ეს უჩინარი თვითმფრინავი, რომელიც ვოევოდინის ცაში იმიტომ მოფრინდა, რომ დაეთესა სიკვდილი ბავშვებს შორის?! იგი ორმოცდაათ ჯილდოს იმსახურებს.

**და ყველა, ვინც ჩამოაგდო თვითმფრინავი, დაჯილდოვდა. და ყველა, ვინც ჩამოაგდო ფრთიანი რაკეტა, დაჯილდოვდა.**

თქვენ იუგოსლავიაზე დახარჯეთ ყველა არსებული ფრთიანი რაკეტა, ფრთიანი რაკეტების მთელი მარაგი, აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ რამდენი ათასი, ათეულათასობით საბრძოლო გაფრენა განახორციელეთ. ჩვენ მოვისმინეთ შეშფოთებულ გენერალ ჯორტის, რომელიც ფლორენციის ბაზიდან სარდლობდა ავიაციას, საუბარი შვილთან, მფრინავთან, რომელიც იუგოსლავიის ცაში დაიჭრა. ეს ფირი არსებობს და მისი დროც დადგება ბოლოს და ბოლოს. ბევრი სხვა რამის გარკვევის დროც დადგება.

**მაგრამ არა მარტო რამდენიმე ათასი ადამიანი დაჯილდოვდა ომის დროს გამოჩენილი მამაცობისთვის, რამდენიმე ათასი ადამიანი დაჯილდოვდა ქვეყნის აღდგენითი სამუშაოებისთვის.** მილიონობით მოქალაქის ზეადამიანური შრომის შედეგად შევძელით, ქვეყანაში შეგვექმნა ცხოვრების პირობები.

შემდეგ, **რატომ იწუხებთ თავს იმაზე ლაპარაკით, რომ კოსოვო სერბეთს ესაზღვრება?! კოსოვო არ ესაზღვრება სერბეთს, კოსოვო სერბეთია!**

რისი დამტკიცება გსურთ იმით, რომ არ გავეცი მავანი, ვინც დამნაშავედ მიგაჩნიათ? ეს საიდუმლოება არ არის. **დიახ, მე არასოდეს გავცემდი არავის, რადგან მიმაჩნია, რომ სასამართლო უკანონოა.**

გეკითხებით, კერძოდ: **რისი დამტკიცება გსურთ, როცა მოხალისე სერბების არსებობას იხსენებთ? იმათ არსებობას, ვინაც მდინარე დრინა მოხალისეებად გადალახეს? რისი დამტკიცება გსურთ სერბი მოხალისეების არსებობის ფაქტით? ისინი ხომ თავიანთი ძმების — სერბების დასახმარებლად წავიდნენ? თქვენ ხომ საერთოდ არ გაინტერესებთ, რამდენი მოჯაჰედი ჩამოვიდა ბოსნიაში ან კოსოვოში, რომლებიც თავების მოსაკვეთი ხმლებით ხელში დააკავეს.** გარკვეული მოთხოვნების შესრულების შემდეგ ისინი გაათავისუფლეს. ამრიგად, როცა არაბეთიდან 2000 კილომეტრის გავლით ჩამოდის ვინმე, ვინც ხმლით თავის მოსაკვეთად არის მოწოდებული, რათა ალია იზეტბეგოვიჩს დაეხმაროს, ნორმალურ ამბადაა მიჩნეული. მაგრამ, როცა სერბები სერბების დასახმარებლად მიდიან, ეს უკვე ისეთი რამეა, რითაც ბრალდების მხარე სერიოზულად უნდა დაინტერესდეს.




**«გამოიყენებდნენ ბომბებს, რომელთა აფეთქების შედეგად მათი მოქმედების ზონაში იწვოდა ადამიანების სხეულები»**

**რას ამტკიცებთ ერთი წინადადების ციტირებით გაზიმესტანის მოედანზე ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვიდან, რომელიც, შემიძლია გითხრათ, ძალიან კარგი სიტყვა იყო, ვიტყოდი — შესანიშნავი სიტყვა, რომელსაც არაფერი დაეწუნება.**

იგი წარმოთქმული იყო კოსოვოში, ყველაზე დიდი სერბული დღესასწაულის — ვიდოვდანის დროს. ეს დედნისეული ტექსტია. თუ ფიქრობთ, რომ ასე არ არის, გადაშალეთ 1989 წლის 29 ივნისის გაზეთები და წაიკითხეთ ეს სიტყვა: **დღესაც იმ ტექსტში ერთ სიტყვასაც არ შევცვლიდი.**

**ის, რაც აქ ხდება, თავისი არსით წარმოდგენაა, რომელიც უნდა წარიმართოს სასამართლო პროცესის სახით, ეს არის დანაშაული, რომელიც მიმართულია სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ, სერბი ხალხის წინააღმდეგ, პირადად ჩემ წინააღმდეგ,** ვინც გსურთ გაასამართლოთ იმ ქმედებათა გამო, რაც მან ქვეყნის ხელმძღვანელობის დროს განახორციელა ამ სახელმწიფოსა და მისი ხალხის დასაცავად ტერორიზმისგან და ყველაზე დიდი სამხედრო მანქანისგან, რომელიც ოდესმე უნახავს სამყაროს და რომელიც ტერორიზმთან არის შერწყმული.

**თქვენი სასამართლო უკანონოა კიდევ იმიტომ, რომ ფინანსდება ისეთი დოტაციების ხარჯზე, ისეთი წყაროებიდან, როგორიც საუდის არაბეთია, რომლებიდანაც ფინანსდება საერთაშორისო ტერორიზმიც.**

იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული აგრესია, ინტენსივობისა და სამხედრო ძალის თვალსაზრისით, მსოფლიოში უდიდესია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. იგი განხორციელდა ცხრამეტი ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყნის ალიანსის მიერ და იუგოსლავიაზე უსაზღვროდ ძლიერია. **ნატოს არ ამოურჩევია თავისი მსხვერპლი.**

იღუპებოდნენ ბავშვები, ქალები, მოხუცები, ავადმყოფები, მშობიარენი, მძიმე ავადმყოფები, ლტოლვილთა კოლონები, ჟურნალისტები და ოპერატორები სამუშაო ადგილებზე, მიწადმოქმედნი მინდვრებში, გამყიდველები ბაზრების დახლებთან, მგზავრები ავტობუსებსა და მატარებლებში, ხიდებზე გამვლელი ხალხი. დანგრეული და დაზიანებულია მთელი კვარტლები, ქალაქების ცენტრები. ყველაფერი განცხადებასთან შეფარდებითაა გაკეთებული, თქვენ წაკითხული გაქვთ გაზეთებში იმის თაობაზე, რომ **სერბეთი უნდა დაბრუნდეს ქვის ხანაში. მოკლული სამოქალაქო პირების საერთო რაოდენობის 30 პროცენტი ბავშვებია, მძიმედ დაჭრილ სამოქალაქო პირთა საერთო რაოდენობის 40 პროცენტი ბავშვებია.** მე ახლა მხოლოდ სამოქალაქო პირებზე ვლაპარაკობ.

კოსოვოში დაბომბვის მთელი ამ კამპანიის დროს მათ 7 ტანკის განადგურება შეძლეს. სამაგიეროდ, ტანკებზე გაცილებით მეტი საავადმყოფო გაანადგურეს, ტანკებზე გაცილებით მეტი სკოლა მოსპეს, ტანკებზე გაცილებით მეტი სამედიცინო ცენტრი და საბავშვო ბაღი გაანადგურეს. **განსაკუთრებით მშვიდობიან ობიექტებს უმიზნებდნენ, სერბეთის ქვის ხანაში დაბრუნების მოწოდებიდან გამომდინარე.**

მაშასადამე, დამახასიათებელია სამოქალაქო ობიექტების დაუნდობელი განადგურება. **მთავარი ამოცანა — რაც შეიძლება მეტი ტანჯვა სამოქალაქო პირების, რაც შეიძლება მეტი ზიანი ადამიანების სიცოცხლეს და რაც შეიძლება მეტი დახოცილი.**

თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმ ფაქტს, რომ **გამოიყენებდნენ ბომბებს, რომელთა აფეთქების შედეგად მათი მოქმედების ზონაში იწვოდა ადამიანების სხეულები.** ამ ბომბებს იყენებდნენ დასახლებულ პუნქტებში მდებარე სამიზნეთა გასანადგურებლად. კასეტურ ბომბებს ყრიდნენ მინდვრებში და, ცნობისმოყვარე ბავშვები ამ ბომბებს რომ პოულობდნენ, სიცოცხლეს ესალმებოდნენ.

**აშკარაა, რომ აგრესორის სამიზნე სამოქალაქო პირები იყვნენ.**

ამას ადასტურებს დღისითმზისით გრდელიჩის ხეობაში ხიდის დაბომბვის მაგალითი, 30 მაისს კი (ამას მოგვიანებით ნახავთ) **დაბომბეს მდინარე ველიკა მორავაზე გადებული ხიდი ვარვარინაში, შუადღეს, რელიგიური ზეიმის დღეს, თუმცა იცოდნენ და ხედავდნენ, რომ ხიდზე სამოქალაქო პირები იყვნენ თავმოყრილნი, მათი უდიდესი რაოდენობა.** ერთი საათის შემდეგ მათ კვლავ ესროლეს ამ ნაგებობას, მიუხედავად იმისა, იცოდნენ, რომ დანგრეულ ხიდზე უკვე იმყოფებოდნენ მაშველთა რაზმები, რომლებიც დაშავებულებს ეხმარებოდნენ.

**თითოეული ეს დანაშაული უდიდესი ტრაგედიაა. მიზანი კი, როგორც ჩანს, მთელი იუგოსლავიელი ერის ტერორიზება და გატეხვა იყო. მიზანი პრაქტიკულად მთელი ხალხი იყო.** იტალიის საპარლამენტო პარტიების პოლიტიკური ლიდერები მეუბნებოდნენ, ომის დროს მე ყველას ვილებდი — მემარცხენეებსაც, მემარჯვენეებსაც, ისინი მეუბნებოდნენ: ჩვენ არ ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა, ჩვენ არავინ გვეკითხება, ვიომებთ თუ არა მეზობელ ქვეყანასთან. აგრესიამ დაგვანახა, რომ **ნატოს პაქტი კავშირი კი არ არის, არამედ ამერიკის ადმინისტრაციის დანამატია, რომელსაც შეუძლია მისი გამოყენება, როცა გადაწყვეტს და როგორც გადაწყვეტს.**

ამიტომ დღეს აშკარაა, რომ ნატოს აგრესიის ნამდვილი მიზეზი ნატოს და მისი ცალკეული წევრების გეოსტრატეგიული გაფართოება, აგრესიისა და ძალის გამოყენების პრეცედენტის შექმნა იყო გაეროს წესდების საწინააღმდეგოდ და უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშე.



**«რატომ იწუხებთ თავს იმაზე ლაპარაკით, რომ კოსოვო სერბეთს ესაზღვრება?! კოსოვო არ ესაზღვრება სერბეთს, კოსოვო სერბეთია!»**

## ჩინეთმა აშშ-ში ისტორიაში უმსხვილესი ინვესტიცია განახორციელა

**2012 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში ჩინურმა კომპანიებმა აშშ-ის ბაზარზე 7,8 მილიარდი დოლარის შერწყმისა და შთანთქმის ოპერაციები განახორციელეს. გარიგებების ეს მოცულობა აშშ-სა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიაში რეკორდული აღმოჩნდა.** ამერიკა-ჩინეთს შორის უმსხვილესი გარიგება გახდა კორპორაცია Dalian Wanda-ს მიერ ამერიკის კინოთეატრების ქსელის, AMC Entertainment-ის, შეძენა. ინვესტიციების თანხამ 2,6 მილიარდი დოლარი შეადგინა. AMC-ი ამერიკასა და კანადაში სიდიდით კინოთეატრების მეორე ქსელია. ლიდერის პოზიცია Regal Entertainment-ს ეკუთვნის. თავის მხრივ, Wanda არის ჩინეთის ლიდერი გართობის ინდუსტრიის დარგის ინვესტორებს შორის. კომპანია ასევე მართავს აქტივებს უძრავი ქონების სფეროში, სასტუმრო ბიზნესში, ტურიზმსა და საცალო ვაჭრობაში. ამერიკაში განხორციელებული ინვესტიციების მხრივ მეორე ადგილზეა ჩინური სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანია Sinopec-ი, რომელმაც 2,4 მილიარდი დოლარი ჩადო ამერიკის ნავთობისა და გაზის მოპოვების სფეროში. Credit Suisse-ის წარმომადგენელთა განცხადებით, რომლებიც აშშ-ში ჩინელი ინვესტორების ნახევარს უწევენ კონსულტაციას, ჩინეთი უცხოეთში ენერგეტიკულ პროექტებში ფულს იმიტომ დებს, რომ თავად განიცდის ნავთობისა და გაზის დეფიციტს.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„წარმატებას რომ მიაღწიო, ადამიანებს, უპირველესად, თავისუფალი აზროვნების ძარღვი სიცრუითა და ვერაგობით უნდა გადაუკვანძო, აშიმშილო და ისე დააბეჩავო, რომ ლუკმაპურის შოვნის გარდა სხვა რამეზე საფიქრალი აღარ დაუტოვო.“

# პოლიტიკური ფანტასმაგორია

## მიშმაკები — ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში



**გამოქვაბულის ვიწრო შესასვლელთან ლოდზე ორი ეშმაკი იჯდა. ირგვლივ სხვა ეშმაკებიც ფუსფუსებდნენ, მაგრამ ესენი უფრო მკვეთრად ყარდნენ გოგირდის სუნით და ადუღებულ კუპრში ახლადნაბანავებთ ბალნიდან გამდნარი კუპრი წვეთავდათ.**
**ვიწრო შესასვლელთან ლოდს ქაჯურ ენაზე ეწერა: „უწმინდური, უბოროტესი, უვერაგესი გარყვნილების მისაღები“.**

შესასვლელი ისეთი ვიწრო იყო, შიგ ეშმაკი თუ შეეტეოდა ან ადამიანი, რომელმაც ეშმაკს მიყიდული სულის გამო მთლად დაკარგა წონა და ქარსგატანებული ბუმბულივით უმისამართოდ ფარფატებს.

— **რაზე გვიბარებს?** — შესასვლელის ლოდზე დასკუპებულ ეშმაკს ჰკითხა აყლაყუდა, რქამოტეხილმა, წითურმა ეშმაკმა.

— **შენ პატიოსნებით და სიმართლით ხომ არ დაგიავადდა უსინდისობა და სიცრუე? რაღა ეშმაკი ხარ, თუ რამის გასაგებად სხვას ეკითხები!** — გაუწყრა შესასვლელის ეშმაკი.

— **შეურაცხყოფას ნუ მაყენებ!** — იწყინა აყლაყუდამ, საზარლად დაიღრიჯა, მერე კლდის ქიმს შეახტა და გამოქვაბულში შეძვრა.

იქ ბელზებელი ადუღებულ კუპრში ბანაობის შემდეგ გოგირდის ბოლს ექაჩებოდა.

— **მოგესალმებით, დიდო უწმინდურობავ!** — რქამოტეხილმა ეშმაკმა თავის მიწაზე დაკვრით თაყვანი სცა.

— **მე კი ვარ დიდი უწმინდურობა, მაგრამ შენ წმინდანობით ხომ არ დაისვარე?! რა ხდება რუსეთში, რატომ ვერ გარყვენი იმ დონეზე, რომ მარტივ მამრავლებად დაიშალოს და მთლიანად ქაჯთა სამსახურში ჩადგეს?!**

— **მე რა ვქნა, იმ ტუტუცი და ლოთი ხელმძღვანელების შემდეგ, ახლა ისეთი კაცი ჩაუდგა სათავეში, რომ დაშლა კი არა, შეიძლება ისეთი ჭიტლაყი ამომკრას, სტალინის დროს რომ მომხვდა, და დასავლეთ ევროპაში დაზღართებულს მეორე რქაც მომტყდეს,** — ნაცემი ძაღლივით აწკმუტუნდა.

— **კარგად ამიხსენი, ამისთანა რა ხდება?**

— **უწმინდურების, მუხთლების, გარყვნილების და ყოველივე ეშმაკეულის წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა და დაშლის მაგიერ ახალ გაერთიანებას აყალიბებენ; მოკლედ, ძლიერდებიან.**

— **ვააა!** — აღმოხდა გაკვირვებულ ბელზებელს.

— **ეგ კიდევ არაფერი. ხომ გახსოვს, ჩემი მეცადინეობით რუსეთმა საქართველოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რომ წაართვა და დამოუკიდებლად გამოაცხადა. ახლა საქართველოში ისეთი არეულობა დაიწყო, თუ ეს ეშმაკების მსახური პრეზიდენტი თავისი ბანდით მოიშორეს, რუსეთთან აუცილებლად ძველებურად დაძმობილდებიან და ეშმაკების, ქაჯების და უამრავი უწმინდურობის საჯირითო ლამაზი ქვეყანა კვლავ გაერთიანდება. პატიოსნება, სიკეთე, სიმართლე, უწმინდესობა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული ჩვენ სახსენებელს გააქრობს,** — ამოიკნავლა რქამოტეხილმა ახმახმა.

— **ვააა! მე კიდევ საქართველო ჩემ სატახტო მამულად წარმომედგინა უკვე, აქედან ვაპირებდი მთელი მსოფლიოს გარყვნა-გადაშენებას და ქაჯთა სამსახურში ჩაყენებას,** — მწარედ ამოიხრიალა ბელზებელმა, გოგირდის ახრჩოლებული ჩიბუხით ღრმა ნაფაზი დაარტყა და ახმახს სახეში შეაბოლა.

გამოქვაბულში ეშმაკები მოძვრებოდნენ, ქვებზე ადგილებს იკავებდნენ და ხმადაბლა ყბედობდნენ. ყველაზე მეტს აქტიურობდა კოჭლი, ბალანგახუნებული, პირვიწრო და თვალებმიმოფანტული, ჩლიქმოცვეთილი ეშმაკი, ჩმახს რომ ეძახოდნენ.

— **სულ მალე მსოფლიოს ერთადერთი მბრძანებელი ეყოლება ჩვენი უწმინდური, უბოროტესი, უვერაგესი გარყვნილების სახით!** — მან საზეიმოდ გამოაცხადა და ჩლიქი ჩლიქს შემოჰკრა; დანარჩენებმაც ატეხეს ჩლიქთა რაკუნი.

ბელზებელი სიამოვნებისგან დაიჯღანა. ეშმაკთა საკრებულომ ჩლიქთა რაკუნი ოვაციად აქცია.

— **რა ძლიერი ხარ, დიდო უწმინდურესობავ! ახლა შენთვის რომ შემოეხედა პატიოსნებას და სათნოებას, ნამდვილად გაუსკდებოდა გული,** — შეაქო ჩმახმა.

— **მაინც რა დაიმსახურე ისეთი, რომ ლაპარაკს აღარავის გვაცლი?!** — აღშფოთდა გამოპრანჭული, ჩლიქზე მანიკურწაცხობილი, კეფასთან კოსად შეკრულბალნიანი, ტუჩებპომადიანი ბებერი ეშმაკი, — **ნორმალურად პედერასტების პარადიც კი ვერ ჩაატარეთ,** — უკმაყოფილოდ ნაზად ჩაიქნია მარცხენა ჩლიქი ევროპის ღვაწლმოსილმა ეშმაკმა და გოგირდის კვამლი ღრმად ჩაისუნთქა.

— **მართალია, მართალი, ეგ მეტიჩარა და ტრაბახაა!** — აყაყანდნენ ეშმაკები.

ბელზებელმა ჩლიქი მაღლა ასწია და ეშმაკები დადუმდნენ.

— **ჩმახი რის ეშმაკია, რომ მეტიჩარა, ტრაბახა, მატყუარა, უნამუსო, ბოროტი და ვერაგი არ იყოს. ჩავარდნებიც ჰქონია და პატიოსნებისგან ჭიტლაყიც ბევრჯერ მიუღია. მაგრამ ამჟამად აშკარად წარმატებულად მოღვაწეობს ქართველი ხალხის გაბითურება-დაკნინება-გადაგვარების ხაზით. მეც იმიტომ შეგკრიბეთ აქ, რომ კაცობრიობის გარყვნის, უზნეობისა და ბოროტების გზაზე წარმატების მისაღწევად ჩმახის გამოცდილებიდან რაიმე შეითვისოთ. მსოფლიოს ერთი მეუფე უნდა ჰყავდეს — ბოროტება, გარყვნილება, უზნეობა და ათასი სიბინძურე ჩემი სახით!** — ბელზებელმა ჩლიქი მაღლა ასწია და **დაიჯღანა.**

— **დიდება უწმინდურ, უვერაგეს ბოროტებას!** — აყიყინდნენ ეშმაკები.

შექებით ნასიამოვნები ქართველთა დამაქცევარი და უბედურების სათავე ჩმახმა ჩლიქით მოიწმენდა ცხვირი და დაიწყო:

— **წარმატებას რომ მიაღწიო, ადამიანებს, უპირველესად, თავისუფალი აზროვნების ძარღვი სიცრუითა და ვერაგობით უნდა გადაუკვანძო, აშიმშილო და ისე დააბეჩავო, რომ ლუკმა-პურის შოვნის გარდა სხვა რამეზე საფიქრალი აღარ დაუტოვო. ხალხს წინამძღოლად ისეთი ადამიანები უნდა მოუვლინო, პატიოსნებაზე, ქვეყნისა და ხალხის ბედნიერებაზე ცრუ ქადაგების მიღმა ეშმაკის ჭკუის კარნახით მოქმედებდეს. თუ ვინმე მეტიჩარა გამოჩნდება და ყვირილს ატეხავს, წინამძღოლად ჩრდილგაყიდული ეშმაკის მსახური გვყავსო, შეთითხნილი ბრალდებით თუნდაც ბატკანს მგლის დაგლეჯისთვის ჩაქაფულის ქვაბში ჩადებ. უნდა შეძლო, ისე მოუკლა სიამაყე და თავმოყვარეობა, რომ ადამიანს მხოლოდ გარეგნულად ჰგავდეს, შინაარსით კი ქათამი, კურდღელი, ცხვარი და ყველა მფრთხალი არსება მასზე გაბედული და თავისი მოდგმისთვის თავდადებულად მოგეჩვენოს. გახსოვდეთ, უწმინდურო არამზადებო, კაცობრიობაში თუ ბლომად ჩათესლავთ ლაჩრებს, მშიშრებს, მოხვეჭისა და გაძღომის მონებს, ხალხს ცხვრის ფარად აქცევთ. ჰოდა, როცა გინდათ, დააფრთხობთ, გაპარსავთ, გაყიდით, დაკლავთ და ყოველივე ამისთვის მადლობის ჰანგზე აღრიალებთ და მსოფლიოში უწმინდურ ეშმაკთა ბატონობას ხელს ვეღარაფერი შეუშლის!** — ჩმახმა მეჩხერ წვერზე მომდგარი დორბლი კედელში გამოშვერილ ქვას შეაწმინდა და ამაყად გადახედა წვეტიან ქვებზე წამოსკუპებულ ეშმაკებს.

«ხალხს წინამძღოლად ისეთი ადამიანები უნდა მოუვლინო, პატიოსნებაზე, ქვეყნისა და ხალხის ბედნიერებაზე ცრუ ქადაგების მიღმა ეშმაკის ჭკუის კარნახით მოქმედებდეს. უნდა შეძლო, ისე მოუკლა სიამაყე და თავმოყვარეობა, რომ ადამიანს მხოლოდ გარეგნულად ჰგავდეს»

— **ძალიან მაგრად თქვა,** — შეაქო ბელზებელმა.

— **მაგრა კი თქვა, მაგრამ საქმეში დიდი არაფერია. ნორმალურად გეი აღლუმიც კი ვერ ჩაატარეს,** — საყვედური გამოთქვა ევროპის მოპრანჭულმა ეშმაკმა.

— **შე გერმაფროდიტო, საქართველოში ამ ეტაპზე პედერასტების აღლუმის ჩატარება ხუმრობა არ გეგონოს. სად არის ამდენი პედერასტი! „ნაციონალები“ გამოპრანჭეს, გადაკრიჭეს პედერასტებად და არც ამან გაამართლა. ხალხი ჯერ კიდევ მთლად ფარად არ ქცეულა, ეგრე ხელაღებით მისი აბუჩად აგდება საშიშია. ჯერ არც იმდენად არიან დაბეჩავებული, რომ ერთსქესიანი ქორწინება დაუკანონდეთ ან ბიძაშვილმამიდაშვილები ერთმანეთს სისხლის აღრევით დაერიონ; ვერც ბაყაყის, ლოკოკინას, გველის, ხვლიკის და სხვა უამრავი სისაძაგლის ჭამას ვერ შევაჩვიეთ. მაგრამ დიდი იმედი გვაქვს, რომ ეშმაკეული პრეზიდენტის და ჩემი დაუზარელი ჩიჩინ-ჭყლოპინით ამასაც აითვისებენ და ყველა სისაძაგლით და უკუღმართობით თქვენ გაგასწრებენ. შეიძლება, პრანჭია გერმაფროდიტო, საქართველოში გამორბოდეთ ჩვენი გამოცდილების ასათვისებლად, ისე, როგორც ახლა დარბიხართ ჩატარებული რეფორმების შესასწავლად,** — ნიშნის მოგებით, ამაყად თქვა ჩმახმა. ▶

### რომნიმ ობამას აჯობა



**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა მიტ რომნიმ წინასაარჩევნო მარათონის დაწყებიდან პირველად სოციოლოგიურ გამოკითხვებში აშშ-ის ამჟამინდელ პრეზიდენტს ბარაკ ობამას აჯობა.** ბოლო გამოკითხვის თანახმად, რომელიც გაზეთმა ,,ვაშინგტონ პოსტმა“ ჩაატარა, რომნის მხარს 47 პროცენტი უჭერს, ობამას კი — 46 პროცენტი.

### ჰარი პოტერის სახლს 1,2 მლნ ევროდ ყიდიან



**დიდ ბრიტანეთში აუქციონზე გამოიტანეს ძველი სახლი, რომელშიც, სცენარის მიხედვით, თავად ჯადოქარი ჰარი პოტერი და სკოლის დირექტორი ალბუს დომბლერი დაიბადნენ. აუქციონზე უძრავი ქონების ღირებულება 950 ათას ფუნტ სტერლინგადაა (1,2 მილიონი ევრო) შეფასებული.** სახლი სახელწოდებით „de Vere House“ XIV საუკუნეშია აგებული და ის ქალაქ ლავენგაში მდებარეობს. სახლი დიდ ბრიტანეთში ყველაზე ფოტოგენურია, პრემიერ-მინისტრის ლონდონის რეზიდენციის შემდეგ, რომელიც დაუნიგ-სტრისტის 10 ნომერში მდებარეობს. გავრცელებული წყაროების მიხედვით, „de Vere House“-ში 1498 წელს მეფე ჰენრიხ VII იმყოფებოდა, ხოლო სახლის ამჟამინდელი მფლობელები იქ 20 წელია ცხოვრობენ.

## „ესენი კიდევ ისე საფუძვლიანად სპობენ საქართველოში ყოველივე სასიკეთოს,ეროვნულს, საამაყოს, რომ მეც გაკვირვებაში მოვდივარ. რაც მთავარია, ხალხი ისე დააბეჩავეს, რომ ყოველივე უზნეობაზე, სიბინძურეზე, უამრავი სახის მუხთლობაზე აღარ რეაგირებს.“

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

— **წარმატებები ნამდვილად გაქვთ, მაგრამ მთლად ნუ გათავხედდებით,** — შენიშვნა მისცა ბელზებელმა.

— **თქვენო უწმინდურობა-უნამუსობა-გარყვნილება-გათახსირებულობავ!** — მიმართა ჩმახმა.

— **ვახ, რა მაგარი ქებით გაიპოხა თავი,** — წაიჩურჩულეს ეშმაკებმა.

— **ხომ კარგად გახსოვთ, რა ძლიერი, განვითარებული, განათლებული, გამრავლებული და ამაყი იყო ქართველი ერი? თუ არა ჩემი წარმატებული მუხთლობა, ვერაგობა, ეგოიზმი, კარიერიზმი, მომხვეჭელობა, სიცრუე და ტრაბახი, ვის შეეძლო წარმოედგინა დღევანდელ ყოფამდე მათი დაკნინება, დაბეჩავება, სამშობლოდან გაფრთხობა.**

ჩმახი კიდევ აპირებდა ქაქანის გაგრძელებას, მაგრამ ბელზებელმა შეაჩერა:

— **ეგ ყველაფერი შენი დამსახურებაა?** — ირონიულად ჰკითხა.

— **მე ვარ ქართველთა ჭირად მოვლენილი. მალე ყველას დავაჩაჩანაკებ, გავამათხოვრებ და ბელზებელის მორჩილ მსახურად ვაქცევ!** — პათეტიკურად აჭყლიპინდა ჩმახი.

— **რის იმედით ფანტავს ასე გაბედულ პერსპექტივებს?** — ახარხარდნენ მსმენელები.

— **პირველ რიგში ქვეყნის ხელმძღვანელ პოსტზე კარიერისტი, ხალხის მოძულე, მატყუარა, მლიქვნელი, ვერაგი და დაუნდობელი უნდა შეირჩეს. პოსტის და საკუთარი კეთილდღეობისთვის ასეთები მზად არიან, ჩვენ მოგვეყიდონ. მეც საქართველოს დარბევისთვის ბრძოლა იქიდან დავიწყე, როცა ხელისუფლების სათავეში ედუარდ დამაქცევარი, შემდეგ** თეთრ მელად მონათლული, ახლანდელი ბებერი კინტო გავაძვრინე. ქართველთა უბედურება აქედან დაიწყო. ეს კიდევ არაფერია იმასთან, რაც ამ ბებერმა კინტომ ეშმაკეული კადრების მოზიდვა-შერჩევაში კინაღამ მეც გამასწრო. გაკვირვებული ვარ. ამდენი უწმინდური, ვერაგი გარყვნილი როგორ მოაგროვა ერთად. თვითონ ვითომ „ვარდების რევოლუციით“ გადაყენებულმა, იმ ეშმაკეულ ხროვას გადააბარა ხელისუფლება. ესენი კიდევ ისე საფუძვლიანად სპობენ საქართველოში ყოველივე სასიკეთოს, ეროვნულს, საამაყოს, რომ მეც გაკვირვებაში მოვდივარ. რაც მთავარია, ხალხი ისე დააბეჩავეს, რომ ყოველივე უზნეობაზე, სიბინძურეზე, უამრავი სახის მუხთლობაზე აღარ რეაგირებს. სველი ენით იმ დემოკრატიის გამარჯვებაზე გაჰყვირიან, რომელიც ორივე ხელით მოახრჩეს. შედეგად ახლა საქართველოში ყოველივე ეშმაკეულის ბაირამობაა.

— **შენ ადრეც ბევრჯერ შეყარე ქვეყანა, ქართველებს მალე გადავაგვარებო,** — შენიშვნა მისცა ბელზებელმა.

— **ძალიან სიცოცხლისუნარიანი, სიკეთით და კაცთმოყვარეობით აღსავსე ერია. თანაც ყველაზე მძიმე ჟამს, როცა ყოფნა-არყოფნის გადამწყვეტი მომენტი უდგება, მაშინ გამოჩნდება ხოლმე ქვეყნისთვის თავდადებული გმირი და ჩემ მიერ უკულმა დატრიალებული ბედის ბორბალი აღმა იწყებს ბრუნვას.**

— **ახლა რა მდგომარეობაა? ხომ შეძლებ ეგ ხალხი საბოლოოდ დააყენო ეშმაკის ბილიკზე; ვერაგობით, უზნეობით და გარყვნილებით ჩვენ ლაქიათა ბრბოდ ხომ იქცევა?** — ბელზებელი მოუთმენლად ელოდა ჩმახის დადებით პასუხს, რამეთუ რქამოტეხილი ეშმაკის ნათქვამი ხასიათს უწამლავდა.

— **რა ვქნა, დიდო უწმინდურობავ! ხომ გითხარი, რომ მაგ ხალხს უფალი ეხმარება ხოლმე გამოუვალი გაჭირვების ჟამს.**

— **ახლა რა ხდება, კიდევ უფალი დაეხმარათ? არ გამაგიჟო!!!**

— **ჯერ არ ვიცი, უფალი ამ საქმეში გარეულია თუ არა, მაგრამ თანდათან საქმე ისე მიდის, რომ ხალხის გამოფხიზლებაში უფლისმიერ კურთხევას ვატყობ.**

— **დაწვრილებით გვიამბე, რა ხდება. დანარჩენებმა ყურადღებით მოუსმინეთ და ვის როგორ შეგიძლიათ, უნდა მიეხმაროთ ქართველთა გადაგვარება-გადაჯიშება-გასატანების საქმეში!** — ბრძანა ბელზებელმა და ადუღებულ კუპრში ჩაეშვა ამყრალებული სულ-ხორცით.

— **ხომ ვთქვი, როცა მეგონა, რომ ჩემს ეშმაკეულ საქმეში წინ ველარაფერი დამიდგება, ყოველთვის უფალი მიშლის ხელს. ბევრის თქმით თავს არ შეგაწყენთ, ერთს გავიხსენებ მხოლოდ: ქართველთა გადაჯიშება-გადაშენება-ამოწყვეტას ხელს აღარაფერი უშლიდა და მეც ქაჯურად ვზეიმობდი. გიორგი სააკაძემ კიდევ რა ჩაიდინა, მარტყოფის ველზე ირანის მთელი ჯარი გაწყვიტა და საქართველოს ხსნასა და ქართველთა გადარჩენას თავისი შვილი შესწირა. ახლა მითხარით, ეს ნორმალური საქციელია?! რამდენი ვეხვეწე, ჩემთვის მოეყიდა სული და ეცხოვრა განცხრომით. არაფრით არ ქნა, თორე დღეს ადუღებულ კუპრში აქ, ჩვენთან ერთად, იჭყუმპალებდა. უფალმა კიდევ მოჰკიდა ხელი და პირდაპირ სამოთხეში დააბინავა ცოტნე დადიანთან, დიმიტრი თავდადებულთან, მღვდელ თევდორესთან და ყველა იმათთან, ვინც ჩვენთვის სულის მოყიდვას სამშობლოსთვის თავგანწირვა არჩიეს. ვითომ რით სჯობია სამოთხე ჯოჯოხეთს? ყველა კუთხე-კუნჭული რომ მოიარო, ვერსად ნახავ ადუღებულ კუპრს და გოგირდის სიმყრალეს. მოკლედ, ქართველებს გაჭირვების ჟამს ამგვარი, ეშმაკებისთვის საშიში ადამიანები გამოუჩნდებიან ხოლმე მხსნელად და მეც ამ დროს ვიმალები, რქები რომ არ მომამტვრიონ,** — ჩმახი დადუმდა.



— **იმ ბებერი კინტოს, ადრე თეთრ მელას რომ ეძახდნენ, მიერ მომზადებული ეშმაკისეული კადრი ხომ გვარიანად ანგრევს, არბევს და აოხრებს საქართველოს?** — შეეკითხა ბელზებელი.

— **ქაჯთა იმედო და დიდო უწმინდურობავ! რომ მეგონა, ახლა კი ველარაფერი შემიშლიდა ხელს ქართველთა გადაჯიშებაში, ვიღაც საშინელი ადამიანი გამოჩნდა, სადაც კი მიდის, სიცრუის, სიბილწის, უზნეობის, გარყვნილების, ღალატის, ქართველთა გაუბედურების მცდელობას აქრობს, რამდენი ვეცადე, ჩემთვის მოეყიდა სული და განცხრომით ეცხოვრა, მაგრამ, ვაი, რაც მე დღე დამაყარეს. ცოლი, შვილები და თვითონ სიმართლის, სიკეთის, სიყვარულის, ხალხზე ზრუნვის და სამშობლოს ერთგულების ძალიან მაგარი კეტებით არიან შეიარაღებულნი. ისეთ დღეში ჩამაგდეს, ხოხვით ძლივს გამოვასწარ. დღემდე ვმალავდი, მაგრამ სუნთქვა მიჭირს, ისე მაგრად ვარ ნაცემი. აი, ნახეთ,** — ჩმახმა ბალანგაცვენილი და გაწითლებული ზურგი ეშმაკთა საკრებულოს აჩვენა.

— **ვინ არის, რა კაცია? სხვების მსგავსად ეგეც მოსპეთ და მოიშორეთ თავიდან,** — ურჩია ბელზებელმა.

— **მაგას მოსპობ, ცოლი და შვილები არანაკლები სამშობლოსთვის თავდადებულები არიან; მარტო თვითონ კი არ არის. ბიძინას ეძახიან, ივანიშვილია გვარად, ჩვენი დაუძინებელი მტერია. იმ უზარმაზარ სიკეთეზე რომ არაფერი ვთქვათ, რაც იმან საქართველოს გაუწია, ქართველებს ისეთი დიდი და მძლავრი სამების ეკლესია აუშენა, რომ, სადაც მისი სხივი სწვდება, ყველგან გააქრო ეშმაკების ხსენება. ეს კიდევ არაფერი, ჩვენი ერთგული ნაცარქექია პრეზიდენტი ისე გადაირია, ზღაპრებს ცხადად ყვება და ტყემალზე შემომჯდარი იძახის, ატამსა ვკრეფავო. დამარცხებული, დამფრთხალი და შერცხვენილი იძახის, ძალიან მაგარი ვარ და გავიმარჯვეო. როცა მაგრად დაუნაყავს ხალხს თავ-ყბას და ზოგს მიასიკვდილებს სიმართლის თქმისთვის, დემოკრატის ნიღბით იწონებს თავს.**

— **შენი შესაფერისი კანდიდატი ყოფილა, რას ერჩი,** — ბელზებელმა ღრეჭით თქვა. — **რა უშველოთ ამ საცოდავს?** — ახლა ეშმაკებს მიმართა.

— **ჩვენ დახმარებას არ ვაკლებთ. სულ ვაქებთ და დიდი პატივით ვხვდებით მაგ თავქარიან პრეზიდენტს. დემოკრატიას ორივე ხელით რომ ახრჩობს, ვიძახით, რა სამაგალითო დემოკრატი არისო. არჩევნების დროს კი ქვეყანას ვყრით, მთელი ხალხი ამ აკარაკი პრეზიდენტის მხარეზე არისო. ბოლოს კი გაყალბებაში გვარიანად წავეხმარებით და არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების ზღაპრების მოყოლით მსოფლიოს გავაკვირვებთ.**

— **ჩვენც სწორედ მაგ აზრისა ვართ,** — ევროპელ გერმაფროდიტ, გამოპრანჭულ ეშმაკს კვერი დაუკრა ამერიკელმა გრძელბრჭყალებიანმა და დიდეშვიანმა ეშმაკმა. — **მოკლედ, თუ მაინც გამოაგდეს ეგ აკარაკი პრეზიდენტი, ჩვენთან იქნება, სანამ ჯოჯოხეთის საგზურს არ გამოუწერთ. იმის ადგილზე კი დუბლი უკვე შერჩეული გვყავს, ეშმაკეთს იმ თავქარიანზე არანაკლები ერთგულებით რომ მოემსახურება,** — თქვა ამერიკელმა ეშმაკმა და ბელზებელის დაუკითხავად შეტოპა ადუღებულ კუპრში.

— **მაგ ბიძინა ივანიშვილს უნდა ვუფრთხილდეთ, რადგან ქართველებს დღემდე რა სიკეთეც გაუკეთა, გასაკვირი იშვიათობაა. ფხიზლად უნდა ვიყოთ და რამე ეშმაკეული კვანტი უნდა ვუგდოთ, თორემ ეგ სამშობლოსთვის ისეთი თავგანწირული მებრძოლია, რომ საქართველოში ქაჯთა და ეშმაკთა ხსენებასაც გააქრობს მათ კვალთან ერთად, ხალხი კი თავდადებულ წმინდანად მონათლავს და მომავალ თაობას მის გმირულ მაგალითზე გაზრდის; ამით დამთავრდება ჩვენი პარპაში საქართველოში,** — თქვა პირვიწრო და თვალებდაფანტულმა ეშმაკმა და ბელზებელს შეეხვეწა, ადუღებულ კუპრის აუზში ჩაეშვა, ბიძინასა და მისი ოჯახის წევრების მიერ გვარიანად ნაჟეჟი გვერდების მოსაშუშებლად.

**გივი სომხიშვილი,**
დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი, მწერალი

**«ჩვენი ერთგული ნაცარქექია პრეზიდენტი ისე გადაირია, ზღაპრებს ცხადად ყვება და ტყემალზე შემომჯდარი იძახის, ატამსა ვკრეფავო. დამარცხებული, დამფრთხალი და შერცხვენილი იძახის, ძალიან მაგარი ვარ და გავიმარჯვეო. როცა მაგრად დაუნაყავს ხალხს თავ-ყბას და ზოგს მიასიკვდილებს სიმართლის თქმისთვის, დემოკრატის ნიღბით იწონებს თავს»**



## უნგრეთმა აზერბაიჯანს პროტესტი განუცხადა

**უნგრეთმა აზერბაიჯანს რამილ საფაროვის შეწყალების გამო პროტესტი გამოუცხადა. უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ აზერბაიჯანის ელჩს უნგრეთში განუცხადა, რომ ბუდაპეშტი მიუღებლად მიიჩნევს და გმობს რამილ საფაროვის გათავისუფლებას. უნგრეთმა აზერბაიჯანს საფაროვი, რომელმაც ნაჯახით მოკლა სომეხი ოფიცერი, ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილი კონვენციის ფარგლებში გადასცა. კონვენციის მიხედვით, დამნაშავეებს სასჯელის მოხდა საკუთარ სამშობლოში შეუძლიათ. ამის მიუხედავად, საფაროვი აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა სამშობლოში ექსტრადირებისთანავე, 31 აგვისტოს შეიწყალა.**

ალნიშნულის გამო სომხეთმა უნგრეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა. „მე ოფიციალურად ვაცხადებ, რომ დღეიდან ჩვენ ვწყვეტთ ყველა სახის დიპლომატიურ ურთიერთობას და ყველა ოფიციალურ კავშირს უნგრეთთან“, — ამის შესახებ სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა ქვეყანაში აკრედიტირებულ გაეროს წევრი ქვეყნების ელჩებთან განაცხადა.

2004 წლის თებერვალში სომხეთის შეიარაღებული ძალების ლეიტენანტი გურგენ მარგარიანი, რომელიც ნატოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ინგლისური ენის კურსებზე იყო მივლინებული, ნაჯახით მოკლა აზერბაიჯანის არმიის ოფიცერმა რამილ საფაროვმა. საფაროვი იმავე კურსს გადიოდა. 2006 წლის 13 აპრილს ბუდაპეშტის პირველი ინსტანციის სასამართლომ საფაროვს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა 30 წლის განმავლობაში შეწყალების მოთხოვნის უფლების გარეშე. მაგრამ 31 აგვისტოს რამინ საფაროვი აზერბაიჯანში იქნა ექსტრადირებული და ის აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა შეიწყალა. „სომეხი ხალხი ამას არასოდეს გაპატიებთ“, — განაცხადა სერჟ სარგსიანმა.

მოკლედ

## აშშ ავღანელი პოლიციელებისა და სამხედროების სწავლებას წყვეტს

**აშშ-მა ავღანეთში ნატოს ჯარისკაცებზე სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა მხრიდან გახშირებული თავდასხმების გამო, ავღანეთის პოლიციისა და სამხედრო უწყების კურსანტების სწავლების შეწყვეტის შესახებ განაცხადა.** პენტაგონის წარმომადგენლის, ჯონ ჰარელის, განცხადებით, ყველა სახის ტრენინგები ერთიდან ორი თვის ვადამდე შეჩერებულია. ამ ხნის განმავლობაში დეტალურად იქნება შესწავლილი კურსანტების კავშირი ავღანელ ამბოხებულებთან. გავრცელებული ინფორმაციით, სწავლება შეუწყდა 1000-მდე პოლიციელსა და სამხედრო მოსამსახურეს. ამის მიუხედავად, აღნიშნულ პერიოდში ახალი კურსანტების მიღების პროცესი გაგრძელდება. მიმდინარე წელს ავღანელი პოლიციელების ან მათ ფორმაში ჩაცმული პირების მიერ კოალიციის ჯარების 40 მოსამსახურე მოკლეს. შარშან ასეთი 35 ფაქტი დაფიქსირდა.



## კუვეითში რუსი ჟურნალისტის ცხედარი იპოვეს

**კუვეითში საინფორმაციო სააგენტო იტარ-ტასის კუვეითის ბიუროს ხელმძღვანელ ვიაჩესლავ ანჩიკოვის ცხედარი იპოვეს.** ცხედარი დამლაგებელმა აღმოაჩინა, რომელმაც რუსი ჟურნალისტი მის ბინაში იატაკზე გარდაცვლილი ნახა. სიკვდილის მიზეზი უცნობია. მკვლელობის ვერსია არ გამოირიცხება.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მსგავსი რეიდები არის ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს. პაკისტანის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს სამხედრო მოქმედებების დროს უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებას და აცხადებს, რომ ამგვარი ომი წარმოადგენს პირდაპირ აგრესიას ობამას ადმინისტრაციის მხრიდან.**



# ჯორჯ ბუშ უმცროსის მოშორება საკმარისი არ აღმოჩნდა: აშშ-მა თავი ვერ დააღწია «დედოვშინას»

**ობამა ისევე არაა დამნაშავე, როგორც მისი წინამორბედი ჯორჯ ბუში. დამნაშავე პოლიტიკის არსია, იმ პოლიტიკისა, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს. რა ადვილი იყო აშშ-ის ხელისუფლების გაკრიტიკება, როდესც ქვეყანას ჯორჯ ბუშ უმცროსი მართავდა. ბოლოს და ბოლოს ძნელია, დაიცვა ადმინისტრაცია, რომელშიც მთავარ მიმართულებას ქმნიან ისეთი ოდიოზური ფიგურები, როგორებიც არიან დიკ ჩეინი და დონალდ რამსფელდი, ისინი ხომ მხოლოდ იმდენად სცემდნენ პატივს მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებს, რამდენადაც ბანდიტი თავის მსხვერპლს.**

ბევრს ჟრუანტელი უვლის, როდესაც ახსენდება ის შავბნელი ეპოქა, რომლის დროსაც ბოლომდე გაშიშვლებულ ადამიანებს ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები აბუგრეიბის ციხისაკენ აცილებდნენ; როდესაც ციხის მონებადქცეული გუანტანამოს ტყვეები,ნარინჯისფერ სამოსში გამოწყობილნი, დაჩოქილნი იდგნენ ამერიკის არმიის ჯარისკაცების წინაშე და როდესაც ფალუჯის აღებას უამრავი ადამიანის სიცოცხლე შესწირეს. **ბუშის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვისას მოკავშირე ქვეყნებშიც კი მკვეთრად გაუარესდა აშშ-ის მიმართ დამოკიდებულება,** მათ შორის კი, ვინც არჩევნებზე რესპუბლიკელებს დამარცხებას უსურვებდა, იყვნენ არა მხოლოდ სოციალისტები, არამედ მტკიცე კონსერვატორებიც.

ეს კოშმარი ექვსი წლის მანძილზე გრძელდებოდა, ამიტომაც გასაკვირი არაფერია იმაში, რომ მრავალი ქვეყნის მოქალაქე ამ დრომდე გრძნობს შვებას. ამასთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკა უკვე აღარ განიხილება იმდენად კრიტიკულად, როგორც ეს წინათ ხდებოდა. ნაწილობრივ ეს განპირობებულია იმით, რომ ობამას ერთადერთ ალტერნატივას წარმოადგენენ შეშლილი მემარჯვენეები, რომლებიც მზად არიან, კვლავ ტერორი გააჩაღონ. თავისი როლი შეასრულა მეთოდების უფრო რბილი და დიპლომატიური საშუალებებით ჩანაცვლებამ.თუმცა მრავალი მათგანი, ვინც ბუში-უმცროსის მმართველობის პერიოდში აკრიტიკებდა ამერიკის საგარეო პოლიტიკას, როგორც ჩანს, სტრატეგიულ შეცდომას უშვებდა.როდესაც მთელ ევროპაში საპროტესტო მარშებით დადიოდნენ მოქალაქეები, დემონსტრანტებს კი დაჰქონდათ პლაკატები, რომელზე გამოსახულ ბუშის ფოტოსაც ამშვენებდა წარწერა „№1 ტერორისტი“, ანტისამხედრო კამპანია ცალკე აღებული პიროვნების კრიტიკად ჩამოყალიბდა. **პროტესტანტები რატომღაც თვლიდნენ, რომ პრობლემა თავად ბუშია და გამორჩათ მთავარი — ამერიკის ხელისუფლების პოლიტიკის არსი, რომელიც საოცარი თანმიმდევრულობით გადადიოდა ერთი პრეზიდენტიდან მეორის ხელში.**

ახლახან გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ადამიანის უფლებებისა და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში, ბენ ემერსონმა, აშშ-ისგან მოითხოვა უფლება, ჩატარდეს აშშ-ის მიერ უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენების პრობლემის დამოუკიდებელი გამოძიება. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც მან განაცხადა, გაერო იძულებული გახდება, ამ საქმეში ჩაერიოს. როგორც ირწმუნებიან, უპილოტო საფრენი აპარატები მხოლოდ ბოევიკებზე ახორციელებენ შეტევებს, მაგრამ, როგორც ჟურნალისტური გამოძიების ბიუროს მონაცემებიდან ჩანს, პაკისტანში მათი რეიდების შედეგად 282-დან 585-მდე სამოქალაქო პირი დაიღუპა.

აშშ-ში პაკისტანის ელჩის, შერი რეხმანის, თქმით, უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით საბრძოლო მოქმედებები განაპირობებს რადიკალური განწყობის ზრდას სამხედრო მოსამსახურეთა, თემთა წარმომადგენელთა და რეგიონის ყველა სოფლის მცხოვრებთა შორის. ამგვარი დარტყმის შემდეგ, რომელიც გასულ კვირასაც განხორციელდა, **პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მსგავსი რეიდები არის ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს. პაკისტანის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს სამხედრო მოქმედებების დროს უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებას და აცხადებს, რომ ამგვარი ომი წარმოადგენს პირდაპირ აგრესიას ობამას ადმინისტრაციის მხრიდან.**



**ბუშის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვისას მოკავშირე ქვეყნებშიც კი მკვეთრად გაუარესდა აშშ-ის მიმართ დამოკიდებულება**

ეს რომ ბუშ-უმცროსის მმართველობის პერიოდში მომხდარიყო, ხმამაღალი კრიტიკა ყველგან გაისმებოდა. სხვათა შორის, **ბუშის პრეზიდენტობის რვა წლის განმავლობაში ამერიკელებმა პაკისტანში სულ 52 ამგვარი რეიდი ჩაატარეს, ობამას მმართველობის სამ-ნახევარი წლის მანძილზე კი ანალოგიური შეტევების რაოდენობამ 280-ს მიაღწია.**

ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას იემენისა და სომალის ოპერაციებთან დაკავშირებითაც. ორიოდე თვის წინ ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით სამხედრო ოპერაციების განხორციელებას ადამიანთა უფლებების მასშტაბური დარღვევა უწოდა. მისი განცხადებით, ეს მტრების წისქვილზე ასხამს წყალს და ამერიკის მეგობრებს აიძულებს, ზურგი აქციონ მას. შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ ის მართალი არ იყო, როდესაც ამას ამბობდა: პიუს სახელობის სოციალური ცენტრის მონაცემებით, **ობამას მიმართ დადებითი დამოკიდებულება ამერიკელთა მხოლოდ 7%-ს აქვს, ანუ მისი რეიტინგი პაკისტანში იმ დონემდე დაეცა, როგორითაც ბუშს პრეზიდენტობის დასასრულს შეეძლო ეამაყა.**

მიუხედავად ამისა, დასავლეთში ობამას გასდის ის, რისთვისაც ბუშს სამარცხვინო ბოძზე მიაჭედებდნენ. მართლაც, მას ეს ყოველივე, როგორც ჩანს, სახუმარო თემად მიაჩნია — 2030 წელს უპილოტო საფრენი აპარატებით დაემუქრა ჯგუფ „Jonas Brothers“-ის წევრებს, თუ მის ქალიშვილებს მიუახლოვდებოდნენ.

გუანტანამოს ციხე ბუშ-უმცროსის სისასტიკის სიმბოლოდ იქცა. **პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევის შემდეგ ობამამ ხელი მოაწერა მთელ რიგ განკარგულებებს, რომელთა თანახმადაც ეს ციხე უნდა დახურულიყო. მიუხედავად ამისა, ბანაკი ამ დრომდეც მოქმედებს და მზადაა, მიიღოს „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტყვეები, თუ მათ ვინმე დაიჭერს**. იგივეშეიძლება ითქვას ობამას დაპირებაზე, დაეხურა ცსს-ს საიდუმლო ციხეები ავღანეთში. ამჟამად მოქმედებს, სულ მცირე, 20 ამგვარი დაწესებულება, ამასთან, მათ პერსონალს ყველგან ადანაშაულებენ პატიმრებისადმი სასტიკ მოპყრობაში. აშშ განაგრძობს აბსოლუტურად უაზრო ომის წარმოებას გამარჯვების შანსის არარსებობის პირობებში ავღანეთში, ქვეყანაში, რომელსაც დაშინების, ფალსიფიკაციისა და ბიულეტენების გაყალბების შედეგად „არჩეული“ სუსტი და კორუმპირებული ხელისუფლება მართავს.

ობამას პერიოდში აშშ-ის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში ისეთივე ცინიკური და საკუთარ სტრატეგიულ ინტერესებზე ორიენტირებული რჩება, როგორიც ყოველთვის იყო. დიქტატორული სახელმწიფოები, ისეთები, როგორიც საუდის არაბეთია, კბილებამდე იარაღდებიან. მხოლოდ **2010 წელს აშშ-მა ხელი მოაწერა 60 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღით ამ ქვეყნის მომარაგების ხელშეკრულებას. ამერიკის ისტორიაში ეს უმსხვილესი გარიგებაა. ობამამ განაახლა იარაღის მიწოდება ბაჰრეინში, ავტორიტარულ სახელმწიფოში, სადაც დაუნდობლად ახშობენ საპროტესტო აქციებს, თუ მოქალაქეები დემოკრატიის მოთხოვნით გაბედავენ ხმის ამოღებას.**

გასულ წელს საუდის არაბეთი აშშ-ის მდუმარე მხარდაჭერით ბაჰრეინის ტერიტორიაზე შეიჭრა. მაშინაც კი, როდესაც მუბარაქის დიქტატორული რეჟიმის ბედი ბეწვზე ეკიდა, აშშ მისი რეჟიმის მხარდაჭერას განაგრძობდა. მისი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი კი დაუღალავად იმეორებდა, რომ ეგვიპტის ხელისუფლება სტაბილურია და ეძებს საპასუხო გზებს ხალხის კანონიერ მოთხოვნებზე.

**ახლა, როდესაც მსოფლიოს ზესახელმწიფო უფრო სუსტად გამოიყურება, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დროს იყო, ჩნდება უნიკალური შესაძლებლობა ახალი მსოფლიო წესრიგის მოთხოვნისათვის, წესრიგისა, რომლის დროსაც ახალი ზესახელმწიფოები ვერ მოახდენენ ზეწოლას სხვა ქვეყნებზე თავიანთი ავტორიტეტით და ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არ შეიძლება.**

თუ ამ შანსს ახლა არ გამოვიყენებთ, ერთ ზესახელმწიფოს მეორე ჩაანაცვლებს, მსოფლიო კი ისეთივე უსამართლო იქნება, როგორიც ყოველთვის იყო და არის.

**The Independent**

მოკლედ

## აშშ სახელმწიფო გადატრიალებას გადაურჩა



**აშშ-ის საზღვაო ქვეით ჯარში შეთქმულთა დაჯგუფება აღმოაჩინეს. როგორც გაირკვა, ოთხი სამხედრო პირი სახელმწიფო გადატრიალებასა და პრეზიდენტ ბარაკ ობამას მოკვლას აპირებდა. ჯორჯიის შტატის ფორტ-სტიუარტის ბაზის საზღვაო ქვეითებს იარაღისა და საბრძოლო მასალების საწყობი აღმოუჩინეს. იარაღის შესაძენად მათ 87 000 დოლარი დახარჯეს.** დაკავებულები ფორტ-სტიუარტში მოქმედ ანტისამთავრობო რადიკალურ დაჯგუფებაში, სახელწოდებით „მუდამ უკვდავნი, ყოველთვის მზადმყოფნი“, შედიოდნენ. შეთქმულები ფორტ-სტიუარტის იარაღის საწყობის ხელში ჩაგდებას, საშინაო უსაფრთხოების სამმართველოს შენობის აფეთქებასა და ვაშინგტონის შტატის ჰიდროშეიარაღების აფეთქებას აპირებდნენ. ამის შემდეგ კი უკვე აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამაზე თავდასხმასა და სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ. მათი განცხადებით, თეთრ სახლში შავკანიანი პრეზიდენტის ადგილი არ არის.

**არადა, წარმოიდგინეთ, რამხელა რისკია, რომ შესაძლო კატასტროფა რეალობად იქცეს, რაც უფრო დიდი დანაშაული იქნება, ვიდრე სხვა ყველა ომი. ობამა და აშშ-ის სხვა ყველა ლიდერი დამნაშავეა. კონსტიტუციური ძალაუფლების გამოყენება ახლა უფრო მეტადაა საჭირო, ვიდრე ოდესმე და, თუ არა კაცობრიობის გადარჩენა, სხვა რაღა შეიძლება იყოს საკმარისი მიზეზი ამისათვის!**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 100 ათასმა გერმანელმა ისლამი მიიღო

**გერმანული დაზვერვის — BND-ს მეთაურმა გერჰარდ შინდლერმა ინტერვიუ მისცა გაზეთ Die Welt-ს, რომელშიც ევროპა გააფრთხილა ისლამისტი „ექსტრემისტების“ მხრიდან მოსალოდნელი შეტევების თაობაზე. მისი უწყება ძალზე სერიოზულადაა შეშფოთებული ტერორისტების მხრიდან მომავალი საფრთხის გამო, ოღონდ საუბარია „ახალბედა“ ტერორისტებზე — გერმანელებსა და გერმანიაში მცხოვრებ იმიგრანტებზე, რომლებიც „დაუბრუნდნენ“ ისლამს და თანაც რატომღაც მის ყველაზე უკიდურეს ფორმას — სალაფიზმს. ეს პირები ხშირად იღებენ „ტერორისტულ განათლებას“ პაკისტანის, ავღანეთის, სომალისა და იემენის ბანაკებში.**




მუდმივი მუქარა მომდინარეობს იემენში „ალქაიდასგან“. იქიდან ხორციელდება „ჯიჰადის“ ექსპორტი ევროპაში. ისინი სხვადასხვა ტაქტიკას იყენებენ, მათ შორის ევროპაში გაზრდილი ცალკეული ადამიანების მიერ განხორციელებულ შეტევებს. ამ ადამიანებმა კარგად იციან ევროპა, „ალქაიდა“ კი მუშაობს მათ გადაბირებაზე და წვრთნის ტერორისტებად. შინდლერის თქმით, მისმა უწყებამ იცის ამ საფრთხის შესახებ და დიდ ყურადღებასაც უთმობს.

ეს ინტერვიუ გამოჩნდა მაშინ, როდესაც ესპანეთის სპეცსამსახურებმა გამოაცხადეს, რომ დააკავეს ტერორიზმში ეჭვმიტანილი დაჯგუფების წევრები, რომლებიც გიბრალტართან ახლოს მდებარე სავაჭრო ცენტრზე თავდასხმას გეგმავდნენ.

ამჟამად დახურულ კარს მიღმა და განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით გრძელდება დიუსელდორფში 25 ივლისს დაწყებული სასამართლო, რომელიც გერმანიაში „სენსაციური შეტევების“ მოწყობის დაგეგმვის გამო ოთხ ბრალდებულს ასამართლებს. ოთხი მათგანიდან სამი „შინაური“ ისლამისტია — ისინი გარმანიის მოქალაქენი არიან.

**„დიუსელდორფის ჯგუფის“ სახელით ცნობილი ეს გაერთიანება აპირებდა გერმანელი კომანდოსების ყოფილი ხელმძღვანელის მოკვლას და ბავარიის ქალაქ გრაფენვორში მდებარე აშშ-ის ბაზაზე თავდასხმას.**

გერმანელები ამ ჯგუფს 2010 წლიდან აკვირდებოდნენ, ცსს-ს იმ სიგნალის შემდეგ, რომლის მიხედვითაც მაროკოელი აბდელადიმ ელ-კებირი გერმანიაში შევიდა ვაზირისტანში „ალქაიდას“ ტერორისტულ ბანაკში წვრთნების გავლის შემდეგ.

პროკურატურა ირწმუნება, რომ ელ-კებირი, ასევე ცნობილი, როგორც აბი ალ-ბარა, დაჯგუფების მეთაურია და, „ალქაიდას“ მაღალი რანგის მეთაურთა ბრძანებების თანახმად, ჯერ კიდევ 2010 წლის ნოემბერში დაიწყო გერმანიის სახალხო ადგილებში აფეთქებების დაგეგმვა. რამდენიმეთვიანი დაკვირვებისა და თვალთვალის შემდეგ ელ-კებირი დააპატიმრეს.

დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე ელ-კებირმა გადაიბირა სამი ნაცნობი — სამივე არაგერნამული წარმოშობის გერმანიის მოქალაქე. სამივე დააკავეს 2011 წლის დეკემბერში.

სასამართლოზე გაირკვა, რომ ეს ადამიანები აბსოლუტურად ჩვეულებრივად ცხოვრობდნენ და არანაირ ეჭვს არ ბადებდნენ, მაგალითად, ერთ-ერთმა ინჟინერ-მექანიკოსის დიპლომი აიღო და პოლიციელადაც კი აპირებდა მუშაობას.მეორე — ინფორმატიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, მესამე კი ელექტრიკოსია.

სულ საქმეში 260 ადამიანი მონაწილეობდა. პროცესი დაახლოებით ერთ თვეს გაგრძელდება, მოსამართლის ვერდიქტი კი ნოემბრის ბოლომდე უნდა გამოცხადდეს. გარდა ამისა, ნიუიორკში, ბრიუკლინში ფედერალურმა სასამართლომ დაუსწრებლად დამნაშავედ სცნო ალ-კებირი ასაფეთქებლების დამზადებასა და „ალქაიდასთან“ ტერორისტულ თანამშრომლობაში. თუ აშშ-ში მისი ექსტრადირება მოხდება, მას ან სამუდამო პატიმრობა ელის, ან სიკვდილით დასჯა.

„საშინაო“ ისლამური ტერორიზმის ზრდასთან დაკავშირებით გერმანიის ხელისუფლების შეშფოთების ხაზგასასმელად ქვედა საქსონიის მიწის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა „მეთოდოლოგია“ ჩვეულებრივ მოკვდავთათვის, თუ როგორ ამოიცნონ რადიკალიზირებადი მუსლიმანი. მოქალაქეებმა საეჭვო ისლამისტების აღმოჩენის შემდეგ, ცხადია, მათ შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ხელისუფლებას. ეს ნაბიჯი ცხადად ასახავს, თუ რამდენად აშფოთებს ხელისუფლებას ეგრეთ წოდებული სალაფიტები და მათი განზრახვა — კბილი მოუსინჯონ სახელმწიფოს სამართლებრივ საფუძველს. სალაფიტები აბსოლუტურად გახსნილად აცხადებენ თავიანთ მიზანს — დაამყარონ შარიათის კანონები არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ მთელ ევროპაში.

**გერმანიის უშიშროების სამსახურებს აღრიცხვაზე ჰყავთ რადიკალური მუსლმიანური დინებების 1140 აქტივისტი, რომლებიც გერმანიაში ცხოვრობენ და პოტენციურად მზად არიან ტერორისტული აქტების განსახორციელებლად ამ ქვეყნის ტერიტორიაზე. გარდა ამისა, იმავე უწყებამ დაითვალა და იცის, რომ უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში გერმანიაში 100 000 ადამიანი ისლამის მიმდევარი გახდა.**

mikle1.livejournal.com

# ბირთვული არმაგედონის საფრთხის წინაშე

**უპასუხისმგებლო ხელმძღვანელები წარმოუდგენელი რისკის წინაშე აყენებენ პლანეტას. არამზადები კი მასმედიაში უაზროდ უჭერენ მათ მხარს, ისევე, როგორც ნეოკონების გონებრივი ცენტრები. ჩვეულებრივი ადამიანები უფრო მეტს ზრუნავენ ყოველდღიურ წვრილმანებზე, ვიდრე გადარჩენაზე. ნერონი არ უკრავდა ვიოლინოზე, როდესაც რომი იწვოდა. ვიოლინო კიდევ მომავალი 1500 წლის მანძილზე არ იყო გამოგონებული. დღევანდელი პოლიტიკოსები შედიან იქ, სადაც შეხედვას ვერ ბედავდნენ მათი წინაპარი კოლეგები. ისინი არ უფრთხიან რეგიონულ ან გლობალურ კატასტროფას.**



ამერიკა ერთადერთია, ვინც ბირთვული იარაღი გამოიყენა. ის არ მუშაობს პოტენციური კატასტროფების თავიდან ასაცილებლად. ეს საჭიროა მომგებიანი გეოპოლიტიკური პოზიციონირებისა და დომინირებისათვის. განადგურების ურთიერთგარანტირების მექანიზმი ამ დრომდე მუშაობს.

**სირიაზე შეტევა ბადებს რისკს, რომ შესაძლოა კონფლიქტში ჩართული აღმოჩნდეს რუსეთიც და ჩინეთიც. ირანთან ომი გულისხმობს ამ და კიდევ ბევრ სხვა რისკს. ვაშინგტონის არსენალში არის იარაღი, რომელიც ძალიან საშიშია იმისათვის, რომ ოდესმე გამოყენებულ იქნეს.**

ამ იარაღის არსენალში არის ერთი, რომლის სახელიც ბოლო პერიოდში მუდმივად მუსირებს და რომელსაც „ყველა ბომბის დედა“ შეარქვეს. ის 13 ტონას იწონის და შეუძლია ბეტონის 60-მეტრიანი სისქის ფენა გაარღვიოს მანამდე, ვიდრე აფეთქდება. ეს ამერიკის ყველაზე მძლავრი არაბირთვული იარაღია. მისი გამოყენება კოშმარულ ნგრევასა და დანაკარგებს განაპირობებს.

გარდა ამისა, არსებობს ტაქტიკური ბირთვული იარაღი, რომელიც ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს. „ბუნკერების დამანგრევლებად“ წოდებული საბრძოლო ქობინები ფლობენ იმაზე მეტ და ნაკლებ ასაფეთქებელ ძალას, ვიდრე ხიროსიმასა და ნაგასაკში ჩამოყრილ ბომბებს ჰქონდათ.

**ამ ბომბების გამოყენება აუცილებლად განაპირობებს შურისძიებას, რომლის მთავარი სამიზნეებიც იქნება ისრაელის ბირთვული ობიექტები, ამერიკის ბაზები და ბირთვული იარაღით აღჭურვილი ამერიკული გემები. წარმოიდგინეთ ამ ყველაფრის მოსალოდნელი შედეგები. შესაძლოა, არმაგედონი დაგვატყდეს თავს და ყველაფერი, წარმოუდგენლად საშინელი, უმალ რეალობად იქცეს.**

ეს გეგმები ვაშინგტონსა და ისრაელს, უკვე რამდენიმე წელია, აქტიურ სამუშაო რეჟიმში აქვთ. შესაძლოა, კოორდინირებულ დარტყმასაც კი გეგმავდნენ.რუსეთისა და ჩინეთის ჩარევა მხოლოდ გაზრდის კატასტროფული შედეგების დადგომის ალბათობას.

საგანგაშო სიგნალების რაოდენობა იზრდება. **19 აგვისტოს ობამამ სამხედრო ჩარევის პირობა დადო, თუ სირია გადააადგილებს ან გამოიყენებს ქიმიურ ან რაიმე სახის სხვა არატრადიციულ იარაღს.**

ამასთან, მოსადთან დაკავშირებული წყარო ირწმუნება, რომ აშშ-ის, საფრანგეთისა და ბრიტანეთის სპეციალური ძალები განლაგებულნი იყვნენ ისრაელში, იორდანიასა და თურქეთში და ახლა ისინი მომლოდინე რეჟიმში იმყოფებიან, რომ პირველივე ბრძანებისთანავე ხელში ჩაიგდონ სირიის ქიმიური იარაღი.

ეს კი შეჭრას ნიშნავს. ამბობენ, რომ სურთ, შეაჩერონ სირიაში ჯარის მიერ არატრადიციული იარაღის გადაადგილების შეჩერება და ირწმუნებიან, რომ ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებენ, რომ თავიდან აიცილონ ამ იარაღის მეამბოხეების ან „ჰეზბოლას“ ხელში მოხვედრის საფრთხე.

ლიბია-2, შესაძლოა, გარდაუვალ პერსპექტივად იქცეს.

ამერიკის დაუმორჩილებელ ქვეყნებს შორის კი ირანიცაა. შესაძლოა, ირანზე შეტევა სირიის პარალელურად ან მის შემდეგ მოხდეს.

ნეთანიაჰუსა და ობამას თავდასხმისათვის მხარდაჭერა სჭირდებათ. კაბინეტის წევრებს შორის ზუსტად თანაბარი რაოდენობით არიან მომხრეები და მოწინააღმდეგეები. პრეზიდენტებს თუნდაც ერთის გადაბირება სჭირდებათ. ისრაელის უშიშროების კაბინეტს 14 მინისტრი შეადგენს, ექვსს ომი სურს, ექვსი წინააღმდეგია, ორს კი ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება.

აცნობიერებს თუ არა ნეთანიაჰუ რისკებს?

„რა თქმა უნდა, — ამბობს მაღალი რანგის ანონიმი რესპონდენტი და დასძენს, — ის სულელი არაა. ის ხედავს სურათს მთლიანად და მის ცალკეულ ნაწილს. იგი მიიჩნევს, რომ ეს მისი ცხოვრებისეული დანიშნულებაა და სწორედ ამიტომ აირჩიეს“.

მასმედიაში ომების გამჩაღებლები ზრდიან ნამდვილი ომის გაჩაღების შანსებს, თუმცა ყველა სხვაგვარად იფიქრებდა და ილაპარაკებდა, ბომბების ჩამოვარდნის საშიშროება მათ რომ ემუქრებოდეს. მაგრამ ახლა აზრი მხოლოდ პროპაგანდის შემდგომ დანერგვას აქვს.

**არადა, წარმოიდგინეთ, რამხელა რისკია, რომ შესაძლო კატასტროფა რეალობად იქცეს, რაც უფრო დიდი დანაშაული იქნება, ვიდრე სხვა ყველა ომი. ობამა და აშშ-ის სხვა ყველა ლიდერი დამნაშავეა. კონსტიტუციური ძალაუფლების გამოყენება ახლა უფრო მეტადაა საჭირო, ვიდრე ოდესმე და, თუ არა კაცობრიობის გადარჩენა, სხვა რაღა შეიძლება იყოს საკმარისი მიზეზი ამისათვის!**

mixednews.ru

მოკლედ

## ბინ ლადენის შესახებ წიგნის ავტორს გაასამართლებენ

**პენტაგონის ოფიციოზმა, შესაძლოა, აშშ-ს სპეცდანიშნულების სამსახურის ყოფილი თანამშომლის წინააღმდეგ სასამართლოში საქმე აღძრას.** პენტაგონის თავდაცვის დეპარტამენტის მთავარმა იურისტმა სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილ თანამშრომელს უკვე შეატყობინა, რომ მან სამხედრო საიდუმლოებების შენახვის ვალდებულების შესახებ დადებული შეთანხმება დაარღვია. წიგნი „ძნელი დღე“ ავტორმა მარკ ოუენის ფსევდონიმით დაწერა. მასში მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის, ოსამა ბინ ლადენის, მკვლელობის შესახებ დოკუმენტური ფაქტებია მოცემული. წიგნში ნათქვამია, რომ ბინ ლადენის სახლში შეჭრილმა სპეცდანიშნულების რაზმმა ტერორისტს შესვლისთანავე ესროლა, როგორც კი მან საძინებელი ოთახიდან გამოიხედა. აშშ-ის ოფიციოზმა კი თავის დროზე განაცხადა, რომ ტერორისტს მაშინ ესროლეს, როდესაც ის ოთახში შევიდა იარაღის გამოსატანად.

## ნატოს სამხედრო ბაზაზე ტერაქტის შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა

**8 სამოქალაქო პირი და 4 ავღანელი პოლიციელი დაიღუპა, ხოლო 50-ზე მეტი ადამიანი დაიჭრა ავღანეთში ნატოს სამხედრო ძალების ბაზაზე თალიბების მიერ განხორციელებული ტერაქტის შედეგად.** თავდასხმა ორმა თვითმკვლელმა ტერორისტმა განახორციელა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე თალიბებმა აიღეს.

თბილისელი და მსოფლიო
დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ ამერიკის ხელისუფლება გეგმავს, საკუთარ ქვეყანაში მასობრივი არეულობები ჩაახშოს ამერიკული იარაღით, რომელსაც ქვეყნის შიდა უშიშროების სამინისტრო ყიდულობს, მმართველი ტირანებისაგან თავდაცვისთვის, შემდეგ კი მათზე შეტევისთვის თავისუფლებისმოყვარე ამერიკელები რუსული „საიგების“ გამოყენებას აპირებენ. ამხანაგ ლენინსა და სტალინს რომ სცოდნოდათ, ამერიკაში საქმე ასე შეტრიალდებოდა, ისინი მშვიდად იქნებოდნენ მსოფლიოს კომუნისტური მომავლის გამო.**

# რისთვის ემზადება ძია სემი?

**დიადი ამერიკა რესურსებისთვის ომისთვის ემზადება. ამ თემაზე Market Watch-ის ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიის ავტორს — პოლ ბ. ფარელს, როგორც ჩანს, საკუთარი ცოდნა არ აკმაყოფილებდა და მოიშველია წიგნის „შეჯიბრი იმისთვის, რაც დარჩა: გლობალური შერკინება მსოფლიოს უკანასკნელი რესურსებისთვის“ ავტორის, მაიკლ კლერის, მოსაზრებებიც. ფარელი ირწმუნება, რომ მესამე მსოფლიო ომი იქნება ომი რესურსებისთვის, რომელიც სხვა ყველა ომს მოუღებს ბოლოს. ავტორის აზრით, მესამე მსოფლიო ომი უკვე დაწყებულია და ამის მთავარი დადასტურება ამერიკული ოცნების დამხობაა.**



ჯერ კიდევ ათი წლის წინ პენტაგონის ჩინოვნიკებმა იწინასწარმეტყველეს: „2020 წლისთვის იმძვინვარებს ყოვლისმომცველი ტოტალური ომები საკვებისათვის, წყლისა და ენერგიის წყაროებისთვის... ომები, რომლებიც განსაზღვრავენ კაცობრიობის არსებობას“.

სწორედ ამაზე საუბრობს საკუთარ წიგნში ეროვნული უშიშროების ექსპერტი მაიკლ კლერი.

მესამე მსოფლიო ომს, ანუ დიდი რესურსების ომს, რომლისკენაც ამერიკა მიექანება, კლერი ასე ხედავს: **„მართლაც შეუძლებელია, უმალ დავიხსნათ თავი სასარგებლო წიაღისეულსა და ენერგიის სხვა ორგანულ მატარებლებზე ჩვენი დამოკიდებულებისგან: ჩვენი ამჟამინდელი დამოკიდებულება მათზე ძალზედ დიდია“.** კლერი გამოთქვამს აზრს, რაც საბოლოო ჯამში ძალზე ბანალური მსჯელობაა კაპიტალიზმის ძლიერების აღსასრულზე, იმაზე, რომ ბურჟუაზია უკვე ცხვირწინაც კი ველარ ახერხებს შესაძლებლობების დანახვას. კაპიტალისტების კლასს შეუძლია მხოლოდ გამდიდრებაზე იყოს ორიენტირებული. სწორედ ამიტომ მას არ შეუძლია გაითვალისწინოს პლანეტისთვის საშინელი შედეგების მოსალოდნელობა.

**კლერის ნაშუშევრებში გაცილებით უფრო საინტერესოა ის, რომ, მისი აზრით, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები „მშვიდად“ ემზადებიან რესურსებისთვის ომისთვის.** მსოფლიოს ზესახელმწიფოები ახლა დაჩქარებულ რეჟიმში ემზადებიან და ამჟამად საშუალებების მარაგის შექმნის ეტაპზე არიან, აგროვებენ რესურსებსა და იარაღს. ამის შემდეგ ისინი, არ აღიარებენ რა რეალობას იმის შესახებ, რომ მსოფლიო შეიცვალა, აგზავნიან საკუთარ ჯარებს ომში, მათთვის საჭირო ნედლეულის მოსაპოვებლად.

პლანეტა ისტორიული გარდატეხის წერტილში იმყოფება. კონსერვატიულ პოლიტიკოსებს, უოლ-სტრიტიდან მართულებსა და მულტიმილიონერებს არ სურთ, შეისმინონ გაფრთხილებები ისეთი ავტორიტეტებისაგან, რომელთაც ამ თემაზე სხვებზე მეტი იციან.

**სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მსოფლიო აღმოჩნდება რესურსების ამოწურვის უპრეცენდენტო კრიზისის წინაშე. საუბარია ყველა რესურსზე და არა მხოლოდ ნავთობზე ან ქვანახშირზე. ყველა ადვილად მოსაპოვებელი რესურსი ძალზე სწრაფად ილევა. რესურსებზე თავგანწირულმა ნადირობამ კი განაპირობა იმ საბადოების ექსტრემალური დამუშავება, რომლებიც მანამდე ძალზე სახიფათოდ ან ძალზე შორეულად ითვლებოდა. ხელისუფლებებიცა და კორპორაციებიც ცდილობენ, როგორმე მიითვისონ და დაისაკუთრონ ამგვარი ოლქები.**

რატომ დაიწყება მესამე მსოფლიო ომი იმის ხელში ჩასაგდებად, რაც კი გადარჩა, აუცილებლად და გარდაუვალად? ამის დამადასტურებელ ფაქტად კლერი იხსენებს 2007 წელს რუსეთის მინი სუბმარინის ძალზე სარისკო მისიას. წყალქვეშა ნავი იყენებდა რობოტ მანიპულატორს, რათა ტიტანის დროშა დაეყენებინა პოლარული ქუდის სიღრმეში, ჩრდილოეთ პოლუსიდან ორნახევარი მილის სიღრმეზე. რატომ?

ამ კითხვაზეც მოიძებნა პასუხი: უკანასკნელ წლებში, როდესაც კლიმატური ცვლილებები ათბობს ამ ყინულოვან უდაბნოებს, რუსეთი, კანადა, აშშ და სხვა სახელმწიფოები აყენებენ საკუთარ უფლებებს ამ ნავთობის მარაგებზე, ბუნებრივ გაზსა და სასარგებლო წიაღისეულზე. მსხვილი მოთამაშეები იტაცებენ და აგროვებენ დეფიციტურ რესურსებს და მოსალოდნელია გლობალური ჩხუბი იმ მცირედისათვის, რომელიც ჯერ კიდევ გადარჩა...

**ფარელის თანახმად, დემოკრატია ყველას თვალწინ გარდაიქმნება ზემდიდრების ანარქიად. კაპიტალისტი-მილიონერები თავიანთი მდგომარეობის წყალობით ვერ აცნობიერებენ, რომ რესურსების კრიზისი განაპირობებს დეფიციტის შემდგომ გამწვავებას და მკაცრ ეკონომიას ყველა ქვეყანაში**

ამის პარალელურად, ფარელის თანახმად, დემოკრატია ყველას თვალწინ გარდაიქმნება ზემდიდრების ანარქიად. კაპიტალისტი-მილიონერები თავიანთი მდგომარეობის წყალობით ვერ აცნობიერებენ, რომ რესურსების კრიზისი განაპირობებს დეფიციტის შემდგომ გამწვავებას და მკაცრ ეკონომიას ყველა ქვეყანაში.

შეიძლება ითქვას, რომ ფარელი არა ოლიგარქიის, არამედ ანარქიის შესახებ წერს იმის გამო, რომ **აშშ-ში მტკიცე ოლიგარქიული ხელისუფლება შეუძლებელი იქნება იმ ეკოლოგიური და პოლიტიკური კატასტროფის პირობებში, რომელიც ელის ყველა ქვეყანას, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსაც რესურსების ტოტალური უკმარისობის, დარჩენილი მარაგების ზემდიდართა ხელში კონცენტრაციისა და შესაბამისად მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამეფებული ეკონომიკური ქაოსის პირობებში.**

მაგრამ ამერიკის პრობლემები რესურსების უკმარისობით არ შემოიფარგლება. ქვეყანა სხვა რამისთვისაც ემზადება — შიდა მასობრივი არეულობებისთვის.

აშშ-ის შიდა უშიშროების დეპარტამენტმა უცებ გადაწყვიტა, ექსპანსიური ტყვიების კიდევ 750 000 000 ვაზნა მოიმარაგოს.

აშშ-ის ფედერალური ხელისუფლების მხრიდან მასობრივი არეულობებისათვის მზადებისადმი ეჭვი მას შემდეგ გაიზარდა, რაც შინაგანი უშიშროების დეპარტამენტმა გადაწყვიტა, შეიძინოს კიდევ 750 მილიონი ვაზნა და მიუმატოს ექსპანსიური ტყვიების იმ 450 მილიონ ვაზნას, რომლებიც მიმდინარე წელს უკვე შეიძინა.

სხვათა შორის, ამერიკელმა პროფესორმა ჯ. ფ. ტრეისიმ შინაგანი უშიშროების სამსახურის მიერ 450 მილიონი ვაზნის შეძენასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მომავალი ხუთი წლის განმავლობაში დეპარტამენტი კვლავაც ელოდება ვაზნების მიწოდებას. როგორც ჩანს, არც პროფესორი შემცდარა და არც დეპარტამენტი იტყუებოდა.

უფრო მეტიც, შინაგანი უშიშროების დეპარტამენტი ახლა ვაზნების პოტენციურ მიმწოდებლებს სთხოვს, განიხილონ სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალების მიწოდების შესაძლებლობები, მათ შორის ისეთებისაც, რომლებსაც კედლების გარღვევა შეეძლებათ. საერთო მოთხოვნამ 750 მილიონი ვაზნა შეადგინა.

საბრძოლო მასალებს თითქოსდა საწვრთნელად ყიდულობენ, მაგრამ შინაგანი უშიშროების დეპარტამენტი არც კი ფიქრობს, ახსნას, თუ რისთვისაა საჭირო ვაზნების ესოდენ დიდი რაოდენობა ან რა უნდა ასწავლონ ჯარისკაცებს ესოდენ მძლავრი საბრძოლო მასალების გამოყენებით.

უმალ ჩნდება აზრი, რომ ვაზნების ესოდენ დიდი შესყიდვები იმის უდავო დადასტურებაა, რომ აშშ-ის ხელისუფლება საკუთარ ქვეყანაში მასობრივი არეულობებისთვის ემზადება.

შემთხვევით არაა აღწერილი ახლახან პრესაში გაჟონილი აშშ-ის არმიის სამხედრო პოლიციის ინსტრუქციაში, სახელწოდებით „ოპერაციები სამოქალაქო არეულობების დროს“, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული სამხედრო რესურსები ქვეყნის საზღვრებს შიგნით და როგორ უნდა დახოცონ ამერიკელები ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მასობრივი სამოქალაქო არეულობების დროს. მაგალითისთვის, ამ სახელმძღვანელო ინსტრუქციის მე-20 გვერდზე აღწერილია დისიდენტებთან შეტაკებების დროს ძალის გამოყენების წესები მათ გასანადგურებლად და ინსტრუქციაში პირდაპირაა მითითებული: „სროლა გაუფრთხილებლად“.

**როგორც ვარაუდობენ, ფინანსური კრახის მოსალოდნელობა უახლოეს თვეებში აშშ-ის ფედერალურ სააგენტოებსა და არმიას აიძულებს, საკუთარი შესაძლებლობები გამოავლინონ და ცოდნა გაიღრმავონ საკუთარ ქვეყანაში იმაზე ბევრად უფრო მასშტაბური სამოქალაქო არეულობებისას, ვიდრე უკანასკნელ ორ წელიწადში გადაიტანა ევროპამ.**

აშშ-ის არმიის სამხედრო კოლეჯის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის მოხსენება, რომელიც 2008 წლითაა დათარიღებული, პირდაპირ გაფრთხილებას იძლევა იმის შესახებ, რომ კრიზისების სერიის შედეგად აშშ-ში შესაძლოა მასობრივმა სამოქალაქო არეულობებმა იფეთქოს. ანგარიშში, რომელსაც ხელს აწერს პოდპოლკოვნიკი ნათან ფრეირი, ნათქვამია:

„აშშ-ის საზღვრებს შიგნით სამოქალაქო არეულობების ფართოდ გავრცელება თავდაცვით უწყებებს აიძულებს, უკიდურეს სიტუაციებში მოახდინოს პრიორიტეტების პერეორიენტირება, რათა დაიცვას ძირითადი შიდა წესრიგი და უზრუნველყოს ადამიანთა უსაფრთხოება“. ფრეირი დასძენს, რომ სამხედროებს შესაძლოა მოუხდეთ „მიზანმიმართული შიდა წინააღმდეგობების“ ჩახშობა.

როგორც ჩანს, საუბარი იმის შესახებ, რომ ამერიკა შიდა არეულობებისა და საკუთარი მოსახლეობის პროტესტის სისხლში ჩახშობისათვის ემზადება, ცარიელ ადგილზე არ გაჩენილა და ეს არაა ჩვეულებრივი საინფორმაციო პროდუქტი.

სხვათა შორის, „დიადი“ ამერიკიდან უკანასკნელი ცნობები გასაგებს ხდის, რომ შეიარაღებაზე ორიენტირებულია არა მხოლოდ შიდა უშიშროების დეპარტამენტი.

თითქოსდა ამის საპასუხოდ ქვეყნის მოქალაქეები მასიურად ყიდულობენ ცეცხლსასროლ იარაღსა და ვაზნებს. უკანასკნელ პერიოდში ამ პროდუქციის გაყიდვის ტემპები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მას შემდეგ, რაც კინოფილმ „ბეტმენის“ სეანსზე ვინმე ჯეიმს ჰოლმსმა ხალხი ჩახოცა, ამერიკელები მასიურად მიაწყდნენ იარაღის მაღაზიებს. იმავე კოლორადოში იარაღის გაყიდვის მაჩვენებლები წარმოუდგენლად გაიზარდა. მხოლოდ სამი დღის განმავლობაში ივლისის ბოლოს ცეცხლსასროლი იარაღის შესაძენად სპეციალიზებულ მაღაზიას 2887-მა მოქალაქემ მიმართა. ეს 25%-ით აღემატება 2012 წლის საშუალო მაჩვენებელს და 43%-ით აჭარბებს ტრაგედიამდე ერთი კვირის წინანდელ მონაცემებს.

და ეს მხოლოდ კოლორადოს არ ეხება. ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება ქვეყნის სხვა შტატებშიც. მაგალითად, სიეტლში, ვაშინგტონის შტატში, უკანასკნელ პერიოდში ცეცხლსასროლი იარაღის ფარულად ტარების ლიცენზიის მისაღებად მოთხოვნების რაოდენობა გაორმაგდა. ფლორიდაში მხოლოდ ორი დღის განმავლობაში იარაღი 2386-მა ადამიანმა შეიძინა, რაც ერთი კვირის წინანდელ ანალოგიურ ▶

მოკლედ

## მიტ რომნი რუსეთისადმი აშშ-ის პოზიციის გამკაცრების პირობას დებს



**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან, მიტ რომნიმ, თავის კონკურენტს, მოქმედ პრეზიდენტ ბარაკ ობამას, ბრალი დასდო ზედმეტად რბილ დამოკიდებულებაში რუსეთის მიმართ.** მიტ რომნიმ პირობა დადო, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში მისი პოზიცია მოსკოვის მიმართ უფრო გამკაცრდება. „ჩემი არჩევის შემთხვევაში ჩვენი მოკავშირეებისადმი იქნება მეტი ლოიალობა, ხოლო პუტინი ნახავს უფრო ნაკლებ მოქნილობას ჩვენი მხრიდან და დიდ სიმკაცრეს“, — განაცხადა რომნიმ. რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე რომნის გამოსვლა ძირითადად ქვეყნის საშინაო პოლიტიკას მიეძღვნა, რაც შეეხება საგარეო მიმართულებებს, ის ძალიან მოკლედ შეეხო რუსეთის, კუბის, ისრაელის, ირანისა და პოლონეთის საკითხებს.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტეხასის ქუჩებში მკვლელობებიც არაა იშვიათობა. ხანდახან სროლები ნახევარი საათის განმავლობაშიც გრძელდება. ტეხასელი მებრძოლი ბიჭები — ისინიც, ვინც ხელისუფლების მხარესაა, ისინიც, ვინც რაიმე მიზეზის გამო მისი წინააღმდეგია, შესაძლოა გაერთიანდნენ კიდეც საერთო მტრის — ვაშინგტონის წინააღმდეგ, რომელიც მათ გაეროს ჯარებით აშინებს. და თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში მასობრივი არეულობები დაიწყება, მოსამართლე ჰედი სიხარულით ჩაუდგება სათავეში ძირმორყეული იმპერიიდან გამოყოფის მოძრაობას.**

◀ მაჩვენებელს 14%-ით აღემატება. ორეგონში ანალოგიურმა გაყიდვებმა 11%-იანი ზრდა აჩვენა, კალიფორნიაში იარაღით ვაჭრობის ბრუნვა 10%-ით გაიზარდა. ამასთან, გამოძიების ფედერალური ბიურო ფლობს მონაცემებს, რომელთა თანახმადაც ივნისსა და ივლისში, როგორც წესი, ქვეყნის მოქალაქეები ყველაზე იშვიათად ყიდულობენ იარაღს.

სხვათა შორის, **ამერიკელები ყველაზე ხშირად რუსულ „საიგას“ ყიდულობენ.**

15 აგვისტოს ერთ-ერთ ინტერნეტრესურსზე გამოქვეყნებული მასალის სათაური შემდეგნაირად ჟღერდა: „ამერიკელებმა კალაშნიკოვები ცხელი ღვეზელებივით დაიტაცეს“. როგორც აღმოჩნდა, საკუთარი საშინაო არსენალების შესავსებად ამერიკელები მასობრივად ყიდულობენ კალაშნიკოვს.

**ამერიკელებს იარაღით რუსული „იჟმაში“ უზრუნველყოფს. შეკვეთების დასაკმაყოფილებლად მან ოპერატიულად შეცვალა კალაშნიკოვის საბრძოლო მოდელი სამოქალაქო მოდელით.**

**როგორც ამ თემაზე გამოქვეყნებული მასალების ავტორები აღნიშნავენ, ეს ყველაფერი მომგებიანია ამერიკელი ენთუზიასტებისა და რუსი ინვესტორებისათვის: ამერიკის კანონებით ხომ აკრძალულია ჩინური იმპორტი და ამით ფაქტობრივად ხორციელდება რუსული საწარმოების სუბსიდირება. ენდრიუ კრამერმა „ნიუ იორკ თაიმსში“ დაწერა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში „იჟმაში“ არ ეჯახება ღირებულ კონკურენციას ჩინეთის მხრიდან, რადგან ფედერალურმა ხელისუფლებამ პრაქტიკულად აკრძალა ქვეყანაში ჩინური პისტოლეტების დიდი ნაწილის შეტანა ჯერ კიდევ 1994 წლიდან.**

**აშშ-ში იყიდება „საიგა“, კალაშნიკოვი-47-ის ლეგალური, სამოქალაქო ვარიანტი, ნახევრადავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. „იჟმაშის“ პროდუქციის დაახლოებით 70%, კრამერის გათვლით, ახლა სამოქალაქო იარაღს წარმოადგენს. ორი წლის წინ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 50%-ს შეადგენდა. მთელი სამოქალაქო იარაღის დაახლოებით 40% კი სწორედ ამერიკაში ექსპორტირდება.**

როგორც სტატიის ავტორი წერს, კალაშნიკოვის ისტორია არა მხოლოდ ძალადობის, არამედ საიმედოობის ისტორიაცაა. კალაშნიკოვის შაშხანები, ავტორის აზრით, შეიძლება პლაჟზე ქვიშაში ჩაფლა, შემდეგ კი ამოიღო, გადატენო და ისროლო. ისინი ისე იმუშავებენ, ვითომც არაფერი მომხდარა. საიმედოობაც ამას ჰქვია. 2011 წელს რუსული ბრენდის, „საიგას“, გაყიდვები 50%-ით გაიზარდა.



**აშშ-ში იყიდება «საიგა», კალაშნიკოვი-47-ის ლეგალური, სამოქალაქო ვარიანტი, ნახევრადავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. «იჟმაშის» პროდუქციის დაახლოებით 70%, კრამერის გათვლით, ახლა სამოქალაქო იარაღს წარმოადგენს. ორი წლის წინ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 50%-ს შეადგენდა. მთელი სამოქალაქო იარაღის დაახლოებით 40% კი სწორედ ამერიკაში ექსპორტირდება**

ყოფილმა საზღვაო ქვეითმა ტენესიდან, ჯოშ ლორამ, გაზეთ „თაიმსს“ უთხრა: „მე ვიყიდე „საიგა“, რადგან ის დამზადებულია რუსეთში, თავისი უფროსი ძმების, კალაშნიკოვების, გვერდით. მსოფლიოში ვერც ერთი შაშხანა ვერ შეედრება მას საიმედოობით“.

**საბოლოოდ კი რა გამოდის? თუ ამერიკის ხელისუფლება გეგმავს, საკუთარ ქვეყანაში მასობრივი არეულობები ჩაახშოს ამერიკული იარაღით, რომელსაც ქვეყნის შიდა უშიშროების სამინისტრო ყიდულობს, მმართველი ტირანებისაგან თავდაცვისთვის, შემდეგ კი მათზე შეტევისთვის თავისუფლების მოყვარე ამერიკელები რუსული „საიგების“ გამოყენებას აპირებენ. ამხანაგ ლენინსა და სტალინს რომ სცოდნოდათ, ამერიკაში საქმე ასე შეტრიალდებოდა, ისინი მშვიდად იქნებოდნენ მსოფლიოს კომუნისტური მომავლის გამო.**

არის კიდევ ერთი საფრთხე, რომლის წინააღმდეგ ბრძოლისთვისაც ემზადება აშშ. მუქარით აღსავსე სტატიაში, რომელიც ძალიან ჰგავს საინფორმაციო ბომბს და რომლის სათაურია „ტეხასი ოფიციალურად აფრთხილებს ობამას სამოქალაქო ომის შესახებ“, საუბარია ტეხასის შტატის მოსამართლესა და ლაბოკ ქაუნტის მთავარ ადმინისტრატორზე. ტომ ჰედი გამოვიდა ადგილობრივი გადასახადების გაზრდის ინიციატივით. იგი ირწმუნება და ცდილობს, დეპუტატებიც დაარწმუნოს, რომ სამოქალაქო ომი გარდაუვალია. მისი ვარაუდით, ეს ობამას ხელახალი არჩევისთანავე დაიწყება.

ამიტომ, ჰედის ანგარიშის თანახმად, აუცილებელია მზადება ყველაზე უარესისათვის. ეს „ყველაზე უარესი“ კი ნიშნავს სამოქალაქო არეულობებს, სამოქალაო დაუმორჩილებლობას და, სავარაუდოდ, სამოქალაქო ომსაც კი.

მოსამართლე ტომ ჰედი და კომისარი მარკ ჰენრიხი ვარაუდობენ, რომ მომავალი ფინანსური წლისთვის აუცილებელია ადგილობრივი გადასახადების 1,7%-ით გაზრდა. გაზრდის მიზანია გაუთვალისწინებელი გარემოებებისათვის მზადება, მათ შორის ობამას ხელახალი არჩევისათვის მზადებაც. მოსამართლემ განაცხადა, რომ ოლქში საჭიროა ხელფასების მომატება საოლქო პროკურორის ოფისის თანამშრომლებისათვის და მეტი სახსრების გამოყოფა შერიფის თანამშრომელთა სამუშაოს ასანაზღაურებლად.

ინტერვიუში ტომ ჰედმა რეპორტიორებს გაუზიარა აზრი იმის შესახებ, რომ ობამა შეეცდება, ამერიკის შეერთებული შტატების სუვერენიტეტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გადასცეს და კითხვაზე, თუ რა მოხდება ამის შემდეგ, ჰედმა თავადვე გასცა პასუხი: „ვფიქრობ, მოხდება ყველაზე უარესი რამ — სამოქალაქო არეულობა, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და შესაძლოა სამოქალაქო ომიც კი“. მისივე განცხადებით, საუბარი არაა რამდენიმე ამბოხსა და ორიოდე დემონსტრაციაზე.

მოსამართლის ვარაუდით, სამოქალაქო არეულობების ჩასახშობად ტეხასში გაეროს ჯარისკაცები ჩავლენ, მაგრამ იგი მშობლიურ შტატში მათ შეშვებას არ აპირებს. მას გვერდით დაუდგება ოლქის შერიფიც, უბრალოდ, ეს უკანასკნელი მიიჩნევს, რომ ამ დაპირისპირებაში ახალბედების ადგილი არაა. სწორედ ამიტომ სჭირდება ჰედს დამატებითი სახსრები, რათა გაწვრთნას და შეაიარაღოს ხალხი, მათ შორის გამოცდილი მებრძოლებიც, რომლებიც აუცილებლად დაუჭერენ მას მხარს. სხვათა შორის, გადასახადების გაზრდა დამატებით 832 433 დოლარს გააჩენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ტეხასი ამერიკის განსაკუთრებული შტატია. ჯერ ერთი, იქ ტრადიციულად ძლიერი პოზიციები უკავიათ რესპუბლიკელებს. ობამას მსგავს დემოკრატებს იქ არ სწყალობენ. გარდა ამისა, ტეხასელია ორივე ჯორჯ ბუში, ამასთან, უმცროსი ახლა მიტ რომნის უჭერს მხარს. ტეხასი მუდამ ცნობილი იყო თავისი მონათმფლობელებით, რომელთაც მონების დათმობა მაშინაც კი არ სურდათ, როდესაც ეს 1836 წელს კონსტიტუციით მოსთხოვეს. მონობის შენარჩუნების მიზნით, მექსიკასთან მეომარი მონათმფლობელი ჰიუნსტონის სახელი ჰქვია შტატის ყველაზე დიდ ქალაქს. გარდა ამ ყველაფრისა, ტეხასი აშშ-ში სიდიდით მეორე შტატია, თანაც ნავთობი აქვს, ამიტომ იქაურ მოსამართლეებსა და შერიფებს შეუძლიათ, რაც უნდათ, ის თქვან და ხშირად არა მხოლოდ თქვან, არამედ აკეთონ კიდეც. **მოსახლეობის რაოდენობით (23 მილიონი) ტეხასი მხოლოდ კალიფორნიას ჩამორჩება და ეს არის ერთადერთი შტატი ამერიკაში, რომელსაც უფლება აქვს, ჩაატაროს რეფერენდუმი აშშ-დან გამოყოფის საკითხზე. ტეხასის დროშა ნაციონალური დროშის სიმაღლეზე ფრიალებს და ამერიკის შტატებიდან სხვას არც ერთს ამგვარი პრივილეგია არ გააჩნია.**

სწორედ ამ განსაკუთრებულ შტატშია ახლა არეულობა. ამ დრომდე ობამა უფრო პოპულარულია, ვიდრე რომნი, ეს კი უკვე საბაბია ტეხასური განგაშისთვის. გაეროს ჯარი მეორე მიზეზია, დროდადრო კი ამას სასამართლო ტრაგედიები და მკვლელობებიც ემატება.

ახლახან ადგილობრივმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ სიკვდილით დასაჯა ჭკუასუსტი ზანგი პოლიციის „ჩამშვების“ მკვლელობისათვის. მარვინ უილსონის ჭკუასუსტობა მისი გამართლებისთვის ხელისუფლებას ეცოტავა.

არადა, უილსონი მართლაც ბავშვივით იქცეოდა — 20 წლის ასაკში საკუთარ ცერა თითს წოვდა. ხალხი აღაშფოთა სასამართლოს დაუნდობლობამ და თვითნებობამ.

ზოგადად კი, **ტეხასში უყვართ სიკვდილით დასჯა**. აშშ-ის 50 შტატში განხორციელებული სიკვდილით დასჯის მესამედზე მეტი სწორედ ტეხასის შტატზე მოდის. და, როგორც ცნობილია, ბუში ხელმძღვანელობდა ტეხასში სასიკვდილო განაჩენებს — საშუალოდ ერთი სიკვდილით დასჯა ყოველ 9 დღეში. შტატის ისტორიაში არც ერთ სხვა გუბერნატორს ამდენი ადამიანია არ დაუსჯია სიკვდილით. უფრო მეტიც, თავად სიკვდილით დასჯის მომხრე ჟურნალისტმა ტაკერ კარლსონმა თავის დროზე აღშფოთებით გააშუქა სი-ენ-ენ-ში, თუ როგორ გამოაჯავრა აშშ-ის მომავალმა პრეზიდენტმა ბუშმა ერთ-ერთი სიკვდილმისჯილი ქალი, რომელიც იმხანად ჯერ კიდევ გუბერნატორ ბუშს განაჩენის სისრულეში მოყვანის გადადებას ევედრებოდა.

**ტეხასის ქუჩებში მკვლელობებიც არაა იშვიათობა. ხანდახან სროლები ნახევარი საათის განმავლობაშიც გრძელდება. ტეხასელი მებრძოლი ბიჭები, ისინიც, ვინც ხელისუფლების მხარესაა, ისინიც, ვინც რაიმე მიზეზის გამო მისი წინააღმდეგია, შესაძლოა გაერთიანდნენ კიდეც საერთო მტრის — ვაშინგტონის წინააღმდეგ, რომელიც მათ გაეროს ჯარებით აშინებს. და თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში მასობრივი არეულობები დაიწყება, მოსამართლე ჰედი სიხარულით ჩაუდგება სათავეში ძირმორყეული იმპერიიდან გამოყოფის მოძრაობას.**

topwar.ru

## Yahoo News-ის დირექტორი რომნის შეეწირა

**ამერიკული ინტერნეტ-კორპორაცია Yahoo News-ის ვაშინგტონის განყოფილების უფროსს, დევიდ ჩელიანს, თანამდებობა პრეზიდენტობის რესპუბლიკელი კანდიდატის, მიტ რომნის, მისამართით გაკეთებული გამონათქვამის გამო დაატოვებინეს.** ჩელიანმა, რომელიც პირდაპირ ეთერში რესპუბლიკური პარტიის ყრილობას აშუქებდა, შესვენების დროს კომენტარი გააკეთა მიტ რომნისა და მისი მეუღლის კადრებზე, რომლებშიც ისინი იღიმოდნენ. მან განაცხადა, რომ „რომნისა და რესპუბლიკელებს საერთოდ არ აღელვებთ ქარიშხალი „ისააკი“, რომელიც აშშ-ის ნაპირებს უახლოვდება და „ისინი კარგად ერთობიან, ვიდრე შავკანიანები იღუპებიან“. როგორც ჩანს, ჟურნალისტმა არ იცოდა, რომ ამ დროს ჩაწერა მიმდინარეობდა და მისი სიტყვები პირდაპირ ეთერში გაისმა. Yahoo News-მა ჩელიანის გამონათქვამის გამო მიტ რომნის ბოდიში უკვე მოუხადა. ბოდიში მოიხადა თავად ჩელიანმაც.



## ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო: ირანმა ურანის წარმოება გააორმაგა

**ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მოხსენების მიხედვით, ირანმა ორჯერ გაზარდა ურანის წარმოება და 1000-ით გაზარდა ცენტრიფუგების რაოდენობა მაისის შემდეგ.** ამჟამად ირანს ქალაქ კუმის ლაბორატორიაში 2 ათასი ცენტრიფუგა აქვს. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო ამავე დროს აცხადებს, რომ ირანი ხელს უშლის მისი სპეციალისტების მუშაობას პარჩინის ატომურ ობიექტზე. სააგენტო მიიჩნევს, რომ საწარმოო აქტივობის პარალელურად მისი სპეციალისტების საქმიანობისათვის ხელის შეშლა, ფაქტობრივად, შეუძლებელს გახდის იმის გარკვევას, იქმნება თუ არა პარჩინის ატომურ ობიექტზე ბირთვული იარაღი. ირანი კი კლავინდებურად აცხადებს, რომ მისი ბირთვული პროგრამა სამშვიდობო ხასიათს ატარებს.

მოკლედ

## ირანი სირიის გვერდით იბრძოლებს

**აშშ-ის სულელური ქმედების შემთხვევაში, თუ ისინი სირიას თავს დაესხმიან, ირანი სირიის გვერდით დადგება. ამის შესახებ ირანის ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის კულტურისა და პროპაგანდის კომიტეტის თავმჯდომარემ, მოჰამედ ალი ასუდიმ, განაცხადა. „თუ ამერიკა შეუტევს სირიას, ირანი სირიის მოკავშირეებთან ერთად მიიღებს შესაბამის ზომებს, რომელიც ამერიკას ფიასკომდე მიიყვანს“,** — განაცხადა ასუდიმ, თუმცა არ დააზუსტა, რა ზომები იქნება მიღებული. მისი თქმით, სირიის მოკავშირეები შეასრულებენ საკუთარ ვალდებულებას სამხედრო შეთანხმების ფარგლებში. მოჰამედ ალი ასუდის განცხადება სამთავრობო სააგენტო Young Journalists' Club-ის საიტზე გაჩნდა, მაგრამ მალევე მოიხსნა. ამის მიუხედავად, ირანის რამდენიმე სააგენტომ მოასწრო მისი გავრცელება. შეგახსენებთ, ირანმა და სირიამ სამხედრო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება 2006 წელს გააფორმეს. ხელშეკრულების დეტალები უცნობია.



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



იგორ კვესელავა

**ამერიკაში წარმოშობილი მასობრივი მოძრაობის მონაწილე ახალგაზრდების ნაწილი ფიქრობს, რომ პრობლემების სათავე მთავრობაშია, რომელიც ისეთ ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეოლოგიას უჭერს მხარს, რომელიც განსხვავებულ ეკონომიკურ წესრიგს არ მოიაზრებს. თუმცა ამერიკაში საუბრობენ გერმანულ მოდელზეც, რომელიც შტატებთან შედარებით ბევრად უკეთ იცავს საკუთარ საწარმოო ბაზას – მშრომელთა კლასს. შესაბამისად, გერმანიის ხელისუფლება კონკურენციის მიმართ კეთილგანწყობილია და აფართოებს სოციალური დაცვის მექანიზმებს.**

# XXI საუკუნე — თანამედროვე კაპიტალიზმის დასასრული?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №31-32 (169-170)

**თანამედროვე კაპიტალიზმის დასასრულის საკითხი იმდენად აქტუალური გახდა, რომ მსოფლიოს პოლიტიკური, ეკონომიკური და მეცნიერული ელიტის წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ, დაბრუნებოდნენ პრობლემის თეორიულ-პრაქტიკულ მხარეებს.**




დღეს ბევრი იხსენებს, რომ აშშ-მა და ბრიტანეთმა მხარი დაუჭირეს „მომსახურებაზე ორიენტირებულ“ ეკონომიკურ მოდელს, რაც გულისხმობდა ძალიან სწრაფად სიარულს პოსტინდუსტრიულ სამყაროში და საშუალო კლასის საზოგადოების გაფართოებას, თუმცა აქ გამოჩნდა „ჩინური ფენომენი“, როდესაც მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებშიც ეს ადამიანები მუშაობდნენ, ამერიკიდან ჩინეთში გადავიდა, იაფი მუშახელის გამოყენების მიზნით. ასეთ ვითარებაში გლობალური პროტექციონიზმის ახალმა ფორმამ, ანუ ამერიკის მიერ ჩინეთისათვის მსოფლიოს დიდი ნაწილის დეინდუსტრიალიზაციის დაშვებამ გამოიწვია ჩინური აღმავლობა და დასავლური ქვეყნების ერთმანეთისთვის დაპირისპირება, თუნდაც მათი ტექნოლოგიების ე. წ. მითვისების გზით.

**თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის იდეოლოგი, ამერიკელი მეცნიერი ფრენსის ფუკუიამა ფიქრობს, რომ დასავლეთში ყველა მოკლევადიანი ინტერესებიდან გამოდის და ცდილობს, დაასწროს სხვებს და ფული იშოვოს ჩინეთთან ბიზნესით, თუნდაც ის ამჟამად ზიანს აყენებდეს. ამ ტენდენციამ მძლავრი დარტყმა მიაყენა ამერიკის ეკონომიკას, მისი გამოსწორება თითქმის შეუძლებელია, რადგანაც წარმოების ყველა მნიშვნელოვანი სფერო ჩინელების ხელშია.**

არ უნდა იყოს პარადოქსული ისიც, რომ ავტორიტარული სისტემები მსოფლიოში სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება. ფუკუიამას მოჰყავს გერმანელი საქმოსნების მაგალითი, როდესაც ისინი კომუნისტურ ჩინეთში მოგზაურობის შემდეგ მოიხიბლნენ ამ სისტემით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, სწრაფად მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რაც არ არის დამახასიათებელი ამერიკის თანამედროვე ეკონომიკური სისტემისთვის. მაგალითად, სულ ახლახან ჩინეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება შეამციროს ეკონომიკის ზრდა და ხელი შეუწყოს ქვეყნის მდგრად განვითარებას. ერთის მხრივ, ეს ემსახურება რეფორმების რეალიზაციის სტიმულირებას და ეკონომიკის განვითარების ხარისხის ზრდას. მეორე მხრივ, მიმართულია ინფლაცია დაბალ დონეზე შეინარჩუნოს და გაამყაროს ეროვნული ვალუტა – იუანი.

**ნიშანდობლივია ისიც, რომ 2010 წლის მერე ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა გლობალური კრიზისიდან სწრაფად გამოვიდა და ზრდის ორნიშნა ტემპებს დაუბრუნდა. გაასწრო იაპონიას და გახდა მსოფლიოში მეორე ეკონომიკა.**

მართალია, ფუკუიამას აზრით, ჩინეთი შეიძლება ახალ გლობალურ მოდელად იქცეს, თუმცა ეს დებულება ეწინააღმდეგება მისსავე თეზისს იმის შესახებ, რომ ჩინეთი ვერასოდეს გახდება გლობალური მოდელი. მისი მტკიცებით: **„დღევანდელი დასავლური სისტემა მართლაც მოირყა ზოგიერთ ფუნდამენტურ ნაწილში, მაგრამ ვერც ჩინური სისტემა იმუშავებს. ეს უაღრესად უსამართლო და ამორალური სისტემაა, სადაც ნებისმიერს შეიძლება წამებში წაართვან ყველაფერი, სადაც ადამიანები იღუპებიან სარკინიგზო ინციდენტებში საზოგადოებრივი კონტროლის უქონლობის და გაუმჭვირვალობის გამო, სადაც კორუფციაა გაბატონებული. ჩვენ უკვე ვხედავთ უზარმაზარ პროტესტს ჩინეთის ყველა ნაწილში“.**

ამერიკელი მეცნიერის ეს დებულება არამეცნიერულ სიმსუბუქეს უფრო მეტად შეიცავს, ვიდრე აწონილ-დაწონილ აზრს. ფუკუიამას მიერ ნახსენები, ჩინეთისთვის დამახასიათებელი ნეგატიური შტრიხები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გვხვდება და მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. ამასთან არც ისე ახლოს ჩანს პოლიტოლოგის ოცნება, ჩინეთის „არაბული გაზაფხულის“ შესახებ. **საკამათოა ამერიკელი პოლიტოლოგის თეზისი იმის შესახებ, რომ „როდესაც ჩინეთის ხელისუფლება შეწყვეტს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული ხარისხით უზრუნველყოფას, ის დარჩება ამ უზარმაზარი მორალური მოწყვლადობით“.**

ფუკუიამა ვერ ხედავს მემარცხენეთა ამბოხის მზარდ საშიშროებას დასავლეთში. თუმცა, ნაკლებად იცნობიერებს, რომ **გამორიცხული არ არის ლიბერალური დემოკრატიის პოლიტიკურ-ეკონომიკური იდეოლოგია „მემარცხენეთა“ ამბოხმა კი არ დაამარცხოს, არამედ „მემარჯვენეების“ და ლიბერალური დემოკრატიის შეცდომებმა და ანარქიულობამ.**

თანამედროვე კაპიტალიზმის სერიოზული ხარვეზია წამყვან სახელმწიფოებში უთანასწორობის ხარისხის განსაკუთრებული სიმაღლე. ამის მიზეზად სახელდება შემოსავლების უთანაბროდ განაწილება და მკვეთრი სხვაობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ასეთ შემთხვევაში ადამიანი თავს საზოგადოების ნაწილად ვერ მოიაზრებს და, შესაბამისად, ნდობის ხარისხიც დაბალია, თუმცა, ამ დროს არსებობენ ჯგუფები, რომლებსაც პოლიტიკურ სისტემასთან უპირატესი წვდომა აქვთ, რასაც საკუთარი ინტერესების ლობირებისთვის იყენებენ.

საშუალო კლასის სისუსტე, აძლიერებს პოპულიზმს, აფართოებს კონფლიქტებს და ქმნის გადანაწილების პრობლემებს, რომლებიც თანამედროვე კაპიტალიზმის მხვედრი მოვლენაა, რასაც მოჰყვა სოციალური მოძრაობის გააქტიურება ლოზუნგით: **„დაიკავე უოლ-სტრიტი“.**

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ ობამას მდიდრებისათვის უფრო მაღალი გადასახადების დაკისრების იდეის გამო „ევროპელ სოციალისტს“ უწოდებენ, ამით ამერიკის ცხოვრებაში არაფერი არ შეცვლილა და ქვეყანაში ახალი „დიდი დეპრესიის“ ნიშნები გაჩნდა. თუმცა, მემარცხენე ფლანგის გააქტიურება მდიდრების წინააღმდეგ არ გამოკვეთილა. მითუმეტეს, **უოლ-სტრიტზე დაწყებულმა კრიზისმა და ფინანსების ლიბერალიზაციის ამერიკულმა მოდელმა საშინელი დარტყმა მიაყენა რიგით ადამიანებს, და უფრო გაამდიდრა ქვეყნის ყველაზე მდიდარი ნაწილი – ფინანსური სექტორი.**

აღნიშნული მოძრაობის სოციალური ბაზა ვიწრო იყო, არ ყოფილა რადიკალური და ძირითადად იმ ადამიანებისაგან შედგებოდა, რომლებიც 1999 წელს გამოვიდნენ სიეტლში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინააღმდეგ. ფაქტობრივად, ეს იყო „თეთრი“ მუშათა კლასის და წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი, რომელთა პოლიტიკურ ქცევას ევროპაში მიამსგავსებდნენ სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებებს.

აშშ-მა სახელისუფლო ძალისხმევით შეძლო ახლანდელი კრიზისის შეჩერება და ის „დიდ დეპრესიაში“ არ გადაიზარდა. მაშინ ფრანკლინ რუზველტმა მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, დაეყრდნო სოციალისტური მიმდინარეობის ერთ-ერთ განშტოებას „ორგანიზებულ კაპიტალიზმს“ და მოახერხა დიდი ბანკების რესტრუქტურიზაცია. ამერიკაში ამჟამადაც ფიქრობენ ამ გზის ამოქმედებაზე. **ნობელის პრემიის მფლობელები ბრონერი, თაროუ, ლაზარევი და სხვები აშშ-ის ამჟამინდელ ადმინისტრაციას ურჩევენ, ეკონომიკა გადაიყვანოს სახელმწიფო რელსებზე, სხვა შემთხვევაში ამერიკას ახალი დეპრესია“ ემუქრება.**

ჯერ კიდევ 60-იან წლებში ამერიკელებს სჯეროდათ, რომ აწმყო უკეთესია წარსულზე, ხოლო მომავალი აწმყოზე უკეთესი იქნება. 70-იანი წლების დასაწყისში ამერიკელები უკვე წარსულს უფრო მომხიბლავ ფერებში ხედავდნენ ვიდრე აწმყოს, მაგრამ მიაჩნდათ, რომ მომავალში ახალი აღმავლობა დაიწყებოდა. 80-იანი წლების დასაწყისისთვის ამერიკელთა უმრავლესობა აწმყოს წარსულზე უარესად მიიჩნევდა, მაგრამ უფრო უარესს მოელოდა მომავლისგან. ამდენად, აშშ-ის საზოგადოებრივ აზრში იკვეთებოდა გარკვეული ისტორიული შემობრუნება, ანუ უკუსვლა ტრადიციული ამერიკული ოპტიმიზმისგან.

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი **ოლვინ ტოფლერი** ასე ახასიათებდა იმდროინდელ ამერიკულ საზოგადოებრივ ყოფას: **„ჩვენს წიაღში მწიფდება რაღაც უცნაური, ახალი საზოგადოება. ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში შეიძლება შეამჩნიო რაღაც ავადმყოფობის ნიშნები. ეს ავადმყოფობა სულ უფრო გამოვლინდება ჩვენს კულტურაში, ჩვენს ფილოსოფიაში, ჩვენს დამოკიდებულებაში რეალობისადმი. არაა გასაკვირი, რომ ბევრი ჩვენს საზოგადოებას შეშლილთა სახლს უწოდებს. ხშირად გვეჩვენება, რომ ჩვენი საზოგადოება რღვევის პირასაა“.** თუმცა ბარაკ ობამა სხვა გზით მიდის, მითუმეტეს მისი გუნდის ზოგად შეხედულებებს მისი მხარდამჭერი დიდი ბანკები აყალიბებენ.

**ამერიკაში წარმოშობილი მასობრივი მოძრაობის მონაწილე ახალგაზრდების ნაწილი ფიქრობს, რომ პრობლემების სათავე მთავრობაშია, რომელიც ისეთ ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეოლოგიას უჭერს მხარს, რომელიც განსხვავებულ ეკონომიკურ წესრიგს არ მოიაზრებს. თუმცა ამერიკაში საუბრობენ გერმანულ მოდელზეც, რომელიც შტატებთან შედარებით ბევრად უკეთ იცავს საკუთარ საწარმოო ბაზას – მშრომელთა კლასს.**

შესაბამისად, გერმანიის ხელისუფლება კონკურენციის მიმართ კეთილგანწყობილია და აფართოებს სოციალური დაცვის მექანიზმებს.

ცხადია, კაპიტალიზმის კრიზისის სათავე პოლიტიკურ მმართველობაშია, როდესაც ხორციელდება ზეგავლენა საბაზრო პოლიტიკაზე. მაგალითად, **ფუკუიამა აღიარებს, რომ დემოკრატიული პროცესი როგორც წესი უზურპირებული აქვთ კარგად ორგანიზებულ ჯგუფებს, რომლებიც ძირითადი მოსახლეობის ინტერესებს არ იცავენ. აღნიშნულის ნათელი მაგალითია საბერძნეთი, სადაც ექიმები, ფარმაცევტები, არქიტექტორები, საჯარო მოსამსახურეები და სხვა სოციალური ჯგუფები ცალკეულ დახურულ კორპორაციებად ჩამოყალიბდნენ, აკონტროლებდნენ ფასებს და მეტწილად გაურბოდნენ გადასახადების გადახდას. შესაბამისად, მათ შეძლეს საკმაო ქონების დაგროვებაც, მაგრამ საბერძნეთის ნაციონალური გა-**

## 48-ტონიანი ირანული ხალიჩა გინესის რეკორდების წიგნში შევიდა

**ხელით ნაქსოვი გიგანტური ხალიჩა, რომელიც ირანელი ხელოსნების მიერაა დამზადებული, გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც მსოფლიოში ყველაზე დიდი ხელით ნაქსოვი ხალიჩა.** ხალიჩა, რომელიც ამ დროისათვის არაბეთის გაერთიანებული ემირატების მეჩეთში მდებარეობს, აბუ-დაბიში ტურისტების მიზიდვის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა. გიგანტური ხალიჩის სიგრძე 133 მეტრია, ხოლო სიგანე — თითქმის 48 მეტრი. ხალიჩა 48 ტონას იწონის და მის შექმნაზე თავის დროზე 1200 ადამიანი მუშაობდა. როგორც ცნობილია, ირანი ხალიჩების წარმოებაში მსოფლიო ლიდერია და მასზე ისლამურ რესპუბლიკებში არსებული ხალიჩების 1/3 მოდის.

## ბრაზილიაში მამაკაცი ერთდროულად ორ ქალზე დაქორწინდა

**ბრაზილიაში მამაკაცი ერთდროულად ორ ქალბატონზე დაქორწინდა.** ნოტარიუსმა კანონმდებლობაში ვერ აღმოაჩინა მრავალცოლიანობაზე აკრძალვა და ეს უჩვეულო ქორწინება ნოტარიულად გააფორმა. ქმარმა და ორივე ცოლმა განაცხადეს, რომ ოჯახის თითოეული წევრის უფლებებს პატივს სცემენ და უბედური შემთხვევის ან განქორწინების შემთხვევაში ფინანსურ გარანტიებზეც აიღებენ პასუხისმგებლობას.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა რომ გასაძლიერებელია, ამას მეც ვეთანხმები, მაგრამ ეს უნდა იყოს გამჭვირვალე და ბაჩო ახალაიას არ უნდა ჰყავდეს სპეცრაზმები. ეს არ უნდა იყოს დაფარული, ეს არ უნდა იყოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების იარაღი. ჩემი და მთლიანად ოპოზიციის მიზანია, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს თავისუფალმა და არა დაშინებულმა ადამიანებმა. ხელისუფლებას აქვს უფლება, ჰყავდეს გასაიდუმლოებული ჯგუფები, მაგრამ ისინი შესაბამისად უნდა იყვნენ დაცულნი.“**

◀კოტრება გარდაუვალი გახდა.

**სხვათა შორის, ამ კონტექსტშია გასააზრებელი საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. საბერძნეთის მსგავსად, აქაც შეიმჩნევა გარკვეული სოციალური ჯგუფების ჩამოყალიბების ტენდენცია, რომლებიც ცდილობენ, მოახდინონ დემოკრატიული პროცესების უზურპირება, და არ დაიცვან მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესები. საქართველოში შესამჩნევია დახურულ კორპორაციებად ჩამოყალიბების ტენდენციები, რომლებიც ცდილობენ გააკონტროლონ ფასები და ამით საკმაო ქონება შეიძინონ, როგორც მოძრავი, ისე უძრავი სახით. ამ კონტექსტში შეიძლება მოვიაზროთ ბენზინის, კვების პროდუქტების, ცალკეული, კერძო უმაღლესი სასწავლებლების და სხვა ბიზნესი.**

ევროზონის კრიზისი, ევრობანკის გათვლებით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ყველაზე მწვავედ საქართველოზე გავრცელდება. მითუმეტეს, საქართველოს ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია დასავლეთის საერთაშორისო დახმარებაზე. იმის მიუხედავად, რომ ქვეყანა არ არის ევროკავშირის წევრი, საფრთხე ემუქრება საბანკო სისტემას, რამდენადაც საქართველოს ეკონომიკა და საბანკო სექტორი საკმაოდ ინტეგრირებულია შესაბამის გლობალურ პროცესებსა და ინსტიტუტებში, **ევროზონის კრიზისი გავლენას ახდენს ქართულ კომპანიებზე და, მაღალი რიკსებიდან გამომდინარე, ქვეყანას ევროპაში ფინანსების მოძიება გაუჭირდება.**

ქართული რეალობის მცოდნე ერთ-ერთი გერმანელი ექსპერტის მოსაზრებით: **„საქართველოში რეალური ეკონომიკა არ არსებობს; ქვეყანა უცხოურ გრანტებსა და კრედიტებზეა დამოკიდებული, რომლებსაც იგი ღებულობს გარკვეული გეოპოლიტიკური ამოცანის შესრულების სანაცვლოდ, რაც რუსეთის სამხრეთის უსაფრთხოებისთვის ძირის გამოთხრაში მდგომარეობს. თუ აშშ-ში ამ ფუნქციაზე მოთხოვნა არ იქნება, სრული ეკონომიკური კოლაფსი დადგება“.**

თანამედროვე კაპიტალისტურ მოდელთან არის დაკავშირებული ევროპული კრიზისიც, რომლის დემოკრატიული ხარისხი თანდათანობით დაბლა ეშვება. ევროპული სამყარო არასოდეს ყოფილა ერთგვაროვანი ევროპის კავშირის მიმართ. ეს პროექტი თავიდანვე ელიტის მიერ იყო მართული და რეფერენდუმებს იმდენჯერ ატარებდნენ, რამდენიც ხელისუფლებას სჭირდებოდა გასამარჯვებლად.

თანამედროვე კაპიტალიზმის კრიზისის გამოვლინებანი უყურადღებოდ არ დარჩენია ცნობილ ამერიკელ პოლიტიკოსს და დიპლომატს **ზბიგნევ ბჟეზინსკის.** მისი აზრით, **მოძრაობა „დაიკავე უოლ სტრიტი“, პოლიტიკური და სოციალური იდეების პოლარიზაციის და სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების შეჯახების ობიექტური შედეგია და უმართავ სოციალურ კონფლიქტებში გადაზრდის საფრთხეს შეიცავს.**

თანამედროვე ამერიკა არ არის მზად, ცალმხრივი წესით განახორციელოს გლობალური საშინაო და საგარეო ცვლილებები და შეცვალოს დანარჩენი მსოფლიო, მითუმეტეს **ამერიკის განსაკუთრებულობა, რომელიც ვილსონის საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ფუნდამენტი იყო, XXI საუკუნეში გარკვეულწილად კარგავს თავის მნიშვნელობას.** ამ აზრს იზიარებს ბჟეზინსკიც, რომელიც ფიქრობს, რომ დღეისათვის ამერიკა არ წარმოადგენს ზესახელმწიფოს. მითუმეტეს, მის გვერდით დგას ევროპის კავშირი, ჩინეთი, რუსეთი, ხოლო ახლო მომავალში რეგიონალური ლიდერობის პრეტენზიები აქვთ: ინდოეთს, ინდონეზიას, თურქეთს, ბრაზილიას და სხვა ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ მსოფლიო რესურსების ერთობლივი გამოყენებით უზრუნველყონ მშვიდობა, სტაბილურობა, განვითარება და აქტიურად ჩაებან მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში. თუ ერთ ევროპულ გამოთქმას გამოვიყენებთ **„მგზავრის გზა არ არსებობს, გზას თვითონ მგზავრი ქმნის“, შესაბამისად, ქვეყნის გზა არ არსებობს, გზას თვითონ ქვეყანა ქმნის.**

ცხადია, ამერიკული სტილის დემოკრატია გულისხმობს კონსენსუსს სხვა ქვეყნების რეპრესიულ მთავრობებთან, თუ ის არ არის აშკარად ანტიამერიკული და მკვეთრ წინააღმდეგობაში არ მოდის ამერიკულ პრიორიტეტებთან – ნაციონალურ უსაფრთხოებასთან და საყოველთაო გეოპოლიტიკურ ბალანსთან. ამდენად, სიკეთისა და ბოროტების ამერიკული ქადაგება ყოველთვის მიზნობრივია და პრაგმატიზმის სველი ღრუბლით არის გაჟღენთილი.

**ამერიკა უარს არ ამბობს ზესახელმწიფოს ტიტულზე და, შესაბამისად, ცდილობს იყოს მსოფლიოს მეთაური, მაგრამ, როგორც ჩანს, XXI საუკუნეში მან მეტი ლავირება უნდა გამოიჩინოს, რომ მსოფლიო სივრცეში ვაშინგტონის მრავალთავიანი კოშკის მზერა იყოს ნაკლებად მრისხანე და მეტად სასიკეთო.**

**იგორ კვესელავა**

დასასრული შემდეგ ნომერში

კახა მიქაია:

# გამჭვირვალე არჩევნები არ იქნება. მიხეილ სააკაშვილი არჩევნებს აუცილებლად გააყალბებს

**უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებზე საუბარი საქართველოში მას შემდეგ დაიწყო, რაც ქართულ პოლიტიკაში გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი. ამის შესახებ ბევრიც ითქვა და ბევრიც დაიწერა. ამ თემას აქტუალობა არც ამჟამად დაუკარგავს. ამ დღეებში სამეგრელოს ტყეებში სწორედ შეიარაღებული ფორმირებების ადგილსამყოფელი დაფიქსირდა. ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაციის „ამომრჩეველთა ლიგა“ ერთ-ერთი დამფუძნებელი კახა მიქაია.**



— საქართველოს მოსახლეობას ახსოვს, თუ რა აჟიოტაჟი მოჰყვა ირაკლი ალასანიას განცხადებას ამ არაფორმალური დაჯგუფებების შესახებ. ამ საკითხზე საუბარი მე გასული წლის ოქტომბრიდან დავიწყე. ირაკლიმ კი მოახდინა ამ თემის აქტუალიზაცია, შემდეგ ჟურნალისტმა ნანა ფაჟავამ გადაიღო ეს ჯგუფი ჩემს სამეზობლოში, რუსთაველის ქუჩაზე, ამიტომაც ხელისუფლება იძულებული გახდა, ისინი ქალაქიდან გაეყვანა.

**— ბატონო კახა, ამით იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ თქვენ მიერ სქურში აღმოჩენილი დაჯგუფების წევრები სწორედ თქვენი ყოფილი მეზობლები არიან?**

— მე მომივიდა ინფორმაცია, რომ წალენჯიხის რაიონის სოფელ სქურის ტყეში რაღაც შეიარაღებული ფორმირება იმყოფებოდა. ამიტომაც გადავწყვიტე გარკვეული დაზვერვითი საქმიანობა მეწარმოებინა და ჩემს მეგობარს, საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-ის ჟურნალისტ ნინო ბორჩხაძეს ვთხოვე, ჩამოსულიყო ზუგდიდში და დამხმარებოდა. ის მართლაც ჩამოვიდა და თავისი ფარული ვიდეოკამერით შეაღწია ამ დაჯგუფების ბანაკში. ნინომ მათ თავი გააცნო, როგორც ტურისტმა. მეორე დღეს კი მე ჩემს მეგობრებთან და ჟურნალისტებთან ერთად თავზე დავადექი ამ დაჯგუფების წარმომადგენლებს. ისინი გაოგნებულნი იყვნენ, გადაღების უფლებას არ გვაძლევდნენ, სადღაც გვაგზავნიდნენ ნებართვის ასაღებად, მაგრამ ვერ გვითხრეს, სად უნდა მივსულიყავით, პოლიციის მანქანაზე კი გვითხრეს ჩვენი საკუთრებააო. მე დიდი **ეჭვი მაქვს, რომ ეს სწორედ ის დაჯგუფებაა, რომელიც ზუგდიდიდან გადმოიყვანეს ამ ტყეში. მე ასევე გამაჩნია იმის ინფორმაცია, რომ ისეთი შეიარაღებული ფორმირება, როგორიც სქურში აღმოვაჩინე, არსებობს სვანეთში, ლებარდეში, ჩხოროწყუში.**

**— ხელისუფლება დაჟინებით ამტკიცებს, რომ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები საქართველოში არ არსებობენ, არამედ არსებობს ნებაყოფლობითი რეზერვი. ამაზე რას იტყვით?**

— როცა ჩვენ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებზე დავიწყეთ ლაპარაკი, ხელისუფლებამ ისინი შერაცხა, როგორც ნებაყოფლობითი რეზერვი. მაშინ ზუგდიდში ჩამოსული იყო თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი კობა ახვლედიანი და ჩემთან შეხვედრა მოითხოვა, რათა ჩემთვის დაემტკიცებინა, რომ, რასაც მე ვუწოდებდი უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს, იყო ნებაყოფლობითი რეზერვი. მე მას შევთავაზე ამ თემასთან დაკავშირებით პირდაპირ სატელევიზიო ეთერში დაჯდომა, რაზეც ის არ დათანხმდა. მე ვთვლიდი და ახლაც ვთვლი, რომ ეს შეიარაღებული დაჯგუფებები არანაირი რეზერვი არ არის. 30 კაცი რომ ერთ სახლშია როტაციის გარეშე და გაუგებარია რას აკეთებს, რეზერვი ნამდვილად არ არის. **ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა რომ გასაძლიერებელია, ამას მეც ვეთანხმები, მაგრამ ეს უნდა იყოს გამჭვირვალე და ბაჩო ახალაიას არ უნდა ჰყავდეს სპეცრაზმები. ეს არ უნდა იყოს დაფარული, ეს არ უნდა იყოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების იარაღი.** როცა ჩემს სამეზობლოში იციან, რომ 30 გაურკვეველი წარმომავლობის კაცი დაბინავებულია მათ გვერდით, ეშინიათ. ჩემი და მთლიანად ოპოზიციის მიზანია, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს თავისუფალმა და არა დაშინებულმა ადამიანებმა. ხელისუფლებას აქვს უფლება, ჰყავდეს გასაიდუმლოებული ჯგუფები, მაგრამ ისინი შესაბამისად უნდა იყვნენ დაცულნი.

**— ამ არაფორმალური დაჯგუფებების არსებობა საარჩევნო პროცესს ხომ არ უკავშირდება?**

— ეს ჯგუფები, რომელთაც მთლიანად აკონტროლებს ხელისუფლება, შეიძლება ყოველნაირი მიზნებისთვის გამოყენონ. მთავარი ის არის, რომ ეს ჯგუფები არიან ხელისუფლების ხელში და, რასაც უნდა, იმას გააკეთებინებენ. ყველანაირ ხერხს მიმართავენ, რომ ხელისუფლებაში დარჩნენ. წესები აქვს ყველაფერს, მათ შორის ბრძოლასაც, ხოლო ბრძოლა წესების გარეშე საკუთარ მოსახლეობასთან დანაშაულია, კრიმინალი. მე უფლება მაქვს, ვთქვა, რომ საქართველოს ხელისუფლება თავის მოსახლეობას ებრძვის წესების გარეშე.

**— თქვენ „ამომრჩეველთა ლიგის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ბრძანდებით. თქვენი აზრით, როგორ ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები?**

— მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება და ოპოზიცია იმედით უყურებს არჩევნებს და მეც მათ შორის, მაინც მგონია, რომ **გამჭვირვალე არჩევნები არ იქნება. მიხეილ სააკაშვილი არჩევნებს აუცილებლად გააყალბებს.** მე მაინტერესებს, რას იზამს ხალხი და ოპოზიცია ამ არჩევნების შემდეგ. **არჩევნების გაყალბების შემთხვევაში მთელი საქართველო უნდა გამოვიდეს გარეთ საკუთარი ხმების დასაცავად.**

**— ზუგდიდში უკვირთ, საიდან იცის ეს გასაიდუმლოებული ინფორმაციები კახა მიქაიამო...**

— ამის შესახებ მეც მსმენია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ არ მყავს სპეციალური ინფორმატორი. სამეგრელო არის პატარა, ყველას გვყავს ნაცნობები და მეგობრები და სწორედ ისინი მაწვდიან ინფორმაციებს, რასაც მერე გადავამოწმებ ხოლმე. მე ჩემს საკეთებელს შეძლებისდაგვარად ვაკეთებ და სხვებმაც უნდა აკეთონ თავიანთი საკეთებელი. **მე მოვუწოდებ ყველას, გამოიჩინონ ურთიერთსოლიდარობა და ნუ უყურებენ ერთმანეთს პარტიულ პრიზმაში. ჩვენი ამბიციები გვერდზე უნდა გადავდოთ და ვიყოთ ადეკვატური შექმნილი ვითარებისა. პირველ პლანზე უნდა იყოს ქვეყნის და არა პირადი ინტერესები.**

**ყველაფერი უნდა გააკეთოს ოპოზიციამ, საზოგადოებამ, რომ ჩვენი ნაბიჯებით, ჩვენი ქმედებებით არ მივცეთ ხელისუფლებას იმის საშუალება, ისევ როლანდ ახალაია და მიხეილ სააკაშილი დარჩნენ ხელისუფლებაში. სოლიდარობა და ერთიანობა გადაწვეტს არჩევნების ბედს.**

ესაუბრა **ლადო ქირია,**
ზუგდიდი

მსოფლიო

## ბიონიკურმა თვალმა გაამართლა

**ავსტრალიელ დიანა ეშვორტს ბიონიკური თვალი გადაუნერგეს, რის მეშვეობითაც უკვე შეუძლია მუქი და ნათელი საგნების გარჩევა.** მან მხედველობა თვალის ბადურის დისტროფიის გამო დაკარგა. ოპერაცია ავსტრალიის კლინიკაში გაკეთდა. სახელმწიფო სამედიცინო პროგრამის ფარგლებში და 40-მილიონდოლარიანი სახელმწიფო დაფინანსებით ავსტრალიელმა მეცნიერებმა შეძლეს ხელოვნური ბიონიკური თვალის საცდელი ნიმუშის შექმნა. ავსტრალიური კონსირციუმი „ბიონიკური მხედველობა“ არ აქვეყნებს გამოგონების დეტალებს, თუმცა ცნობილია, რომ ბიონიკური თვალი წარმოადგენს ჩვეულებრივ სათვალეზე დამონტაჟებულ კამერას, რომელიც გამოსახულებას იმპლანტირებული ჩიპის მეშვეობით მხედველობის ნერვს გადასცემს.

## BMW აგრესიულ და უხეშ მძღოლებს იზიდავს

**BMW-ს მარკის მანქანის მფლობელები ყველაზე აგრესიული და უხეში მძღოლები აღმოჩნდნენ, გერმანელების შეფასებით.** გამოკითხვა გერმანიის საავტომობილო კლუბმა ჩაატარა. მეორე ადგილზე არიან Mercedes-ის მფლობელები. ყოველმა მესამე გამოკითხულმა გერმანელმა საკუთარ თავზე გამოსცადა მათი აგრესია, ხოლო ყველაზე აუტანელ მეგზურად ტრასაზე Audi-ს, შემდეგ კი Porsche-ს მძღოლები დაასახელეს.

საქართველო და მსოფლიო
კომენტარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პრეზიდენტობის მეორე დღესვე ტრუმენმა თავის უახლოეს თანამშრომლებს განუცხადა, რომ განზრახული აქვს, ბოლო მოუღოს კომპრომისებს, რომელთაც რუზველტი სტალინთან ურთიერთობაში განახორციელებდა.**



*რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი*

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-32 (139-170)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

### ტრუმენი, რომელიც მაკკეინივით უსიამოვნო ტიპი იყო

**რუზველტის სიკვდილის შემდეგ სტალინის ახალ ოპონენტად ტრუმენი მოგვევლინა. იგი იყო ამერიკის სახელმწიფო მანქანის ტიპიური ჭანჭიკი — ასე ახასიათებენ მას ანალიტიკოსები, ბიოგრაფები, რომლებიც დეტალურად ფლობენ მისი ცხოვრების ეტაპებს, მის კარიერულ აღმასვლას ზედმიწევნით იცნობენ.**

მოკლედ ჩავიკითხოთ წიგნის ავტორების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

რუზველტის მამა ფერმერი იყო, მაგრამ — ხელმოცარული და, როგორც გაჭირვებული ოჯახის შვილს, მასაც 40 წლამდე საკმაოდ ძნელ სოციალურ პირობებში უხდებოდა ცხოვრება. ბედიც არ წყალობდა, ეტყობა, არც მომზადება და ნებისყოფა ჰყოფნიდა საიმისოდ, რომ გაეკაფა გზა ურთიერთობათა იმ ჯუნგლებში, რომელთა დაძლევა პროვინციელი ახალგაზრდისთვის განსაკუთრებით რთულია საერთოდ.

თუმცა ცდილობდა, მაგრამ ამაოდ.

გაკოტრება გაკოტრებას ცვლიდა.

ჩანდა, რომ ბიზნესი მისთვის აუთვისებელი სფერო იყო. დამღლელი და მომქანცველი. რაც მთავარია, უშედეგო.

1922 წელს იგი მეგობარს ეუბნება, რომ გადაწყვიტა პოლიტიკაში წასვლა. მეგობარი გაოგნდა: „გაგიჟდი?". „ჭამაა საჭირო", — უპასუხა აშშ-ის მომავალმა პრეზიდენტმა.

1923-1934 წლებში იგი მისურის შტატის საოლქო მოსამართლეა. სპეციალისტების აზრით, ეს თანამდებობა სახელწოდებითაა ჟღერადი და ეფექტური, თორემ პრაქტიკაში რუტინული და არაპრესტიჟულია. მაგრამ ბედმა გაუღიმა და, როგორც ბევრი ჩვენი „დეპუტატი-პოლიტიკოსი", გაყალბებული ბიულეტენების საშუალებით აშშ-ის სენატის წევრი გახდა. ეს გააკეთა ადგილობრივმა გაქნილმა პოლიტიკურმა ბოსმა ტომ ჰენდერგასტმა (საინტერესო გვარია, არა?), რომელმაც ფსონი ტრუმენზე დადო და 50 ათასი ყალბი ბიულეტენით ამერიკის პოლიტიკურ ოლიმპზე ატყორცნა ეს კაცი, რომელიც ამ ფრიად სოლიდური საკრებულოს ფონზე ერთადერთხელ გამოირჩა იმით, რომ განაცხადა: „თუ დავინახავთ, რომ გერმანია იმარჯვებს, უნდა დავეხმაროთ რუსეთს, თუ — რუსეთი, მაშინ გერმანიას უნდა დავეხმაროთ".

აზრი ორიგინალობით ვერ დაიკვეხნის, სამაგიეროდ ცინიზმით საკმარისადაა გაჟღენთილი.

**ჰოპკინსი ამტკიცებდა, რომ რუზველტი კარგახანს აკვირდებოდა ამ პოლიტიკოსს და შემდგომ თავისი იმ მნიშვნელოვანი სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარედაც დანიშნა, რომელიც სამხედრო ეკონომიკას კურირებდა, ხოლო 1944 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენა. თანაც იმ მოტივით, რომ იგი პოპულარული იყო.**

წიგნის ავტორები კატეგორიულად არ ეთანხმებიან ჰოპკინსისეულ ვერსიას ტრუმენის პოპულარობის შესახებ და ასეთ რიტორიკულ შეკითხვას სვამენ: სად, რომელ წრეებში იყო პოპულარული ეს ფრიად აგრესიული და უპრინციპო მოღვაწე, რომელმაც იაპონიის ატომური დაბომბვის სანქცია გასცა? ძნელი არააო, — ასკვნიან ისინი, ვის აძლევდა ხელს ტრუმენის კანდიდატურა: ეს იყო მსხვილი ამერიკული ბიზნესი, სამხედრო-სამრეწველო კორპორაციები.

უსიამოვნო ტიპი იყო, როგორც ჩანს, ისეთივე, როგორიც დღეს მიხეილ სააკაშვილის მეგობარი და პატრონი, სენატორი მაკკეინი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ამერიკის მომავალ პრეზიდენტად წარმოგვიდგენდა.

მაგრამ ვერ „გაქაჩა", რადგან მისმა წინასწარმეტყველება კომიკურ საზღვარს ვერ გასცდა.

აქ მთავარი „პატრონის" პრობლემაა. აშშ-ის ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა იკესმა 1947 წელს გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც წერდა, რომ „ტრუმენი დიდი ხნის განმავლობაში სარგებლობდა პენდერგასტის (მისი პატრონის, ბოსის) აპარატის დახმარებით. მისი დახმარებით ტრუმენი პირველად აირჩიეს სენატში. მისი დახმარებით ტრუმენი მეორე ვადით კვლავ აირჩიეს სენატში. სხვადასხვა ქალაქის პოლიტიკური მანქანების ლიდერებთან პენდერგასტის თანამშრომლობის წყალობით ტრუმენი აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი გახდა, შემდგომში კი — პრეზიდენტი".

როცა მისი მფარველი მოკვდა (1945 წ.), ტრუმენი სასწრაფოდ სამხედრო ბომბდამშენით გაფრინდა ვაშინგტონიდან, რათა დასწრებოდა „ბოსი პენდერგასტის" ან, როგორც მას უწოდებდნენ, „დიდი ტომის" დაკრძალვას. ამასთან დაკავშირებით წიგნის ავტორები ირონიულად შენიშნავენ: გულახდილად რომ ვთქვათ, თუ ტრუმენი აშშ-ის პატრონად შეიძლება წარმოვიდგინოთ, თავად იგი ხალხის მსახური კი არ იყო, არამედ იმათი, ვინაც იგი პრეზიდენტის თანამდებობაზე დასვა...

პრეზიდენტობის მეორე დღესვე ტრუმენმა თავის უახლოეს თანამშრომლებს განუცხადა, რომ განზრახული აქვს, ბოლო მოუღოს კომპრომისებს, რომელთაც რუზველტი სტალინთან ურთიერთობაში განახორციელებდა. თავისი ახალი, ძალის პოზიციიდან პოლიტიკის განხორციელებაში მას ატომური ბომბისა და მისი მეშვეობით შიშის ფაქტორის გამოყენების იმედი ჰქონდა.

ისტორიკოსი ნ. ნ. იაკოვლევი წერდა: „რუზველტის გარდაცვალების შემდეგ იალტის კონფერენციის შედეგები აშშ-ის ინტერესების არქიმოღალატეობად იქნა შერაცხული".

**იალტაში რუზველტი საბჭოთა კავშირთან დაახლოების პოლიტიკას განახორციელებდა, რადგან ითვალისწინებდა სიტუაციას, რომელიც იმ პერიოდში ჩამოყალიბდა ევროპისა და აზიის ფრონტებზე. დასავლელი მოკავშირეები ძალიან ნელა მიიწევდნენ ბერლინისკენ და რეინიც კი არ ჰქონდათ გადალახული, საბჭოთა შეტევა კი შეუჩერებელი იყო. რუზველტი იძულებული იყო გაეთვალისწინებინა ეს ყოველივე, ისევე, როგორც წითელი არმიის დახმარების ფაქტორი იაპონიის წინააღმდეგ ომში.**

1945 წლის მაისში ატომური ბომბის წარმატებული გამოცდის შედეგად სიტუაცია აშშ-ის სასარგებლოდ შეიცვალა. მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოთა შორის მხოლოდ ამერიკა არ დაზარალებულა. ტრუმენტს არ აბრკოლებდა საბჭოთა კავშირთან, უწინარესად, სტალინთან მეგობრული ურთიერთობის ტვირთი, როგორც რუზველტი შეიძლებოდა დაებრკოლებინა, ამიტომ აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიდრეკილება „ცივი ომისკენ" სულ მალე სახელმწიფო პოლიტიკად იქნა ტრანსფორმირებული.

დაახლოება კონფრონტაციით შეიცვალა. ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა იდეოლოგიური დაპირისპირების გასაღრმავებლად...

1945 წლის 8 მაისს, გერმანიის კაპიტულაციის დღეს, ტრუმენმა ხელი მოაწერა ბრძანებას საბჭოთა კავშირისთვის მოწოდებათა შეწყვეტის შესახებ (თუმცა შემდეგ იძულებული გახდა, გაეუქმებინა თავისი ეს გადაწყვეტილება). თავის მემუარებში იგი შემდგომ აღიარებდა, რომ ამას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია დაძაბულობა „ჩვენი არამეგობრული დამოკიდებულების თაობაზე".

სტალინს ისე ეჭირა თავი, თითქოს ვერ ამჩნევდა, რომ სსრკ-აშშ ურთიერთობა გაფუჭდა. ტრუმენიც არ იყო დაინტერესებული ამ მიმართულებით მის მიერ განხორციელებული ნაბიჯების აფიშირებით.

მიუხედავად ამისა, როცა ტრუმენმა მიიღო მოლოტოვი, რომელიც სანფრანცისკოში გაეროს წესდებაზე ხელის მოსაწერად მიემგზავრებოდა, იგი გამომწვევად, უხეშად ლაპარაკობდა, რითაც აშკარავებდა აშშ-ის ახალ კურსს, რომელიც კონფრონტაციისკენ იყო მიმართული. არადა, როცა ოფიციალურად იბარებდა პრეზიდენტის პოსტს, განაცხადა, რომ განაგრძობდა რუზველტის კურსს საერთაშორისო ურთიერთობებში.

**ტრუმენს შესანიშნავად ესმოდა, რომ მოლოტოვი მოახსენებდა სტალინს ამ საუბრის შესახებ. ამით საბჭოთა ლიდერს პირდაპირ მიანიშნებდა, რომ მასთან მეგობრული ურთიერთობის გაგრძელებაზე ლაპარაკიც გამორიცხულია. ვიწრო წრეში ტრუმენმა მიუკიბავ-მოუკიბავად თქვა: „რუსებს მალე ადგილზე დავაყენებთ, და მაშინ აშშ თავის თავზე აიღებს მსოფლიოს განვითარების იმ გზით წაყვანას, რომლითაც უნდა იაროს".**

**მაგრამ ზედმეტი აჩქარება ამ პროგრამის რეალიზაციისთვის არ იყო სასურველი იაპონიასთან ომის მიმდინარეობის პროცესში. საეჭვო იყო, ჯერ ერთი, ამ პროგრამის ეფექტიანობა, მეორე, შეძლებდა თუ არა ამერიკა საკმაო რაოდენობით ატომური ბომბების დამზადებას.**

გარკვეული აზრით, აშშ-ს მმართველები ატომური პროექტის მძევლებად იქცნენ. ამ პროექტის მთავარი ხელმძღვანელი, გენერალი ლესლი გროვსი შემდგომ წერდა: „როცა ატომური ენერგიის სფეროში მუშაობას შევუდექით, შეერთებული შტატები ჯერ კიდევ არ გეგმავდა ატომური იარაღის გამოყენებას. დროთა განმავლობაში მოწმე ვხდებოდი იმისა, როგორ ნთქავდა პროექტი გიგანტურ სახსრებს, ხოლო სახელმწიფო სულ უფრო იხრებოდა ატომური ბომბის გამოყენების პოზიციისკენ".

ფრიად დამახასიათებელი შეკითხვა დაუსვა ადმირალმა პერნელმა ამერი- ▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**17 ივლისს, 12 საათზე სტალინისა და ტრუმენის პირველი შეხვედრა შედგა. საბჭოთა ხელმძღვანელი იყო მშვიდი, გულითადი, საუბრობდა თბილად და მეგობრულად. ტრუმენი ცდილობდა, ასევე მოქცეულიყო. ხაზი გაესვა იმისთვის, რომ სურდა, ძალიან ოფიციალურად არ ჩატარებულიყო ეს შეხვედრა.**

კელ პილოტ სუინის ნაგასაკის დასაბომბად გაფრენის წინ:

— ახალგაზრდავ, იცი, რა ღირს ეს ბომბი?

ბომბის ღირებულება მართლაც შთამბეჭდავი იყო — მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე იმავე წონის ოქროს გროვა. არადა, ამ ძვირადღირებულ იარაღს მინიმუმ ასი ათასი ადამიანი უნდა მოეკლა რამდენიმე წამში. ამასთან ერთად, ამ ქალაქში განლაგებული იყო ამერიკელი და ინგლისელი სამხედრო ტყვეების ბანაკი, რომელშიც რამდენიმე ათასი კაცი იმყოფებოდა. მაგრამ ადამიანების ბედი ფეხებზე ეკიდა ყოჩაღ ადმირალს. როგორც ჭეშმარიტ ამერიკელს, მას, უწინარეს ყოვლისა, „ბიზნესის" ინტერესები ამოძრავებდა, ამიტომაც იყო, რომ ასე დამოძღვრა ქვეშევრდომი:

— მაშ, შეეცადე, რომ ეს ფული ქარს არ გაატანო.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, დახარჯული ფულის ასანაზღაურებლად, რაც შეიძლება მეტი ადამიანი უნდა დაეხოცა.

მას წინ ჰქონდ ჰიროსიმას დაბომბვის საჩვენებელი მაგალითი...

ეს ყველაფერი მოხდება შემდგომ, მაშინ კი, როცა ფორმირდებოდა აშშ-ის ახალი ძალისმიერი პოლიტიკა — „ატომური შანტაჟი", ბომბებთან დაკავშირებული ფული საბიუჯეტო დანახარჯად აღიქმებოდა, რომელზეც მთავრობა ანგარიშვალდებული იყო ამომრჩეველთა წინაშე.

პოსტდამში, განახლებული დიდი სამეულის შეხვედრაზე რომ მიემგზავრებოდა, ტრუმენი ღელავდა მნიშვნელოვანი მოვლენის მოლოდინში. ნიუმექსიკის შტატში მიმდინარეობდა საბოლოო მზადება არნახული ძალის იარაღის გამოსაცდელად.

**საცდელი აფეთქება 1945 წლის 16 ივლისს მოხდა. ეს იყო „ატომური პროექტის" პირველი რეალური შედეგი. მეორე დღეს ტრუმენმა შიფროგრამა მიიღო: „პატარები მშვიდობიანად დაიბადნენ". იგი არნახულად აღფრთოვანდა და თავისი მოჭარბებული სიხარული ხმამაღლა ასე გამოხატა: „ახლა მე მაქვს კომბალი ამ ბიჭებისთვის!"**

**ჩერჩილმა გაიზიარა მისი სიხარული. ახლა მათ საშუალება მიეცათ, მკვეთრად შეეცვალათ სტალინის მიმართ თავიანთი დამოკიდებულება. ცხადია, ეს აშკარად და უხეშად არ უნდა გამოეხატათ.**

17 ივლისს, 12 საათზე სტალინისა და ტრუმენის პირველი შეხვედრა შედგა. საბჭოთა ხელმძღვანელი იყო მშვიდი, გულითადი, საუბრობდა თბილად და მეგობრულად. ტრუმენი ცდილობდა, ასევე მოქცეულიყო. ხაზი გაესვა იმისთვის, რომ სურდა, ძალიან ოფიციალურად არ ჩატარებულიყო ეს შეხვედრა.

— მე აქ ჩამოვედი, — თქვა მან, — რათა დავამყარო თქვენთან მეგობრული ურთიერთობა და უშუალოდ თქვენთან ვიქონიო საქმე, რათა უცებვე შეგვეძლოს ყველა საკითხის გადაწყვეტა — „ხო" ან „არა", მით უფრო, რომ მე დიპლომატი არ ვარ.

სტალინმა უპასუხა:

— გულწრფელობა კარგი საქმეა.

საუბრის შემდეგ პრეზიდენტმა საბჭოთა ხელმძღვანელი ლანჩზე მიიწვია. საუბარი ზოგადი ხასიათისა იყო: ისინი ერთმანეთს აკვირდებოდნენ. რა დასკვნები გააკეთა სტალინმა, ცნობილია, ტრუმენმა კი თავის დღიურში ჩაწერა:

**„ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მისმა თვალებმა, მისმა გამომეტყველებამ... ლაპარაკისას პირდაპირ თვალებში მიყურებდა. კარგ ხასიათზე იყო და არაჩვეულებრივად ზრდილობიანი გახლდათ. ჩემზე მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, და გადავწყვიტე, მასთან დაუფარავად მელაპარაკა".**

აი, ეს კაცი აპირებდა „ატომური კომბლის" მოქნევას. ვერ გაუბედა. ჩაიფუშა. თუმცა დარწმუნებული იყო, რომ აუცილებლად განახორციელებდა ანტისაბჭოთა პოლიტიკას. ცხადია, სტალინთან ამაზე კრინტიც არ დაუძრავს, პირიქით, მეგობრობაში არწმუნებდა.

**...შემთხვევით არ იყო, სტალინი თვალს თვალში რომ უყურიდა ტრუმენს. მისი გარეგნობა მისდამი სიმპათიურად არ განგაწყობდათ, მისი კარიერაც ასევე არასიმპათიური იყო. სახის ნაკვთები, რა თქმა უნდა, შთამომავლობითაა გამოძერწილი. ამერიკის ერთ-ერთმა ყოფილმა პრეზიდენტმა, როგორც ყვებიან, უარი თქვა, შეხვედროდა თავის სკოლის მეგობარს. რატომო? — ჰკითხეს. „უსიამოვნო სახე აქვს". „განა ეს მისი ბრალია?" „დიახ. ახალგაზრდობაში ადამიანს ის გარეგნობა აქვს, რომელიც მშობლებმა უბოძეს. მაგრამ ზრდასრული კაცი თავის სახეზე თვითონაა პასუხისმგებელი".**

ოსკარ უაილდის ნათქვამია: „მხოლოდ ზედაპირული ადამიანი არ აქცევს ყურადღებას თავის გარეგნობას".

გაიხსენეთ, ჩვენო პატივცემულო მკითხველებო, აშშ-ის სენატორის, მიხეილ სააკაშვილის მეგობრის — მაკკეინის სახე, მისი გამომეტყველება და, ეგებ, დამეთანხმოთ კიდეც, რომ, სააკაშვილისგან განსხვავებით, ძნელია, მისდამი სიმპათიურად განეწყო.

## პოტსდამი

1945 წლის 20 აპრილს ტრუმენმა თეთრ სახლში მიიღო აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში — ჰარიმანი, რომელმაც განაცხადა, რომ რუსებს სჭირდებათ ამერიკის დახმარება ომისშემდგომი აღდგენისთვის და ამიტომ, მისი აზრით, არ მოისურვებენ შეერთებულ შტატებთან დაპირისპირებას. ამერიკას ეს აძლევს შანსს, მტკიცედ იდგეს უმნიშვნელოვანეს საკითხებში სერიოზული რისკის გარეშე.

ტრუმენმა დაასკვნა, რომ რუსებს ამერიკელები უფრო მეტად სჭირდებათ, ვიდრე ამერიკელებს — რუსები. მაგრამ პოსტდამის კონფერენცია ამერიკელების სცენარით არ წარიმართა. ტრუმენს თავდაჯერების პატრუქის დაწევა მოუწია.

**გასათვალისწინებელია, რომ მას პირველად**

ჩერჩილი, ტრუმენი, სტალინი. პოტსდამის კონფერენცია, 1945 წლის 17 ივლისი



**მოუწია ისეთ მნიშვნელოვან სამიტში მონაწილეობის მიღება, როგორიც „დიდი სამეულის" კონფერენცია იყო. მას, როგორც რუზველტის მემკვიდრეს, უნდა გაეგრძელებინა აშშ-ის წინამორბედი მთავრობის პოლიტიკა. მაგრამ იგი თავისებურად უდგებოდა ამ საკითხს, ამასთან, ყურად უნდა ეღო გავლენიანი „მფარველების" ინტერესები. რუზველტისგან განსხვავებით, იგი მზად არ იყო პირველი ვიოლინოს პარტიის შესასრულებლად ომის პერიოდში ჩამოყალიბებულ ტრიოში, რომელიც, ფაქტობრივად, მსოფლიოს გამგებელი იყო.**

მზად არ იყო, მაგრამ ფორმალურად ახალი შეხვედრის ინიციატორად თვითონ გამოვიდა, მართალია, ჩერჩილის კარნახით.

კონფერენციის გამართვის ადგილად პოსტდამი სტალინმა შესთავაზა — პრუსიის მეფეთა ყოფილი რეზიდენცია. უკეთესი იყო ბერლინში ჩატარება, მაგრამ მიწასთან გასწორებულ გერმანიის დედაქალაქში წარმოუდგენელი იყო კონფერენციის გამართვა. საბჭოთა მხარის დიდი მუშაობის შედეგად შუა ივლისისათვის მაღალი სტუმრების მისაღებად ყველაფერი მზად იყო.

**1945 წლის 7 ივლისის დილას ტრუმენი ხომალდ „აუგუსტით", რომელსაც კრეისერი „ფილადელფია" იცავდა, ევროპისკენ გაემგზავრა. ისტორიკოსები წერდნენ, რომ აშშ პრეზიდენტმა მოიმარაგა დოსიეების დიდი რაოდენობა და თავის კაიუტაში რეგულარულად იწვევდა თათბირებს უახლოეს გარემოცვასთან, პოსტდამში ყოველმხრივ მომზადებული რომ ჩასულიყო.**

მაგრამ ეს „დაჩქარებული კურსები" მაინც და მაინც ეფექტიანი არ გამოდგა: ჩერჩილსა და სტალინს უზარმაზარი დიპლომატიური გამოცდილება ჰქონდათ, ტრუმენი კი ახალბედა იყო. მისი სტრატეგიული გეგმები ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, რამდენად წარმატებული იქნებოდა ახალი იარაღის გამოცდა და მოხერხდებოდა თუ არა ატომური ბომბების საკმარისი რაოდენობის დამზადება სსრ კავშირის დასაშინებლად, მით უფრო, მასზე თავდასხმისთვის საერთაშორისო ვითარების გამწვავების შემთხვევაში. ამასთან — ერთგვარად გაურკვეველი იყო, აუცილებელი იქნებოდა თუ არა საბჭოთა კავშირის მონაწილეობა იაპონიის წინააღმდეგ ომში.



სტალინი და ტრუმენი

პოსტდამის კონფერენციის წინ საბჭოთა კავშირ-აშშ-ს ურთიერთობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. ტრუმენის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ჰარი ჰოპკინსის სტალინთან მოლაპარაკების შედეგად მოწესრიგდა პოლონეთის ძნელი პრობლემა. პროსაბჭოთა ლიუბლინის კომიტეტმა და ლონდონელმა ემიგრანტებმა ბოლოს და ბოლოს მოილაპარაკეს და შექმნეს ეროვნული ერთობის დროებითი მთავრობა. 1945 წლის ივლისის დასაწყისში აშშ-მა და ინგლისმა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს.

შეთანხმდა, აგრეთვე, საკითხი ამერიკის ჯარების გაყვანის შესახებ საქსონიიდან და ტიურინგიიდან, რომლებიც ოკუპაციის საბჭოთა ზონაში შედიოდა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ჩერჩილს სურდათ, ეს საკითხი საბჭოთა კავშირზე ზემოქმედების და ამ უკანასკნელის მხრიდან დამატებითი დათმობების „ბერკეტად" გამოეყენებინათ. საკმარისად დიდი მერყეობის შემდეგ, ტრუმენმა მაინც გამოამჟღავნა კეთილგონიერება და არ აჰყვა მათ ამ დიპლომატიურ თამაშში. მით უფრო, რომ მაშინ შეერთებული შტატებისთვის წყნარი ოკეანის რაიონი მოქმედების პრიორიტეტულ მიმართულებად რჩებოდა.

აშშ-ში ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ მოლოტოვთან მკაცრი საუბრის შემდეგ ტრუმენი ცდილობდა, დაემშვიდებინა სსრკ და უარეყო ჩერჩილის მიდგომა ძალისმიერი დიპლომატიის მხრიდან.

**1945 წლის 26 ივნისს ხელი მოაწერეს გაერთიანებული ორგანიზაციის წესდებას, დასრულდა სანფრანცისკოს კონფერენცია. ოდნავ მოგვიანებით მოლოტოვმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, კონფერენცია კარგად ჩატარდა. მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ტრუმენმა უარი თქვა სსრ კავშირთან კონფრონტაციაზე. პირიქით, სწორედ მაშინ გამოვიდა იგი წინააღმდეგი აღმოსავლეთ ევროპაში სსრ კავშირისადმი მეგობრულად განწყობილი რეჟიმების წინააღმდეგ. ზემოქმედების საშუალებად კი სეპარაციის საკითხი აირჩია.**

ამგვარი პრობლემების საბოლოოდ გადაწყვეტა იყო დაგეგმილი პოსტდამის კონფერენციაზე, რომელიც 1945 წლის 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე უნდა გამართულიყო. ლიდერების ეს შეხვედრა წინამორბედთაგან ბევრად განსხვავებული იყო, არა მარტო იმიტომ, რომ ისინი ომის დროს იმართებოდა და განსხვავებულ მიზნებს ისახავდა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, თავისი სულისკვეთებით, მონაწილეთა განწყობილებით, მოლაპარაკების საერთო ატმოსფეროთი. მთავარი მიზეზები დაკავშირებული იყო არა მხოლოდ საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლასთან. საბჭოთა კავშირისა და სტალინის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდამ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეების საპასუხო რეაქცია გამოიწვია. ამასთან, არსებითი ზეგავლენა იქონია სუბიექტურმა ფაქტორებმა. აღარ იყო რუზველტი, რომელიც გამოირჩეოდა ფართო პოლიტიკური მიდგომით და შეეძლო გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება. ანალიტიკოსები შენიშნავდნენ, რომ „ამერიკის ახალი პრეზიდენტი მოლაპარაკებებს სახელმწიფო დეპარტამენტის „შპარგალკით" წარმართავდა და ყველაზე უფრო ეშინოდა იმისი, რომ „რაიმე ზედმეტი არ მიეცა საბჭოთა კავშირისთვის".

**საბჭოთა კავშირის დელეგაცია პრაქტიკულად ეწეოდა დიპლომატიურ „ბრძოლას" ინგლის-ამერიკის გაერთიანებული ფრონტის წინააღმდეგ. უწინ მსგავსი არაფერი ხდებოდა. სტალინმა ჯერ კიდევ კონფერენციის დაწყებამდე იცოდა, რომ ასე იქნებოდა. მან გიორგი ჟუკოვს უთხრა:**

— ახლა, პრეზიდენტ რუზველტის სიკვდილის შემდეგ, ჩერჩილი სწრაფად დაუკავშირდა ტრუმენს.

ასეც მოხდა. ტრუმენი ფართოდ განახორციელებდა საკითხების „დაკავშირების" პრაქტიკას, რომლებსაც უმეტესად საერთო არაფერი ჰქონდათ. ასე ცდილობდა, მოეპოვებინა ამერიკისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები. გულითადობის სულისკვეთება კონფერენციაზე, რა თქმა უნდა, არ სუფევდა, მაგრამ არც „ცივი ომის" სუსხი იგრძნობოდა. თუმცა ყველა გადაწყვეტილების მიღება გაცილებით რთულად ხდებოდა, ვიდრე თეირანსა და იალტაში. და მაინც კომპრომისების მიღწევა შეიძლებოდა. ეს კი ბევრს ნიშნავდა. სტალინის როლი აქ გადამწყვეტი იყო, რაზეც მომდევნო პუბლიკაციაში გვექნება საუბარი.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ფოტოგრაფია ყინულქვეშ

რუსი ფოტოგრაფი იური ოვჩინიკოვი ყინულის ქვეშ აწარმოებს გადაღებებს. ასეთი უცნაური ფოტოგრაფიით ის მას შემდეგ დაინტერესდა, რაც მის შვილს ყინული ჩაუტყდა დაბალი სიღრმის მდინარეში და აღმოაჩინა, რომ ყინულის საფარსა და წყალს შორის სიცარიელეა. შედეგად მიღებული სურათები თითქოს არაამქვეყნიურ სამყაროს ასახავს.



# XX საუკუნის საიდუმლოებები

**XX საუკუნე მდიდარია უცნაური, აუხსნელი მოვლენებით. მათ შორის არ არის ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ხილვის ძალიან გრძელი ჩამონათვალი, გარდა ზოგიერთი განსაკუთრებული შემთხვევისა, რადგან ეს დღეს აღარავის უკვირს. აი XX საუკუნის დანარჩენი ფაქტები, რომელთა ახსნაც კაცობრიობას ჯერჯერობით არ ძალუძს:**

**1900 წელი** – ეილინ მორის შუქურა კუნძულ ფლანანზე. ერთ დღეს უკვალოდ გაქრა ყველა, ვინც ზედამხედველობდა შუქურას.

**1902** – ღამით, 29-დან 30 დეკემბრამდე, ერთი საათითა და ხუთი წუთით პარიზის ბევრ ადგილას გაჩერდა საათები.

**1908** – ტუნგუსის ბოლიდი (მეტეორიტი)ჩამოვარდა.

**1911** – 14 ივლისს რომის მატარებლის სადგურიდან გავიდა მატარებელიკრუიზისთვის, რომელიც მდიდარი იტალიელებისთვის მოაწყო ფირმა „სანეტმა“. 106 მგზავრი ათვალიერებდა ღირსშესანიშნაობებს გზის ახალი მონაკვეთის ირგვლივ.მატარებელი უახლოვდებოდა სუპერგრძელ გვირაბს, როცა დაიწყო რაღაც საშინელება. ორი მგზავრის ნაამბობის მიხედვით, რომლებმაც მოასწრეს და გადმოხტნენ მატარებლიდან, ყველაფერი დაიფარა ნისლით, რომელიც გვირაბთან მიახლოებისას სქელდებოდა და გადაიქცა ბლანტ სითხედ. მატარებელი შევიდა გვირაბში და გაქრა.

**1911** – წინასწარმეტყველი ვანგა დაიბადა. მან წინასწარმეტყველების უნარი მას შემდეგ შეიძინა, რაც ქარბორბალამ წაიღო.

**1912** – გიგანტური საოკეანო ლაინერი „ტიტანიკი“ შეეჯახა აისბერგს და ჩაიძირა. დაიღუპა 1300 ადამიანი. ეს ტრაგედია იწინასწარმეტყველა რამდენიმე ადამიანმა.

**1913** – ცეცხლოვანი მიწის (არქიპელაგი სამხრეთ ამერიკის სამხრეთ დაბოლოებასთან) ნაპირზე ნაპოვნი იქნა აფრებიანი გემი, რომელზეც იყო 20-მდე ადამიანის ცხედარი. გემზე ნაპოვნ ჟურნალში ჩანაწერების თანახმად, აღმოჩნდა, რომ გემი გამოვიდა ახალი ზელანდიიდან 1890 წელს და არცერთ პორტში არ შესულა.

**1916** – ზაფხულში, თოვლის დნობის პერიოდში, მფრინავმა ლეიტენანტმა როსტოვიტსკიმ და მეორე პილოტმა საიმპერატორო საბრძოლო-საჰაერო ძალების თვითმფრინავიდან არარატზე შეამჩნიეს კიდობანი.

**1918** – ბოლო იმპერატორის, ნიკოლოზ II-ის, ოჯახი დახვრიტეს. დღემდე არ არის ნაპოვნი ოჯახის ყველა წევრის ნეშტი, რის გამოც რამდენიმე ანასტასია და მემკვიდრე გაჩნდა.

**1920** – სავარაუდო უძველესი სლავური ძეგლის, „ველესოვის წიგნი“,აღმოაჩინეს, რომლის ორიგინალურობაზე დღემდე დავობენ.

**1922** – მდინარე პეინტში (აშშ) შეამჩნიეს უზარმაზარი ცხოველი, გველის მსგავსი კისრით და დიდი თავით, რომელიც წააგავდა რელიქტურ ხვლიკს.

**1924** – სამხრეთ აფრიკის სოფელ ტაუნტთან ახლოს იპოვეს ბავშვის თავის ქალა, რომლის ასაკი 2,5 მილიონი


ნიკოლოზ II-ს ოჯახი

წელია. არის ჰოპოთეზა მის არამიწიერ წარმოშობაზე.

**1925** – რუსეთში, ქალაქ ოდინცოვოში, აგურის ქარხნის კარიერში იპოვეს გაქვავებული ადამიანის ტვინი (დაახლოებით 300 მილიონი წლის წინანდელი) — მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდნენ ძუძუმწოვრები....

**1928** – სოფელ შუკნავოლოკთან (კარელია) მოფრინდა ცილინდრის ფორმის ათმეტრამდე სიგრძის სხეული, რომლის უკანა ნაწილიდან გამოდიოდა ალი.

**1933** – შოტლანდიაში, ლოხ-ნესის ტბაში, პირველად შეამჩნიეს ურჩხული. დღემდე მისი ნახვის 4000 ფაქტია დაფიქსირებული. 1992 წელს ტბაზე ჰიდროლოკატორებით ჩატარებულმა გამოკვლევებმა დააფიქსირა 5 გიგანტური ხვლიკი.

**1943** –ოქტომბერში შეერთებულ შტატებში განსაკუთრებულად გასაიდუმლოებულ ვითარებაში ტარდებოდა ისტორიაში ანალოგის არმქონე ექსპერიმენტი უხილავი სამხედრო გემის შესაქმნელად.

1945 – ამოუცნობი მფრინავი ობიექტების მასიური თავდასხმა შტატ ქვინსლენდზე (ავსტრალია).

**1945** – მესამე რეიხის ბელადების (მიულერი, ბორმანი და სხვ.) უცნაური გაუჩინარება.

**1945** – ღამით 5 დეკემბრიდან 6 დეკემბრამდე გაუჩინარდა 6 თვითმფრინავი, ბერმუდის სამკუთხედის მიდამოებში.

**1946** – ბრიდპორტში (ავსტრალია), ოკეანის ნაპირზე, იპოვეს უზარმაზარი თმიანი არსების ცხედარი.

**1946** – ნიუ-მეხიკოს შტატში ჩამოვარდა ამოუცნობი მფრინავი ობიექტი, ნამსხვრევებს შორის ნაპოვნი იქნა 6 ადამიანის მსგავსი ცხედარი. 18 სექტემბერს შეიქმნა ინციდენტის შემსწავლელი კომისია ადმირალ ჰილენკოუტერის ხელმძღვანელობით.ეს არის უფოლოგიის ოფიციალური დაბადების დღე.

**1948** – 8 სექტემბერს ბეისის ტბაში (კანადა, ონტარიო) შეამჩნიეს „მდინარის მონსტრი“ – მოლურჯო-მოშავო ცხოველი ზურგზე ორი სამკუთხა გამონაზარდით.

**1955** – აშშ-ში, გოპკინსვილში (შტატი კენტუკი), ამოუცნობი მფრინავი ობიექტის აფეთქების შემდეგ ცოტა ხნით ჩანდა პატარა მბრწყინავი კაცუნა უზარმაზარი თვალებით.

**1956** – აგვისტოში ბრიტანულ ავიაბაზაზე ამოუცნობი მფრინავი ობიექი 20 წუთის განმავლობაში მისდევდა თვითმფრინავს და შემდეგ გაქრა.

**1958** – 14 დეკემბერს გაზეთი „იაკუტიის ახალგაზრდობა“ წერდა გიგანტურ ურჩხულზე, რომელიც ცხოვრობს ლაბინკირის ტბაში.

**1963** – აშშ-ის საზღვაო ძალების წვრთნებისას პუერტორიკოს სანაპიროსთან შეამჩნიეს მოძრავი ობიექტი, რომელიც ავითარებდა გემისთვის შეუძლებელ სიჩქარეს – დაახლოებით 280 კმ/სთ.

**1967** – ბლაფ-კრიკში კამერამ დააფიქსირა ძუ „თოვლის კაცი“.

**1968** – გაგარინის დაღუპვის ოფიციალური თარიღი, სინამდვილეში მისი სიკვდილის ბევრს არ სჯეროდა. ვანგა ამტკიცებდა, რომ პირველი კოსმონავტი კი არ დაიღუპა, არამედ „გაიტაცეს“.

**1969** – ამერიკელები მთვარეზე გადავიდა. თვით ეს ფაქტი დღემდე სადავოა.

**1982** – ცემესის ბუხტასტან შავი ზღვის ფლოტის ერთ-ერთ გემზე ყველა საათი გაჩერდა.

**1986** – 29 იანვარს დალნეგორსკთან (რუსეთი) ჩამოვარდა ამოუცნობი მფრინავი ობიექტი.

**1987** – 2000 დელფინის თვითმკვლელობა. დელფინები გადმოვიდნენ ბრაზილიის ნაპირზე.

**1989** – 140 ვეშაპი დაიღუპა სამხრეთ ჩილეს ნაპირზე. ამგვარი მასიური თვითმკვლელობა ხდებოდა უკვე მეოთხედ.

**1991** – 12 აპრილს სასოვოში (რიაზანის ოლქი) შეამჩნიეს ამოუცნობი მფრინავი ობიექტი. ამ ტერიტორიაზე დღემდე ფიქსირდება ანომალიები — კალკულატორების გადაპროგრამირება, ელექტრომოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლა.

**1992** – 10 თვის განმავლობაში ე. წ. წყნარი ოკეანის სამკუთხედშიდასავლეთ მიკრონეზიასთან ახლოს დაიკარგა 48 გემი და 200-ზე მეტი მეზღვაური.

**1994** – ჩეხეთში, ქალაქ ჩელიაკოვიცასთან ახლოს, იპოვეს „ვამპირების სასაფლაო“ – რიტუალური წესით მოკლული, ერთი ასაკის მამაკაცების ცხედრები.

**1996** – მოვილეს გამოქვაბულში (რუმინეთი) ნაპოვნი იქნა ჩაკეტილი ეკოსისტემა, რომელიც არ იყო დაკავშირებული მიწიერთან. აღმოჩენილი იქნა 30 სახეობის მცენარე და ცხოველი, რომლებიც გარე სამყაროსაგან იზოლირებულად ცხოვრობდნენ 5 მილიონი წლის განმავლობაში.


მოვილეს გამოქვაბულის ბინადარი


ტიტანიკი

# მის პლასტიკური ქირურგია

**ფაქტია, რომ ბევრ სილამაზის კონკურსზე დისკვალიფიკაციას ექვემდებარებიან მონაწილეები, რომელთა სილამაზე გარკვეულწილად პლასტიკური ქირურგიის დამსახურებაა. მაგრამ, როგორც იქნა, ბედმა გაუღიმათ ქირურგის მაგიდაზე გალამაზებულ ქალებსაც და ბუდაპეშტში გაიმართა კონკურსი „მის პლასტიკური ქირურგია“, სადაც თუნდაც ერთი პლასტიკური ოპერაცია მონაწილეობის სავიზიტო ბარათია.**

ამ კონკურსში ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს დოკუმენტი, რომ გაკეთებული აქვს



პლასტიკური ოპერაცია და არის 19-დან 38 წლამდე ასაკის. ისინი არამხოლოდ თავიანთი სილამაზის დემონსტრირებას ახდენენ, არამედ მათი გარდამქმნელი ექიმების პროფესიონალიზმსაც უკეთებენ რეკლამას.



ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პომიდვრის ღვინო

**კანადელი მეღვინე პასკუალ მიჩე ღვინოს ოჯახური მეთოდით პომიდვრისგან ამზადებს. მიჩემ საკუთარ პროდუქციას Omerto უწოდა.** პასკუალი ყოველწლიურად 34 000 ბოთლ ღვინოს ყიდის. ის ბელგიიდან კანადაში საცხოვრებლად 7 წლის წინ გადავიდა, ღვინის ბიზნესი კი 2009 წელს დაიწყო. პასკუალი საუკეთესო ჯიშის ადგილობრივ პომიდორს იყენებს. როგორც პასკუალი ამბობს, პომიდვრის ღვინის დაყენების წესი ძალიან ჰგავს ღვინის ყურძნისგან დამზადების მეთოდს, თუმცა მეღვინე დეტალებს არ ამხელს. მიჩეს პომიდვრის ღვინო ჩრდილოეთ ამერიკაში წარმატებით იყიდება და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს.




## ჯორჯ სოროსს ცოლი მოჰყავს

**82 წლის ამერიკელმა მილიარდერმა ჯორჯ სოროსმა 12 აგვისტოს დაბადების დღის წვეულებაზე 40 წლის ტამიკო ბოლტონთან დანიშვნის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. ბოლტონი კერძო კომპანიის მფლობელია, რომელიც მომხმარებელს იოგას ონლაინ-ვარჯიშებს სთავაზობს.**



წყვილმა გადაწყვიტა, ქორწილი ძვირადღირებულ მამულში, საუტგემპტონში, ახლობლებისა და მეგობრების ვიწრო წრეში აღნიშნოს.

წყვილი ქორწილის თარიღს ჯერჯერობით არ ამხელს. მათ ერთმანეთი 2008 წლის გაზაფხულზე, ერთ-ერთ ღონისძიებაზე გაიცნეს.

ცნობილი ფინანსისტისთვის და მისი რჩეულისთვისაც ეს მესამე ქორწინებაა.

## ოლიმპიური ოსკარი

**ოლიმპიური თამაშების ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა მოხდა — 25 წლის სამხრეთაფრიკელი მძლეოსანი ოსკარ პისტორიუსი, რომელსაც მუხლებს ქვემოთ ორივე კიდური ამპუტირებული აქვს, ნახევარფინალში გადავიდა. მან 400-მეტრიანი დისტანცია 45,44 წამში დაფარა და ფინიშთან მეორე მივიდა.**

**„არც კი ვიცი, ვიტირო თუ ვიცინო! შესანიშნავი გარბენი, შესანიშნავი მაყურებელი. ინგლისში სხვადასხვა შეჯიბრში მრავალჯერ მიმიღია მონაწილეობა, მაყურებლისგან ძალიან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდი“,** — განუცხადა სპორტსმენმა ჟურნალისტებს შესარჩევ ტურში გარბენის შემდეგ.

სამხრეთაფრიკელმა სპრინტერმა, რომელმაც ფეხები 11 წლის ასაკში დაკარგა, დისტანცია ჯანმრთელ მორბენლებთან ერთად დაფარა.




სპორტსმენი, რომელიც პროთეზებით ასპარეზობს, პარაოლიმპიური თამაშების არაერთგზის გამარჯვებულია. მან 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ოსკარ პისტორიუსი პლანეტის ყველაზე მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრში სრულფასოვანი მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდა. წელს ის, მსუბუქი ატლეტიკის საერთაშორისო ფედერაციის წინააღმდეგობის მიუხედავად, შეჯიბრში მონაწილეობს.

## მტვრის ნახატები

**ელისონ კორტსონი ლოს-ანჯელესელი მხატვარია. ის აგროვებს სახლის მტვერს, რათა მისგან ხელოვნების ნიმუში შექმნას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ელისონი მტვრისგან თავისი ნახატების ფონს აკეთებს.**

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი ნახატების უმეტესობა დიაგონალში 180 სანტიმეტრს უახლოვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭირო რაოდენობის მტვრის შესაგროვებლად მას რამდენიმე თვე დასჭირდებოდა.







## პროფესიები, რომლებიც ვნებს ჩანასახს

**მეცნიერებმა შეადგინეს სია, მამაკაცთა თუ რომელმა პროფესიებმა შეიძლება იმოქმედოს უარყოფითად ნაყოფის განვითარებაზე. აღმოჩნდა, რომ მუცლად ყოფნის დროს ბავშვის ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს არა მარტო დედის, არამედ მამის საქმიანობის სფეროც.**



ამერიკელმა მეცნიერებმა ათასზე მეტი იმ მამაკაცის პროფესია გამოიკვლიეს, რომელთა შვილებს თანდაყოლილი დეფექტი ჰქონდათ და შედეგები ჯანმრთელი შვილების მამების მონაცემებს შეადარეს, რის საფუძველზეც შთამომავლობისთვის სახიფათო პროფესიები გამოავლინეს.

**მეცნიერთა მტკიცებით, მამაკაცის პროფესია რამდენადმე ზრდის თანდაყოლილი დეფექტის მქონე ბავშვის გაჩენის რისკს. რისკის ჯგუფში მოხვდა ისეთი პროფესიები, როგორებიცაა: მხატვარი, ფოტოგრაფი, პარიკმახერი, ფიზიკოსი, სტამბის მუშა, მძღოლი, მნე, ნავთობისა და გაზის, ქიმიური და კვების მრეწველობის მუშაკები.**

მეხანძრეებს, მღებავებს, დიზაინერებს, მედიკოსებს, მეთევზეებს, სამხედრო მოსამსახურეებს, ავტოზეინკლებს და რიგი სხვა პროფესიის მამაკაცთა შთამომავლებს მსგავსი საფრთხე არ ემუქრებათ.

გარდა ამისა, ზოგიერთი პროფესია პირდაპირ უკავშირდება ბავშვის ამა თუ იმ კონკრეტულ დაავადებას. მაგალითად, **მებაღეების შვილებს ნაწლავური დაავადებებისკენ აქვთ მიდრეკილება; მხატვრების შთამომავლებს კი გულის, მხედველობისა და სმენის დაავადებათა საფრთხე ემუქრებათ; ფოტოგრაფებმა და მძღოლებმა თავიანთი შვილები შეიძლება კატარაქტითა და გლაუკომით „დაასაჩუქრონ“.**

ასეთი მაღალი საფრთხის მიზეზი მავნე ნივთიერებებთან მამაკაცთა მუდმივი კონტაქტია, რაც უარყოფითად მოქმედებს სპერმატოზოიდების ხარისხზე. მეცნიერული კვლევისას არ გამოვლენილა შემთხვევა, რომ მამის პროფესიას დაბადებული ბავშვის ჯანმრთელობაზე გავლენა მოეხდინა. ასე რომ, ბავშვის დაბადების შემდეგ პროფესიის შეცვლაზე ფიქრი საჭირო არ არის.



## ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ღვინო – გიგანტურ ბოთლში

**ჩინეთში შექმნეს გიგანტური ღვინის ბოთლი, რომლის სიგრძე 27 მეტრია, სიგანე — 2.3 მეტრი და 3 ტონას იწონის.ბოთლი სპეციალურად გამოფენა Yantai International Wine Expo-სთვის შეიქმნა.** გიგანტური ბოთლი გამოფენაზე კომპანია Jinding Co-მ სარეკლამო კამპანიის ფარგლებში წარადგინა. კომპანიამ გამოფენის ყველა სტუმარს მისცა შესაძლებლობა, რომ ამ ბოთლიდან ჩამოსხმული ღვინო დაეგემოვნებინათ. ბოთლი გამოფენაზე სპეციალური პლატფორმის საშუალებით მიიტანეს. გიგანტური ღვინის ბოთლი არ იყიდება. ის გამოფენის ბოლომდე პავილიონში დარჩება. შესაძლოა, ის გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდეს.

## შოტლანდიელმა საკუთარ სახლში ლეონარდო და ვინჩის უცნობი ტილო აღმოაჩინა

**შოტლანდიის მკვიდრმა ფიონა მაკლარენმა ფინანსური პრობლემების გამო აუქციონის სახლ Sotheby's-ის ექსპერტებს წარუდგინა ნახატი, რომელიც ლეონარდო და ვინჩის ნამუშევარი აღმოჩნდა. ტილო, რომელიც შოტლანდიელი ექიმის სახლის კედელზე მრავალი წელი ეკიდა, 156 მილიონი დოლარი ღირს.**



„ტილო 60-იან წლებში მამაჩემს, რომელიც ასევე ექიმი გახლდათ, ერთ-ერთმა პაციენტმა აჩუქა. მრავალი წლის განმავლობაში ვვარაუდობდით, რომ მასზე ღვთისმშობელი მარიამი და იესო არიან გამოსახულნი, თუმცა, ექსპერტთა თქმით, ტილოზე მარიამ მაგდალინელია დახატული", — ამბობს 59 წლის ფიონა.

აუქციონის სახლ Sotheby's-ის შოტლანდიური ფილიალის მმართველის — ჰარი რობერტსონის თქმით, ნახატი 500 წლისაა და მასზე ვაჟთან ერთად მარიამ მაგდალინელია გამოსახული. ტილოს ფასმა, შესაძლოა, 156 მლნ დოლარსაც გადააჭარბოს.

შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ, ნახატის მეპატრონე შედევრის მიყიდვას მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი მუზეუმისთვის აპირებს.



## კალათბურთელი დელფინი

**კუბის ერთ-ერთ ნაკრძალში მობინადრე დელფინი, საკუთარი სპორტული შესაძლებლობების წყალობით, მუდამ ყურადღების ცენტრშია. დელფინს კალათბურთის თამაში შეუძლია და ყველაზე მეტად კალათში ცხვირით ბურთის ჩაგდება მოსწონს. მისი თამაშის სანახავად ნაკრძალს უამრავი ტურისტი სტუმრობს.**



მოყვარულმა ფოტოგრაფმა, 44 წლის სერჟიო ლონგიმ დელფინი თამაშის დროს გადაიღო. სერჟიომ ფოტოები ინტერნეტით გაავრცელა და ათასობით ინტერნეტ-მომხმარებლის გულიც დაიპყრო.

„ძალიან მიყვარს დელფინები.ჩემს ცოლთან, ელისაბედთან, ერთად კუბაში ვიმყოფებოდი და ნაკრძალის დასათვალიერებლად წასვლა გადავწყვიტე.ვნახეთ, როგორ თამაშობდნენ ინსტრუქტორები დელფინებთან ერთად. მოულოდნელად ერთ-ერთ დელფინს ბურთი ესროლეს, მან კი ის ცხვირით ფარში ჩააგდო, ნამდვილი საოცრება იყო", — ამბობს სერჟიო.



## ნალის ტბა



**სამხრეთ არიზონა და აღმოსავლეთ ოუტა აცვიფრებს მნახველს თავისი პეიზაჟებით. ძლიერ ქარს, რომელიც უდაბნოს ქვიშას ატრიალებს ჰაერში და მდინარე კოლორადოს ბევრი დრო და მონდომება დასჭირდათ ნატიფი ფორმების შესაქმნელად.** ადგილი, რომელიც დიდი წრის სახელითაა ცნობილი, თავის თავში ათობით ეროვნულ პარკსა და ნაკრძალს მოიცავს. მათ შორისაა გრანდ კანიონი, ბრაისის კანიონი და ნალის მოსახვევი. ნალის მოსახვევი არის თავისებური გეოლოგიური ფორმირება მდინარე კოლორადოს ნაპირზე, ქალაქ პეიჯის მახლობლად. აქ მდინარე ჯერ აღმოსავლეთით, შემდეგ კი დასავლეთით უხვევს.

## ოქროს ვარდები





ჩინეთის ქალაქ ნანკინში ერთ-ერთ საიუველირო მაღაზიაში გასაყიდად 1999 ცალი ვარდი გამოიტანეს. ვარდები დამზადებული იყო ოქროს ფირფიტებისგან.

ერთი ვარდის ღირებულება 45 დოლარს შეადგენდა.

ყვავილები მოათავსეს შემოღობილ ვიტრინაში, გულის ფორმის ფიგურაში. მნახველებში ამ ფაქტმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

## ბედნიერი სახლი რიზი



წარმოიდგინეთ პატარა გერმანული ქალაქის, ბრიუნსვიკის გაკვირვება, როცა აქ ეს უცნაური სახლი წამოიჭიმა. სახლი მაგნიში, ქალაქის ყველაზე ძველ ნაწილში ააშენეს. მოსახლეობის უმრავლესობას თავიდანვე არ მოსწონდა მსგავსი შენობის იდეა, მაგრამ ის მაინც აშენდა.

თავიდან მოსახლეობა ვერ იტანდა ძველ შენობებს შორის ხინჯივით გამოჩრილ ამ ნაგებობას, შემდეგ შეეჩვივნენ, ბოლოს კი საერთოდაც შეიყვარეს ეს ფერადი უცნაურობა.

რიზის ბედნიერი სახლი რაღაც საზღვრის მაგვარს წარმოადგენს: მის ერთ მხარეს თანამედროვე, 21-ე საუკუნის შენობებია, მეორე მხარეს კი – მშვიდი ისტორიული რაიონი.





## ქოლგების ცა

ფერადი ქოლგების ფესტივალი პორტუგალიაშ იყოველ წელს იმართება. ამ ფესტივალის დროს აგუედას ქუჩაში „ქოლგების ცა“ ულამაზესი სანახაობაა. ფერებით სავსე „ცა“ არა მარტო ქუჩის მცხოვრებლებს, არამედ ტურისტებსაც ახარებს...

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მხატვარი ვირი





**დიდ ბრიტანეთში ვირის დახატული რამდენიმე ნახატი 150 000 დოლარად გაიყიდა. 8 წლის ვირს, პეტის, ინგლისის ქალაქ ბრისტოლში ხელოვნების მრავალი მოყვარული იცნობს. ცხოველთა დამცველი საქველმოქმედო ორგანიზაცია HorseWorld-ის თანამშრომლებს აუქციონზე რუმინეთიდან ჩამოყვანილი ვირის ყიდვისას წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ ნამდვილ ხელოვანთან ჰქონდათ საქმე.**

ერთ დღეს შენიშნეს, რომ ვირს პირით ფუნჯი ეკავა და ფურცელზე უსვამდა. მაშინ მწვრთნელმა ვიკი გრინსლეიდმა ვირის ნიჭის სპეციალური მეთოდიკით განვითარება გადაწყვიტა.

მწვრთნელმა ცხოველი მოლბერტით, ფუნჯითა და საღებავებით მოამარაგა და სამ კვირაში ტილოზე ფუნჯის მოსმა ასწავლა. ყოველი სწორად შესრულებული დავალების სანაცვლოდ ვირი საჩუქარს იღებდა.

**„წვრთნის დაწყებიდან სამ კვირაში პეტი მშვენივრად ხატავდა. მეთოდმა გაამართლა. ეს ცხოველი მოთმინებას იჩენს მაშინაც, როდესაც არ ასაჩუქრებ და, როცა ხვდება, რომ დავალებას სათანადოდ ვერ ასრულებს, იგი ყველაფერს აკეთებს, რათა გამოსწორდეს“,** — ამბობს 26 წლის გრინსლეიდი.

ერთი „აბსტრაქციის“ შესაქმნელად ვირს 10 წუთი სჭირდება. თუმცა, მწვრთნელის თქმით, პეტი ამ დროის განმავლობაში ძალიან იღლება და დიდი დატვირთვის შემთხვევაში ფუნჯის დემონსტრაციულად დაგდებაც იცის. პეტის სანახავად ბრისტოლში უამრავი ტურისტი ჩადის. ცხოველს ყურადღება ძალიან უყვარს.

პეტის ნამუშევრების შეძენა ადგილობრივ სავაჭრო ცენტრ Cabot Circus-შია შესაძლებელი. გაყიდვიდან შემოსულ თანხას ორგანიზაცია HorseWorld-ი ცხენებისა და ვირების მოვლას ახმარს.





# ქორწინების შესანარჩუნებელი სპრეი



**მეცნიერები დაიღალნენ ოჯახური წყვილების მუდმივი ჩხუბითა და კინკლაობით და გადაწყვიტეს, ამ პრობლემასაც მოუძებნონ მოგვარების საშუალებები.**

ნოტინგემის უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა იციან, როგორ დაეხმარონ წყვილებს, რომლებიც გამუდმებით კინკლაობენ. მათ შექმნეს უნიკალური ჰორმონალური სპრეი, რომელიც თქვენს ურთიერთობაში ჰარმონიას შემოიტანს. ქორწინების გასამყარებელი სპრეი შეიცავს აქტიურ პეპსიდ ოქსიტოცინს, ეგრეთ წოდებულ ალერსის ჰორმონს, რომლის ზემოქმედების ქვეშაც ქალები უფრო თბილები და დამთმობები ხდებიან, ხოლო მამაკაცები — უფრო მგრძნობიარენი. ოქსიტოცინი ორგანიზმში, როგორც წესი, ფიზიკური დატვირთვის დროს გამოიყოფა და მიზიდულობის ამაღლებას უწყობს ხელს. ამას გარდა, ეს ჰორმონი მშობელსა და შვილს შორის ემოციურ კავშირსაც აძლიერებს.

სპრეის მოქმედება 20-დან 50 წლამდე 17 წყვილზე გამოსცადეს — ზოგი მათგანი ოფიციალურად იმყოფებოდა ქორწინებაში, ზოგიც, უბრალოდ, ერთად ცხოვრობდა. მათ სთხოვეს, გაერჩიათ მათთვის ყველაზე კონფლიქტური თემა. კამათის დაწყებიდან 45 წუთის შემდეგ ექსპერიმენტის მონაწილე წყვილებმა ჰაერში გაშვებული სპრეი შეისუნთქეს და... კონფლიქტი მაშინვე განელდა. კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა კი დაადგინეს, რომ ოქსიტოცინის სპრეის დღეში ორჯერ გამოყენება წყვილებში სექსუალურ ცხოვრებასაც აუმჯობესებს.

# ქალმა 3 პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, რომ შვილს დამსგავსებოდა



**ბრიტანელმა ჯანეტ კანლიფმა რამდენიმე პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, რათა სათაყვანო ქალიშვილს გაქრილი ვაშლივით დამსგავსებოდა. ამ უჩვეულო საქციელს ჯანეტი შვილის უსაზღვრო სიყვარულით ხსნის.**

ცხვირისა და ტუჩების კორექცია, ასევე მკერდის გადიდება ჯანეტს 10.000 ევრო დაუჯდა. ახლა ჯანეტი ქალიშვილის, ჯეინის, ნამდვილი ორეულია.

**„ნახეთ, როგორი მშვენიერია ჩემი ქალიშვილი. რატომ უნდა ამეკრძალა საკუთარი თავისთვის, რომ მეც ასეთივე გავმხდარიყავი?“** — განაცხადა ჯანეტმა.

ამ ამბავს ჯანეტ კანლიფის 26 წლის ქალიშვილი დადებითად შეხვდა.

# ფეხმძიმობა ინტელექტუალურ შესაძლებლობებს აუმჯობესებს



**ფეხმძიმობის პერიოდში ქალების ინტელექტუალური შესაძლებლობები უმჯობესდება. მშობიარობის შემდეგ ქალებს უფრო მეტი ინფორმაციის დამახსოვრება შეუძლიათ. ასეთ დასკვნამდე მაიამის უნივერსიტეტის მეცნიერები მივიდნენ. მათ მიერ ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა 70-მა ქალმა მიიღო. 35 მათგანი ფეხმძიმედ არასდროს ყოფილა, დანარჩენები კი 10 თვიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვების დედები იყვნენ.**

ყველა მათგანს ფურცელზე გამოსახულ 6 სიმბოლოს უჩვენებდნენ, რომლებსაც 10 წამის განმავლობაში აკვირდებოდნენ. ამის შემდეგ ფურცლებს მალავდნენ და ქალებს ნანახის დახატვას სთხოვდნენ. დედებმა ამ გამოცდაში უმაღლესი ქულები დააგროვეს.

შედეგის გადასამოწმებლად მეცნიერებმა კიდევ ერთი ტესტი ჩაატარეს.ამჯერად მათ მოხალისეებს ახალი სიმბოლოები უჩვენეს, რომელთაგან რამდენიმე ძველი სიიდან განმეორდა. ამ შემთხვევაშიც უპირატესობა დედებმა მოიპოვეს.

შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მშობიარობის შემდეგ ქალებს მეხსიერება უქვეითდებათ, მცდარი აღმოჩნდა.

# იყიდება ოლიმპიური თამაშების ჰაერი



**ონლაინაუქციონ Ebay-ზე ლონდონის ოლიმპიადის ჰაერი იყიდება. მათ, ვინც ვერ შეძლო ოლიმპიადაზე დასწრება და ვისაც ოლიმპიური ჰაერის ჩასუნთქვა სურს, შესაბამისი საფასურის გადახდა მოუწევს.** ჰაერი გამჭვირვალე ქილაშია მოთავსებული და მისი საწყისი ფასი 10.5 გირვანქა სტერლინგია. ვისაც ოლიმპიური ჰაერის მოპოვება აუქციონის გარეშე სურს, 99.99 ფუნტი სტერლინგის გადახდა მოუწევს. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც აუქციონზე ჰაერი იყიდება. გაყიდულა პარიზის ჰაერიც. ხოლო რამდენიმე თვის წინ ესპანელმა ბიზნესმენმა მთის ჰაერის გაყიდვა დაიწყო. მისი ბიზნესი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.

# საქართველო: «ვარდების რევოლუციის» ბნელი მხარე

**საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად სულ უფრო მზარდი მტრული კონკურენცია მმართველ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და ოპოზიციას შორის სერიოზული ტესტია ქვეყნის მიერ სათუთად შექმნილი რეპუტაციისა, როგორც ლიბერალური ეკონომიკისა, რომელიც ღიაა უცხოური ინვესტიციებისთვის.**



რუსეთთან ომის ოთხი წლის შემდეგ საქართველო ენერგიულად ცდილობს, რომ ქვეყანა საერთაშორისო დონეზე ომის ზონად არ აღიქმებოდეს. ქვეყნის ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული უცხოურ ინვესტიციებზე, რომელიც 2011 წელს 37%-ით გაიზარდა და 1.1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა; საქართველოს მთავრობა აქტიურ რეკლამას უკეთებს ბიზნესისათვის ხელსაყრელ კანონმდებლობას, გაუმჯობესებულ მშპ-ს, რომელიც პირველ კვარტალში 6.8%-ით გაიზარდა.

**კორუფციის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღებამ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნიდან საუკეთესო პოზიციაზე აიყვანა და ამას ათეული წელიც კი არ დასჭირდა. კორუფციასთან ბრძოლის მწვერვალი იყო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულება — ერთ დღეში 2005 წელს სამსახურიდან დაეთხოვათ საგზაო პოლიციის თანამშრომლები და ისინი უმაღლეს დამთავრებულებით შეეცვალათ.**

„საქართველო ფინეთის გვერდზე დგას, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული პოლიცია ჰყავს“, — ამბობს **პლამენ მონოვსკი,** Renaissance Asset Managers-ის აღმასრულებელი დირექტორი.

პოლიტიკური რისკების შეფასების საკონსულტაციო ორგანიზაცია Oxford Analytica-ს უფროსი ანალიტიკოსი აღმოსავლეთ ევროპის საკითხებში, მაიკლ ტეილორი, ამბობს, რომ ქვეყანა იმსახურებს ნდობას კორუფციის მნიშვნელოვნად შემცირების გამო, რომ დღეს საქართველოში გაცილებით უკეთესი პირობებია სამუშაოდ, ვიდრე მაშინ, როდესაც მთავრობა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოვიდა.

მაგრამ ეს სრული სურათი არ არის. **ვიდრე სააკაშვილის ადმინისტრაციას აქებენ დაბალ დონეზე კორუფციასთან გამკლავების გამო, ოპონენტები მას ავტოკრატიულ გადახრებსა და კორუფციის მაღალ დონეზე შენარჩუნებაში ადანაშაულებენ.** Oxford Analytica-ს ანალიტიკოსი მაიკლ ტეილორი ამბობს: „რა ხდება სათავეში, მაღალ დონეზე? არ ვფიქრობ, რომ ბევრი რამ გაუმჯობესდა“.

მომავალმა არჩევნებმა მთავრობის პოლიტიკურ ოპონენტებში, რომლებმაც იყნოსეს, რომ სააკაშვილისა და მისი მოკავშირეების გამარჯვება შემოდგომის საპარლამენტო და მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გარდაუვალი აღარ არის, ბრაზიანი პროტესტი გამოიწვია.

**2011 წლის ოქტომბერში საქართველოს პოლიტიკური სურათი რადიკალურად შეცვალა მილიარდერის, საქართველოს უმდიდრესი ადამიანისა და ცნობილი ფილანტროპის, ბიძინა ივანიშვილის, პოლიტიკაში გამოჩენამ და მისმა განცხადებამ, რომ იბრძოლებდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ, რამაც საარჩევნო კონკურენცია მნიშვნელოვნად გაზარდა.**

ივანიშვილს, რომელმაც ქონება რუსეთში დააგროვა, საქართველოს მოქალაქეობა უმალ ჩამოართვეს ისეთ საფუძველზე, რომელიც იშვიათად გამოიყენება, და კრემლის მარიონეტად მონათლეს.

**ივნისის ბოლოს, ივანიშვილსა და მის პოლიტიკურ მოკავშირეებზე დაკისრებული მრავალი ფინანსური ჯარიმისა და პარტიის უკანონო დაფინანსებასთან დაკავშირებული ბრალდებების შემდეგ, საქართველოს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ივანიშვილს „ქართუ“ ბანკის აქციების წილის 100% და პროგრეს ბანკის 21.7% ჩამოართვა. აქციების მყიდველები არ გამოჩნდნენ და სახელმწიფომ „ქართუზე“ კონტროლი თავის თავზე აიღო და ახალი მმართველები დანიშნა. ამაზე საუბარი მთავრობის არც ერთ წარმომადგენელს არ სურს.**

ოპონენტების მიმართ ასეთი უხეში ზომების მიღებით საქართველო ძირს უთხრის სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები ჩარევის მომხრე, ინვესტიციებზე ორიენტირებული, ტექნოკრატული სახელმწიფოს იმიჯს. **„ეს კარგად არ გამოიყურება,** — ამბობს ტეილორი. — **და გზავნილია, რომ საქართველოში ბიზნესის საკეთებლად კარგი მეგობრებია საჭირო“.**

ტეილორს მიაჩნია, რომ ბანკზე ზეწოლა არა მხოლოდ საქართველოს საერთაშორისო იმიჯს ლახავს, არამედ არის უფრო სერიოზული პრობლემიდან ყურადღების გადატანის საშუალება. **„სააკაშვილთან დაახლოებულ ადამიანთა მცირე ჯგუფი ყველა დიდ ბიზნესს აკონტროლებს,** — ამბობს ის. — **საქართველოში ინვესტიციის დაბანდება მხოლოდ ამ ხალხთან ახლობლობითაა შესაძლებელი“.**

ის დასძენს: **„დასავლეთში არსებობს მოსაზრება, რომ სააკაშვილი ამკვიდრებს კონკურენციას“, თუმცა ეს „ილუზიაა“.**

ეს მოსაზრება ეხმიანება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ ჩატარებულ არაერთ კვლევას. ერთ-ერთის თანახმად, რომელიც საწვავისა და საკვები პროდუქტების სფეროში ჩატარდა, გამოვლინდა, რომ ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს ოლიგოპოლიას.

კიდევ ერთი ანგარიში მოწმობს, რომ საქართველოს სარეკლამო ბაზარი ყოფილი თავდაცვის მინისტრის, დავით კეზერაშვილის, მეგობრებისა და ბიზნესპარტნიორების ხელშია. კვლევა, რომელიც მედიისა და ფარმაცევტულ სექტორში ჩატარდა იგივე შედეგები უჩვენა. **„დასავლეთში ისეთი წარმოდგენა აქვთ, თითქოს სააკაშვილმა კონკურენტული გარემო შექმნა“, მაგრამ ეს მხოლოდ „ილუზიაა“,** — აღნიშნავს ანალიტიკოსი ტეილორი.

**თომას დე ვაალი** კარნეგის ფონდიდან თავის ანგარიშში საქართველოს პოლიტიკური მომავლის შესახებ იმავე დასკვნებამდე მიდის და ამბობს: **„საქართველოს ეკონომიკას ჩრდილოვანი მხარეები აქვს და უფრო ღრმა შესწავლას საჭიროებს“.**

ის, რომ მთავრობა ადმინისტრაციულ რესურსსა და ლეგალურ წესებს პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს, ივანიშვილთან დაკავშირებულ საქმეებსაც სცდება.

**მაიკლ ჩეჩირე**
FT.com

# ქართული სპეცრაზმის მიერ მოკლულთა შორის ახმედ ზაკაევის პირადი მცველია

**ქართული სპეცრაზმის მიერ მოკლულთა შორის ახმედ ზაკაევის პირადი მცველი დუკვახა დუშუევი (დოშუევი) აღმოჩნდა, — ამის შესახებ რუსული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან.**



დუკვახა დუშუევი 44 წლის იყო. მონაწილეობა აქვს მიღებული რუსეთის მიერ ჩეჩნეთის წინააღმდეგ წარმოებულ პირველ ომში; 1996 წელს გროზნოში კულტურის სამინიტროს შენობის დაცვის უფროსი გახდა. 2002 წელს კი, საზღვარგარეთ გაემგზავრა.

**დუშუევი რუსეთის ფედერალურმა ძალებმა დააკავეს, მაგრამ მალევე ამნისტიის საფუძველზე გაათავისუფლეს. იგი, მოწმის სახით ბრალდების ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა იყო ზაკაევის წინააღმდეგ აღძრულ საქმეში, რომლითაც ზაკაევს ადამიანთა გატაცებასა და მკვლელობაში მონაწილეობა ედებოდა ბრალად.** ამასთან, ლონდონში 2003 წელს გამართულ სასამართლო პროცესზე დუშუევმა განაცხადა, რომ ზაკაევის წინააღმდეგ ჩვენებები ზეწოლის შედეგად მისცა.

რუსეთის გენერალური პროკურატურის მოადგილემ სერგეი ფრიდინსკიმ ლონდონის სასამართლოში დუშუევის გამოსვლას **„რუსული მართლმსაჯულების წინააღმდეგ პროვოკაცია“** უწოდა და აღნიშნა, რომ **„ყველა ასე იქცევა, ვინც ბერეზოვსკის ფულით მოქმედებს“.**

**ახმედ ზაკაევის განცხადებით, მან დაზუსტებით იცის, რომ ლოპოტას ხეობაში ქართული სპეცსამსახურების მიერ ლიკვიდირებული დუკვახა დუშუევი ბოლო 6 თვის განმავლობაში რუსეთის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდა.**

როგორც ზაკაევმა „მე-9 არხთან“ სატელეფონო ინტერვიუში განაცხადა, ბრიტანეთის პოლიტიკური თავშესაფარის ქვეშ დუშუევი ამ პერიოდში პანკისის ხეობაში ცხოვრობდა.

ზაკაევის განცხადებით, მისთვის აბსოლუტურად გაუგებარია, როგორ მოხვდა ის ჯგუფში, რომელმაც საქართველოს ოფიციალური უწყებების ინფორმაციით, რუსეთ-საქართველოს საზღვარი დივერსიული მიზნებისთვის გადაკვეთა.

**„ჩვენ უკვე შევქმენით სპეციალური შემსწავლელი კომისია, რომელმაც ქართულ ძალოვან უწყებებთან თანამშრომლობით უნდა გაარკვიოს, თუ რა მოხდა რეალურად სპეცოპერაციის დროს. იმის მიუხედავად, ითანამშრომლებს თუ არა ქართული მხარე ჩვენთან, ჩვენ გაგვაჩნია სათანადო რესურსი საქართველოში, რათა დავადგინოთ რეალურად მომხდარი დეტალები, რის შემდეგაც ჩეჩნეთის კანონიერი მთავრობა ოფიციალურ პოზიციას გამოხატავს“,** — დასძინა ზაკაევმა.

**საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციით, ლოპოტას ხეობაში 11 ლიკვიდირებული პირიდან იდენტიფიცირებულია 7 ცხედარი, რომელთაგან 2 საქართველოს მოქალაქეა – 1990 წელს დაბადებული ასლან მარგოშვილი და 1986 წელს დაბადებული ბაჰაუდინ ქავთარაშვილი.**

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი. ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას: ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3, ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (599)936563, e-mail: eparqia-f@mail.ru



საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894